18-79

პალიტრა ლოგოსი

ბერძნული მითების სამყარო

ახალი გამოცემა

# ტროას ომი



-95102-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის
ინსტიტუტი

•

**პროგრამა «ლოგოსი»**

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

5C

ΛΟΓΟΣ

ბერძნული მითების სამყარო

# ტროას ომი



თხრობა და კომენტარები

**ლაშა ბერაიასი**

მეორე გადამუშავებული გამოცემა

დაამტკიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ
დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
მოსწავლეთათვის

პროგრამა «ლოგოსი»

875(075.3)
8-79

სერიის სარედაქციო კოლეგია

რისმაგ გორდეზიანი (მთავარი რედაქტორი)
ლაშა ბერაია (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ვალერი ასათიანი
ნანა ტონია
მანანა ფხაკაძე
მანანა ლარიბაშვილი
რუსუდან ცანავა
გიორგი ხომერიკი

ავტორი მადლობას უხდის ქ-ნ რუსუდან ცანავას და ბ-ნ ლევან გორდეზიანს (კომენტარების ნაწილში) იმ საგულისხმო შენიშვნებისა და რჩევებისათვის, რომლებიც ფაქტობრივი მასალის სრულყოფილად გადმოცემას უკავშირდება; სარედაქციო კოლეგიის წევრებს, ქ-ნებს ნანა ტონიას, მანანა ფხაკაძესა და მანანა ლარიბაშვილს წიგნის რედაქტირებისას გამოჩენილი ყურადღებისა და გამოთქმული შენიშვნებისათვის. ტექსტის სტილისტურად გამართვაში, სასკოლო ასაკის ბავშვის შესაფერი ენობრივი სისადავის მაქსიმალურად მიღწევაში გაწეული დახმარებისათვის ავტორი მადლიერებით აღნიშნავს ქ-ნი მარინე ხუციშვილის ღვაწლს, აგრეთვე თავისი ქალიშვილის, აიას სასარგებლო კრიტიკულ შენიშვნებს, რომელთა გათვალისწინების შედეგად, იმედია, ყმაწვილებს გაუადვილდებათ ტექსტის აღქმა.

95102

სერიის წიგნები გამოდის პროგრამის ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში ფინანსური ხელშეწყობით

პირველი გამოცემა: 2002, მეორე გამოცემა: 2004
© პროგრამა „ლოგოსი", 2002, 2004
ISBN 99940-762-4-8
ISBN 99928-65-11-3 (სერია)

პროგრამა „ლოგოსი"
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13
(თსუ VIII კორპ.), 0179 თბილისი
ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81

---

გარეკანზე: თეტისი ჰეფესტოს მიერ გამოჭედილ იარაღს გადასცემს აქილევსს. შავფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 525 წ. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

# სარჩევი

მცირე წინათქმა მთხრობელისაგან 9

1. ტროა და დარდანიდები 10

2. ომის მიზეზი 14

ელენე და მენელაოსი (14), განხეთქილების ვაშლი (15), პარისის სამსჯავრო (18), ელენეს მოტაცება (21)

3. პელოპიდები – ტანტალოსის მოდგმა 25

ტანტალოსი (26), ტანტალოსის ტანჯვა (27), პელოფსი (27), პელოფსი და ენომაიოსი. მირტილოსი (28), ჰერაიები – ქალღმერთ ჰერასადმი მიძღვნილი თამაშები (32), პელოფსის შვილები (32), ატრევსი და თიესტესი (34), აგამემნონი და კლიტემნესტრა (40)

4. ეაკიდები 41

ეგინა. ეაკოსი – ენონას მეფე. ჰერას შურისგება (41), მირმიდონელები (43), ეაკოსი – ზევსის ქურუმი (43), ეაკოსი ტროას კედლებს აგებს (44), ეაკოსის შთამომავლობა (45), ტელამონი (45), პელევსი (46), პელევსისა და თეტისის ქორწილი (48), აქილევსი (49), პატროკლე (50)

5. ტროას ომში მონაწილე სხვა ბერძენი გმირები 50

ოდისევსი (51), პალამედესი (53), ნესტორი (54), დიომედესი (54), იდომენევსი – ბერძენთა კრეტელი მოკავშირე (54), აიაქს ტელამონის ძე (დიდი აიაქსი). ტევკროსი (55), აიაქს ოილევსის ძე (პატარა აიაქსი). მედონი (55)

6. როგორ დაიწყო ლაშქრობა 57

ბერძენთა პირველი შეკრება ავლისში (57), ანიოსი და მისი „მევენახე“ ქალიშვილები (60). ზევსის ნიშანი (62). ტელეფოსის დახმარება (63), მეორე შეკრება ავლისში. იფიგენია (64)

7. ომის ცხრა წელი 66

ლაოდამია (67)

8. აქილევსის რისხვა 71

9. ჰექტორის სიკვდილი 84

პატროკლეს დაკრძალვა (88), როგორ გამოისყიდეს და დაკრძალეს ჰექტორის ცხედარი (91)

10. აქილევსის სიკვდილი 96

როგორ დაკრძალეს აქილევსი და რა ბედი ეწია მის სულს (97), აქილევსისა და მისი აჩრდილის სასიყვარულო თავგადასავლები (98), ბრისეისი – აქილევსის მესარეცლე (98), მკვდარი პენთესილეა – აქილევსის სატრფო (99), პოლიქსენეს გამო აქილევსს ღალატს სწამებენ (99), ელენე – აქილევსის ცოლი? (100), აქილევსის აჩრდილი ცოლად ირთავს მედეას (101), ვის ერგო აქილევსის საჭურველი. აიაქსის გაშმაგება და სიკვდილი (101)



11. ტროას დაცემა 104

წინასწარმეტყველებანი ტროას დაცემის თაობაზე. ფილოქტეტესი (104), პარისისა და ენონას სიკვდილი (104), ელენეს მორიგი ქორწინება (105), ჰელენოსი ტროას ორაკულებს უმხელს ბერძნებს (105), პალადიონის მოტაცება (106), ხის ცხენი (107), სინონი. ლაოკოონი. პრიამოსი ტყუვდება (109)

12. ტროას გაძარცვა და ტროელთა ბედი 112

პრიამოსის სიკვდილი (112), დეიფობოსი (113), ანტენორი (114), ენეასი (114), კასანდრას შეურაცხყოფა, ათენას რისხვა და პატარა აიაქსის სიკვდილი (115), ასტიანაქსის მოკვდინება. ანდრომაქეს ბედი (117), პოლიქსენე – აქილევსის ზვარაკი (118), პოლიდოროსის ბედი (119), ჰეკაბეს ბედი (120)

კომენტარები 123

სახელთა საძიებელი 157

რუკები 167

1. ეგეიდა. ბერძენი მხედართმთავრების გამგებლობის ქვეშ მყოფი რეგიონები, 2. ნ-კ. პელოპონესოსის დასავლეთი ნაწილი და მიმდებარე ტერიტორიები, 3. ტროადა და მიმდებარე ტერიტორიები



ვის არ სმენია ტროას ომის შესახებ! „განხეთქილების ვაშლი“ და მშვენიერი ელენეს მოტაცება. შეურაცხყოფილ ბერძენთა ლაშქრობა. ტროას ათწლიანი ალყა. ლეგენდარული „ტროას ცხენი“. დაბოლოს, ცეცხლის ალში გახვეული ქალაქი. აი, მოკლე ჩამონათვალი იმ მოვლენებისა, რომლებიც ყოველი განათლებული ადამიანის გონებაში ტროას ომს უკავშირდება. გადმოცემათა თანახმად ბრმა აედის (მომღერალი პოეტის) ჰომეროსის პოემებში მხატვრულად ასახული ეს ამბები საუკუნეთა მანძილზე კვებავდა შემოქმედთა წარმოსახვას და უხილავად ზემოქმედებდა ბერძენი, შემდეგ კი სხვა ევროპელი ხალხების კულტურასა და ცხოვრების წესზე.

სანამ საკუთრივ ომის ამბებს შევეხებით, მოდით, თავდაპირველად მასში მონაწილე მხარეებს გავეცნოთ, შემდეგ კი თვალი გავადევნოთ, როგორ ერწყმის ერთმანეთს ჯადოსნური და ყოფითი ამბები, წარმოსახვა და ისტორია და გარდაისახება მომხიბვლელ რეალობად, რომელსაც ძველი ბერძნები მითს უწოდებდნენ.

# ❶ ტროა და დარდანიდები

გადმოცემათა უმრავლესობა ტროას დაარსებას დარდანოსსა და მის მემკვიდრეებს უკავშირებს.

ზევსისა და ელექტრას (ატლასის ქალიშვილის) ძე – დარდანოსი, როგორც ამბობენ, ძმის სიკვდილით გამოწვეულმა დარდმა მოიყვანა მხარეში, რომელსაც შემდგომში ტროადა ეწოდა. იმ დროს გემები ჯერ არ არსებობდა და მას მარტოდმარტო უმგზავრია ტივით, რომელიც დამზადებული იყო გაბერილი ტყავისაგან და ოთხი ქვით იყო დატვირთული. აქ მას დახვდა ტევკროსი, რომელიც კრეტიდან თუ ათენიდან იყო წარმოშობით. ტევკროსმა გულითადად მიიღო დარდანოსი იმ პირობით, რომ იგი დაეხმარებოდა ზოგი ადგილობრივი ტომის დამორჩილებაში, სანაცვლოდ კი სამეფოს ნაწილი მისცა და თავისი ასული ბატია მიათხოვა.

დარდანოსმა მოისურვა, ქალაქი დაეარსებინა პატარა ბორცვ ატაზე, სწორედ იქ, სადაც შემდგომში ტროა ანუ ილიონი განლაგდა. მაგრამ როცა ფრიგიელი აპოლონის სამისნომ გააფრთხილა, ქალაქის მცხოვრებნი მრავალ უბედურებას იწვნევენო, დარდანოსმა სხვა ადგილი ამოარჩია იდას მთის კალთებზე და მას დარდანია უწოდა. ტევკროსის სიკვდილის შემდეგ დარდანოსმა მემკვიდრეობით მიიღო სამეფოს დანარჩენი ნაწილიც, მთელ სამეფოს თავისი სახელი მიანიჭა და ძალაუფლება აზიის მრავალ ხალხზე გაავრცო.

ქალაქი დარდანია შემდგომში შეერწყა დასახლებებს ილიონსა და ტროისს, რის შედეგადაც ჩვენთვის კარგად ცნობილი ტროა წარმოიშვა. დარდანოსის სიკვდილის შემდეგ მისმა უფროსმა ვაჟმა, ერიხთონევსმა სამეფო მემკვიდრეობით მიიღო და ცოლად შეირთო სიმოისის ასული ანტიოქე, რომელმაც გაუჩინა ვაჟი ტროსი. ტროსმა ერიხთონევსისგან მემკვიდრეობით მიიღო სამეფო, და არა მხოლოდ ტროა, არამედ მთელი ტროადა ამიერიდან მის სახელს ატარებდა.

ამასობაში ილოსი, ერიხთონევსის ძმა, ფრიგიაში გამართულ თამაშებში მონაწილეობდა. ჭიდაობაში გამარჯვებულს ჯილდოს



სახით ორმოცდაათი ყმაწვილი და ორმოცდაათი ქალიშვილი მიუღია. ფრიგიელმა მეფემ მას ჭრელა ძროხაც მისცა და ურჩია, ქალაქი დაეარსებინა იმ ადგილას, სადაც ძროხა პირველად წამოწვებოდა მიწაზე. ილოსი ცხოველს გაჰყვა და იქ, სადაც ძროხა დაწვა – ატას ბორცვთან – ქალაქი ილიონი დაარსა, მაგრამ იმ გაფრთხილების გამო, რომელიც სამისნოდან მიიღო მამამისს, ილოსს ქალაქის გასამაგრებელი ნაგებობები აღარ აუშენებია.

როცა უკვე მონიშნული იყო ქალაქის საზღვრები, ილოსმა ლოცვით მიმართა ყოვლისმპყრობელ ზევსს, მისთვის ნიშანი გამოეგზავნა. დილით თეთრი კარვის წინ მან ბალახში იპოვა მიწაში სანახევროდ ჩაფლული საგანი. ეს იყო პალადიონი – სამი წყრთის სიმაღლის ფიგურა, რომელიც ათენას თავისი გარდაცვლილი ლიბიელი მეგობარი ქალის, პალასის (პალადას) სახსოვრად გაეკეთებინა. პალასს (მისი სახელი ათენამ თავის სახელს დაურთო, სწორედ ამიტომ უწოდებენ მას ათენა პალასს) მარჯვენა ხელში საბრძოლველად გამზადებული შუბი ეკავა, მარცხენაში – სართავი ჯარა და თითისტარი, მკერდს კი ეგისი (აბჯრისებრი სამკერდე მოსასხამი) უფარავდა. თავდაპირველად ათენამ ქანდაკება ოლიმპოსზე, ზევსის ტახტის გვერდით მოათავსა, სადაც პალადიონს დიდ პატივს მიაგებდნენ. მაგრამ როცა ილოსის დიდმა ბებიამ, პლეადა ელექტრამ, ზევსისაგან პატივაყრილმა, ხელის შეხებით წაბილწა ქანდაკება, განრისხებულმა ათენამ მიწაზე ჩამოაგდო იგიცა და პალადიონიც.

სმინთოსელმა აპოლონმა ასეთი რჩევა მისცა ილოსს: ,,შეინახე ქალღმერთი, რომელიც ციდან ჩამოვარდა, და მაშინ შენ შეინარჩუნებ შენს ქალაქს, ვინაიდან სადაც უნდა მივიდეს ქალღმერთი, მას თან ახლავს ძალაუფლება!“ რჩევის თანახმად, ილოსმა ქალაქში ტაძარი ააგო და იქ მოათავსა ქანდაკი.

ილოსის ვაჟს, ლაომედონს ბედმა არგუნა, ტროას სახელგანთქმული კედლების აგებისთვის ეხელმძღვანელა. მას გაუმართლა: აპოლონისა და პოსეიდონის ამბოხით განრისხებულმა ზევსმა ორივე ღმერთი აიძულა, უბრალო დღიურ მუშებად ემსახურათ და ლაომედონმაც ისარგებლა მათი სამსახურით. პოსეიდონი კედელს

აშენებდა, აპოლონი კი ამ დროს ლირაზე უკრავდა და ლაომედონის ცხვრებს აძოვებდა. ღმერთების ნებით, პოსეიდონს ღელევგი ეაკოსი ეხმარებოდა – სახელოვანი მამამთავარი მირმიდონელებისა, რომელნიც დიდი ხნის შემდეგ ტროას ომში ძლევამოსილი აქილევსის მეთაურობით იბრძოდნენ (ბედისწერის მიხედვით, სწორედ ეაკოსის, ანუ მოკვდავის მიერ აგებულ კედელს ეწერა დანგრევა და ომის ბედიც ამ ადგილას გადაწყდებოდა). ამბობენ, ლაომედონმა ღმერთები მოატყუა და გაწეული სამსახურისთვის გასამრჯელო არ გადაუხადა, რითაც საშინლად გააგულისა. ამიტომ მოხდა თურმე, რომ ისიცა და ყველა მისი შვილიც, ერთის გარდა, ბრძოლის ველზე დაეცა, როცა ტროას ჰერაკლე ძარცვავდა. სიკვდილს მაშინ მხოლოდ პოდარკოსი გადაურჩა, რომელსაც სახელი ჰქონდა გადარქმეული და პრიამოსი ერქვა, ან, როგორც სხვა ვერსია მოგვითხრობს, ეს სახელი „გამოსყიდულს“ უნდა ნიშნავდეს და იგი იმ დროს შეერქვა, როცა ტყვეობიდან გამოისყიდა მშვენიერმა ჰესიონემ – ტროელმა ქალმა: ჰერაკლემ საშუალება მისცა, ერთი ტროელი ტყვე გაეთავისუფლებინა, შემდეგ კი ქალი ბერძენ ტელამონს უბოძა. (ეს ამბები უფრო დაწვრილებით იხილეთ ჩვენი სერიის წიგნში „ასპარეზზე გამოდიან გმირები“, ქვეთავში „ლაშქრობა ტროაში“).

პრიამოსმა, რომელსაც ჰერაკლემ ტროას პირველი დაცემის შემდეგ დიდსულოვნად დაუტოვა სამეფო ტახტი, იფიქრა, რომ უბედურებანი, რომელნიც თავს ატყდებოდა ტროას, ქალაქის საბედისწერო ადგილმდებარეობით აიხსნებოდა და არა ღმერთების რისხვით. ამიტომ თავისი ძმისწული გაგზავნა დელფოს სამისნოში, მისან ქალთან, პითიასთან, რათა გაერკვია, კვლავაც დაწყევლილი იყო თუ არა ატას ბორცვი. მაგრამ აპოლონის ქურუმი პანთოევსი ისეთი ლამაზი აღმოჩნდა, რომ პრიამოსის ძმისწულს თავისი დავალება გადაავიწყდა, ქურუმი შეუყვარდა და ტროაში წამოიყვანა. ამან პრიამოსი განარისხა, მაგრამ ძმისწულის დასჯა ვერ გაბედა. მისი დანაშაულის გამოსასყიდად პანთოევსი აპოლონის ქურუმად დანიშნა ტროაში, პითიასთვის ხელმეორედ მიმართვისა კი მოერიდა და მეტად აღარ უზრუნია მისნობის მისაღებად. სინამდვილეში პრიამოსის ეჭვი საფუძველს მოკლებული როდი იყო. ისევ



და ისევ ბედისწერის ხელი ერია იმაში, რომ მეფემ ატას ბორცვის ამბავი ბოლომდე ვერ გაარკვია და მაინც გაბედა, თავიდან აეშენებინა ტროა ძველ ადგილას.

პრიამოსს ორმოცდაათი შვილი ჰყავდა. მეორე ცოლმა, ჰეკაბემ, ან, როგორც ლათინები უწოდებდნენ, ჰეკუბამ, ცხრამეტი შვილი უშვა. ჰეკაბეს უფროს ვაჟს ჰექტორი ერქვა. ზოგიერთების აზრით, მამამისი აპოლონი იყო. ჰექტორის შემდეგ ჰეკაბემ შვა პარისი, შემდეგ კრეუსა, ლაოდიკე და პოლიქსენე, შემდეგ დეიფობოსი, ჰელენოსი, პამონიოსი, პოლიტესი, ანტიფოსი, ჰიპონოოსი და პოლიდოროსი, ტროილოსი (უკანასკნელი ასევე აპოლონისგან).

რამდენიმე წლის განმავლობაში პრიამოსმა გონივრული მმართველობის წყალობით შეძლო ტროასთვის უწინდელი სიმდიდრე და ძლიერება დაებრუნებინა. სწორედ იმხანად მოიწვია საბჭოც იმის გადასაწყვეტად, თუ რა მოემოქმედათ ჰესიონესთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ეაკოსის შთამომავალს, ტელამონს ჰყავდა საბერძნეთში გატაცებული. თუმც თავად პრიამოსი ძალის გამოყენების მომხრე იყო, საბჭოს აზრით, უპრიანი იქნებოდა, ჯერ ბერძენთა დარწმუნება ეცადათ და ჰესიონე მშვიდობიანი გზით დაებრუნებინათ. პრიამოსის სიძე ანტენორი და ძმა ანქისესი საბერძნეთში ჩავიდნენ და თავიანთი მოთხოვნა ტელამონის სასახლეში შეკრებილ ბერძნებს წაუყენეს, მაგრამ ისინი სირცხვილნაჭამები გაისტუმრეს. სწორედ ეს შემთხვევა გახდა მიზეზი ტროელებსა და ბერძნებს შორის მტრობის ჩამოვარდნისა. ჯერ არავინ უწყოდა მაშინ, რომ მოგვიანებით ტროელი პარისი ბერძენ ელენეს მოიტაცებდა და ამით ეს მტრობა ათწლიან ომში გადაიზრდებოდა, ომში, რომლის სავალალო შედეგს უკვე წინასწარმეტყველებდა პრიამოსის მისანი ქალიშვილი კასანდრა. უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად პრიამოსმა ავისმაუწყებელი ასული მაღალ ბორცვზე მდგომ ტროას ციხესიმაგრეში ჩაკეტა, ხოლო მსახურ ქალს, რომელიც კასანდრას მიუჩინა, დაავალა, ქალიშვილის ყველა ნათელხილვის შესახებ პირადად მისთვის საიდუმლოდ ეცნობებინა.

# 2 ომის მიზეზი

## ელენე და მენელაოსი

ამბობენ, ზევსი გედის სახებით შეეუღლა ეტოლიის მეფის, თესტიოსის ქალიშვილს – ლედას, და ამ კავშირის შედეგად კვერცხიდან იშვა მშვენიერი ელენე. იმ დროს, როცა ელენე გასათხოვარი ქალწული შეიქნა, იგი სპარტაში ცხოვრობდა თავისი მამინაცვლის, ტინდარეოსის სასახლეში. საბერძნეთის ყველა მეფე მდიდრული ძღვენით ან თავად ეახლა მას ხელის სათხოვნელად, ან თავიანთი ნათესავები გამოგზავნეს შუამავლებად. აქ იყვნენ დიომედესი, რომელსაც სულ ახლახან ჰქონდა მოპოვებული გამარჯვება თებესთან, დიდი აიაქსი, ტევკროსი, ფილოქტეტესი, იდომენევსი, პატროკლე, მენესთევსი და მრავალი სხვა. ოდისევსიც მოსულა, თუმცა არაფერი მოუტანია, ვინაიდან წარმატების არანაირი იმედი არ ჰქონდა. მას შეუტყვია, რომ ელენეს ძმებს, დიოსკურებს სურდათ, თავისი და ათენელი მენესთევსისთვის მიეთხოვებინათ, ოღონდ ელენეს მაინც მოუწევდა ცოლობა ყველაზე მდიდარი აქაველის, მენელაოსისა, რომელსაც თვით ტინდარეოსის სიძე, ძლევამოსილი აგამემნონი შუამავლობდა.

ტინდარეოსს არც ერთი სასიძო უარით არ გაუსტუმრებია, თუმცა არც ძღვენი გამოურთმევია რომელიმესთვის. ასე ეგონა, თავისი არჩევანით უცილობლად გადაჰკიდებდა მათ ერთმანეთს. ერთხელ ოდისევსმა ჰკითხა: „დამეხმარები თუ არა იკარიოსის ქალიშვილის, პენელოპეს ცოლად შერთვაში, თუკი მე გეტყვი, როგორ აიცილო თავიდან სასიძოებს შორის შუღლი?" თანახმა ვარო, გაუხარდა ტინდარეოსს. „მაშინ, – განაგრძო ოდისევსმა, – ჩემი რჩევა ასეთია: აიძულე ყველა სასიძო, დაიფიცონ, რომ ვინც არ უნდა გახდეს ელენეს რჩეული, ისინი ყოველთვის დაიცავენ მას". ტინდარეოსს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. მან მსხვერპლად შესწირა ცხენი, ნაწილებად დაჩეხა, ყველა სასიძო ხორცის სისხლიან ნაჭრებზე შეაყენა და იძულებით წარმოათქმევინა ოდისევსის მიერ შეთხზული ფიცი, რის შემდეგაც ყველა ნაჭერი მიწაში



ჩამარხეს. ამ ადგილისათვის შემდგომში „ცხენის საფლავი" უწოდებიათ.

არავინ უწყის ზუსტად, თვით ტინდარეოსმა შეურჩია ელენეს ქმარი თუ ქალიშვილმა საკუთარ გულისწადილს მინდობილმა დაადგა რჩეულს თავზე ყვავილების გვირგვინი. ასე იყო თუ ისე, იგი ცოლად გაჰყვა მენელაოსს, რომელიც ტინდარეოსის სიკვდილისა და ელენეს ძმების, დიოსკურების გაღმერთების შემდეგ სპარტის სამეფო ტახტზე ასულიყო. ოღონდ მათი ქორწინება თავიდანვე განწირული იყო: ამ მოვლენამდე დიდი ხნით ადრე, როცა ტინდარეოსი ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა, შემთხვევით აფროდიტე გამორჩენია. განრისხებულ სიყვარულის ქალღმერთს დაუფიცავს, რომ სამაგიეროს გადაუხდიდა: სამივე ქალიშვილს – კლიტემნესტრას, ტიმანდრასა და ელენეს – ცოლქმრული ღალატით „გაუთქვამდა სახელს". თქვა და შეასრულა კიდეც: ელენეს ღალატმა ტროას ომი გამოიწვია, კიდევ ერთი დის, კლიტემნესტრას თავს დატეხილ უბედურებას კი ჩვენი სერიის მომდევნო წიგნიდან – „ტროას ომის შემდეგ" შეიტყობთ.

ელენესგან მენელაოსს ეყოლა ერთი ქალიშვილი, რომლისთვისაც ჰერმიონე შეურქმევია, და სამი ვაჟი – ეტიოლოსი, მარათიონი და პლეისთენესი.

## განხეთქილების ვაშლი

ძნელია ჩახვდე ღვთაებათა და უკვდავთა ნებას და, ამდენად, იმ შეკითხვასაც გასცე პასუხი, თუ რატომ გამართეს ზევსმა და თემისმა ტროას ომი. გაგიკვირდება, მკითხველო: აკი წინა თავში ვთქვით, ომის მიზეზი ტროელთა და ბერძენთა წყენით ნასაზრდოები მტრობა იყო, ორივე მხრიდან სახელგანთქმული ქალების – ჰესიონესა და ელენეს – მოტაცებით გამოწვეული. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ბედისწერისა და ღმერთების ნების გარეშე ბერძნულ მითებში არაფერი ხდება. მაშ, რისთვის გამართეს ეს ომი ღმერთებმა? – კვლავაც ვიკითხოთ. იქნებ იმისთვის, რომ ელენე განედიდებინათ, როგორც ევროპასა და აზიას შორის ჩა-

მოვარდნილი შუღლის მიზეზი? ან იქნებ იმისთვის, რომ ნახევარღმერთების მოდგმისთვის გაეთქვათ სახელი და იმავდროულად მრავალრიცხოვანი ტომები გაენადგურებინათ, რომელთა სიმძიმისგან კვნესოდა დედა-მიწა – გეა? როგორიც უნდა ყოფილიყო მიზეზი, გადაწყვეტილება ომის თაობაზე ღმერთებმა პელევსისა და თეტისის ქორწილში მიიღეს: დაუპატიჟებლობით განაწყენებულმა ქალღმერთმა ერისმა ოქროს ვაშლი გააგორა, რომელზედაც წარწერილი იყო „უმშვენიერესს“. ქორწილში მყოფ სამ ქალღმერთს შორის, რომლებიც ამ წუთამდე მშვიდობიანად ბაასობდნენ, დავა ატყდა (სწორედ ეს უნდოდა ერისს, განხეთქილების ქალღმერთს!) – ყოველ მათგანს მიაჩნდა, რომ ვაშლი მას ეკუთვნოდა. ეს სამნი იყვნენ: ჰერა, ათენა და აფროდიტე. ისეთი ჩხუბი და აყალმაყალი შეიქნა, ზევსი იძულებული გახდა, დავაში ჩარეულიყო. თუმცა, ამ დავის გადაჭრა მან თავის თავზე ვერ აიღო. სამაგიეროდ, ჰერმესს ნება დართო, ქალღმერთები იდას მთაზე წაეყვანა, რათა იქ მათი დავა მამისეული სასახლის გარეთ გაზრდილ პრიამოსის ვაჟს, პარისს გადაეწყვიტა.

*

დიდი ხნით ადრე, როცა პარისის ქვეყნად მოვლინების დრო ახლოვდებოდა, დედამისს, ჰეკაბეს სიზმრად უნახავს, თითქოსდა ეშვას მოგიზგიზე ჩირაღდანი, რომელიც განადგურებით ემუქრებოდა ტროას. გამოღვიძებულს სიზმარი ქმრისთვის უამბია. მეფე პრიამოსს მაშინვე მიუმართავს თავისი ნათელმხილველი ვაჟისთვის, ესაკოსისთვის, რომელსაც წარმოუთქვამს: „ბავშვი, რომელიც წუთი წუთზე დაიბადება, თავის სამშობლოს დაღუპავს! გაფიცებთ, თავიდან მოიშოროთ იგი!“

რამდენიმე დღეში ესაკოსს კვლავ უღაღადია: „სამეფო გვარის ტროელი ქალი, რომელიც დღეს ქვეყნად მოავლენს ბავშვს, უნდა მოიკლას თავის ნაშიერთან ერთად!“ ამის გაგონებაზე პრიამოსს საკუთარი და – კილა და მისი ახალშობილი ვაჟი მუნიტოსი მოუკლავს, რომელიც იმ დილით მოვლენია ქვეყანას და მიწისთვის



მიუბარებია ისინი ტროსის სამლოცველოში. მაგრამ ჯერ კიდევ ღამის დადგომამდე ჰეკაბეს უშვია ვაჟი – ალექსანდროსი, პრიამოსს კი დედაცა და შვილიც შეუწყალებია იმის მიუხედავად, რომ აპოლონის ქურუმი ქალი ჰეროფილე და სხვა ნათელმხილველები მოითხოვდნენ, ჰეკაბესაც მოეკლა საკუთარი ნაშიერი. ქალმა ვერ აიძულა თავი, ეს მკვლელობა ჩაედინა და მაშინ პრიამოსი იძულებული გამხდარა, ეს საქმე თავისი მთავარი მწყემსისთვის, აგელაოსისთვის დაევალებინა. გულჩვილობის გამო აგელაოსს ვერ გამოუყენებია თოკი ან მახვილი – მას ბავშვი უბრალოდ იდას მთაზე დაუტოვებია, სადაც იგი ძუ დათვს გამოუკვებავს. ხუთი დღის შემდეგ მთაზე მიბრუნებული აგელაოსი ისე განუცვიფრებია ცოცხალი ბავშვის ხილვას, რომ მისი აყვანა გადაუწყვეტია და შინ წაუყვანია თავისი შულდაკით (მხრებზე შემოსადები სატვირთველით). ამ შულდაკის მიხედვით მიანიჭეს სახელი – პარისი. მწყემსის სახლში იგი აგელაოსის ახალშობილ შვილთან ერთად გაუზრდიათ. იმის დასამტკიცებლად კი, რომ პრიამოსის ბრძანება შესრულებულია, აგელაოსს მეფისთვის ძაღლის მოჭრილი ენა მიუტანია, ვითომდა მოკლული ბავშვისა იყო.

პარისის კეთილშობილური წარმომავლობა მისი უჩვეულო სილამაზის, მკვირცხლი გონებისა და ძლიერების მეოხებით გამოაშკარავდა. ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნა იყო იგი, როცა ძროხის ქურდები იფრინა და მოტაცებული ცხოველები დააბრუნა, რისთვისაც მისთვის ალექსანდროსი („მამაკაცთა დამცველი“) შეურქმევიათ. მიუხედავად იმისა, რომ პარისი ჯერ კიდევ მონად ითვლებოდა, იგი მდინარე ენევსის ქალიშვილის, წყაროს ნიმფის, ენონას რჩეული გამხდარა. წინასწარმეტყველების ნიჭი უბოძებია მისთვის რეას, მკურნალობის ხელოვნება კი აპოლონს უსწავლებია, როცა უკანასკნელი მწყემსად იდგა ლაომედონთან. პარისი და ენონა ერთად მწყემსავდნენ ხოლმე ცხვარს და ერთად ნადირობდნენ. ვაჟს ხშირად ამოუკვეთავს თავისი სატრფოს სახელი წიფლებისა და ალვების ქერქზე. ყველაზე მეტად მას აგელაოსის ხარების ერთმანეთზე „მიქსევა“ უყვარდა, რის შემდეგაც გამარჯვებულს ყვავილებით ამკობდა, დამარცხებულს კი – ჩალით. თუკი რომელიმე ხარი ხში-

რად იმარჯვებდა, მეზობელ ჯოგებში გამარჯვებულების წინააღმდეგ გამოჰყავდა ხოლმე და მისი ხარი, როგორც წესი, პირველობას არავის უთმობდა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ პარისს პირობა დაუდვია: ოქროს გვირგვინს დაადგამდა რქებზე იმ ხარს, რომელიც მის საკუთარ გამარჯვებულ ხარს დაჯაბნიდა. მაშინ თურმე ომის ღმერთი არესი ხუმრობით ხარად ქცეულა, გაუმარჯვია და ჯილდოც მოუგია. იმ ფაქტს, რომ პარისმა უყოყმანო სამართლიანობა გამოიჩინა და დაუფიქრებლად მიანიჭა კუთვნილი ჯილდო არესს, მოუხიბლავს ზეციერნი, რომლებიც ოლიმპოსიდან ადევნებდნენ თვალს ყოველივეს. აი, რატომ იყო, რომ ზევსმა პარისი ამოირჩია სამი ქალღმერთის დავის გადასაწყვეტად.

## პარისის სამსჯავრო

ჭაბუკი ძროხებს აძოვებდა გარგარონის კლდის ძირას, რომელიც იდას მთის წვერზე მდებარეობდა, როცა ჰერას, ათენასა და აფროდიტეს თანხლებით მოსულმა ჰერმესმა ოქროს ვაშლი მოუტანა და ზევსის დანაბარები აუწყა:

— ვინაიდან შენ, პარის, იმდენადვე ლამაზი ხარ, რამდენადაც სასიყვარულო საქმეებში განბრძნობილი, ზევსი გიბრძანებს, მსაჯულობა გასწიო ამ სამი ქალღმერთის დავაში. ეს ვაშლი მათგან უმშვენიერესს გადაეცი.

დაბნეულმა პარისმა ვაშლი გამოართვა და წამოიძახა, ღვთაებრივი სილამაზისა რა გაეგება ჩემნაირ უბირ მწყემსს, მოდი, ამ ვაშლს სამად გავყოფო!

— არა, არა, ყოვლისშემძლე ზევსის ბრძანებას ნუ გადახვალ! — სასწრაფოდ შეაჩერა ჰერმესმა, — მე ხომ შენთვის რჩევის მიცემა მეკრძალება, ასე რომ, შენს ბუნებრივ გონიერებას მიენდე!

სხვა რა გზა მაქვსო, ამოიოხრა პარისმა, მაგრამ, დაე, ჯერ დამარცხებულები დამპირდნენ, რომ წყენას არ ჩაიდებენ გულში. მე უბრალო მოკვდავი ვარ და ყველაზე ხეპრული შეცდომის დაშვებაც შემიძლიაო.

ყველა ქალღმერთი დაყაბულდა, წყენის გარეშე დამორჩილებოდნენ მის გადაწყვეტილებას.



— როგორ უნდა განსაჯო ქალღმერთები, — ჰკითხა პარისმა ჰერმესს, — მათი ჩაცმულობის მიხედვით? თუ ისინი სამოსგანძარცულები უნდა წარდგნენ ჩემს წინაშე?

— ნაბრძანებია, რომ შენ თავად გადაწყვიტო ყოველივე, — ღიმილით უპასუხა ჰერმესმა.

— თუ ასეა, ხომ არ ინებებდნენ ისინი, ტანთ განეძარცვათ?

ჰერმესმა თხოვნა ქალღმერთებს გადასცა, თავად კი თავაზიანად ზურგი აქცია.

პირველი აფროდიტე გამოვიდა სამსჯავროზე, მაგრამ ათენას დაჟინებული მოთხოვნით, იძულებული გახდა, ის ჯადოსნური სარტყელიც მოეხსნა წელიდან, რომლის ზემოქმედებითაც უკვდავს თუ მოკვდავს შეუყვარდებოდა ხოლმე მისი მფლობელი. კარგიო, გესლიანი ღიმილით მიაძახა აფროდიტემ, ოღონდ მას შემდეგ, რაც შენს ჩაჩქანს მოიხდი, რომლის გარეშეც საფრთხობელას ჰგავხარ.

— ახლა კი, თუ წინააღმდეგი არა ხართ, არასასურველი დავა რომ ავიცილოთ, სათითაოდ წარმომიდექით. მომიახლოვდი, ღვთაებრივო ჰერა! — ზევსის მეუღლეს მიაგო პირველად პატივი ჭაბუკმა, — სხვებმა კი დროებით პირისპირ დაგვტოვონ.

— ყურადღებით დამაკვირდი, — ჰერა აუჩქარებლად ტრიალდებოდა მისკენ ხან ერთი, ხან მეორე მხრით, ცდილობდა თავისი შესანიშნავი სხეულის ყველა ღირსება ეჩვენებინა, — და დაიხსომე: თუ უმშვენიერესად მცნობ, მე მთელი აზიის მბრძანებლად და ამჟამად მცხოვრებ ადამიანთა შორის ყველაზე ძლევამოსილად გაქცევ.

პარისმა თავი გაიქნია და თქვა:

— არა ხამს ჩემი მოსყიდვა, ჩემო ქალბატონო... მე უკვე ვიხილე ყოველივე, რაც სახილველი იყო. ახლა კი, ღვთაებრივო ათენა, შენ შემოდი.

— მოვდივარ, — და ათენამ პარისთან მისაახლებლად ისწრაფა, — მისმინე, პარის, თუკი საღი აზრი არ გიღალატებს და ჯილდოს მარგუნებ, მე ყველა ორთაბრძოლაში გაგამარჯვებინებ. გარდა ამისა, მსოფლიოში ულამაზეს და უბრძნეს ადამიანად გაქცევ.

— მე ერთი უბადრუკი მწყემსი ვარ და არა მეომარი, — უთხრა პარისმა, — თავადაც შეგიძლია დარწმუნდე, რომ მთელ ლიდიასა და ფრიგიაში მშვიდობა სუფევს და არვინ ემუქრება მეფე პრიამოსს. მაგრამ მაინც გპირდები, რომ სამართლიანად გადავწყვეტ, ვის ვარგუნო ვაშლი. ახლა კი შეიმოსე და თავზე ჩაჩქანი დაიხურე. მზად არის აფროდიტე?

ოქროვანი კიპრიდა გაუბედავად მიუახლოვდა პარისს და ვაჟს სახეზე ალმურმა დაჰკრა.

— ყურადღებით იყავი, რამე არ გამოგრჩეს... სხვათა შორის, როგორც კი დაგინახე, თავს მაშინვე გამოვუტყდი: „ღმერთმანი, ეს ჭაბუკი ულამაზესია მთელ ფრიგიაში! რატომ უნდა იყოს იგი ამ გამოყრუებულ ადგილას და სიცოცხლის დასასრულამდე ამოვებდეს პირუტყვს?“ ვითომ რატომ არ უნდა გადახვიდე, პარის, ქალაქში და იქ უფრო ღირსეულ ცხოვრებას მიჰყო ხელი? ან რას დაკარგავ, თუკი ცოლად შეირთავ, ვთქვათ, ელენე სპარტელს, რომელიც სილამაზით ჩემი სწორია და ჩემსავით ვნებიანი? დარწმუნებული ვარ, შეხვდებით თუ არა ერთმანეთს, მყის მიატოვებს ყველაფერს — სახლსაც, ოჯახსაც — რათა შენი საყვარელი გახდეს. გსმენია რამე მის შესახებ?

— არასოდეს, ჩემო ქალბატონო. დიდად მადლობელი ვიქნები, თუკი ამიწერ, როგორია.

— ელენე ლამაზი და ჰაეროვანია. იგი გედის კვერცხიდან გაჩნდა ამქვეყნად. მას შეუძლია, ზევსი თავის მამად მიიჩნიოს. ელენეს უყვარს ნადირობა და ჭიდაობა, ხოლო ბავშვობაში ის ომის მიზეზიც კი გახდა. შემდეგ, როცა ელენე გასათხოვარი შეიქნა, საბერძნეთის ყველა მეფისწული მის ხელს ითხოვდა. ახლა იგი მეფეთა მეფე აგამემნონის ძმის, მენელაოსის ცოლია, მაგრამ ეგ არაფერია — თუკი მოისურვებ, ელენე შენი გახდება.

— როგორღა გახდება იგი ჩემი, თუკი გათხოვილია?

— ო, ზეცავ! რა მიამიტობაა! განა შენ არასოდეს გსმენია, რომ ჩემი, როგორც ქალღმერთის მოვალეობა სწორედ ამგვარი საქმეების მოგვარებაა? გთავაზობ, მეგზურად იახლო ჩემი ვაჟი ეროსი და



საბერძნეთს გაემგზავრო. როცა სპარტას მიაღწევ, ჩვენ ისე მოვაწყობთ საქმეს, რომ ელენეს უგონოდ შეუყვარდები.

— დაიფიცე, რომ ასე იზამ! — მოუთმენლობისგან ცქმუტავდა პარისი.

აფროდიტემ საზეიმო ფიცი წარმოთქვა, ხოლო პარისმა დაუყოვნებლივ გადასცა ოქროს ვაშლი.

ასე და ამგვარად მოახერხა კიპრიდამ, ერთდროულად უმშვენიერესის სახელიც მოეხვეჭა და ელენეს მამის, ტინდარეოსის წინააღმდეგაც ნაწილობრივ ეძია შური იმ დაპირებისამებრ, რომ მის სამივე ქალიშვილს ცოლქმრული ღალატით „გაუთქვამდა სახელს“. ამავე დროს, აფროდიტემ თავისი გამარჯვებით უნებურად ხელი შეუწყო ზევსისა და თემისის ერთ-ერთი მთავარი განზრახვის განხორციელებას: ომის მეშვეობით მოჭარბებული კაცობრიობა შეეთხელებინათ და ამით გეასთვის — დედამიწისთვის შვება მოეგვარათ. და აი, შედეგიც: პარისის გადაწყვეტილება რომ შეიტყვეს, ჰერა და ათენა ხელიხელჩაკიდებულნი გაშორდნენ იქაურობას და თუმც გარეგნულად არ იმჩნევდნენ, გულში მრისხანებდნენ და უკვე ტროას დანგრევის გეგმებს აწყობდნენ. აფროდიტე კი გამარჯვებულის ღიმილით იდგა და ფიქრობდა, უკეთ როგორ შეესრულებინა დანაპირები.

ჩვენ შემდგომშიც არაერთხელ დავრწმუნდებით, რომ ყოველივე, რაც ტროას ირგვლივ ხდებოდა, ერთი გრძელი ჯაჭვი იყო ბედისწერით განსაზღვრული მოვლენებისა, ჯაჭვი, რომელშიც თანაბრად იყვნენ ჩართულნი ერთი შეხედვით ყოვლისშემძლე ღმერთებიცა და მათი ნების მორჩილი მოკვდავებიც.

## ელენეს მოტაცება

გამოხდა ხანი. პრიამოსმა მსახურები გაგზავნა აგელაოსის ჯოგში ხარის დასაჭერად. იგი ჯილდოდ უნდა რგებოდა გამარჯვებულს თამაშებში, რომლებიც ყოველწლიურად იმართებოდა პრიამოსის დაღუპული ვაჟის, ალექსანდროსის პატივსაცემად. მსახურებმა ამოარჩიეს ხარი, რომელიც ყველა დანარჩენს ჯაბნიდა. პარისმა,

რომელმაც მაშინ ჯერ არ იცოდა, რომ თავად იყო ალექსანდროსი და ასპარეზობა ფაქტობრივად მას ეძღვნებოდა, თურმე თამაშებზე დასწრება მოინდომა და პრიამოსის მსახურებს დაედევნა. აგელაოსი შეეცადა შეეჩერებინა იგი, განა შენს მიერ მოწყობილი ორთაბრძოლები არ გყოფნისო? მაგრამ პარისმა თავისი დაიჟინა და აგელაოსს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იძულებული გახდა, ჭაბუკთან ერთად გამგზავრებულიყო ტროას.

ტროელებს ასეთი ჩვეულება ჰქონიათ: ეტლების მეექვსე რბოლის შემდეგ სამეფო ტახტის წინ მუშტი-კრივი იმართებოდა. პარისმა გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო ორთაბრძოლაში. აგელაოსის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, იგი წრეში შევიდა და გაიმარჯვა, ოღონდ არა იმდენად ოსტატობის, რამდენადაც გაბედულების წყალობით. შემდეგ სირბილში მოიპოვა პირველობა. ამან ისე გააგულისა პრიამოსის ვაჟები, რომ კვლავ გამოიწვიეს უცნობი ჭაბუკი შეჯიბრში – ამჯერადაც პარისმა გაიმარჯვა და ზედიზედ მესამედ აიღო ჯილდო. საჯარო დამარცხებით გაგულისებულმა პრიამოსის ძეებმა პარისის მოკვლა გადაწყვიტეს. ამისათვის სტადიონის ყველა შესასვლელთან შეიარაღებული დარაჯები დააყენეს, ხოლო ჰექტორმა და დეიფობოსმა ხმლები იშიშვლეს და პარისს თავს დაესხნენ. უკანასკნელმა ზევსის საკურთხეველთან სცადა თავის გადარჩენა, ხოლო აგელაოსი პრიამოსისკენ გაიქცა ყვირილით: „მეფეო, ეს ვაჟი შენი დიდი ხნის წინათ დაკარგული ძეა!“ პრიამოსმა მაშინვე მოუხმო ჰეკაბეს. დედამ იმ ჩხარუნას ნახვისთანავე, აგელაოსმა ოდესღაც პარისთან ერთად რომ იპოვა და ახლა დედოფალს უჩვენა, თავისი ვაჟი შეიცნო. პარისი დიდი პატივით მიაცილეს სასახლემდე, სადაც პრიამოსმა შვილის დაბრუნება ნადიმითა და ღმერთებისადმი მსხვერპლის შეწირვით აღნიშნა. მაგრამ როცა აპოლონის ქურუმებმა შეიტყვეს მომხდარი, განაცხადეს, რომ პარისი დაუყოვნებლივ უნდა მოიკლას, თუ არა და, ტროა დაიღუპება. მათი ნამისნევი პრიამოსს გადასცეს, მან კი ასე თქვა: „სჯობს ტროა დაეცეს, ვიდრე ჩემი მშვენიერი ძე დაიღუპოს!“

ცოლიანმა ძმებმა პარისს მოსთხოვეს, მასაც შეერთო ცოლი, რაზეც ჭაბუკმა უპასუხა, რომ ამ საქმის მოგვარება აფროდიტეს მიანდო, რომლის მიმართ ყოველდღიურად დაუღალავად აღავლენს ლოცვებს. როცა კვლავ შეიკრიბა საბჭო იმის განსასჯელად, თუ როგორ დაებრუნებინათ ბერძნების მიერ დატყვევებული ჰესიონე, მშვიდობიანი განწყობილებები უკვე საომარით შეცვლილიყო. პარისმა თავი გამოიდო ლაშქრობის მეთაურობაზე, თუკი პრიამოსი მას დიდი ფლოტითა და ჯარით უზრუნველყოფდა. თან მზაკვრულად დაამატა თურმე, რომ თუ იგი ჰესიონეს დაბრუნებას ვერ შეძლებდა, მაშინ მის ნაცვლად გამოსასყიდის სახით შესაძლოა ჰესიონეს თანაბარი მდგომარეობის მეფის ასული ჩამოეყვანა. რა თქმა უნდა, პარისს ერთი სული ჰქონდა, სპარტაში გამგზავრებულიყო და ელენეს დაპატრონებოდა.

იმავე დღეს მენელაოსი მოულოდნელად ტროაში გამოჩნდა და აქაურებში გაიკითხა, თუ სად იყვნენ დასაფლავებულნი ლიკოსი და ქიმეროსი, პრომეთესა და ატლასის ქალიშვილის, კელენოს ძეები. საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს მას დელფოს სამისნომ უბრძანა, მსხვერპლი შეეწირა მათთვის, ვითარცა გმირებისთვის, რათა გამძვინვარებული შავი ჭირისგან დაეხსნა სპარტა. პარისმა მენელაოსი მიიღო და სთხოვა, პატივი დაედო და სპარტაში განწმენდის წესისგება შეესრულებინა მისთვის, ვინაიდან, როგორც აუხსნა, სათამაშო ხანჯლით შემთხვევით შემოკვდომოდა ანთევსი – ანტენორის უმცროსი ვაჟი. მენელაოსი დასთანხმდა და მაშინ პარისმა, აფროდიტეს რჩევით, ფერეკლეს უბრძანა, იმ ფლოტის აგება დაეწყო, რომელსაც პრიამოსი შეჰპირდა, თანაც დასძინა, რომ მთავარი გემის კიჩო აუცილებლად აფროდიტეს ფიგურით უნდა მოერთოთ, რომელსაც ხელში პატარა ეროსი ეყოლებოდა. ენეასმა, ანქისესის ძემ, პარისის ბიძაშვილმა, თანხმობა განუცხადა, თან გაჰყოლოდა. კასანდრამ თმები გაიშალა და იწინასწარმეტყველა, რომ ამ ლაშქრობას უზარმაზარი ხანძარი მოჰყვებოდა. მისი ნათქვამი ჰელენოსმა დაადასტურა. მაგრამ პრიამოსს თავისი ნათელმხილველი შვილების ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ენონამაც კი ვერ შეძლო თურმე, ხელი აეღებინებინა პარისისთვის საბედისწერო მოგზაურობაზე, თუმცა უკანასკნელს მასთან განშორებისას კურცხალიც კი გადმოუგდია თვალიდან. „თუკი ოდესმე

დაგჭრიან, ჩემთან მოდი, – დამშვიდობებისას უთქვამს ენონას, – მხოლოდ მე შევძლებ შენს განკურნებას“.

როცა ფლოტი ზღვაში გავიდა, აფროდიტემ ზურგის ქარი გაუგზავნა და სულ მალე პარისი უკვე სპარტაში იყო. მენელაოსმა სტუმრის პატივსაცემად ნადიმი გამართა, რომელიც მთელი ცხრა დღე გაგრძელდა. ნადიმზე პარისმა ტროადან ჩამოტანილი საჩუქრები მიართვა ელენეს, ხოლო მისმა შეუფარავმა მზერამ, ხმამაღალმა ოხვრამ და თამამმა მინიშნებებმა დააბნიეს ქალი: ვაჟმა ხან თასი გამოართვა ხელიდან და ტუჩები მიაჭდო იმ ადგილას თასის კიდეზე, რომელსაც ეს-ეს იყო ელენეს ბაგე შეეხო, ხან ქალმა უეცრად სუფრაზე ღვინით გამოყვანილი სიტყვები შენიშნა – „მე შენ მიყვარხარ“. შეშინდა ელენე, ვაითუ ქმარმა პარისის ცდუნებაში დამადანაშაულოსო. მაგრამ მენელაოსმა, რომელიც დიდი დაკვირვებულობით არ გამოირჩეოდა, ცოლს სტუმრების გართობა და მის არყოფნაში სამეფოს მართვა დაავალა, თავად კი, მშვენიერ გუნებაზე მყოფი, გემით კრეტაზე გაემგზავრა, რათა დედის მხრიდან თავისი პაპის, კატრევსის დაკრძალვას დასწრებოდა.

იმავე ღამით ელენე პარისთან ერთად გაიპარა და, როგორც კი პირველად ჩამოხდნენ ნაპირზე, მისი სატრფო გახდა. კუნძულ კრანაეზე მომხდარა ეს ამბავი, რის აღსანიშნავად პარისმა შემდგომში კუნძულის მოპირდაპირე მხარეს, მატერიკზე, აფროდიტე „შემაერთებლის“ ტაძარი ააგო.

ტროაში რომ ბრუნდებოდა, ჰერას მიერ ატეხილმა ძლიერმა ღელვამ პარისი აიძულა, კვიპროსს მისდგომოდა. იქიდან კი სიდონში გაემგზავრა, სადაც ადგილობრივმა მეფემ მიიღო. პარისმა, რომელსაც უკვე მოესწრო ბერძნულ სამყაროში გავრცელებული ჩვეულებების შეთვისება, მოღალატურად მოკლა და გაძარცვა მეფე ნადიმებისთვის განკუთვნილ დარბაზში. დიდძალი ნადავლით გემების დატვირთვის დროს მათ თავს დაესხა სიდონელთა რაზმი. პარისმა თავდასხმა მოიგერია და სისხლიან შეტაკებაში ორი გემის დაკარგვის შემდეგ მშვიდობიანად გავიდა ზღვაში. მენელაოსის დევნის შიშით პარისმა რამდენიმე თვე დაჰყო ფინიკიაში, კვიპროსსა და ეგვიპტეში. ბოლოს მშვიდობიანად დაბრუნდა ტროაში და









დედამიწაზე ადამიანთა მოდგმის შემცირების სულისჩამდგმელი – თემისი და ორგანიზატორი – ირისი. წითელფიგურული კრატერი (სითხეების, მაგ. ღვინისა და წყლის შესაზავებელი ჭურჭელი) ძვ.წ. V ს-ის დასასრ. სანკტ-პეტერბურგი. ერმიტაჟი.

ზევსი და თემისი ბჭობენ იმის თაობაზე, რომ დედამიწა – გაა მეტისმეტად დამძიმდა ადამიანთა სიჭარბის გამო. თემისი (მარცხნივ, ქვემოთ) სამყაროს ქვაზე ზის და ჟესტებით ესაუბრება ზევსს, ხოლო ჰერმესი და ათენა ყურადღებით უსმენენ მათ საუბარს. მარჯვნივ – ცხენზე ამხედრებული სელენე შორდება მოსაუბრეთ. წითელფიგურული პელიკე. ძვ.წ. 350-340 წწ. სანკტ-პეტერბურგი. ერმიტაჟი.



ადამიანთა მოსპობა დაიწყო იმით, რომ ერისმა პელევსისა და თეტისის ქორწილში ოქროს ვაშლი გააგორა წარწერით – „უმშვენიერესს", რამაც წარმოშვა დავა ჰერას, ათენასა და აფროდიტეს შორის. სურათზე ვხედავთ სანადიმო სარეცლებზე ნახევრად წამოწოლილ სამ მონადიმე ქალღმერთს, რომელთა უკან მოჩანს ერისის დემონური თავი. ეტრუსკული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 540 წ. ნიუ-იორკი. მეტროპოლიტენ მუზეუმი.



პარისი. (ფრაგმენტი სცენიდან „პარისის სამსჯავრო"). უფლისწული მეფური მედიდურობით, მონუმენტურ პოზაში ზის პატარა სკამზე. სამოსი დაუდევრად მოუფარებია სხეულზე. ხელთ უპყრია სკიპტრა და მწყემსის ლირა. წითელფიგურული კალიქსი (სასმისი). ძვ.წ. V ს-ის შემდგ. პერიოდი. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.



პარისი და ნიმფა ენონა. ქვემოთ – ენონას მამა, მდინარე ენევსი. პარისი გულგრილი გამომეტყველებით ზის. ენონა ხელს იშვერს საბერძნეთში მომავალი გემისაკენ, რომელიც პარისს წაიყვანს და ტროელთა სამუდამოდ განაშორებს. მარმარილოს რელიეფი. ახ.წ. II ს. რომი. პალაცო სპადა.



ჰერმესს პარისთან მიჰყავს აფროდიტე, ათენა და ჰერა. მხატვარი ანტიმენესი. ატიკური შავფიგურული ჰიდრია (წყლის ჭურჭელი). ძვ.წ. 520 წ. სტამბოლი.







იმის გამო, რომ ჰერას, აფროდიტესა და ათენას კამათს ბოლო არ უჩანდა, ზევსმა უმშვენიერესის არჩევა პარისს დაავალა. ჭაბუკი ზის ლოდზე, მის წინ ჰერმესია, რომელიც წარუდგენს ქალღმერთებს: ათენას — შუბითა და მუზარადით; საპატარძლო შესამოსელში გამოწყობილ ჰერას, სკიპტრით ხელში; აფროდიტეს ეროსის თანხლებით. ფრთოსან ყმაწვილს ხელთ გამარჯვების ლენტი აქვს. მამაკაცს, რომელიც პარისის უკან და აფროდიტესთან მარცხნივაა გამოსახული, ზოგნი პრიამოსად მიიჩნევენ, ზოგნი — ზევსად. თეთრი პიქსისი. ძვ. წ. 465-460 წწ. ნიუ-იორკი. მეტროპოლიტენ მუზეუმი.



ამ სურათზე მხატვარი მსუბუქი იუმორით წარმოგვიდგენს სცენას „პარისის სამსჯავროდან". ჰერმესი მიუძღვება ათენას, ჰერასა და აფროდიტეს. სიყვარულის ქალღმერთის გარშემო ჩანან მფრინავი ეროსები. პარისი გამოსახულია „ბუკოლიკურ სტილში". იგი ლირით ხელში ზის ლოდზე, თავისი ნახირით გარშემორტყმული. წითელფიგურული კილიქსი. ძვ.წ. 500-490 წწ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.



პარისის სამსჯავრო იდას მთაზე. სურათის ცენტრში დომინირებს ნახევრად უჩინარი ეროსი. ნაცნობ პერსონაჟთა გარდა, აქ გამოსახულნი არიან ზევსი (ზემოთ, მარცხნივ) და ბედნიერების განსახიერება (ზემოთ, მარჯვნივ). წითელფიგურული ჰიდრია. ძვ.წ. 400-390 წწ. კარლსრუე.



*პარისს თავდაჯერებული იერით მიჰყავს ელენე. ქალი ორჭოფულად მიჰყვება. მას თავზე ფატას ადგამს აფროდიტე, მფრინავი ეროსი კი აგულიანებს. მსვლელობის ბოლოს ვხედავთ პეითოს – დარწმუნების ქალღმერთს, წინ კი ენეასს – აფროდიტეს ვაჟსა და პარისის ბიძაშვილს. წითელფიგურული სკიფოსი (სასმისი). დაახლ. ძვ.წ. 480 წ. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.*



*სცენა პარისისა და ელენეს ქორწილიდან ტროაში. ნეფე-დედოფალი ეტლზე დგას. აქვე გამოსახულია ტროელთა ოთხი წყვილი. მათ შორისაა ჰექტორი, დაიფობი, ავტომედუსა და მარჯვენა კიდეში – შეიარაღებული მეომარი, პრიამოსის ერთ-ერთი ძეთაგანი. ხურათის ფრაგმენტი კორინთული კრატერიდან. დაახლ. ძვ.წ. 580 წ. ნიუ-იორკი. მეტროპოლიტენ მუზეუმი.*

ელენესთან იქორწინა. ტროელები მოწონებით შეხვდნენ ქალს, რომელმაც ისინი ღვთაებრივი სილამაზით მოხიბლა.

ერთხელ ელენემ ტროას გალავანში იპოვა ქვა, რომლიდანაც სხვა ქვასთან ხახუნისას სისხლი მოწვეთავდა; მისი სახით მან ძლიერმოქმედი ჯადო-საშუალება აღმოაჩინა, რომლის გამოყენება მაშინვე დაიწყო იმისათვის, რომ პარისის ვნება არ დამცხრალიყო. თუმცა, ამბობენ, მხოლოდ პარისი კი არა, ტროას ყველა მცხოვრები ჯადოს გარეშეც ყოფილა ელენეზე შეყვარებული. პრიამოსს ფიციც კი დაუდვია, რომ მას არასდიდებით არ გაუშვებდა ტროადან.

არსებობს სრულიად საპირისპირო თვალსაზრისიც, რომლის თანახმად ჰერმესმა ზევსის ნებით მოიტაცა ელენე და საპატრონოდ გადასცა ეგვიპტის მეფე პროტევსს. იმავდროულად ჰერას (ან როგორც ზოგიერთები ამბობენ, პროტევსის) მიერ ღრუბლებისაგან შექმნილი ელენეს ლანდი პარისთან ერთად გაიგზავნა ტროაში ერთადერთი მიზნით – ომის გამოსაწვევად.

ელენემ სამი ვაჟი უშვა პარისს – ბუნომოსი, აგანოსი და იდევსი, რომლებიც ჯერ კიდევ მცირეწლოვანნი იყვნენ, როცა ჩამოქცეულ სახურავქვეშ მოყვნენ და დაიღუპნენ, – და ერთი ქალიშვილი, რომლისთვისაც ასევე ელენე შეურქმევიათ.

## ❸ პელოპიდები – ტანტალოსის მოდგმა

ტროას ომში მონაწილე მეორე მხარე ბერძნები ანუ ელინები იყვნენ. მათი ერთ-ერთი მთავარი ტომის, აქაველების წარმომადგენლები თავის წინაპრად პელოფსს მიიჩნევდნენ, ტანტალოსის ძეს. სწორედ ამ გვარის შთამომავალნი იყვნენ ბერძენთა ლაშქრის უზენაესი მხედართმთავარი, მეფეთა მეფე აგამემნონი და მისი ძმა, საკუთარი მეუღლის, ელენეს მოტაცებით შეურაცხყოფილი მენელაოსი.

მოდით, უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ამ გვარის ისტორიას, რომელსაც უმაგალითო სისასტიკის გამო სისხლით დაწერილს უწოდებენ ხოლმე.

## ტანტალოსი

ტანტალოსს ერთნი არგოსის (თუ კორინთოს) მეფედ თვლიდნენ, სხვათა აზრით კი იგი სიპილოსიდან ლიდიაში გაემართა და პაფლაგონიელთა მეფე გახდა. იქ კი ღმერთებისა და ილოს ფრიგიელის რისხვა დაატყდა თავს, რომელსაც მან ადრე უმცროსი ძმა განიმედესი მოსტაცა და თავის მესარეცლედ გაიხადა თურმე.

ტანტალოსს სამი შვილი ჰყავდა: პელოფსი, ნიობე და ბროტევსი.

გადმოცემათა თანახმად, ტანტალოსი ზევსის (ან ტმოლოსის) და ქალღმერთ პლუტოს ძე იყო. გარდა ამისა, ტრადიციულად ითვლება, რომ იგი ზევსის უახლოესი მეგობარი იყო. უზენაესი ღმერთი ხშირად იწვევდა მას ოლიმპოსზე გამართულ ნადიმებზე, სადაც უკვდავნი ნექტარსა და ამბროსიას მიირთმევდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ბედმა ზურგი არ აქცია ტანტალოსს, რომელმაც ზევსის საიდუმლოებანი გათქვა და მოიპარა ღვთაებრივი საკვები, რათა იგი თავისი მიწიერი მეგობრებისთვის გაეზიარებინა. არ გასულა დიდი დრო და ტანტალოსმა სხვა, გაცილებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა. მან ოლიმპიელი ღმერთები მოიწვია ნადიმზე, რომელიც სიპილოსის მთაზე, ზოგის თქმით კი კორინთოში გამართულა. დანიშნული დროისთვის ტანტალოსმა აღმოაჩინა, რომ მის საკუჭნაოებში სასმელ-საჭმელი ყველასათვის სამყოფი რაოდენობით აღარ იყო და, არავინ უწყის, ზევსის ყოვლისმცოდნეობის შესამოწმებლად თუ კეთილი ნების საჩვენებლად, მან თავისი ვაჟი პელოფსი დაკლა და მისი ხორცი საუცხოო კერძის სახით მიართვა ღმერთებს. უკვდავნი მაშინვე მიხვდნენ, რა კერძით უმასპინძლდებოდნენ და პირი აქციეს სუფრას. მხოლოდ ქალღმერთმა დემეტრემ, რომელიც ვერ ამჩნევდა irგვლივ ვერაფერს, რადგან თავისი ქალიშვილის, პერსეფონეს დაკარგვით იყო დამწუხრებული, ჭაბუკი პელოფსის მხარი შეჭამა. ყოველივე ამას დაერთო მესამე დანაშაულიც: ოქროს ქოფაკის მოპარვა, ძაღლისა, რომელიც ჰეფესტომ გაუკეთა რეას და რომელიც მცველად ედგა პატარა ზევსს კუნძულ კრეტაზე; ქურდობა ვინმე პანდარევსმა ჩაიდინა და ქოფაკი ტანტალოსს გადასცა, რათა უკანასკნელს იგი სიპილოსის მთაზე დაემალა. ღმერთებმა გამოააშკარავეს სიცრუე ტანტალოსისა, რომელმაც მათი შეკითხვის პასუხად თქვა, რომ ძაღლი თვალით არ ენახა.



## ტანტალოსის ტანჯვა

ამ სამი დანაშაულისთვის ტანტალოსის სამეფო განადგურდა, ხოლო თვით იგი ზევსმა ჰადესში ჩაამწყვდია და სამუდამო ტანჯვა მიუსაჯა: მას შემდეგ ტანტალოსი გამჭვირვალე წყალში დგას, მუდამ სწყურია და შია. ტბის ტალღები წელამდე, ზოგჯერ ნიკაპამდეც სწვდება, მაგრამ როგორც კი წყურვილის მოსაკლავად დაიხრება, წყალი მაშინვე ქრება და ოდენ შავი ტალახი რჩება მის ფეხებთან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეძლებს პეშვით ცოტაოდენი წყლის ამოღებას, მაცოცხლებელი სითხე თითებშუა ეპარება და მხოლოდ დახეთქილი ტუჩების დასველებასღა ახერხებს, მაგრამ წყურვილი ამის გამო კიდევ უფრო უმძაფრდება. ტანტალოსის თავთან ლოყაწითელი ვაშლები, ტკბილი ფინიკები, მწიფე ზეთისხილი და ბროწეულებია გადმოკიდული, მაგრამ როგორც კი მათკენ ხელს გაიწვდენს, მაშინვე ამოვარდება ქარი, გადაზნექს ტოტებს და ნაყოფი მიუწვდომელი რჩება. ყოველივე ამასთან ერთად უზარმაზარი ლოდია გადმოკიდული ხის ზემოთ და მუდმივად თავის გაჭეჭყვით ემუქრება პელოპიდების გვარის მამამთავარს. ასე უსაშველოა ტანტალოსის ტანჯვა.

## პელოფსი

ტანტალოსი რომ დასაჯა, ზევსმა პელოფსი გააცოცხლა – ჰერმესს უბრძანა, შეეკრიბა მისი სხეულის ნაწილები და იმავე ქვაბში მოეხარშა, თვითონ კი შეულოცა. ბედისწერის ქალღმერთმა კლოთომ სხეულის ყველა ნაწილს პირვანდელი სახე დაუბრუნა, დემეტრემ სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ბეჭი მისცა იმის სანაცვლოდ, რომელიც თვითონ დახრა, რეამ სიცოცხლე შთაბერა, ხოლო სიხარულით აღვსილმა თხისფეხება პანმა მის ირგვლივ როკვა დაიწყო.

პელოფსი ჯადოსნური ქვაბიდან ისეთი ლამაზი გამოვიდა, რომ ზღვათა მეუფე პოსეიდონს დანახვისთანავე შეუყვარდა და ოლიმპოსზე წაიყვანა თავისი ოქროსრაშებშებმული ეტლით. იქ მან პელოფსი მერიქიფედ და მესაწოლედ დაინიშნა და ამბროსიით კვება დაუწყო. (მოგვიანებით ასევე მოექცევა ზევსი ჭაბუკ განიმედესს). პელოფსმა პირველად მაშინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ მარჯვენა ბეჭი სპილოს ძვლისა ჰქონდა, როცა თავისი დის, ნიობეს გლოვის ნიშნად წელსზემოთ სამოსი შემოიძარცვა. პელოფსის ყველა ჭეშმარიტ შთამომავალს ასეთივე ნიშანი აქვს. თავისი მამისგან, ტანტალოსისგან პელოფსმა პაფლაგონიის ტახტი მიიღო მემკვიდრეობით. მაგრამ პაფლაგონიიდან ველურმა ტომებმა განდევნეს, ამიტომ იგი სიპილოსის მთაზე – თავის საგვარეულო სამფლობელოში დამკვიდრდა. როცა ტროას მეფის, ილოსის მოთხოვნით პელოფსი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ეს ადგილი, მან თან ზღაპრული სიმდიდრე გაიყოლა და ეგეოსის ზღვა გადაცურა. გადაწყვეტილი ჰქონდა, თავისთვის (და მასთან ერთად ლტოლვილი დიდძალი ხალხისთვის) ახალი სამკვიდრებელი მოეძებნა, ოღონდ მას შემდეგ, რაც ელისის მეფის, ენომაიოსის ქალიშვილს, ჰიპოდამეას მოიპოვებდა და ცოლად შეირთავდა.

## პელოფსი და ენომაიოსი. მირტილოსი

არავინ უწყის ზუსტად, სამისნომ გააფრთხილა ენომაიოსი, რომ სიძე მოუსწრაფებდა სიცოცხლეს თუ იქნებ თავად შეუყვარდა ჰიპოდამეა, მან ქალიშვილის გათხოვების თავიდან ასაცილებლად მანამდე არნახული ხერხი გამოიგონა: ჰიპოდამეას ყველა ხელისმაძიებელს ეტლებით სრბოლის შეჯიბრში მონაწილეობის მისალებად იწვევდა. ამისათვის გზაც კი გაიყვანა პისადან (მდინარე ალფეოსის მახლობლად, ოლიმპიის მოპირდაპირე მხარეს) პოსეიდონის საკურთხევლამდე, რომელიც კორინთოს ყელზე მდებარეობდა. ენომაიოსის მოთხოვნით, სასიძოს ყურადღების გასაფანტად მის ეტლში ჰიპოდამეა უნდა მდგარიყო. ამასთან, სასიძოს უფლება ეძლეოდა, ნახევარი საათით ადრე დაეწყო შეჯიბრი,



ენომაიოსი კი ამ დროს მსხვერპლად ცხვარს სწირავდა მეომარი ზევსის საკურთხეველზე ოლიმპიაში. ორივე ეტლს ისთმოსის მიმართულებით უნდა ემოძრავა. თუკი სასიძო მეორე იქნებოდა, იგი სიცოცხლეს გამოესალმებოდა; გამარჯვების შემთხვევაში – ჰიპოდამეას წაიყვანდა ცოლად, სიკვდილი კი ენომაიოსის ხვედრი გახდებოდა. ვინაიდან ქარისგან ჩასახული ცხენები, ფსილა და ჰარპინა, რომლებიც არესმა უბოძა ენომაიოსს, საბერძნეთის სხვა ცხენებზე ბევრად უფრო სწრაფნი იყვნენ და შეეძლოთ ჩრდილოეთის ქარი ბორეასიც კი უკან მოეტოვებინათ, აგრეთვე იმის გამო, რომ ეტლი, რომელსაც ოსტატურად მართავდა მირტილოსი, საგანგებოდ შეჯიბრისათვის იყო დამზადებული, ის არც ერთ სრბოლაში არ დამარცხებულა. პაექრობაში დამარცხებული მეტოქე იმავე არესის ნაჩუქარი შუბით განგმირული ეცემოდა. ამ გზით მოიშორა ენომაიოსმა თორმეტი (ზოგის თქმით კი ცამეტი) უფლისწული, რომელთა თავები და ხელ-ფეხი მან სამეფო სასახლის კარიბჭის თავზე ჩამოკიდა, ხოლო დასახიჩრებული გვამები დაუმარხავი დატოვა.

ენომაიოსის მეეტლეს, მირტილოსსაც შეუყვარდა ჰიპოდამეა, მაგრამ შეჯიბრში ჩაბმას ვერ ბედავდა. ამასობაში ღმერთებმა გადაწყვიტეს, ჩარეულიყვნენ და ბოლო მოეღოთ კაცთა კვლისათვის, თორემ ენომაიოსი უკვე იქადნებოდა, ერთ მშვენიერ დღეს თავის ქალათაგან ტაძარს ავაგებო. ამიტომ ელისში ჩამომხდარი პელოფსი კეთილგანწყობილ პოსეიდონს შეევედრა (მას შემდეგ, რაც წინასწარ მსხვერპლი შესწირა ზღვის ნაპირზე), ან მსოფლიოში უსწრაფესი ეტლი ეჩუქნა მისთვის, ან ენომაიოსის ბრინჯაოს შუბის ფრენა შეეჩერებინა. პოსეიდონმა სიხარულით აღუთქვა დახმარება, მალევე გამოუგზავნა ოქროს ეტლი, რომელშიც წყვილი დაუღალავი უკვდავი რაში იყო შებმული, და რომელსაც ძალუძდა ზღვაზე ისე გადაექროლა, რომ ტალღებს არ შეხებოდა.

პელოფსი სიპილოსის მთაზე ავიდა და ტემნოსელ აფროდიტეს მწვანე მირტისაგან ნაკვეთი ქანდაკება უძღვნა, ხოლო შემდეგ ეტლი გამოსცადა. პირდაპირ ეგეოსის ზღვისკენ წაიყვანა. თვა-

ლის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ კუნძულ ლესბოსზე აღმოჩნდა. მისმა მეეტლემ კილოსმა მეტისმეტად სწრაფ რბოლას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. პელოფსმა ღამე იქვე გაათია და სიზმარში კილოსის სული იხილა, რომელიც ბედს დასტიროდა და პატრონს ევედრებოდა, გმირის შესაფერი პატივით დაეკრძალა იგი. გამთენიისას პელოფსმა მიცვალებულის გვამი დაწვა, ფერფლზე ყორღანი აღმართა და იქვე ახლოს კილეელი აპოლონის ტაძარი დააარსა. ამის შემდეგ მან გზა განაგრძო, ეტლს ამჯერად თავად მართავდა.

პისაში ჩასული პელოფსი სასახლის კარიბჭეზე მიჭედებული თავების ხილვამ შეაშფოთა. ამიტომ ენომაიოსის მეეტლეს მირტილოსს შეჰპირდა, რომ თუ თავის პატრონს უღალატებდა, გასამრჯელოს სახით ნახევარ სამეფოსა და ჰიპოდამეასთან საქორწინო ღამის გატარების უფლებას მიიღებდა.

ყველაზე გავრცელებული ვერსიით, პელოფსი თავად მართავდა ეტლს, გვერდით კი ჰიპოდამეა ედგა. იმ დროისათვის ქალს უკვე მისი შეყვარება მოესწრო და გადაწყვეტილი ჰქონდა, არათუ ხელი არ შეეშალა სატრფოსთვის ცხენების მართვაში, არამედ მირტილოსიც დაეჯილდოებინა, თუკი მამამისი რაიმე მიზეზით სასიძოს დაწევას ვერ შეძლებდა. მირტილოსმა ენომაიოსის ეტლში ლითონის ჭილიბი ცვილისაგან დამზადებულით შეცვალა. როცა ეტლებმა ისთმოსის ყელზე ვიწრო ადგილს მიაღწიეს და ღვინის ალმურმოდებულმა ენომაიოსმა პელოფსის განსაგმირად შუბი შემართა, ეტლისა და პოსეიდონის ფრთოსანი ცხენების წყალობით პელოფსმა იოლად გადაუსწრო ენომაიოსს და ისთმოსს პირველმა მიაღწია, რის შედეგად ენომაიოსმა, როგორც ამბობენ, ან სასოწარკვეთილებისგან თვითონვე მოიკლა თავი, ან იგი პელოფსმა განგმირა. სიკვდილის წინ ენომაიოსმა დაწყევლა მირტილოსი და პელოფსის ხელით სიკვდილი უწინასწარმეტყველა. ასეც მოხდა:

ერთხელ პელოფსი, ჰიპოდამეა და მირტილოსი ზღვაზე სასეირნოდ გაემართნენ. მთელი დღის ნამგზავრმა ჰიპოდამეამ განაცხადა, რომ ძლიერ სწყუროდა. მზე უკვე ჩადიოდა და პელოფსმა ბრძანა, უდაბურ კუნძულ ელენესთან მიეყენებინათ ეტლი (კუნძულ ევბეას მახლობლად). შემდეგ იგი თავად გაემართა წყლის მოსაძებნად. როცა წყლით გავსებული მუზარადით დაბრუნდა, ჰიპოდამეა ტირილით მივარდა და შესჩივლა, მირტილოსი ჩემს დაუფლებას ცდილობდაო. პელოფსი გაუწყრა მირტილოსს და სილა გააწნა, ის კი აღშფოთდა: „ეს ხომ სწორედ ის საქორწინო ღამეა, რომლის განმავლობაში, როგორც შემომფიცე, შემეძლება დავტკბე ჰიპოდამეათი. ნუთუ შენს სიტყვას გადახვალ?“ პელოფსს არაფერი უპასუხია, უსიტყვოდ გამოართვა მირტილოსს სადავეები და გზა განაგრძო, ხოლო როცა მოგზაურნი ჰერეტოსის კონცხს მიუახლოვდნენ ევბეას სამხრეთ კიდეზე, პელოფსმა მირტილოსს ხელი ჰკრა და პირდაპირ ზღვაში გადააგდო. ვარდნისას მირტილოსმა პელოფსი და მთელი მისი გვარი დაწყევლა. ჰერმესს, რომლის შვილადაც ითვლებოდა მირტილოსი, მისი გამოსახულება ცაზე მოუთავსებია მეეტლის თანავარსკვლავედის სახით.

პელოფსმა გზა განაგრძო და მიქროდა მანამ, სანამ ოკეანის დასავლეთ ნაკადს მიაღწევდა, სადაც ჰეფესტომ დაღვრილი სისხლისგან განწმინდა. მალე პელოფსმა მთელი მხარე დაიმორჩილა, რომელსაც მანამდე აპია ან პელასგიოტისი ეწოდებოდა და საკუთარი თავის პატივსაცემად პელოპონესოსი დაარქვა, რაც „პელოფსის კუნძულს“ ნიშნავს. სიმამაცის, სიბრძნისა და სიმდიდრის წყალობით მთელ საბერძნეთში შურდათ მისი და ამავე დროს პატივს მიაგებდნენ.

პელოფსმა მეფე ეპეიოსს ოლიმპია წაართვა და თავის სამეფოს შეუერთა. შემდეგ არკადიის მეფე სტიმფალოსი „მეგობრული საუბრისათვის“ მოიწვია და საკუთარი ხელით აკუწა, ნაკუწები კი მიმოაბნია. ამ დანაშაულისთვის საბერძნეთი შიმშილმა მოიცვა. მიუხედავად ამისა, ზევსის პატივსაცემად პელოფსის მიერ დაწესებული ოლიმპიური თამაშები მაშინ უფრო მდიდრულად ჩატარდა, ვიდრე ოდესმე.

მირტილოსის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოსასყიდად პელოფსმა პელოპონესოსზე პირველი ტაძარი აუგო ჰერმესს, რომელიც, როგორც ვთქვით, მირტილოსის მამად ითვლებოდა. იგი ასევე თვით მირტილოსის სულის მომადლიერებას ცდილობდა და ე.წ. კენოტაფოსი (ცარიელი საფლავი) აუგო ოლიმპიის იპოდრომზე, სადაც პატივს მიაგებდა, ვითარცა გმირს.

## ჰერაიები – ქალღმერთ ჰერასადმი მიძღვნილი თამაშები

პელოფსთან ქორწინების მოწყობისთვის ჰერასადმი მადლიერებით აღვსილმა ჰიპოდამეამ თექვსმეტ გათხოვილ ქალს მოუხმო – თითო-თითოს ელისის ყოველი ქალაქიდან – რათა ჰერაიების დაფუძნებაში დახმარებოდნენ. იმ დროიდან მოყოლებული, ოთხ წელიწადში ერთხელ თექვსმეტი გათხოვილი ქალი იმავე ოჯახებიდან სამოსს უქსოვდა ჰერას და აწყობდა თამაშებს, რომელთა დროს სხვადასხვა ასაკის ქალწულები სირბილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თანაც ისე, რომ შეჯიბრის მონაწილეები სტარტზე ასაკის მიხედვით განლაგდებოდნენ ხოლმე – უმცროსები წინ დგებოდნენ. სარბენად მოკლე ტუნიკებით, მუხლებამოშიშვლებულნი გამოდიოდნენ, მარჯვენა მკერდიც შიშველი ჰქონდათ, გაშლილ თმებს კი ქარი უფრიალებდათ. ქლორისმა, ნიობეს ერთადერთმა ცოცხლად გადარჩენილმა ქალიშვილმა, პირველმა გაიმარჯვა სირბილის ამ სახეობაში, რომლის დისტანცია ოლიმპიური წრის ხუთ მეექვსედს შეადგენდა. ჯილდოს სახით გამარჯვებულმა ზეთისხილის გვირგვინი და ჰერასადმი მსხვერპლად შეწირული ძროხის ნაწილი მიიღო. გარდა ამისა, გამარჯვებულს უფლება ჰქონდა, ქალღმერთისათვის საკუთარი სკულპტურული გამოსახულება მიეძღვნა.

## პელოფსის შვილები

პელოფსისა და ჰიპოდამეას შვილებად ასახელებენ: პიტთევსს ტროიძენიდან, ატრევსსა და თიესტესს, ალკაფოევსს, არგონავტ ჰიპალკმოსს, შიკრიკ კოპრევსს, ავაზაკ სკირონს, არგიველ ეპიდავროსს (რომელსაც ზოგჯერ აპოლონის ძედ მიიჩნევენ), პლეისთენესს, დიასს, კიბოსურს, კორინთიოსს, ჰიპასს, კლეონს, არგევსს, ელინოსს, ასტიდამეას (რომელსაც ზოგიერთები ამფიტრიონის დედად მიიჩნევენ), ლისიდიკეს (რომლის ქალიშვილი ჰიპოთოე პოსეიდონმა ექინადიურ კუნძულებზე გაიტაცა და იქ შვა ტაფიოსი), ევრიდიკეს (რომელსაც ზოგიერთები ალკმენეს დედად უხმობენ), ნიკიპეს, ანტიბიეს და, ბოლოს, არქიპეს (ევრისთევსისა და ალკიონეს დედას).

ზოგიერთები ქრისიპოსსაც პელოფსისა და ჰიპოდამეას შვილად ასახელებდნენ, მაგრამ სინამდვილეში იგი უკანონოდ შობილი იყო: პელოფსისაგან შვა ნიმფა ასტიოქემ. ისე მოხდა, რომ თებედან განდევნილი მეფე ლაიოსი (რომლის ტრაგიკულ ისტორიას ჩვენი სერიის მომდევნო წიგნში – „შვიდბჭიანი თებე“ – გაეცნობით) პისაში კარგად მიიღო პელოფსმა, მაგრამ ლაიოსს შეუყვარდა ქრისიპოსი, რომელსაც მეეტლის ხელოვნებას ასწავლიდა. როგორც კი ლაიოსს დაბრუნების ნება დართეს, პირდაპირ ნემეური თამაშებიდან მან თებეში ეტლით ჩაიყვანა ბიჭი, ვითარცა თავისი მესარეცლე. ზოგიერთები თვლიან, რომ ქრისიპოსმა სირცხვილისაგან თავი მოიკლა. სხვანი ამბობენ, რომ ჰიპოდამეა, იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა პელოფსისათვის, მემკვიდრედ გამოეცხადებინა ქრისიპოსი საკუთარი ვაჟიშვილების საზიანოდ, თებეში ჩავიდა, სადაც ცდილობდა, ატრევსისა და თიესტესისთვის ბიჭი ჭაში ჩაგდებით მოეკვლევინებინა. როცა ორივემ უარი განაცხადა თავიანთი მამის სტუმრის მოკვლაზე, ჰიპოდამეა უკუნი ღამით ლაიოსის სასახლეში შეიპარა. მძინარეს რომ წაასწრო, კედლიდან მახვილი ჩამოხსნა და მის გვერდით მწოლარე ბიჭს ჩასცა. მკვლელობაში ეჭვი მაშინვე ლაიოსზე მიიტანეს, მაგრამ ქრისიპოსს სიკვდილის წინ გაქცეული ჰიპოდამეას დანახვა და მისი სახელის წარმოთქმა მოესწრო. ჰიპოდამეა არგოლისში გაიქცა და იქ თავი მოიკლა. მოგვიანებით კი, სამისნოს მითითებით, მისი ნეშტი ოლიმპიაში დააბრუნეს, სადაც წელიწადში ერთხელ ქალები მის სალოცავში შედიოდნენ მსხვერპლის შესაწირად. იპოდრომის ერთ-ერთ მოსახვევში თურმე იდგა პელოფსისთვის ჯილდოდ განკუთვნილი

ჰიპოდამეას ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ორივე ხელში ლენტი ეჭირა.

## ატრევსი და თიესტესი

ქრისიპოსის სიკვდილის შემდეგ (რომელშიც ატრევსს, შესაძლოა, უფრო მეტად მიუძღოდა ბრალი, ვიდრე პელოფსს წარმოედგინა) ატრევსი ელისიდან გაიქცა და მიკენს შეაფარა თავი. მას ბედმა გაუღიმა. მიკენის მეფემ, ევრისთევსმა, რომელიც იმხანად ჰერაკლეს შვილების წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას, თავის სანაცვლოდ დროებით მმართველად დანიშნა იგი. როცა მოვიდა უწყება ევრისთევსის დაღუპვის შესახებ, მიკენის დიდკაცობამ ატრევსი მეფედ აირჩია, რადგან მასში იმ მეომარს ხედავდა, რომელიც ჰერაკლიდებისგან (ჰერაკლეს ძეებისგან) მათ დაცვას შეძლებდა. თანაც ატრევსს უკვე მოესწრო უბრალო ხალხის სიმპათიის დამსახურება. ასე გაითქვა სახელი პელოფსის სამეფო სახლმა უფრო მეტად, ვიდრე პერსევსისამ.

სხვათა ავტორიტეტული განცხადებით კი, ევრისთევსის მამამ, სთენელოსმა, ამფიტრიონი რომ განდევნა და მიკენის ტახტი ჩაიგდო ხელში, ატრევსი და თიესტესი თავისთან მოიხმო და მეზობელ მიდეაში გაამეფა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სთენელოსი და ევრისთევსი უკვე ცოცხალნი აღარ იყვნენ, სამისნომ მიკენელებს ურჩია, მეფედ პელოპიდების გვარის წარმომადგენელი დაესვათ. მაშინ ქალაქელებმა ატრევსი და თიესტესი მიდეადან გამოიძახეს და ბჭობა გამართეს იმის თაობაზე, თუ რომელ მათგანს (მათ კი ბედად ეწერათ, მუდამ ემტროთ ერთმანეთისთვის) უნდა რგებოდა წილად მიკენის ტახტი. ერთხელ ატრევსმა დაიფიცა, რომ თავის საუკეთესო ფარას არტემისს შესწირავდა მსხვერპლად. ჰერმესმა, რომელიც ოცნებობდა, შური ეძია პელოპიდებზე მირტილოსის სიკვდილისათვის, თავის ყველაზე ძველ მეგობარს, თხისფეხება პანს მიმართა და, უკანასკნელის სურვილით, აკარნანიულ ფარაში, რომელიც პელოფსმა თავის შვილებს, ატრევსსა და თიესტესს დაუტოვა, ოქროსსაწმისიანი ბატკანი გაჩნდა. პანმა წინასწარ განჭვრიტა, რომ ატრევსი თავის უფლებებს განაცხადებდა ბატკანზე და არტემისისთვის პატივის მიუგებლობის გამო ძმათამკვლელ ომში აღმოჩნდებოდა ჩათრეული. თუმცა იმასაც ამბობენ, თითქოს ბატკანი თავად არტემისს გამოეგზავნოს ატრევსის გამოსაცდელად. ატრევსმა ფიცი შეასრულა, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც – ბატკნის ხორცი მსხვერპლად შესწირა, ხოლო საწმისისაგან ფიტული გააკეთა და ზანდუკში შეინახა. ბატკანი სულ მთლად ცოცხალივით გამოიყურებოდა. ატრევსი ისე გაუამაყებია ასეთი საუნჯის პატრონობას, რომ თავი ვერ შეიკავა და ბაზრის მოედანზე მოჰყვა კვეხნას. შურიანი თიესტესი, რომელსაც ატრევსის ახალგაზრდა ცოლი აეროპე ფარულად ეტრფოდა, მის საყვარლობას დაყაბულდა იმ პირობით, რომ ქალი ბატკანს მისცემდა (რომელიც, მისი თქმით, ატრევსის მეცხვარეებს მოეპარათ ფარის მისი კუთვნილი ნაწილიდან). ეს იყო ოინი არტემისისა, რომელსაც ბატკანი დაწყევლილი ჰყავდა.

სახალხო კრებაზე კამათის დროს ატრევსმა მიკენის ტახტზე პრეტენზიები პირმშოობის უფლებითა და ბატკნის ფლობით ახსნა. თიესტესმა ჰკითხა: „შეგიძლია თუ არა, სახალხოდ განაცხადო, რომ მისი მფლობელი მეფე უნდა იყოს?“ დიახო, უპასუხია ატრევსს. „მეც ასე ვფიქრობ“, – ბოროტი ღიმილით წარმოუთქვამს თიესტესს. ამ დროს მაცნე მიკენის მცხოვრებთ ახალი მეფის სახელის საუწყებლად იწვევდა, ტაძრები ოქროთი ირთვებოდა, მათი კარები ბოლომდე ილებოდა, ქალაქის ყველა საკურთხეველზე ცეცხლი ენთო და ყოველი მხრიდან მოისმოდა „ოქროსსაწმისიანი ბატკნის“ სადიდებელი სიმღერები. უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, თიესტესი წამოდგა, ატრევსს პატივმოყვარე ბაქია უწოდა და ქალაქის უხუცესები თავის სახლში წაიყვანა, სადაც წარუდგინა ბატკანი, დაუმტკიცა თავისი უფლება მასზე და მიკენის კანონიერ მეფედ იქნა გამოცხადებული.

მაგრამ ზევსი კეთილად იყო ატრევსის მიმართ განწყობილი და ჰერმესი გამოუგზავნა შემდეგი სიტყვებით: „მოუხმე თიესტესს და ჰკითხე, იტყვის თუ არა იგი უარს ტახტზე შენს სასარგებლოდ, თუკი მზე უკუღმა დაიწყებს ცაში სრბოლას?“ ატრევსი ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს და თიესტესმა თანხმობა განაცხადა, უარი

ეთქვა ტახტზე, თუკი ასეთი რამ მოხდებოდა. ამის შემდეგ ზევსმა ერისის დახმარებით შეცვალა ბუნების აქამდე ურყევი კანონი. ჰელიოსმა, რომელსაც უკვე გაევლო გზის ნახევარი ცაში, თავისი ეტლი შეატრიალა და ცხენები დილის ცისკრის მიმართულებით გააჭენა. შვიდმა პლეადამ და სხვა ვარსკვლავებმა თანაგრძნობის ნიშნად სავალი გზები შეცვალეს და იმ საღამოს მზე პირველად და უკანასკნელად ჩავიდა აღმოსავლეთით. ასე გამოაშკარავდა თიესტესის ტყუილი და სიხარბე; ატრევსი მიკენის ტახტზე ავიდა და ძმა ქალაქიდან გააძევა.

როცა მოგვიანებით ატრევსმა შეიტყო, რომ თიესტესი აეროპესთან მრუშობდა, ძლივს შეიკავა რისხვა. თუმცა, ამის მიუხედავად, გარკვეული ხნის განმავლობაში გარეგნულად პატიების გამოხატვას ახერხებდა.

რაც შეეხება აეროპეს, რომელსაც ზოგიერთები ევროპესაც უწოდებენ, იგი კრეტელი იყო, მეფე კატრევსის ასული. ერთხელ კატრევსმა სახლში საყვარელთან ერთად მყოფს შეუსწრო და მზად იყო, ზღვაში გადაეგდო ქალი, მაგრამ დაყაბულდა ნავპლიოსის წინადადებას და უკანასკნელს ჩალის ფასად მონად მიჰყიდა მეორე ქალიშვილთან, კლიმენესთან ერთად, რომელიც, მისი აზრით, მის მოკვლას ლამობდა და საამისოდ ხრიკებს უწყობდა. თანაც ორივეს აუკრძალა კრეტაზე დაბრუნება. ნავპლიოსმა შემდგომში კლიმენე ცოლად შეირთო და მისგან ეყოლა ეაქსი და გამომგონებელი პალამედესი. ატრევსის პირველი ცოლი კლეოლა გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც შვა ავადმყოფი პლეისთენესი, – ეს იყო არტემისის შურისგება ატრევსის მიმართ სიტყვის გატეხისათვის. ამის შემდეგ ატრევსმა ცოლად შეირთო აეროპე, რომელმაც უშვა აგამემნონი, მენელაოსი და ანაქსიბიოსი. ეს სწორედ ის აგამემნონია, რომელიც შემდგომ ტროაში მეომარ ბერძენთა ლაშქარს მეთაურობდა, მისი ძმა მენელაოსი კი ამ ომში ერთ-ერთ საუკეთესო მებრძოლად ითვლებოდა. პლეისთენესი დაიღუპა: მკვლელებმა, რომლებიც ატრევსმა თავის სეხნიას, თიესტესისა და აეროპეს უკანონოდ შობილ შვილს მიუგზავნა, შეცდომით მოკლეს იგი.



მაშინ ატრევსმა შიკრიკი გაგზავნა, რათა კვლავ შემოეტყუებინა თიესტესი მიკენში და შეჰპირდა, რომ აპატიებდა და ნახევარ სამეფოს მისცემდა. მაგრამ როგორც კი თიესტესმა მოწვევა მიიღო, ატრევსმა სიკვდილით დასაჯა აგლაოსი, ორქომენეოსი და კალილეონი – თიესტესის სამი შვილი – ზევსის საკურთხეველზე, სადაც ისინი ხსნას ეძიებდნენ. ამის შემდეგ მან იპოვა და დახოცა თიესტესის ტყუპი ვაჟები პლეისთენეს მეორე და ტანტალოს მეორე. მან ისინი ნაჭრებად აკუწა, ქვაბში მოხარშა და ამ საშინელი ტრაპეზით თიესტესს გაუმასპინძლდა მისი დაბრუნების აღსანიშნავად. როცა თიესტესი კარგად დანაყრდა, ატრევსის ბრძანებით, მოიტანეს სხვა თეფში, რომელზედაც ელაგა თიესტესის შვილების გასისხლიანებული თავები და ხელ-ფეხი, რათა უკანასკნელი მიმხვდარიყო, რა კერძი მიირთვა წეღან. თიესტესი რწყევით დავარდა და ატრევსის მთელი გვარი დაწყევლა.

კვლავ განდევნილი თიესტესი თავდაპირველად მეფე თესპროტესთან წავიდა სიკიონში, სადაც თიესტესის ქურუმი ქალიშვილი პელოპია იმყოფებოდა. შურისგების ჟინით ატანილმა, მან დელფოს სამისნოს მიმართა. უკანასკნელმა უპასუხა, რომ შურისძიებისათვის აუცილებელი იყო, მას თავისი ქალიშვილისაგან გაეჩინა შვილი. თიესტესმა პელოპია ათენას პატივსაცემად გამართულ ღამეულ მსხვერპლშეწირვაზე იპოვა და, ვინაიდან წესისგების შებილწვა არ სურდა, მახლობელ ჭალაში დაიმალა. ამ დროს პელოპიას წმინდა ცეკვის შესრულებისას თურმე ფეხი დაუცდა მსხვერპლად შეწირული შავი ცხვრის ყელიდან გამოდენილ სისხლზე და პეპლოსი დაესვარა. იგი დაუყოვნებლივ გაიქცა სატაძრო რუზე ტანისამოსიდან სისხლის ჩამოსარეცხად. ამ დროს თიესტესი ჭალიდან გამოვარდა და დაეუფლა. პელოპიამ ვერ იცნო იგი, ვინაიდან მოძალადეს სახე ნიღბით ჰქონდა დაფარული, სამაგიეროდ შეძლო, ჩუმად ამოეღო მისი მახვილი, რომელიც შემდეგ ტაძარში წაიღო და ათენას ქანდაკების ქვეშ დამალა. როცა თიესტესმა აღმოაჩინა, რომ ქარქაში ცარიელი ჰქონდა, შეშინებული თავის მამაპაპათა სამშობლოში, ლიდიაში გაიქცა.

ამასობაში, ჩადენილი მკრეხელობით შეშინებულ ატრევსს დელფოს სამისნოსთვის მიუმართავს და ასეთი პასუხი მიუღია: „გამოიხმე თიესტესი სიკიონიდან!“ მაგრამ სიკიონში ჩასვლის დროისათვის თიესტესი იქ აღარ დახვედრია. ატრევსმა, რომელსაც უკვე სიკვდილით დაესაჯა აეროპე, პელოპია მეფე თესპროტესის ქალიშვილად მიიჩნია და მასზე შეყვარებულმა შესთავაზა, მისი მესამე ცოლი გამხდარიყო. თესპროტესმა, რომელსაც დიახაც სურდა, ატრევსივით ძლევამოსილ მეფეს შეკვროდა და, ამასთანავე, პელოპიასთვის კეთილი სამსახური გაეწია, არ გაუმხილა ატრევსს, რომ პელოპია მისი ქალიშვილი არ იყო და, ამდენად, ქორწილი დაუყოვნებლივ გაიმართა. განსაზღვრულ დროს პელოპიას თიესტესისგან ჩასახული ვაჟი ეყოლა. მან იგი მთაში წაიყვანა, სადაც მწყემსებს გადაურჩენიათ: თხის რძით გაუზრდიათ ბავშვი. აქედან შეერქვა მას თურმე სახელიც – ეგისთოსი – რაც „თხის ძალას“ ნიშნავს. ატრევსი დარწმუნებული იყო, რომ თიესტესი სიკიონიდან მისი შიშით გაიქცა და რომ დაბადებული ბავშვი მისი ღვიძლი შვილი იყო, ხოლო პელოპია, მისი აზრით, ასე იმიტომ მოიქცა, რომ მას დროებით გონება დაებინდა, რაც ხანდახან ემართებათ ხოლმე ქალებს მშობიარობის შემდეგ. ამიტომ მან ეგისთოსი მწყემსებს გამოართვა და საკუთარ მემკვიდრესავით დაიწყო ბიჭის აღზრდა.

მიკენი ზედიზედ რამდენჯერმე აღმოჩნდა შიმშილის ტყვეობაში. ატრევსმა აგამემნონი და მენელაოსი გაგზავნა დელფოში თიესტესის ბედის შესატყობად. თიესტესი, რომელიც ამ დროს სამისნოდან მოდიოდა, შემთხვევით გადაეყარა მათ გზაზე და ძმებმა ძალით წაიყვანეს მიკენში, სადაც ატრევსმა საპყრობილეში ჩააგდო, შემდეგ კი შვიდი წლის ეგისთოსს უბრძანა, ძილში მოეკლა იგი.

თიესტესს მოულოდნელად გაეღვიძა და მახვილშემართული ეგისთოსი დაინახა. მან თურმე შეძლო, დარტყმა აერიდებინა და, ამდენად, სიკვდილს გადარჩა. იგი მკვირცხლად წამოხტა, მკვეთრი დარტყმით განაიარაღა ბიჭი და მახვილი ხელთ ჩაიგდო. რაზომ დიდი იყო თიესტესის გაკვირვება, როცა აღმოაჩინა, რომ ეს მისი



საკუთარი მახვილი იყო, რომელიც რამდენიმე წლით ადრე სიკიონში დაკარგა! იგი მოეხვია ეგისთოსს და წამოიძახა: „ჩქარა მითხარი, როგორ აღმოჩნდა ეს მახვილი შენთან?“ ეგისთოსს ენის ბორძიკით უპასუხია: „დედაჩემმა პელოპიამ მომცა“. მე დაგინდობო, ბიჭუნა, უთქვამს თიესტესს, თუკი ჩემს სამ ბრძანებას შეასრულებ. „მზად ვარ, გემსახურო ყველაფერში“, – ცრემლნარევი ხმით წარმოუთქვამს ეგისთოსს, რომელსაც აღარ ეგონა, ცოცხალი თუ გადარჩებოდა. პირველ რიგში, აქ დედაშენი მომგვარეო, უბრძანებია თიესტესს.

როცა ეგისთოსმა პელოპია საპყრობილეში მოიყვანა, ქალს თიესტესი უცვნია და მის მკერდზე ცხარედ ატირებულა. „საიდან გაქვს ეს მახვილი, ჩემო ასულო?“ – უკითხავს თიესტესს. „მე იგი იმ უცნობს ამოვაცალე ქარქაშიდან, რომელიც ერთხელ ღამით დამეუფლა სიკიონში“, – იყო პასუხი. ეს ჩემი მახვილიაო, გამოუტყდა მაშინ თიესტესი. საშინელებით შეძრულმა პელოპიამ ხელი სტაცა ავბედით მახვილს და მკერდში ჩაიცა. იქვე გაოგნებული იდგა პატარა ეგისთოსი – იგი ვერაფერს მიმხვდარიყო. „ახლა კი ატრევსს წაუღე ეს მახვილი, – კვლავ უბრძანა თიესტესმა, – და უთხარი, რომ დავალება შეასრულე. მერე კი დაბრუნდი!“ ეგისთოსმა გასისხლიანებული მახვილი ატრევსს მიუტანა. ის კი, გახარებული, ზღვის ნაპირზე გავიდა და დარწმუნებულმა, რომ საბოლოოდ მოიშორა თავიდან თიესტესი, ზევსს სამადლობელი მსხვერპლი შესწირა.

საპყრობილეში დაბრუნებულ ეგისთოსს თიესტესმა გაუმხილა, რომ მისი მამა იყო და ამის შემდეგ თავისი მესამე ბრძანება წარმოთქვა: „შვილო ჩემო, ეგისთოს, მოკალი ატრევსი, ოღონდ ამჯერად ნუ წახდები!“ ეგისთოსმა მამის ბრძანება შეასრულა და თიესტესი კვლავ გამეფდა მიკენში.

თიესტესის ფარაში კვლავ გაჩნდა ოქროსბეწვიანი ბატკანი, რომელიც დროთა განმავლობაში ვერძად იქცა. ამიერიდან ამგვარი ღვთაებრივი გზით მტკიცდებოდა პელოპიდების გვარის ყოველი ახალი მეფის უფლება ოქროს კვერთხის ფლობაზე, ხოლო ოქროსბეწვიან ვერძებს აძოვებდნენ საძოვარზე, რომელიც მიუდგომელი

კედლებით იყო შემოზღუდული. თუმცა ზოგნი იმასაც ამბობდნენ,
თითქოს სამეფო ძალაუფლების სიმბოლო ცოცხალი არსება კი არ
იყო, არამედ ვერცხლის თასი, რომლის ფსკერი ბატკნის ოქროს
გამოსახულებით იყო მოვარაყებული. სხვანი ამტკიცებდნენ, რომ
ეგისთოსს არ შეეძლო ატრევსის მოკვლა, ვინაიდან ის მაშინ ჩვილი
იყო, და რომ სწორედ აგამემნონმა წაართვა ოქროს კვერთხი თავის
ბიძას, თიესტესს და მიკენიდან გააძევა.

## აგამემნონი და კლიტემნესტრა

ზოგიერთთა აზრით, აგამემნონი და მენელაოსი თიესტესის დელ-
ფოში დატყვევების მომენტისთვის უკვე დიდები იყვნენ; სხვანი კი
ამტკიცებდნენ, რომ როცა ეგისთოსმა ატრევსი მოკლა, ისინი ჯერ
კიდევ ჩვილობის ასაკს არ გასცილებოდნენ და რომ მათი გადარჩე-
ნა ძიძამ მოახერხა. მან თურმე ერთი ერთ ხელში აიყვანა, მეორე –
მეორეში და სიკიონის ოცდამეოთხე მეფესთან, სიკიონთან გაიქცა,
რომლის თხოვნითაც ძმები აღსაზრდელად ეტოლიელ ოინევსს გა-
დასცეს. ამასთანავე, ყველა ერთსულოვანია იმ საკითხში, რომ
ოინევსთან გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ სპარტის მეფე
ტინდარეოსმა მათ ტახტი დაუბრუნა. მან მიკენის წინააღმდეგ
გაილაშქრა და ფიცი დაადებინა თიესტესს, რომელიც ხსნას ეძი-
ებდა ჰერას საკურთხეველთან – რომ კვერთხს აგამემნონს გა-
დასცემდა როგორც ატრევსის მემკვიდრეს, თავად კი ქალაქს და-
ტოვებდა და უკან აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ასეც მოხდა. თიეს-
ტესი კითერაში გადაიხვეწა, ხოლო ეგისთოსი, რომელსაც აგა-
მემნონის მხრიდან შურისგებისა ეშინოდა, მეფე კილარაესთან
გაიქცა.

გამეფებულმა აგამემნონმა თავდაპირველად პისას მეფის,
ტანტალოსის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომლის მამა აგამემნო-
ნის ხეიბარი ბიძა ბროტევსი იყო. მან ორთაბრძოლაში მოკლა
ტანტალოსი და ძალით შეირთო ცოლად მოკლულის მეუღლე
კლიტემნესტრა, რომელიც ლედამ სპარტის მეფე ტინდარეოსის-
გან შვა. მაშინ კლიტემნესტრას ძმებმა, დიოსკურებმა მიკენზე
გაილაშქრეს, მაგრამ ამ დროისათვის აგამემნონი უკვე თავის



კეთილისმყოფელთან, ტინდარეოსთან იყო, რომელმაც აპატია
და ნება დართო, კლიტემნესტრა თავისთვის დაეტოვებინა. დი-
ოსკურების სიკვდილის შემდეგ მენელაოსმა ცოლად შეირთო
მათი და – ელენე, ხოლო ტინდარეოსმა მას სამეფო ტახტი და-
უთმო.

კლიტემნესტრამ აგამემნონს გაუჩინა ერთი ვაჟი, სახელად
ორესტე, და სამი ქალიშვილი: ელექტრა (ან ლაოდიკე), იფიგენია
(ან იფიანასა) და ქრისოთემისი.

*

როცა ტროას მეფის, პრიამოსის ვაჟმა, პარისმა მოიტაცა ელენე და
ამ საქციელით შეურაცხყო მენელაოსი და სრულიად საბერძნეთი,
ეს გახდა მიზეზი ტროაზე საერთობერძნული ლაშქრობის მოწყო-
ბისა, რომლის ორგანიზება და მხედართმთავრობა სწორედ აგამემ-
ნონს, მიკენის მაშინდელ მეფეს ხვდა წილად.

# 4 ეაკიდები

ტროას ომის ყველაზე სახელგანთქმული ბერძენი გმირი – აქი-
ლევსი – ეაკოსის შთამომავალი იყო. ეს ის ეაკოსია, რომელიც
ტროას კედლების აგებაში მონაწილეობდა პოსეიდონთან და
აპოლონთან ერთად. მის აგებულ კედელს შემდგომში დანგრევა
ეწერა, ხოლო შთამომავალს – აქილევსს – გადამწყვეტი როლი
უნდა ეთამაშა ტროელთა დამარცხებაში. ამ თავში ეაკოსზე და მის
შთამომავლებზე მოგითხრობთ.

## ეგინა. ეაკოსი – ენონას მეფე. ჰერას შურისგება

ჩვენი სერიის წინა წიგნებიდან თქვენ უკვე გსმენიათ ზევსის სასიყ-
ვარულო თავგადასავლებისა და მისი მეუღლის, ჰერას ეჭვიანობის
შესახებ. ამ თემას ეხმიანება ეაკიდების გვარის გაჩენასთან დაკავ-
შირებული მითი ზევსის ეგინასადმი ტრფობის თაობაზე.

მდინარის ღმერთ ასოპოსს მეტოპასთან ორი ვაჟი და თორმეტი
ქალიშვილი ეყოლა. მისი რამდენიმე ქალიშვილი სხვადასხვა დროს

მოუტაციათ თურმე ზევსს, პოსეიდონსა და აპოლონს, მაგრამ როცა უმცროსი ქალიშვილი ეგინა დაიკარგა, ასოპოსს მის საძებრად გაუწევია. კორინთოში გაუგია, რომ ამ შემთხვევაშიც გამტაცებელი ზევსი იყო. შურისგებას მოწყურებულ ასოპოსს იგი ტყეში უპოვია იმ დროს, როცა უკანასკნელი ეგინას ეხვეოდა. შეუიარაღებელი ზევსი სამარცხვინოდ მიმალულა დაბურულ ტყეში, ქვად გარდასახულა და ასეთ მდგომარეობაში „იდო“ თურმე მანამ, სანამ ასოპოსმა არ ჩაუარა. მხოლოდ ოლიმპოსზე დაბრუნების შემდეგ, როცა თავი უსაფრთხოდ იგრძნო, ზევსს ელვის ისრები დაუშენია ასოპოსისთვის. მას აქეთაა, რომ მდინარის ღმერთი ასოპოსი ნელა მოედინება, ხოლო მისი ფსკერიდან, როგორც ამბობენ, ხშირად ამოჰქონდათ ხოლმე ნახშირის ნატეხები.

მამას რომ გაუსწორდა, ზევსს ეგინა მალულად გადაუყვანია კუნძულ ენონაზე და იქ არწივად თუ ცეცხლად ქცეულს სარეცელი გაუზიარებია მასთან. გარკვეული ხნის შემდეგ ჰერას გაუგია, რომ ეგინას ზევსისაგან ვაჟი ჰყავდა, სახელად ეაკოსი. განრისხებულ ქალღმერთს გადაუწყვეტია იმ კუნძულის, ენონას, ყველა მცხოვრები დაელუპა, რომელზედაც ეაკოსი მეფობდა. ერთ-ერთ წყაროში მას გველი შეუშვია, რომელსაც წყალი წაუბილწავს – ათასობით კვერცხი დაუდვია. სულ მცირე ხანში ყველა მინდორი, წყარო და მდინარე გველებით გავსებულა. მალისწამრთმევმა სიმხურვალემ და უკუნმა მოიცვა კუნძული, რომლისთვისაც ეაკოსს ახალი სახელი – ეგინა უწოდებია, ხოლო დამღუპველი სამხრეთის ქარი ოთხი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ ქროდა თურმე კუნძულის თავზე. განადგურდა ყანები და საძოვრები და დაისადგურა შიმშილმა. მაგრამ ყველაზე აუტანელი კუნძულის მცხოვრებთათვის წყურვილი იყო და როცა ღვინო გაუთავდათ, უახლოესი წყაროებისკენ გაუწევიათ ლასლასით და მოწამლული წყლის დალევის შემდეგ იქ უპოვიათ აღსასრული.

ამაოდ აღავლენდნენ ისინი ლოცვა-ვედრებას ზევსისადმი: დაუძლურებული მავედრებლებიცა და სამსხვერპლო ცხოველებიც უსულოდ ეცემოდნენ მისი საკურთხევლის წინ მანამ, სანამ თითქმის ყველა ცოცხალი არსება არ დაილუპა.



## მირმიდონელები

ერთხელ ეაკოსის ვედრების პასუხად გაიელვა და ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა. ამ ნიშანმა სასოებით აღავსო მეფე. გულმოცემულმა ეაკოსმა ზევსისადმი აღავლინა თხოვნა, ხალხით გაევსო გაუდაბურებული მიწა და იმდენი ქვეშევრდომი მიეცა მისთვის, რამდენი ჭიანჭველაც მიცოცავდა ახლომახლო მდგომი მუხის ხეზე. ეს ხე, რომელიც ბერძენთა ერთ-ერთი სალოცავის, დოდონეს რკოდან ყოფილა აღმოცენებული, ზევსის წმინდა მუხად ითვლებოდა. ეაკოსის ლოცვისგან მას ზანზარი დაუწყია, მისი ტოტები კი აშრიალებულა მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ოდნავი ნიავიც კი არ იძვროდა. შეშინდა ეაკოსი, მაგრამ კი არ გაიქცა, არამედ მუხის რტოსა და მის ქვეშ მიწის კოცნა დაიწყო. იმავე ღამით კი დაესიზმრა ჭიანჭველების წვიმა: პაწაწინა ცხოველები წმინდა მუხიდან ეცემოდნენ მიწაზე. როგორც კი ჭიანჭველები მიწას შეეხებოდნენ, მაშინვე ადამიანებად იქცეოდნენ. გამოღვიძებულ ეაკოსს სურდა, დროზე მოეშორებინა თავიდან ეს აკვიატებული ხილვა, მაგრამ მისმა ვაჟმა, ტელამონმა სთხოვა, სახლიდან გამოსულიყო, რათა შეეხედა ხალხისთვის, რომელიც მათ სამყოფელს უახლოვდებოდა. და როცა ეაკოსი გამოვიდა, მათში ის ადამიანები ამოიცნო, სიზმრად რომ ენახა. გველთა შემოსევა დასრულდა. ძლიერმა წვიმამ დაწმინდა ცა და მიწა.

ზევსისადმი მადლის შეწირვის შემდეგ ეაკოსმა დაცარიელებული ქალაქი და მიწები ახალმოსულებს გაუნაწილა და მათ მირმიდონები, ანუ ჭიანჭველები უწოდა. ამ ხალხს სახელი გაუთქვამს თავისი ჭიანჭველური მომჭირნეობით, მოთმინებითა და სიბეჯითით. მოგვიანებით ეს მირმიდონები ან მირმიდონელები დევნილობაში გაჰყოლიან ეაკოსის ვაჟს, პელევსს. შემდგომ კი მისი შვილის, აქილევსისა და უკანასკნელის მეგობრის, პატროკლეს მხარდამხარ იბრძოდნენ ტროაში.

## ეაკოსი – ზევსის ქურუმი

ეაკოსს, რომელმაც მეგარელი ენდეისი შეირთო ცოლად, თავისი სახიერების გამო საყოველთაო სიყვარული დაუმსახურებია და

ისეთი პატივით ყოფილა შემკული, რომ მისი ხილვა ყველას უზომო სიხარულს ჰგვრიდა. სპარტისა და ათენის უკეთილშობილესი გმირები ამტკიცებდნენ, რომ მის მხარეზე იბრძოდნენ, თუმცა სინამდვილეში მან ეგინა ეგეოსის ზღვის ყველაზე მიუდგომელ კუნძულად აქცია, როცა ყაჩაღებისაგან უსაფრთხოების მიზნით გარს წყალქვეშა კლდეები და ძლიერ სახიფათო რიფები შემოავლო.

როცა მთელი საბერძნეთი შიმშილით იყო მოცული, რაც პელოფსის მიერ არკადიის მეფის, სტიმფალოსის მოკვლას გამოეწვია (ან, როგორც ზოგიერთები თვლიან, იმის გამო, რომ ათენელებმა ანდროგეოსი მოკლეს), დელფოს სამისნომ ურჩია ბერძნებს: „სთხოვეთ ეაკოსს, ლოცვა აღავლინოს თქვენს დასახსნელად!“ ამის შემდეგ ყოველ ქალაქს თავისი წარმომადგენელი გაუგზავნია მასთან. ეაკოსი, ზევსის ქურუმის ტანისამოსში გამოწყობილი, თავისი კუნძულის უმაღლეს მწვერვალზე, პანელენიოსზე ასულა, იქ მსხვერპლი შეუწირავს ღმერთებისათვის და გვალვის დასრულება უთხოვია. თხოვნის საპასუხოდ ძლიერ დაიგრგვინა, ცაზე პირქუშმა ღრუბლებმა შეიკრეს პირი და ძლიერმა წვიმამ დაარწყულა საბერძნეთის მიწა. მერე ეაკოსს ზევსის სამისნო აუგია პანელენიოსზე და მას შემდეგ ყოველთვის, როცა ღრუბლებში გაეხვეოდა ხოლმე მწვერვალი, ხალხი ამას წვიმის მაუწყებლად მიიჩნევდა.

## ეაკოსი ტროას კედლებს აგებს

ტროას კედლების ასაშენებლად აპოლონმა და პოსეიდონმა თან წაიყვანეს ეაკოსი, ვინაიდან იცოდნენ – ამ საქმეში მოკვდავს რომ არ მიეღო მონაწილეობა, ქალაქი აუღებელი გახდებოდა, ხოლო მისი მცხოვრებნი შეძლებდნენ, ღმერთებს არ დამორჩილებოდნენ. ვერ მოასწრეს მათ სამუშაოს დასრულება, რომ სამ რუხთვალება გველს ქალაქის კედელზე აცოცება უცდია. ორმა მათგანმა კედლის ის ნაწილი აირჩია, რომელიც ღმერთებს აეგოთ, მაგრამ ზღართანი მოადინეს და იქვე აღმოხდათ სული. მესამე გველი კი თურმე ეაკოსის მიერ აგებულ კედელს ეძგერა და გაანგრია. ამის შემყურე აპოლონს უწინასწარმეტყველია, რომ ტროა არაერთხელ დაეცემოდა



და რომ მის დამპყრობთა შორის ეაკოსის შთამომავლები იქნებოდნენ პირველი და მეოთხე თაობებიდან. ეს მისნობა ტელამონისა და აიაქსის სახით ასრულდა.

*

ზევსს სურდა, თავისი სამი შვილი – ეაკოსი, მინოსი და რადამანთისი – სიბერის ტვირთისაგან გაეთავისუფლებინა, მაგრამ ამ განზრახვას ბედის ქალღმერთები შეეწინააღმდეგნენ. ზევსიც მოწყალედ დაეთანხმა მათ აკრძალვას და ამით ბედისწერისადმი მორჩილების კარგი მაგალითი მისცა ოლიმპიელებს.

სიკვდილის შემდეგ ეაკოსი ჰადესის ერთ-ერთი სამ მსაჯულთაგანი გამხდარა. აქ მას კანონები დაუდგენია აჩრდილთათვის. გარდა ამისა, ეაკოსს თურმე ღმერთთა დავების გადასაწყვეტადაც კი იწვევდნენ ხოლმე. ზოგიერთები ამტკიცებენ, თითქოს იგი ჰადესის გასაღებს ინახავდა, გარდაცვლილებს ხარკს ახდევინებდა და ამოწმებდა, ჰერმესის მიერ მიწისქვეშეთში გაგზავნილ სულთა რაოდენობა ემთხვეოდა თუ არა მოირა ატროპოსის მიერ მითითებულს.

## ეაკოსის შთამომავლობა

ორი ვაჟი – ტელამონი და პელევსი – ეაკოსს ენდეისისგან ჰყავდა, ხოლო უმცროსი – ფოკისი – ნერეიდა ფსამატეს შვილი იყო. ისინი ერთად ცხოვრობდნენ კუნძულ ეგინაზე.

ტელამონსა და პელევსს, რომელთაც ფოკისი ათლეტურ შეჯიბრებებში სჯაბნიდა, შურის გამო მოუკლავთ თავიანთი უმცროსი ძმა და როცა ეაკოსმა მისი ტყეში გადამალული სხეული იპოვა, ძმებმა თავს გაქცევით უშველეს.

## ტელამონი

ტელამონი დიდხანს ცდილობდა თურმე, თავი ემართლებინა და ამ მიზნით მამას კუნძულ სალამინიდან უთვლიდა თავის გასამართლებელ მოსაზრებებს, მაგრამ ეაკოსმა შვილს არ დაუჯერა და ეგინაზე დაბრუნება სამუდამოდ აუკრძალა. ტელამონს ცოლად

შეურთავს მეფე კიხრევსის ქალიშვილი გლავკე და მემკვიდრეობით მიუღია სამეფო ტახტი. გლავკეს სიკვდილის შემდეგ კი ცოლად შეურთავს პელოფსის შვილიშვილი პერიბოია, რომელმაც დიდი აიაქსი – ტროას ომის ერთ-ერთი მთავარი გმირი უშვა. შემდგომში ტელამონის ცოლი ლაომედონის ასული ჰესიონე გამხდარა, რომელმაც არანაკლებ ცნობილი ტევკროსი უშვა. ეს სწორედ ის ჰესიონეა, რომლის მოტაცება ბერძნებზე ტროელთა განაწყენების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. შეგახსენებთ, რომ ტროელები ელენეს გატაცების გამო თავს დამნაშავედ არ თვლიდნენ, რადგან უფრო ადრე ბერძნებმა ტროელი ქალი ჰესიონე გაიტაცეს.

დიდ აიაქსსა და ტევკროსს წიგნის მომდევნო თავებში კიდევ ხშირად შევხვდებით.

## პელევსი

მეორე ძმას, პელევსს თავშესაფარი უპოვია ფთიის მეფის, აქტორის კარზე, რომლის შვილმა, ევრიტიონმა განწმენდის წესისგება შეუსრულა. ამის შემდეგ აქტორმა მას ცოლად მისცა თავისი ასული პოლიმელა და სამეფოს მესამედიც მიაყოლა. ერთხელ ევრიტიონმა, რომელიც სამეფოს სხვა მესამედს განაგებდა, კალიდონის ტახზე სანადიროდ წაიყვანა იგი, მაგრამ პელევსს შემთხვევით შუბი მოუხვედრებია მისთვის და იძულებული გამხდარა, იოლკოსში გაქცეულიყო, სადაც კიდევ ერთხელ აღასრულა განწმენდის რიტუალი, ამჯერად პელიასის შვილის, აკასტოსის ხელით.

აკასტოსის ცოლს, კრეთეისს პელევსის ცდუნება უცდია და როცა უკანსკნელმა უარით გაისტუმრა, ცბიერმა ქალმა პოლიმელასთან იცრუა, მას შენი მიტოვება და ჩემი ასულის, სტეროპეს ცოლად შერთვა უნდაო. პოლიმელამ დაიჯერა კრეთეისის ვერაგული ტყუილი და თავი ჩამოიხრჩო. კრეთეისი ჩაღენილ ბოროტებას არ დასჯერდა, აკასტოსს მივარდა თურმე და შესჩივლა – პელევსს ცილი დასწამა, თითქოს იგი მის გაუპატიურებას ცდილობდა.

აკასტოსმა ვერ გაბედა იმ კაცის მოკვლა, რომელიც მანამდე თავად განწმინდა, ამიტომ პელიონის მთაზე მიიწვია სანადიროდ.



პელევსს მისი უმანკოებით მოხიბლული ღმერთებისგან ჯილდოდ დედალოსის ჯადოსნური მახვილი ჰქონია მიღებული, რომელსაც მფლობელისთვის გამარჯვება მოჰქონდა ომში და ნადირობისას. ამ მახვილით პელევსმა სულ მალე უამრავი ირემი, დათვი და ტახი დახოცა, მაგრამ როცა ეს არ იკმარა და კიდევ დააპირა ნადირის კვლა, აკასტოსის თანმხლებთ განუცხადებიათ მისთვის, რომ მთელი ნადავლი მათი პატრონის ნანადირევი იყო და დაცინვა დაუწყეს თურმე, როგორც უნიათო მონადირეს. ამაზე პელევსს უპასუხია: „დაე, მკვდარმა ცხოველებმა თავად თქვან, ვინ დახოცა ისინი!" – მას წინასწარ ამოეჭრა ენები მოკლული ცხოველებისთვის და ახლა ჩანთიდან ამოჰქონდა ისინი შეჯიბრში თავისი იოლი გამარჯვების დასამტკიცებლად.

ნადიმის შემდეგ პელევსს, რომელსაც ყველაზე მეტი ეჭამა, ძილმა წაართვა თავი. აკასტოსმა ისარგებლა ამით, ჯადოსნური მახვილი მოჰპარა, ნეხვის გროვაში გადამალა და იქაურობას გაეცალა თავის ქვეშევრდომებთან ერთად. გამოღვიძებულმა პელევსმა დაინახა, რომ მიტოვებულია, იარაღაყრილი და ველური კენტავრებით გარშემორტყმული, რომლებიც მზად არიან, მოკლან იგი. თუმცა, მათი მეფე ქირონი არა მარტო ჩაერია და სიცოცხლე შეუნარჩუნა მას, არამედ ისიც უთხრა, თუ სად იყო დამალული მახვილი, რომელიც მსწრაფლ დაუბრუნდა პატრონს.

ამასობაში, თემისის რჩევით, ზევსმა პელევსი ქმრად შეურჩია ზღვის ქალღმერთ თეტისს, რომლის ცოლად შერთვა ჯერ თვითონ სურდა, მაგრამ ბედის ქალღმერთების წინასწარმეტყველებისა შეეშინდა, რომლითაც თეტისის მიერ ნაშობი ნებისმიერი ვაჟი თავის მამაზე ბევრად უფრო ძლევამოსილი იქნებოდა. მეტიც, ზევსი განაწყენებული იყო თეტისზე, რადგან მან თავისი დედინაცვლის, ჰერას პატივისცემის გამო მისი, უზენაესი მეუფის, ყველა სატრფიალო წინადადება უპასუხოდ დატოვა. ამიტომ ზევსს დაუფიცია, რომ თეტისი ვერასოდეს გახდებოდა უკვდავის ცოლი. მადლიერმა ჰერამ კი გადაწყვიტა, მისთვის ქმრად მოკვდავთა შორის უკეთილშობილესი შეერჩია. მან ყველა ოლიმპიელი მოიწვია ქორწილში, რომელიც მთვარის მომ-

დევნო აღვსებისას უნდა შემდგარიყო და პელევსთან, რომელიც იმ დროს მეფე ქირონის გამოქვაბულში იმყოფებოდა, გაგზავნა ღმერთების მაცნე ირისი, ბრძანებით, რომ საქორწინო სამზადისს შესდგომოდა.

ქირონმა, რომელმაც განჭვრიტა, რომ თეტისი მოკვდავთან ქორწინებაზე უარს იტყოდა, პელევსი მირტის ჯაგნარში გადამალა თესალიის იმ კუნძულზე, სადაც დელფინზე ამხედრებული შიშველი თეტისი მოცურდებოდა ხოლმე, რათა ბუჩქნარით ნახევრად დაფარულ გამოქვაბულში დღის ძილით ესიამოვნა. სწორედ აქ ჩაუსაფრდა პელევსი. როგორც კი თეტისი გამოქვაბულში შევიდა და დაიძინა, პელევსმა იგი მკლავებში მოიმწყვდია. ქალღმერთი დიდხანს ცდილობდა თავის დაღწევას. ხან ცეცხლად იქცა, ხან – წყლად, ხან – ლომად, ხან კიდევ – გველად, მაგრამ პელევსი გაფრთხილებული იყო ამის თაობაზე და არც მაშინ გაუშვია ხელი საბედოსთვის, როცა იგი ლორწოვან მელანთევზად გადაიქცა და მელანი გამოუშვა. დამწვარმა, ერთიანად გალუმპულმა, დაკბენილ-დაკაწრულმა და წებოვან სითხეში ამოგანგლულმა პელევსმა ბოლოს და ბოლოს საწადელს მიაღწია – ქალღმერთი მინებდა. ძლიერმა ვნებამ შეიპყრო ორივე და უკვე ვერრა ძალა ვერ გაწყვეტდა მათ სასიყვარულო კავშირს.

## პელევსისა და თეტისის ქორწილი

ქორწილი პელიონის მთაზე, ქირონის გამოქვაბულთან გადაიხადეს. ოლიმპიელები თორმეტ ტახტზე დაბრძანებულიყვნენ. ჰერამ თვითონ აანთო საქორწინო ჩირაღდანი. ბედისწერის ქალღმერთები და მუზები მღეროდნენ, განიმედესი ნექტარს დაატარებდა, ხოლო ორმოცდაათი ნერეიდა თეთრ ქვიშაზე ფერხულს უვლიდა. ქორწილს კენტავრები ესწრებოდნენ. მათ თავები ყვავილებისგან მოწნული გვირგვინებით ჰქონდათ შემკული, ნაძვის ტოტებს იქნევდნენ და ნეფე-დედოფალს ბედნიერებას უწინასწარმეტყველებდნენ.

ქირონმა პელევსს შუბი აჩუქა, ათენამ კი გააპრიალა მისი ტარი, რომელიც პელიონის კენწეროზე მოჭრილი იფნისაგან იყო



გამოთლილი. შუბის ბუნიკი ჰეფესტოს გამოეჭედა. ღმერთებმა ერთობლივად გადასცეს პელევსს მოოქროვილი საჭურველი, პოსეიდონმა კი ორი უკვდავი ცხენი – ბალიასი და ქსანთოსი – უძღვნა.

ქორწილი ბედნიერად დასრულდებოდა, ქალღმერთ ერისს რომ სტუმრებს შორის შუღლის ჩამოგდება არ განეზრახა. საქმე ისაა, რომ ზევსს ანჩხლობით განთქმული ირისი ქორწილში არ მოუწვევია. ჭირვეულმა ქალღმერთმა კი შური შემდეგნაირად იძია: როცა ჰერა, ათენა და აფროდიტე ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ და ტკბილად მუსაიფობდნენ, ფეხებთან მოოქროვილი ვაშლი მიუგორა. პელევსმა აიღო იგი, მაგრამ დაიბნა, ვინაიდან ვერ გადაწყვიტა, ვისთვის იყო ეს ვაშლი განკუთვნილი – მასზე ეწერა „უმშვენიერესს“! ქალღმერთებს შორის ამტყდარი დავა, როგორც უკვე გიამბეთ, პარისის სამსჯავროთი და აფროდიტეს გამარჯვებით დასრულდა.

## აქილევსი

აპოლონის ქურუმმა, კალქასმა იწინასწარმეტყველა, რომ ტროას აღება მხოლოდ პელევსის მეშვიდე ძის, ჭაბუკი აქილევსის დახმარებით იქნებოდა შესაძლებელი. დედამ, თეტისმა, მისი ძმების სხეულები უკვდავყოფის მიზნით ცეცხლში გამოაწრთო თურმე. აქილევსიც უკვდავი გახდებოდა, პელევსს ხელი რომ არ შეეშალა და ცეცხლის ალიდან არ „დაეხსნა“ შვილი, ხოლო დამწვარი მხარი გოლიათ დამისის მხრით არ შეეცვალა, რომელიც მიწიდან ამოთხარეს. ჩარევით აღშფოთებულ თეტისს ქმარი მიუტოვებია და ზღვაში დაბრუნებულა. მან მოასწრო და ბავშვს აქილევსი („მკერდშეუხები“) შეარქვა, ვინაიდან იგი მის მკერდს ჯერ არ მიჰკარებოდა ბაგეებით. თუმცა ზოგიერთები იმასაც ამბობენ, თითქოს თეტისმა წასვლამდე აქილევსი მდინარე სტიქსში ჩააყურყუმელავა და მისი სხეული, ქუსლის გარდა, რომლითაც დედას ჩვილი სჭერია, უწყვლადი გახდა.

პელევსმა უდედოდ დარჩენილი ბავშვი კენტავრ ქირონს მიაბარა, რომელიც მას პელიონის მთაზე ზრდიდა – ლომებისა და

ტახების ჯიგრითა და დათვების ძვლის ტვინით კვებავდა, რათა ბიჭი მამაცი გამოსულიყო. სხვა ცნობის მიხედვით, იგი ვაჟს თაფლსა და გარეული ფრინველების ტვინს აჭმევდა, რათა სწრაფად სირბილი შეძლებოდა. ქირონი ჯირითსა და ნადირობის ხელოვნებას, სალამურზე დაკვრასა და ექიმობას ასწავლიდა თავის აღსაზრდელს, მუზა კალიოპე – სიმღერას. თექვსმეტი წლის ასაკში აქილევსმა პირველად მოკლა ტახი და მას მერე გამუდმებით მოჰქონდა ნანადირევი – ტახები თუ ლომები – ქირონის გამოქვაბულში. ათენა და არტემისი განცვიფრებით შესცქეროდნენ ხოლმე ამ ქერა ბიჭუნას, რომელიც იმდენად ფეხმარდი იყო, რომ ირმებს მეძებარი ძაღლების გარეშეც იოლად ეწეოდა.

შემდგომში აქილევსის მასწავლებელი გახდა ფენიქსი, რომელიც თავის ქალიშვილთან, ფთიასთან სისხლის აღრევის ბრალდებით თავის დროზე ამინტორს დაებრმავებინა და დაეწყევლა. წყევლის თანახმად, ფენიქსი უნაყოფო გამხდარა. პელევსმა მიიღო იგი, ქირონის დახმარებით თვალისჩინი დაუბრუნა და მეზობელი დოლოპების მეფედ აქცია. აქილევსს მეტად უყვარდა ფენიქსი, რომელიც, ფაქტობრივად, მისი მეორე მამა გახდა, რითაც ერთგვარად წყევლაც მოეხსნა.

როგორც ვთქვით, ღმერთების ნებით გმირ აქილევსს გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ტროას ომში. იგი მართლაც უებრო მეომარი გახლდათ და გაჭირვების ჟამს ბრძოლის ბედი ბერძენთა სასარგებლოდ სწორედ მისი ჩარევის წყალობით გადაწყდა.

### პატროკლე

აქილევსს მუდმივად თან ახლდა თავისი შორეული ნათესავი პატროკლე, რომელიც თუმც ასაკით უფროსი იყო, მაგრამ ძალით, სიმარდითა და გვარიშვილობით ჩამორჩებოდა აქილევსს. პელევსის კარზე პატროკლემ მას შემდეგ იპოვა თავშესაფარი, რაც კამათლის თამაშისას წაკიდების გამო ამფიდამოსის ძე კლიტონიმოსი (თუ ეანოსი) მოკლა.



## ❺ ტროას ომში მონაწილე სხვა ბერძენი გმირები

პელოპიდების წარმომადგენელთა – ბერძენთა ლაშქრის მხედართმთავრის, აგამემნონისა და მისი ძმის, მენელაოსის, აგრეთვე მირმიდონელთა ძლევამოსილი წინამძღოლის, ეაკიდი აქილევსის შესახებ უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ წიგნის წინა თავებში. მომდევნო თავებიდან მათზე თანდათან უფრო მეტს შეიტყობთ. მანამდე კი, მოდით, ბერძენ მხედართმთავრებს შორის ძალთა განაწილებასა და სხვა ბერძენ გმირებს გავეცნოთ, იმათ, ვინც, მართალია, ღმერთების ნებითა და მხარდაჭერით, მაგრამ, ამასთანავე, საკუთარი ძალგულოვნებით, შეუპოვრობით თუ მოხერხებულობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ლაშქრობის ორგანიზების, ომის წარმატებით წარმოებისა და საბოლოო გამარჯვების მოპოვების საქმეში, თუმცა ამასთანავე ერთმანეთში ყოველთვის როდი ჰქონდათ თანხმობა და მეთაურებს შორის ატეხილმა დავამ თუ კინკლაობამ არაერთხელ შეაფერხა და ლამის დამარცხების პირამდე მიიყვანა. რომ არა განგებისა და ღმერთების ნება, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ომი!

### ოდისევსი

ოდისევსი, რომელსაც ლაერტესის ვაჟიშვილად მიიჩნევენ, „დიდი ფიცისგამტეხისა და ქურდის“, ავტოლიკოსის ქალიშვილს, ანტიკლეას ფარულად ჩაესახა სისიფოსისგან (სიზიფესგან). მისი დაბადებიდან მცირე ხნის შემდეგ ავტოლიკოსი ითაკაზე მოსულა და პირველივე საღამოს, ვახშმის შემდეგ მუხლებზე დაუსვამს ბავშვი. ანტიკლეას უთხოვია, სახელი შეერქვა მისთვის. ავტოლიკოსს უპასუხია: „მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მრავალი მეფისწული გადავიმტერე, ამიტომ, მოდი, ამ ჩემს შვილიშვილს ოდისევსს დავარქმევ, რაც „მძვინვარეს“ ნიშნავს, ვინაიდან მას ბედად უწერია, ჩემდამი მტრობის მსხვერპლი გახდეს. მაგრამ თუკი იგი ოდესმე სასაყვედუროდ მომაკითხავს პარნასოსის მთაზე, მაშინ მე ვუწილადებ იმას, რასაც ვფლობ და

ამით დავუცხრობ რისხვას". როცა დავაჟკაცდა, ოდისევსი, როგორც წესი მოითხოვდა, ავტოლიკოსის მოსანახულებლად წასულა, მაგრამ იქ უსიამოვნება შეემთხვა: თავის ბიძებთან ერთად ნადირობის ჟამს იგი ტახს დაუჭრია ფეხში და ნაიარევი სამუდამოდ დაეტყო. ავტოლიკოსმა მოუარა და ითაკაზე მრავალი საჩუქრით გაისტუმრა.

ოდისევსმა ცოლად შეირთო პენელოპე, იკარიოსისა და ნიმფა პერიბოიას ასული. ზოგიერთები ამბობენ, რომ მან ეს იკარიოსის ძმის, ტინდარეოსის თხოვნით გააკეთა, რომელმაც ოდისევსს ელენეს ხელის სათხოვნელად მოსულთა შეჯიბრში გაამარჯვებინა (შეჯიბრი „აფეტად" წოდებულ სპარტის ქუჩაზე ტარდებოდა). პენელოპე, რომელსაც უწინ არნეას თუ არნაკიას ეძახდნენ, მამის ბრძანებით ნავპლიოსს ზღვაში ჩაუგდია, მაგრამ ვარდისფერზოლებიანი იხვების გუნდს გადაურჩენია იგი, გამოუკვებავს და ნაპირამდე მიღწევაში დახმარებია. ნანახით განცვიფრებული იკარიოსი და პერიბოია მოლბნენ და არნეას ახალი სახელი — პენელოპე შეარქვა, რაც „იხვს" ნიშნავს.

პენელოპე ოდისევსს რომ მიათხოვა იკარიოსმა, სიძეს შესთავაზა, სპარტაში დარჩენილიყო, ხოლო როცა უარი მიიღო, დიდხანს მისდევდა თურმე ეტლს, რომლითაც ახალდაქორწინებულნი მიემგზავრებოდნენ და თავის ქალიშვილს დარჩენას ემუდარებოდა. აქამდე მდუმარე ოდისევსი მიუბრუნდა პენელოპეს და თქვა: „ან შენი ნებით მოდიხარ ითაკაზე, ან, თუკი შენთვის მამაშენია უფრო ძვირფასი, აქ დარჩი, ოღონდ უჩემოდ!" პასუხის ნაცვლად პენელოპემ უფრო ჩამოიფარა მანდილი. იკარიოსს ესმოდა, რომ ოდისევსი მართალი იყო და ქალიშვილს გამგზავრების ნება დართო, მასთან განშორების ადგილას კი ქანდაკება დადგა მოკრძალების პატივსაცემად.

ოდისევსის მოხერხებულობა და გონებამახვილობა საქვეყნოდ იყო ცნობილი. გამჭრიახ ჭკუას არაერთხელ გადაურჩენია იგიცა და მისი თანმხლებნიც უეჭველ დაღუპვას. სწორედ ოდისევსის გამოგონება იყო განთქმული ხის ცხენი, რომლითაც ბერძნებმა ტროას მიუდგომელ გალავანში შეღწევა შეძლეს, რასაც



ომის მეათე წელს ქალაქის დაცემა მოჰყვა. თუმცა, ასევე ოდისევსის „დამსახურება" იყო მისი ინტელექტუალური მეტოქის, პალამედესის დაღუპვაც.

## პალამედესი

პალამედესი, ნავპლიოსის ძე, ისევე ჭკვიანი იყო, როგორც ოდისევსი. როცა ოდისევსს ომში მონაწილეობისგან თავის არიდება სურდა და თავი მოიგიჟიანა, მისი ეშმაკობა პალამედესმა გამოაშკარავა (ამ ამბავს უფრო დაწვრილებით გაეცნობით ჩვენი წიგნის მე-6 თავში, კერძოდ, ქვეთავში „ბერძენთა პირველი შეკრება ავლისში"). მოგვიანებით, ომის მეცხრე წელს, როცა ბერძნებს სანოვაგე შემოაკლდათ, აგამემნონმა ოდისევსი თრაკიაში გაგზავნა, ხოლო როცა იგი ხელცარიელი დაბრუნდა, პალამედესმა სიზარმაცისა და სიმხდალისათვის გაკიცხა, შემდეგ კი თავად გაემართა სანოვაგის მოსაპოვებლად და მალე ხორბლით დატვირთული გემით დაბრუნდა.

ოდისევსი ამ შემთხვევების გამო თავს ღირსებაშელახულად თვლიდა და ხელსაყრელ დროს ეძებდა შურის საძიებლად. მან დიდხანს იფიქრა და ბოლოს ასეთი რამ გამოიგონა: შეთხზა წერილი, ვითომ პრიამოსის მიერ პალამედესისადმი მიწერილი, რომელშიც ტროელთა მეფე ოქროს ჰპირდებოდა, თუკი იგი ბერძნებს უღალატებდა, შემდეგ ეს წერილი აგამემნონს აჩვენა და მოუწოდა ბერძნებს, პალამედესის კარავი გაეჩხრიკათ. კარავში ოქროთი სავსე ტომარა აღმოაჩინეს, რომელიც ოდისევსს წინასწარ ჩაეფლა მალულად. პალამედესი დამნაშავედ ცნეს და ჩაქოლეს.

პალამედესმა საყოველთაო მადლიერება დაიმსახურა თანამებრძოლთა შორის იმით, რომ კამათლებით თამაში გამოიგონა, რომლითაც ბერძნები ტროასთან ბრძოლებს შორის ერთობოდნენ. ყველას შურდა პალამედესის აღმატებული სიბრძნისა, — ზოგი გადმოცემის თანახმად, სიგრძისა და წონის საზომები, დროის ანგარიში წლების მიხედვით, ჯარის სამსაფეხურიანი დაყოფის ხელოვნება და ანბანიც კი მისი გამოგონილი იყო.

## ნესტორი

თავის მრჩეველთა შორის აგამემნონი ყველაზე მეტად პილოსის მეფეს, ნესტორს აფასებდა, რომელიც უმაგალითო სიბრძნითა და „ტკბილსიტყვაობით“ გამოირჩეოდა. იგი მესამე თაობას მართავდა უკვე და, მხცოვანების მიუხედავად, კვლავაც მამაც მეომრად ითვლებოდა, ხოლო როგორც მხედართმთავარი ათენის მეფეს, მენესთევსს სჯაბნიდა ქვეითთა და ცხენოსანთა წყობის ტაქტიკაში. მის გონივრულ აზრებს ყოველთვის იზიარებდა ოდისევსი და ამ ორის თვალსაზრისი, როგორც წესი, ემთხვეოდა საბრძოლო სტრატეგიაზე მსჯელობისას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როცა აგამემნონისა და აქილევსის შერიგების ნესტორისეული გეგმა ჩაიშალა, იგი განსჯის უნარით დიომედესმა დაჩრდილა, რომელიც უფრო ახალგაზრდა კი იყო, მაგრამ ასევე ჭკუით განთქმული.

## დიომედესი

ტიდევსისა და დიპილეს ძე დიომედესი არგოსიდან მოვიდა ორი ეპიგონი ძმის — სთენელოსისა და არგონავტ ევრიალოსის თანხლებით. დიომედესს ძალიან უყვარდა ელენე და პარისის მიერ მისი მოტაცება პირად შეურაცხყოფად აღიქვა.

## იდომენევსი – ბერძენთა კრეტელი მოკავშირე

როცა ბერძნული ფლოტი ავლისში შეიკრიბა, კრეტელმა ელჩებმა ამბავი მოიტანეს, რომ მათი მეფე იდომენევსი, დევკალიონის ვაჟი, ტროას წინააღმდეგ ას გემს გამოიყვანდა, თუკი აგამემნონი მას მთელი ლაშქრის მხედართმთავრობას გაუყოფდა, და შეკრებილნი ამ პირობას დათანხმდნენ. იდომენევსი ელენეს ყოფილი საქმრო იყო და მშვენიერი გარეგნობით გამოირჩეოდა. მის ფარზე მამალი იყო გამოსახული ნიშნად იმისა, რომ იგი ჰელიოსის შთამომავალია; ხოლო მის მუზარადს ტახის ეშვები ამშვენებდა. ასე იქცა ტროას წინააღმდეგ მიმართული კამპანია კრეტულ-ელინურ ლაშქრობად.



## აიაქს ტელამონის ძე (დიდი აიაქსი). ტევკროსი

ტელამონისა და პერიბოიას ძე, დიდი აიაქსი, წარმოშობით სალამინიდან იყო. სიმამაცით, ძალითა და სილამაზით იგი მხოლოდ აქილევსს ჩამოუვარდებოდა, ნებისმიერ მეტოქეზე ერთი თავით მაინც იყო მაღალი და ხელთ შვიდი ხარის ტყავისაგან დამზადებული მტკიცე ფარი ეპყრა. ჰერაკლემ იგი ბავშვობაში ნემეას ლომის უწყვლად ტყავში შეახვია, ამიტომ მისი სხეული უწყვლადი იყო, თუკი არ ჩავთვლით, აქილევსის ქუსლის დარად, იღლიას და, როგორც ზოგიერთები ამბობენ, კისერს, რადგან ამ ადგილს თუ ადგილებს ტყავი არ შეხებია. ამას ზოგი მის მიმართ იმავე ჰერაკლეს მიერ განხორციელებული შეთქმულების ნაყოფად მიიჩნევს. გამგზავრებისას, როცა დიდი აიაქსი გემბანზე ადიოდა, მამამისმა ასეთი რჩევა მისცა: „ყოველთვის გამარჯვებაზე იფიქრე და ღმერთები შეგეწევიან“. აიაქსს თავმომწონედ უპასუხია: „ღმერთების დახმარებით მხდალი და უგნურიც კი მოიპოვებს დიდებას; ვიმედოვნებ, მათ გარეშეც მივაღწევ ყველაფერს!“ ერთხელ, როცა ბრძოლის დროს ათენა ეწვია გასამხნევებლად, მან თურმე წამოიძახა: „ხელს ნუ მიშლი, ღმერთქალო, ჯობს, ჩემი თანამებრძოლნი, აქაველები გაამხნევო; იქ, სადაც მე ვარ, მტერი ვერ გაივლის!“ ამგვარი ბაქიობით აიაქსმა ღმერთები გაანაწყენა.

აიაქსის ნახევარძმას, ტევკროსს, ტელამონისა და ჰესიონეს უკანონოდ შობილ ძეს, ისრის სროლაში საბერძნეთში ბადალი არ ჰყავდა. ჩვეულებისამებრ, იგი აიაქსის ფარს ამოფარებული იბრძოდა და, დიდი ჰომეროსის შედარებას თუ მოვიშველიებთ, „ისე უბრუნდებოდა ხოლმე ამ თავშესაფარს, როგორც შვილი დედას“.

## აიაქს ოილევსის ძე (პატარა აიაქსი). მედონი

ოილევსისა და ერიოპისის ძე, ლოკრისელი აიაქსი თუმც ტანდაბალი იყო, საბერძნეთში საუკეთესო შუბისმტყორცნელად ითვლებოდა, სირბილში კი მხოლოდ აქილევსს ჩამოუვარდებოდა. სწორედ ამიტომ მას ხშირად „სწრაფ აიაქსს“ ეძახდნენ, ჩვენ კი, მოდით, აიაქს ტელამონის ძისგან, ანუ დიდად წოდებული აიაქსის-

გან განსასხვავებლად, იგი პატარა აიაქსად მოვიხსენიოთ. დიდი აიაქსის რაზმში იგი მესამე იყო. მას იოლად ცნობდნენ ტილოსგან გაკეთებული ჯავშნითა და მოშინაურებული გველით, რომელიც სიგრძით ადამიანს აღემატებოდა და ძაღლივით მუდამ თან სდევდა პატრონს. პატარა აიაქსის ნახევარძმა მედონი, ოილევსისა და ნიმფა რენას უკანონოდ შობილი ძე, ფილაკედან მოვიდა, საიდანაც ერიოპისის ძმის მკვლელობისათვის გააძევეს.

*

თითოეულ გმირს, რომელსაც ამ და წინა თავებში გავეცანით, თავისი ლაშქარი მიჰყავდა ტროაში, ზოგს მეტი, ზოგს – ნაკლები. მაგრამ ამა თუ იმ გმირის ღირსებას ბერძენთა თვალში იმდენად არა მის მიერ მოყვანილი ჯარის სიდიდე განსაზღვრავდა, რამდენადაც პირადი მეომრული თვისებები. ასე მაგალითად, მცირე იყო კუნძულ ითაკიდან ოდისევსის მიერ მოყვანილ გემთა რიცხვი (სულ ოცი), მაგრამ განუზომელი იყო ის დახმარება, რომელიც მან თავისი მოხერხებულობის წყალობით გაუწია თანამემამულეებს.

ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარი აგამემნონს ჰყავდა: მრავალეზოიანი მიკენიდან, მდიდარი კორინთოდან და კლეონის მშვენიერი ქუჩებიდან – მთელი არგივული სანაპიროდან. ლაკედემონის – ფაროსის, სპარტისა და მესენიის მცხოვრებნი, სადაც მტრედთა გუნდები დაფრინავს, – მენელაოსის ბრძანებებს მორჩილებდნენ. აქილევსი, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, მირმიდონელებს ედგა სათავეში, ხოლო კრეტელებს განთქმული შუბისმტყორცნელი იდომენევსი მეთაურობდა. შორეული პილოსიდან და არენეს მშვენიერი ველებიდან იყო მოსული მოხუცი ნესტორი, რომელსაც ოთხმოცდაათი დიდი გემი მოჰყვებოდა. მქუხარე ხმის პატრონი დიომედესი არგიველ ახალგაზრდობას მეთაურობდა. დიდი აიაქსი და ტევკროსი სალამინელებსა და მეგარელებს ედგნენ სათავეში. პატარა აიაქსს კი ორმოცი გემი გაევსო თავისი ლოკრისელებით.



# ❻ როგორ დაიწყო ლაშქრობა

## ბერძენთა პირველი შეკრება ავლისში

როცა პარისმა ელენე ცოლად მოიყვანა, აზრადაც არ მოსვლია, რომ მენელაოსის სტუმართმოყვარეობის სანაცვლოდ გამოჩენილი უმადურობისთვის პასუხს მოსთხოვდნენ. თუმცა, ეს გასაკვირი სულაც არ არის: განა კრეტელებს აგებინეს პასუხი იმაზე, რომ მათ ზევსის სახელით ფინიკიელებს ევროპე მოსტაცეს? ან იქნებ არგონავტებს მოუწიათ რაიმეს გადახდა კოლხეთიდან მედეას მოტაცების გამო? ან ათენელებმა ზღვეს რაიმეთი კრეტელი არიადნეს მოტაცება? იქნებ თრაკიელებმა გადაიხადეს საზღაური ათენელი ორითიას მოტყუებისათვის? მაგრამ პარისის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ჰერამ ირისი გაუგზავნია კრეტაზე მენელაოსს, ელენეს გაპარვის უწყებით, და ისიც სასწრაფოდ დაბრუნდა მიკენში, სადაც თავის ძმას, აგამემნონს ვედრებით მიმართა, მოსახლეობისგან კუთვნილი ხარკი აეკრიფა და ტროაზე ლაშქრობა მოეწყო.

აგამემნონი დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, თუკი ელჩები, რომლებსაც იგი ტროაში გაგზავნიდა ელენეს დასაბრუნებლად და მენელაოსისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, ხელცარიელნი დაბრუნდებოდნენ. პრიამოსმა ელჩებს უპასუხა, რომ მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა – პარისი ხომ ჯერ კიდევ ზღვაში იყო თავისი გემით და ელენესთან ერთად ტროადის ნაპირებისკენ მოცურავდა; სამაგიეროდ, თავად ჰკითხა ელჩებს ნიშნისმოგებით, რა მიიღეს ტროელებმა საზღაურად ჰესიონეს მოტაცებისთვისო. გაგულისებულმა მენელაოსმა მაცნეები გაგზავნა ყველა მეფისწულთან, რომლებსაც, მხსვერპლად შეწირული ცხენის სისხლიან ასო-ნაწილებზე შემდგართ, ადრე ფიცი ჰქონდათ მისთვის მიცემული, თან დაამატა, რომ პარისის საქციელმა მთელი საბერძნეთი შეურაცხყო: მანამ, სანამ ეს ბოროტმოქმედება საკადრისად არ დაისჯება, არავინ შეიძლება იყოს მშვიდად მეუღლის გამოო. შემდეგ მენელაოსმა პილოსიდან მოხუცი ნესტორი წამოიყ-

ვანა და მასთან ერთად მთელ საბერძნეთში მოგზაურობა დაიწყო ლაშქრობის მეთაურთა მოსაწვევად.

მენელაოსისა და ნავპლიოსის ძის, პალამედესის თანხლებით აგამემნონი ეწვია ითაკას და ლაშქრობაში მონაწილეობაზე რის ვაი-ვაგლახით დაიყოლია ოდისევსი. უნდა ითქვას, რომ ოდისევსი გაფრთხილებული იყო სამისნოსაგან: „თუკი ტროაში გაემგზავრები, შინ მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, მარტოხელა და ღარიბ-ღატაკი დაბრუნდები". როცა აგამემნონი, მენელაოსი და პალამედესი ითაკაზე ჩავიდნენ, ოდისევსმა მათი მოტყუება გადაწყვიტა, თავი მოიგიჟიანა და ასეთი სახით წარუდგა თურმე: თავზე კვერცხის ნახევრის ფორმის ნაბდის გლეხური ქუდი ეხურა, უღელში ვირი და ხარი ჰყავდა შებმული და ასე ხნავდა თავის მინდვრებს, ხნულში კი მარილს თესავდა. პალამედესმა, რომელიც ხრიკს პირველი მიუხვდა, პენელოპესს ჩვილი ტელემაქოსი გამოართვა ხელიდან და მოახლოებული გუთნის წინ მიწაზე დასვა. ოდისევსმა სასწრაფოდ გააჩერა ცხოველები, რათა თავისი ერთადერთი ვაჟი არ დაეღუპა. ასე დამტკიცდა, რომ ოდისევსი საღ ჭკუაზე იყო. იგი იძულებული გახდა, მოლაშქრეებს შეერთებოდა.

შემდეგ მენელაოსი და ოდისევსი აგამემნონის მაცნესთან, ტალთიბიოსთან ერთად კვიპროსზე წავიდნენ, სადაც მეფე კინირასმა – ერთ-ერთმა ელენეს ყოფილ საქმროთაგან – მათ გადასცა აგამემნონისთვის ძღვნად განკუთვნილი სამკერდე საჭურველი და დაიფიცა, რომ კიდევ ორმოცდაათ გემს გამოგზავნიდა. მან მეტად თავისებურად შეასრულა დანაპირები – მხოლოდ ერთი ნამდვილი ხომალდი გაგზავნა, ხოლო დანარჩენი ორმოცდაცხრა – თიხის პატარა გემები აღმოჩნდა, რომლებშიც მეზღვაურებად თოჯინები ისხდნენ. მესაჭემ წყალში ჩაუშვა ისინი, როცა საბერძნეთის ნაპირს მიუახლოვდა. ამგვარი ტყუილით აღშფოთებული აგამემნონის თხოვნით, აპოლონს, როგორც ამბობენ, კინირასი დაუღუპავს, რის გამოც მისი ორმოცდაათი ქალიშვილი დარდისაგან ზღვაში გადაშვებულა და ფრინველებად – ალკუნებად – გადაქცეულან; თუმცა, სხვათა თქმით, კინირასს უნებურად სისხლის აღრევის ცოდ-



ვა ჩაედინა თავის ქალიშვილთან, სმირნასთან და თავი ამიტომ მოეკლა.

აპოლონის მისანმა, კალქასმა იწინასწარმეტყველა, რომ ტროას აღება მხოლოდ პელევსის მეშვიდე შვილის, აქილევსის დახმარებით იქნებოდა შესაძლებელი. თეტისმა იცოდა, რომ მისი ვაჟი არასოდეს დაბრუნდებოდა ტროადან, თუკი ლაშქრობას შეუერთდებოდა, ვინაიდან მას ბედად ეწერა ან ტროასთან გაეთქვა სახელი და ახალგაზრდა დაღუპულიყო, ან ხანგრძლივი და დიდებას მოკლებული ცხოვრება გაეტარებინა ოჯახის კერიასთან. ამიტომ დედამ გოგონასავით გამოაწყო ვაჟი და სამეურვეოდ სკიროსის მეფეს, ლიკომედესს მიაბარა, რომლის სასახლეშიც ბიჭი კერკისერეს, აისას ან პირას სახელით ცხოვრობდა. აქილევსი აქ დაკავშირებია ლიკომედესის ქალიშვილს დეიდამიას, რომელმაც უშვა პიროსი, შემდგომში ნეოპტოლემოსად წოდებული, თუმცა, ზოგიერთების აზრით, ნეოპტოლემოსი აქილევსისა და იფიგენიას შვილი იყო.

ოდისევსს, ნესტორსა და აიაქსს დაევალათ აქილევსის სკიროსიდან წამოყვანა, სადაც მას, ჭორების თანახმად, მალავდნენ. ლიკომედესს ნება დაურთავს მათთვის, მთელი სასახლე გაეჩხრიკათ. მოსულები ვერასოდეს იპოვიდნენ აქილევსს, ოდისევსს ხერხი რომ არ ეხმარა: მან სასახლის დარბაზებში საჩუქრები დაალაგა. აქ იყო ოქროს დიდი საყურეები, მარგალიტებით შემკული; ვერცხლის მასიური სამაჯურები, რომლებსაც შესანიშნავი ჭედურობა ამკობდა; ქარვისა და სპილოს ძვლისაგან დამზადებული სამკაულები; ძოწისფერი, სუმბულისფერი, ზღვასავით ლურჯი და მდელოსავით მწვანე ქსოვილები, ყველა – ვარსკვლავებით ან ყვავილებით მოქარგული; ალებასტრისაგან ან ბერძენთათვის უცხო ფინიკიური მინისაგან დამზადებული ძვირფასი ჭურჭლეულიდან არომატული ნელსაცხებლების სურნელი იფრქვეოდა. ოდისევსმა სასახლეში მცხოვრები ქალები მოიწვია, თავ-თავიანთი გემოვნების მიხედვით რომ აერჩიათ საჩუქარი. განცვიფრებულნი ათვალიერებდნენ მეფის ასულები მათ თვალწინ დალაგებულ საუნჯეს. მათ შორის ქალის სამოსში გამოწყობილი აქილევსიც

იყო. უცებ, ოდისევსის ბრძანებით, საბრძოლო საყვირის ხმა და იარაღის ჟღარუნი გაისმა. ამ დროს ერთ-ერთი „ქალი“ წელამდე გაშიშვლდა და საჩუქრებს შორის საგანგებოდ დადებულ ფარსა და მახვილს ხელი დასტაცა. რა თქმა უნდა, ეს აქილევსი იყო. მას შემდეგ, რაც ოდისევსმა მოუთხრო, რაოდენი დიდების მოპოვება შეეძლო ყმაწვილს ბრძოლის ველზე ტროადაში, აქილევსმა პირობა დადო, რომ მირმიდონელთა ჯარს ჩაუდგებოდა სათავეში.

ზოგიერთი ავტორიტეტი მთელ ამ ისტორიას წმინდა წყლის გამონაგონად მიიჩნევს და ამბობს, რომ ნესტორი და ოდისევსი ლაშქარს აგროვებდნენ და ფთიაში აღმოჩნდნენ, სადაც ისინი პელევსმა მიიღო. მას უყოყმანოდ დაურთავს ნება აქილევსისთვის, რომელიც მაშინ თხუთმეტი წლის ჭაბუკი იყო, გამგზავრებულიყო ფენიქსის მეთვალყურეობის ქვეშ. თეტისს მისთვის მშვენიერი მოჭედილ-მოჩუქურთმებული ზანდუკი უჩუქნია, რომელიც სავსე იყო მგზავრობისა და ლაშქრობისას საჭირო სხვადასხვაგვარი ტანისამოსით, ქარგაუმტარი ლაბადებითა და სქელი ქვეშაგებით.

*

როგორც უკვე ითქვა, როცა ბერძნული ფლოტი ავლისში შეიკრიბა, აგამემნონმა გადაწყვიტა, ანგარიში გაეწია კრეტის მეფის, იდომენევსის სურვილისთვის, რომელიც ასი გემის გამოყვანას ჰპირდებოდა, და მთელ ლაშქარზე ძალაუფლება გაუნაწილა. ამის შედეგად ლაშქრობამ კრეტულ-ელინური ხასიათი მიიღო. ბერძენთა სახმელეთო ძალებს მეთაურობდა აგამემნონი. მას ოდისევსი, პალამედესი და დიომედესი ეხმარებოდნენ. ელინთა ფლოტის სათავეში კი აქილევსი და მისი თანაშემწეები – დიდი აიაქსი და ფენიქსი იდგნენ.

## ანიოსი და მისი „მევენახე“ ქალიშვილები

ავლისიდან გასვლის წინ ბერძნული ფლოტი ხორბლით, ღვინითა და სხვა სანოვაგით მოამარაგა დელოსის მეფე ანიოსმა, რომელიც აპოლონისგან შვა რეომ, სტაფილოსისა და ქრისოთემისის ასულმა.



როცა მამას რეოს ორსულობის ამბავი შეუტყვია, ქალი ზანდუკში ჩაუკეტავს და ზღვის ტალღებისთვის მიუცია. მაგრამ ზღვას მშვიდობიანად გამოურიყავს ზანდუკი ევბეას ნაპირზე. რეოს აქ უმშობიარია და გაუჩენია ვაჟი, რომლისთვისაც ანიოსი (სიტყვიდან „ანია“ – ტანჯვა, უბედურება) უწოდებია – იმ განსაცდელის გამო, რომლის გადატანაც მოუხდა მის გაჩენასთან დაკავშირებით. აპოლონს ბიჭისთვის ნათელხილვის უნარი მიუნიჭებია და დელოსზე მეფე-ქურუმად დაუყენებია. (ზოგიერთთა თქმით, ზანდუკი, რომელშიც რეო იყო გამომწყვდეული, ზღვას იმთავითვე დელოსთან გამოურიყავს).

ცოლმა დრიოპემ ანიოსს სამი ქალიშვილი გაუჩინა – ელაისი, სპერმო და ოინო, რომლებსაც „მევენახეები“ შეარქვეს, და ვაჟი ანდროსი, ანდროსის მეფე, რომელსაც აპოლონმა წინასწარმეტყველების ხელოვნება შეასწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ანიოსი აპოლონის ქურუმი იყო, მან თავისი ქალიშვილები დიონისეს მიუძღვნა, რათა მისი ოჯახი კიდევ ერთი ღმერთის მფარველობის ქვეშ ყოფილიყო. მადლიერების ნიშნად, დიონისემ ქალიშვილებს სასწაულებრივი უნარები მიანიჭა, კერძოდ, რასაც კი შეეხებოდა ელაისი, როცა დიონისეს მოუხმობდა საშველად, ყველაფერი ზეთად იქცეოდა, რასაც სპერმო შეეხებოდა, – ხორბლად, ხოლო რასაც ოინო შეახებდა ხელს, – ღვინოდ. ამიტომაა, რომ ანიოსისთვის მეტად იოლი იყო, ბერძენთა ლაშქარი ყოველივე აუცილებლით მოემარაგებინა. მაგრამ აგამემნონი ამით როდი დაკმაყოფილდა. მან მენელაოსი და ოდისევსი გაგზავნა დელოსზე, რათა ანიოსი „მევენახეების“ გამოშვებაზე დაეყოლიებინა და ლაშქრობისას თან ჰყოლოდა სასწაულთმოქმედი ქალიშვილები. ანიოსმა უარით გაისტუმრა მოსულნი. მან მენელაოსს გამოუცხადა, რომ ღმერთების ნებით ტროა მხოლოდ მეათე წელს დაეცემოდა. ხომ არ აჯობებდა, მთელი ეს დრო დელოსზე გაგეტარებინათო, სტუმართმოყვრულად შესთავაზა მან, ჩემი ქალიშვილები საჭმელსასმელს არ მოგაკლებენ, მერე კი, მეათე წელს, თუკი საჭიროება შეიქმნება, ტროაშიც გამოგყვებიანო. მაგრამ ვინაიდან მოსულებს აგამემნონისგან მტკიცედ ჰქონდათ დავალებული, ანიოსის აზრის

მიუხედავად წამოეყვანათ დები, ოდისევსმა „მევენახეებს“ ხელები შეუკრა და ძალით აიყვანა ხომალდზე. როცა დებმა გაქცევა შეძლეს და ორმა მათგანმა ევბეას შეაფარა თავი, ერთმა კი – ანდროსს, აგამემნონმა გემები გაგზავნა მათ ჩამოსაყვანად და ომით დაემუქრა, თუკი არ დამორჩილდებოდნენ. სამივემ თანხმობა შეუთვალა, მაგრამ იმავდროულად დახმარებისთვის დიონისეს შეჰღაღადეს და უკანასკნელმა ისინი მტრედებად აქცია. მას შემდეგ არის, რომ დელოსზე მტრედები ღმერთების მფარველობის ქვეშ არიან.

## ზევსის ნიშანი

აგამემნონი მსხვერპლს სწირავდა ზევსსა და აპოლონს ავლისში, როცა საკურთხევლის ქვეშიდან სისხლივით წითელი ლაქებით დაწინწკლული გველი გამოსრიალდა და იქვე მდგომი ნეკერჩხლის ხისკენ წასისინდა. ხის ყველაზე მაღალ ტოტზე ბუდე იყო რვა ბარტყითა და დედა-ბეღურათი. გველმა ყველანი შესანსლა და, ზევსის მიერ ქვად ქცეული, იქვე გაშეშდა. კალქასმა ეს სასწაული ახსნა როგორც ანიოსის წინასწარმეტყველების დადასტურება: ცხრა წელიწადი გაივლის ტროას აღებამდე, მაგრამ მეათე წელს მისი აღება გარდუვალია. შემდეგ ზევსმა გაამხნევა ყველანი: ზღვაში გასული ფლოტის მარჯვენა მხარეს მეხი დასცა.

*

ერთნი ამბობენ, რომ ბერძნები ავლისიდან იმ დროს გავიდნენ, როცა ერთი თვე იყო გასული, რაც ოდისევსი დაიყოლიეს, ლაშქრობას შეერთებოდა და რომ ტროასკენ ისინი ნათელხილვის ნიჭს მინდობილმა კალქასმა წაიყვანა. სხვანი ამტკიცებენ, რომ ენონამ გამოაგზავნა თავისი ძე კორითოსი, აქაველთათვის წინამძღოლობა რომ გაეწია. მესამეთა აზრით, რომელსაც მრავალნი იზიარებენ, ფლოტს მეგზური არ ჰყოლია და მოლაშქრენი შეცდომით მიზიას მიადგნენ, სადაც ნაპირზე ჩასულან და რადგან ეგონათ, რომ ტროადაში იყვნენ, ქვეყნის ძარცვა დაუწყიათ. მიზიის მეფე ტელეფოსმა ბერძნები აიძულა, უკან დაეხიათ და მამაცი ფერსანდროსიც კი



მოკლა, თებელი პოლინიკეს ძე, ერთადერთი, ვისაც ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. მაშინ საშველად აქილევსი და პატროკლე მოსულან, რომელთა დანახვაზე ტელეფოსს ზურგი უქცევია და მდინარე კაიკოსის ნაპირის გაყოლებით გაქცეულა. უნდა ითქვას, რომ ბერძნებმა ავლისში მსხვერპლი შესწირეს დიონისეს, მიზიელებს კი ამის გაკეთება დავიწყნოდათ. სასჯელის სახით მიწიდან მოულოდნელად ამოსულმა ვაზმა ტელეფოსი მიწაზე დასცა და აქილევსმა ბარძაყში დაჭრა იგი განთქმული შუბით, რომელიც თავის დროზე ქირონმა მამამისს, პელევსს აჩუქა.

ბერძნებმა თავიანთი დაჭრილები ცხელ იონიურ წყაროებში განბანეს, რომელთაც მას შემდეგ „აგამემნონის აბანოები“ ეწოდა, და კვლავ გავიდნენ ზღვაში, სადაც მათი გემები ჰერას მიერ მოვლენილმა ქარიშხალმა მიმოაბნია. გათითოებული ხომალდები თავთავიანთი მშობლიური ნაპირებისაკენ გაემართნენ. სწორედ მაშინ იყო, აქილევსი რომ სკიროსს მიადგა და იქ ოფიციალურად დაქორწინდა დეიდამიაზე.

იმავე წელს სპარტის ელენიუმში სამხედრო საბჭო შეიკრიბა. ელინებს ერთადერთი რამ აფერხებდათ: არავინ იცოდა ტროასაკენ მიმავალი საზღვაო გზა.

## ტელეფოსის დახმარება

იმხანად მიზიის მეფე ტელეფოსს ჯერ კიდევ ტანჯავდა აქილევსის მიერ მიყენებული ჭრილობა. აპოლონმა გამოუცხადა, რომ ჭრილობას მხოლოდ ის მოურჩენდა, ვინაც მიაყენა. მაშინ ტელეფოსი, მათხოვრის ტანისამოსში გამოწყობილი, მიკენს გაემგზავრა აგამემნონთან და, კლიტემნესტრას რჩევით, ჩვილი ორესტე აკვნიდან აიტაცა. „თუ არ მომარჩენ, შენს ვაჟს მოვკლავ!“ – ყვიროდა იგი. აგამემნონმა, სამისნოს მიერ გაფრთხილებულმა, რომ ბერძნები მხოლოდ ტელეფოსის შეწევნით შეძლებდნენ ტროას აღებას, დახმარება აღუთქვა იმ პირობით, რომ იგი ბერძენთა ფლოტს ტროასკენ გაუძღვებოდა. როცა ტელეფოსმა თანხმობა განუცხადა, აქილევსმა იგი აგამემნონის თხოვნით განკურნა: ცოტაოდენი ჟანგი ააფხიკა შუბს, რომლითაც ჭრილობა მიეყენებინა და იარას მოა-

ყარა „აქილეიოსად“ წოდებულ სამკურნალო ბალახთან ერთად, თავად რომ აღმოეჩინა უწინ. მოგვიანებით ტელეფოსმა უარი განაცხადა ლაშქრობაში მონაწილეობაზე იმის მომიზეზებით, რომ მისი ცოლი ლაოდიკე პრიამოსის ასული იყო. ამის მიუხედავად, მან მაინც უჩვენა ბერძნებს, საით უნდა აეღოთ გეზი, ხოლო მისანმა კალქასმა მკითხაობის მეშვეობით მისი რჩევის სისწორე დაადასტურა.

## მეორე შეკრება ავლისში. იფიგენია

ბერძნული ფლოტი მეორედ შეიკრიბა ავლისში და პირქარის გამო საკმაო ხნის განმავლობაში ზღვაში ვერ გავიდა. კალქასმა იწინასწარმეტყველა, რომ გემები გასვლას ვერ მოახერხებდნენ მანამ, ვიდრე აგამემნონი არტემისს მსხვერპლად არ შესწირავდა თავის ასულთა შორის უმშვენიერესს. ზუსტად არავინ იცის, თუ რატომ იყო არტემისი მოსამადლიერებელი. ერთნი ამბობენ, რომ აგამემნონს შორი მანძილიდან განუგმირავს ირემი და ბაქიობას მოჰყოლია, თვით არტემისიც ვერ ისროდა ისარს უკეთოო; ან თითქოს მას ქალღმერთის წმინდა თხა მოეკლას; ანდა თითქოს შეჰპირებოდა, რომ მსხვერპლად შესწირავდა უმშვენიერეს არსებას, რომელიც მის სამეფოში წლის განმავლობაში გაჩნდებოდა და რომ ასეთი არსება იფიგენია აღმოჩნდა, მისი საკუთარი ასული; ან რომ აგამემნონის მამას, ატრევსს ქალღმერთისთვის განკუთვნილი ოქროს ბატკანი დაენანებოდეს. ასე იყო თუ ისე, აგამემნონმა უარი განაცხადა ამგვარი მსხვერპლის გაღებაზე იმ საბაბით, თითქოს კლიტემნესტრა არასოდეს დათანხმდებოდა იფიგენიას გამოშვებას. მაგრამ როცა ბერძნებმა დაიფიცეს, რომ აგამემნონის ურჩობის შემთხვევაში მხედართმთავრად პალამედესს აირჩევდნენ, ხოლო ოდისევსი მრისხანე სახით შინ გასამგზავრებლად სამზადისს შეუდგა, შემრიგებლის როლში მენელაოსი გამოსულა. მან შესთავაზა ოდისევსსა და ტალთიბიოსს, იფიგენია ავლისში იმ საბაბით ჩამოეყვანათ, თითქოსდა იგი ჯილდოს სახით ცოლად არგუნეს აქილევსს მიზიაში გამოჩენილი სიმამაცისთვის. აგამემნონი დათანხმდა ამგვარი ხრიკის გამოყენებაზე, მაგრამ მაშინვე საიდუმლო უწყება





*პელოფსს ეტლით მიჰყავს ჰიპოდამეა. ტრადიციას ეტლებით რბოლის შეჯიბრებების წარმოშობა აჰყავს თამაშებამდე, რომელიც პელოფსმა ენომაიოსზე გამარჯვების აღსანიშნავად გამართა. წითელფიგურული ამფორა. ძვ.წ. 415 წ. არეცო. არქეოლოგიური მუზეუმი.*



*პელევსი ჩვილ აქილევსს აღსაზრდელად გადასცემს კენტავრ ქირონს. ატიკური თეთრფონიანი ოინოქოე (ღვინის ჩამოსასხმელი დოქი). ძვ.წ. 510 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.*

აქილევსი საქმით ხელოვნებაში გაწაფა აღმზრდელმა — ბრძენმა კენტავრმა ქირონმა. ამ სურათზე გმირი იარას უხვევს დაჭრილ პატროკლეს, რომელთანაც ღრმა მეგობრობა აკავშირებდა. პატროკლეს თავი გვერდზე აქვს მიბრუნებული და კბილზე კბილის დაჭერით ცდილობს ტკივილი შეიმსუბუქოს. მხატვარ სოსიასის ნამუშევარი. ატიკური წითელფიგურული ჭურჭელი. ძვ.წ. 500 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.





აქაველ მხედართმთავართა შორის სილამაზით, ძალითა და სიმამაცით გამორჩეული გმირი აქილევსი. მისი მშვიდი მზერა ამ სურათზე კარგად გამოხატავს უდრეკობას ბედისადმი, რომელიც ნაადრევ სიკვდილს უქადის. წითელფიგურული ამფორა. ძვ.წ. 450 წ. რომი. ვატიკანის მუზეუმი.



აქილევსი ცხენებს აბამს ეტლში. წითელფიგურული კანთაროსის (სასმისის) ნატეხი. ძვ.წ. 560 წ. ათენი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.





ქსდიდებული და მოქალაქეთა პატივით შემკული მოხუცი, როგორც წარწერა გვამცნობს, არის პილოსის სახელგანთქმული მეფე ნესტორი. წითელფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 480 წ. პარიზი. ლუვრი.

ჰომეროსის დახასიათებით, მენელაოსი სიმამაცითა და გულკეთილობით გამოირჩეოდა. სურათზე წარმოდგენილია ფრაგმენტი სცენიდან, რომელშიც მენელაოსი მისდევს თავის ცოლს, ელენეს. ტროას დაცემის შემდეგ მენელაოსს განზრახული ჰქონდა, მოეკლა მოღალატე მეუღლე. აქ კარგად ჩანს გმირის ორივე ღირსება: ულრესი მრისხანების მიუხედავად, მენელაოსმა აპატია თავის მეუღლეს და მის განსაგმირად შემართული მახვილი ბოლო წუთს ხელიდან გავარდა. წითელფიგურული კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 440-430 წწ. ტოლედო. ხელოვნების მუზეუმი.



დიდი აიაქსი, რომელსაც ღმერთებმა ახოვანება, ძალა და გონიერება მიანიჭეს, ჰომეროსის თქმით, აქაველთა „ბურჯი“ იყო, რომელიც იცავდა როგორც ცოცხლებს, ისე მოკლულთ. ეტრუსკული ამფორა. ძვ.წ. V ს. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.



ლოკრისელი (პატარა) აიაქსი უშიშარი და მამაცი მეომარი იყო. მაგრამ თავისი თავშეუკავებლობით მან ღმერთების რისხვა დაიტეხა თავს. ამ ფრაგმენტზე, რომელიც ტროას დაცემის ერთ-ერთ სცენას წარმოგვიდგენს, გამოსახულია მომენტი, როცა იგი ძალით აშორებს ათენას ქანდაკებას ტროელ მისანს, კასანდრას, რათა შემდეგ ტაძარშივე გააუპატიუროს. წითელფიგურული კალპი. დაახლ. ძვ.წ. 480-475 წწ. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



აქ წარმოდგენილ ორივე გამოსახულებაზე ოდისევსი ეშმაკობით ააშკარავებს და ხელს სტაცებს ქალად გადაცმულ აქილევსს, რომელიც იმალებოდა კ. სკიროსის მეფის, ლიკომედესის სასახლეში. ვერცხლის ლანგარი (ზემოთ). ახ. წ. IV ს. კაიზერ ავგუსტუსის საგანძური; ფრესკა პომპეიდან, დიოსკურების სასახლიდან (ქვემოთ). დაახლ. ახ. წ. 70 წ. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.





აქილევსი ემზადება ტროაზე სალაშქროდ. სანამ იგი კნემიდებს (წვივსაფრებს) იცვამს, თეტისი ფარსა და შუბს უჭერს. მარცხნივ მამამისი პელევსი დგას, თეტისის უკან კი – აქილევსის ვაჟი ნეოპტოლემოსი. როგორც ჩანს, მხატვარი არ იცნობს ან უყურადღებოდ ტოვებს ლიტერატურულ ტრადიციას, რომლითაც აქილევსის ძე იმ დროისათვის ან მცირეწლოვანი ბავშვი იყო, ან სულაც არ იყო დაბადებული. შავფიგურული ლანგარი. დაახლ. ძვ. წ. 560 წ. ათენი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



იფიგენიას მსხვერპლშეწირვა. აქ მხატვარმა ორიგინალური ფორმით წარმოგვიდგინა მითის ის ვერსია, რომლის მიხედვითაც მსხვერპლშეწირვის მომენტში იფიგენიას ღმერთების ნებით ირემი ჩაენაცვლება. თავად ქალი კი შორეულ ტავრიაში აღმოჩნდება. მსხვერპლის შემწირველი აქ თავად აგამემნონია, რასაც ადასტურებს სკიპტრა მის მარცხენა ხელში. ერთი ახალგაზრდა ეხმარება რიტუალის აღსრულებაში, ხოლო აპოლონი და არტემისი მეთვალყურეობენ. წითელფიგურული კრატერი. ძვ. წ. 370-350 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



ტიპიური სცენა მებრძოლთა ცხოვრებიდან – ოჯახის წევრებთან გამომშვიდობების წუთი. ჰექტორსა და მის ძმებს ემშვიდობებიან მშობლები და დები. პრიამოსი და ჰეკაბე არ არიან ნაჩვენები ნახატში. მარცხენა კიდეში მოჩანს ჰექტორი. კორინთული კრატერის ფრაგმენტი. ძვ.წ. 570-560 წწ. პარიზი. ლუვრი.

გაუგზავნა მეუღლეს, რომელშიც აფრთხილებდა, ოდისევსისთვის არ დაეჯერებინა. მენელაოსს ამ უწყების ხელში ჩავდება მოუხერხებია და, ბოლოს და ბოლოს, იფიგენია მოტყუებით ჩამოიყვანეს ავლისში.

როცა აქილევსი მიხვდა, რომ მისი სახელი თაღლითურად გამოიყენეს, თავი გამოიდო, რომ იფიგენიას დაიცავდა ნებისმიერისგან, ვინც კი მის წყენას გაბედავდა, მაგრამ ქალწული საბერძნეთის სადიდებლად სიკვდილზე კეთილშობილურად დათანხმებულა და სამსხვერპლო ცულის ქვეშ ქედი მორჩილად მოუდრეკია. ერთნი ამბობენ, რომ იმწამსვე არტემისს იგი ტავრების ქვეყანაში, სკვითურ ხერსონესში (ანუ ყირიმში) გადაუყვანია, ხოლო მის ნაცვლად საკურთხეველზე ფურირემი, ძუ დათვი, ხარი, ხბო ან მოხუცი ქალი დაუყენებია. სხვები თვლიან, რომ ამ დროს ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა და არტემისის ბრძანებითა და კლიტემნესტრას მუდარით შეგულიანებულ აქილევსს იფიგენია დაუხსნია და სკვითთა ქვეყანაში გაუგზავნია, ან თითქოს მას ცოლად შეურთავს იგი და სწორედ მან და არა დეიდამიამ უშვა გმირს ნეოპტოლემოსი.

ასე იყო თუ ისე, იფიგენიას მსხვერპლშეწირვის შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარმა დაუბერა და ფლოტმა ზღვაში გასვლა შეძლო. თავდაპირველად ბერძნები კუნძულ ლესბოსს მიადგნენ, სადაც ოდისევსმა გადაწყვიტა, ძალ-ღონით დატოლებოდა მეფე ფილომელიდესს, რომელსაც თურმე უცხოელებთან დაჭიდება უყვარდა. ოდისევსმა, რომელსაც ყველა იქ მყოფი ბერძნის ყიჟინა ამხნევებდა, მასპინძელი მიწაზე დასცა და სირცხვილი აჭამა. ამის შემდეგ ფლოტი კუნძულ ტენედოსს მიადგა, რომელიც ტროადან ჩანდა და იმხანად ტენესოსს ემორჩილებოდა. ჭორების თანახმად, იგი კიკნოსისა და ლაომედონის ასულის, პროკლიას ვაჟი იყო, მაგრამ სინამდვილეში მამამისი აპოლონი უნდა ყოფილიყო.

უნდა ითქვას, რომ თეტისს გაფრთხილებული ჰყავდა აქილევსი: თუ იგი აპოლონის შვილს მოკლავდა, თვითონაც აპოლონის ხელით განიგმირებოდა. ამიტომ მას მუდამ თან ახლდა მსახური მნემონი ერთადერთი მიზნით – თეტისის გაფრთხილება შეეხსენე-

ბინა ხოლმე პატრონისთვის. მაგრამ როცა აქილევსმა დაინახა, როგორ ესროლა ტენესოსმა კლდიდან ბერძნულ გემებს უზარმაზარი ლოდი, მაშინვე ზღვაში გადაეშვა, ნაპირამდე მიცურა და ტროელი შიგ გულში განგმირა შუბით. გვიან მიხვდა პელევსის ძე, რაც ჩაედინა და სიკვდილით დასაჯა მნემონი იმის გამო, რომ უკანასკნელს მისთვის თეტისის სიტყვების შეხსენება დაავიწყდა; ტენესოსი კი მიწას მიაბარა იმ ადგილას, სადაც შემდგომ მისი სამლოცველო აავო.

აქვე, ტენედოსზე, აქილევსი პირველად წაეკიდა აგამემნონს – დაადანაშაულა იმაში, რომ უკანასკნელმა გვიან მოიწვია იგი ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

ტენედოსზე მოპოვებული გამარჯვებისთვის მადლიერების ნიშნად, პალამედესმა აპოლონ სმინთევსის პატივსაცემად ჰეკატომბე აღასრულა, მაგრამ მსხვერპლშეწირვის დროს საკურთხეველს წყლის გველი მიუახლოვდა და განთქმული მშვილდოსანი ფილოქტეტესი ფეხში დაგესლა. ვერაფერმა უშველა საბრალო ვაჟკაცს – ვერც მალამოებმა, ვერც ცხელმა საფენებმა – იარა სულ უფრო უმიზეზდებოდა ფილოქტეტესს და იგი სულ უფრო ხმამაღლა კვნესოდა. ყოველივე ეს უკვე აუტანელი ხდებოდა მოლაშქრეთათვის, ამიტომ აგამემნონს ოდისევსისთვის უბრძანებია, უბედური კუნძულ ლემნოსის უდაბურ ნაპირზე ჩამოესვა. იქ ფილოქტეტესმა რამდენიმე წელიწადს დაჰყო – თავს ფრინველებზე ნადირობით ირჩენდა, ხოლო მისი ჯარის მეთაურობა მედონმა იკისრა.

## ❼ ომის ცხრა წელი

ტენედოსიდან ბერძნებმა ელჩობა გაგზავნეს ტროელებთან მენელაოსის, ოდისევსისა და პალამედესის შემადგენლობით. ტროელები, რომელთაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, ელენე არსად გაეშვათ, მთელ ელჩობას გაანადგურებდნენ, რომ არა ანტენორი, რომლის სახლშიც იყვნენ ისინი გაჩერებულნი და რო-



მელმაც ამ სამარცხვინო საქმის ჩადენა აუკრძალა თანამემამულეებს.

ამგვარი სიჯიუტით შეურაცხყოფილმა ბერძნებმა ტენედოსიდან გამოცურეს და თავიანთი გემები ნაპირზე იმგვარად ამოათრიეს, რომ ისინი ტროადან დაენახათ. ტროელები ბრბოდ გაემართნენ ზღვისკენ და მოსულთ ქვები სეტყვასავით დაუშინეს. ამ არეულობაში ყველანი დაიბნენ – აქილევსიც კი, რომელიც თეტისს გაუფრთხილებია, რომ ნაპირზე ჩასული პირველივე აქაველი დაიღუპებოდა. ამასობაში პროტესილაოსი ნაპირზე ჩამოხტა, რამდენიმე ტროელი მოკლა და ჰექტორის შუბით განიგმირა. პროტესილაოსს ახალგაზრდა ცოლი დარჩა სამშობლოში.

### ლაოდამია

პროტესილაოსის მეუღლე ლაოდამია იყო, აკასტოსის ასული. როცა მან ქმრის დაღუპვის ამბავი შეიტყო, ტირილით შესთხოვა ღმერთებს, ნება დაერთოთ მისთვის, ქმართან სამი საათის განმავლობაში ესაუბრა. ღმერთებმა შეისმინეს მისი თხოვნა, ჰერმესმა მიწისქვეშეთიდან ამოიყვანა პროტესილაოსი და ქალი სამი საათი ესაუბრა მას. ხოლო როცა პროტესილაოსი კვლავ მიიცვალა, ლაოდამიამ მძიმე დარდის გასაქარვებლად ქმრის მსგავსი ბრინჯაოს ქანდაკი გააკეთა, შემდეგ თავის საძინებელში დადგა და მისი თაყვანისცემა დაიწყო. მსახურმა, რომელმაც დილით ვაშლები მოუტანა მსხვერპლშეწირვისთვის, ღრიჭოში დაინახა, როგორ ეხვეოდა და კოცნიდა ლაოდამია პროტესილაოსის გამოსახულებას და ამის თაობაზე ქალის მამას შეატყობინა, რადგან ეგონა, რომ ქალს საყვარელი ჰყავდა ოთახში. როცა აკასტოსი საძინებელში შეიჭრა, პროტესილაოსის გამოსახულება დაინახა. ქალიშვილის ტანჯვისთვის ბოლო რომ მოეღო, მან ბრძანა, კოცონი დაენთოთ და გამოსახულება დაეწვათ მსხვერპლშეწირვისთვის საჭირო ნივთებთან ერთად. ლაოდამიამ მწუხარებას ვერ გაუძლო და თავი იმავე კოცონზე დაიწვა.

*

აქილევსი მეორე ბერძენი იყო, რომელიც ტროას ნაპირზე ჩავიდა. მას მისი მირმიდონელები მიჰყვნენ. თუმცა არსებობს საპირისპირო თვალსაზრისიც, თითქოს პროტესილაოსის მაგალითით დაშინებული, იგი უკანასკნელი ჩასულიყოს. პოსეიდონის ვაჟი კიკნოსი, რომელსაც უწყვლადი სხეული ჰქონდა, ასეულობით ბერძენს ხოცავდა. აქილევსი ამაოდ შეეცადა, მახვილით ან შუბით განეგმირა იგი, შემდეგ მახვილის ყუით დაუწყო სახეში ცემა. კიკნოსმა უკან-უკან დაიხია და წაიქცა. აქილევსი მუხლით შეადგა მკერდზე და ჩაჩქნის ზონრით დაახრჩო. პოსეიდონმა თავისი ვაჟი გედად გადააქცია, რომელიც ზეცაში გაუჩინარდა. შეტაკების შემდეგ ბერძნები გარს შემოერტყნენ ტროას და დაბანაკდნენ.

უნდა ითქვას, რომ ტროას აუღებლად დარჩენა ეწერა, თუკი მეფისწული ტროილოსი ოცი წლის ასაკს მიაღწევდა, მაგრამ ყმაწვილი ომის დასაწყისშივე აქილევსის მახვილმა იმსხვერპლა. ღრმა მწუხარებით დაიტირეს იგი ტროელებმა.

ბანაკი ზღვის ნაპირას განლაგდა, ქვიშაზე ამოთრეული გემების მახლობლად. დიდი ფართობი მოიფინა რუხი კარვებით. ბანაკის მიღმა ვრცელი დაბლობი იშლებოდა, რომელსაც ორი მდინარე, სიმოისი და სკამანდროსი კვეთდა. მოშორებით, ბორცვზე ტროა იყო განლაგებული. გარს მაღალქონგურებიანი კედელი ერტყა. ქალაქის კოშკებს შორის ბრინჯაოს სამკაულებით მორთული ათენას ტაძარი ბრწყინავდა. ტროას შუაგულში მეფე პრიამოსის სასახლე იყო წამომართული. მის გარშემო განლაგებული ტერასებისკენ გლუვი ქვისგან ნაკვეთი კიბეები მიემართებოდა. სასახლის ორმოცდაათი მშვენიერი ოთახი მეფისწულთათვის იყო განკუთვნილი, რომლებიც მათში თავთავიანთი ოჯახებით ბინადრობდნენ. მოპირდაპირე მხარეს, ეზოს შიგნით განლაგებულ ნაგებობებში, მეფის გათხოვილი ასულები ცხოვრობდნენ. ეს იყო აღმოსავლური ფუფუნებით შემკული სამეფო კარი, სადაც ნადიმები და დროსტარება უყვარდათ.

საბრძოლო მოქმედებები მეტად დუნედ ვითარდებოდა. ქალაქი მამაცურად იგერიებდა მომხდურთა შემოტევებს. მეტიც, ტროელე-



ბი, რომელთა მხარეზე მრავალი აზიელი მოკავშირე იბრძოდა, ხშირად თავადაც აწყობდნენ თავდასხმებს. ბრძოლები მდინარე სკამანდროსის დაბლობზე იმართებოდა. მეომართა საჭურველს შეადგენდა ჩაჩქანი, ჯავშანი, წვივსაფრები და ფარი; შეიარაღებულნი იყვნენ შუბითა და მოკლე ორლესული მახვილით, ან ხელშუბით, მშვილდ-ისრითა და კაპარჭით, ანდა შურდულითა და ქვების მარაგით. ორივე მხრიდან ძვირფასი საჭურვლით შემკული საუკეთესო მეომრები გამოდიოდნენ. ისინი ეტლებზე შემდგარნი იბრძოდნენ, ხოლო ეტლებში მოოქროვილი აკაზმულობით შემკული ცხენები ებათ. ბერძენთა ბანაკიდან გაზაფხულის ნიაღვარივით გამოიჭრებოდა ხოლმე დიომედესი და მთელ რაზმებს აწიოკებდა. მთასავით ბუმბერაზი აიაქსი თავს ატყდებოდა ტროელებს და შიშისაგან თავზარდაცემულ გაქცეულთა მწკრივებს ჩეხავდა. სიმამაცითა და ძალგულოვნებით დროდადრო მენელაოსი, აგამემნონი, ოდისევსი და ხნიერი ნესტორიც კი გამოიჩენდნენ ხოლმე თავს. ბელადებს კი მშვილდოსანთა, მეშურდულეთა და შუბოსანთა ლაშქარი მიჰყვებოდა. ყოვლისშემძვრელი ყიჟინით ესხმოდნენ თავს ურთიერთს, ვიდრე დღე არ მიილეოდა. ღამის დადგომისთანავე მოქიშპე მხარეები უკან იხევდნენ: ბერძნები – თავიანთი კარვებისკენ, სადაც მონები და ტყვეები ვახშამს უმზადებდნენ, ტროელები კი – ქალაქში, რომლის კარიბჭესთან მათ ცოლები, დედები და დები ეგებებოდნენ ღვინით – ძალების აღსადგენად – და წყლით – მტვრისა და სისხლის მოსაბანად.

ხანდახან მხოლოდ ყველაზე სახელგანთქმულნი გამოდიოდნენ ბრძოლის ველზე და ორთაბრძოლებს მართავდნენ, დანარჩენები კი მათ შორიდან ადევნებდნენ თვალს. მეომრები ხმამაღალი ყიჟინით ატყდებოდნენ თავს ურთიერთს, მახვილებით ჩეხდნენ ან შუბებს ასობდნენ ერთიმეორეს სხეულში, ვიდრე რომელიმე უსულოდ არ დაეცემოდა. გამარჯვებული საჭურვლისაგან განძარცვავდა ხოლმე დამარცხებულს და ტრიუმფით ბრუნდებოდა თავისიანებთან. ორთაბრძოლაშიც და საერთო შეტაკებებშიც ყველაზე ძრწოლისმომგვრელი აქილევსი იყო. თავისი უკვდავრაშებშებმული ეტლით იგი მტრის მწყობრთა შუაგულში შეიჭრებოდა

ხოლმე, მეომართა რიგებს ცეცხლოვანი გრიგალივით გადაუფრენდა და ზურგს უკან მოკლულთა სასიკვდილო ოხვრასა და დაჭრილთა კვნესას ტოვებდა. ვერც დაღლას გრძნობდა იგი და არც ჭრილობები აწუხებდა – აკი ადრეც ვთქვით, რომ დედამისის, თეტისის წყალობით, მისი სხეული (ქუსლის გამოკლებით) უწყლადი იყო. ტროელებს ეშინოდათ აქილევსისა. თავად ჰექტორი, ტროელ გმირთაგან უძლიერესი, გაურბოდა მასთან შეხვედრას.

ხანდახან საბრძოლო მოქმედებები ტროას ფარგლებს სცილდებოდა. ერთხელ აქილევსმა მოხალისეთა ჯგუფთან ერთად ქალაქის მიდამოებში გაითარეშა. იდას მთაზე თავისსავე ჯოგებს ჩამოაცილა ტროელი ენეასი, ტყიან ფერდობებზე გამოედევნა, დახოცა მწყემსები, რომელთა შორის პრიამოსის ვაჟი ესტორიც იყო, ხელთ იგდო ჯოგები და გაძარცვა ქალაქი ლირნესი, სადაც ენეასი თავშესაფარს ეძებდა.

თუმცა ენეასი თავის დროზე პარისს ელენეს მოტაცებაში დაეხმარა, ომის პირველ წლებში იგი ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას ცდილობდა. ქალღმერთ აფროდიტესა და ანქისესის ვაჟი, ტროსის შვილიშვილი – იგი თვლიდა, რომ მისი ბიძაშვილი პრიამოსი სათანადო პატივს არ მიაგებდა. მაგრამ აქილევსის თავდასხმამ დარდანებს ტროელებთან კავშირისაკენ უბიძგა. ენეასმა თავი გამოიჩინა როგორც მარჯვე მეომარმა და თვით აქილევსიც კი არ იხსენიებდა მას უპატივცემლოდ: თუკი ჰექტორი ტროელთა მარჯვენა ხელი იყო, ენეასს ისინი თავიანთ სულად და გულად თვლიდნენ. დედა – აფროდიტე – ხშირად ეხმარებოდა ბრძოლისას. ერთხელ კი ენეასის ცოლი პოსეიდონმა გადაარჩინა, რომელიც, თუმც მტრულად იყო ტროელთა მიმართ განწყობილი, ბედისწერას პატივს მიაგებდა და იცოდა, რომ ენეასის სამეფო გვარი ბოლოს და ბოლოს ტროაში უნდა გამეფებულიყო.

აქილევსმა ამ დროისათვის ტროას მოკავშირე მრავალი ქალაქი დაიპყრო: კოლოფონი, სმირნა, კლაძომენე, კიმა, სიდა, ლირნესი და რამდენიმე სხვა, მათ შორის ჰიპოპლაკიის თებე, სადაც კილიკიელებს მმართველობდა ეეტიონი, ჰექტორის მეუღლის, ანდრომაქეს მამა; აგრეთვე კუნძულები ლესბოსი და ტენოსი. აქი-



ლევსმა მოკლა ეეტიონი და მისი შვიდი ვაჟიშვილი, მაგრამ მკვდრისთვის საჭურველი არ აუხდია და მისი გვამი აბჯარბექთრიანურთ ცეცხლისთვის მიუცია. ტყვედქმნილთა შორის აღმოჩნდა ასტინომე, ან ქრისეისი, აპოლონის ქურუმ ქრისესის ქალიშვილი. ნადავლის გაყოფის დროს იგი წილად ხვდა აგამემნონს, ტროელი მისნის, ბრისეს ასული ბრისეისი კი – აქილევსს.

ომის მეათე წლის მოახლოებასთან ერთად ბერძნები სულ უფრო მეტად იკავებდნენ თავს მცირე აზიის სანაპიროებზე თავდასხმებისაგან და მთელ ძალებს ტროასთან მოუყარეს თავი.

## 8 აქილევსის რისხვა

ახდა კალქასის წინასწარმეტყველება. ბერძენთათვის უშედეგოდ განვლო ომის ცხრა წელიწადმა – ამ ხნის განმავლობაში მათ ვერ მოახერხეს ტროას აღება. თვით ღმერთები მონაწილეობდნენ ამ უმაგალითო ორთაბრძოლაში. მეათე წელს ბერძენთა ბანაკში შავმა ჭირმა იფეთქა. ყოველივე კი ასე დაიწყო:

აპოლონის ქურუმმა, ქრისესმა ძვირფასი გამოსასყიდის ფასად აგამემნონს თავისი ტყვედქმნილი ქალიშვილის, ქრისეისის დაბრუნება სთხოვა. ბერძენთა მხედართმთავარმა უკმეხად გაისტუმრა ქურუმი, უკანასკნელმა კი აპოლონს შესჩივლა. ისმინა მისი სიტყვები სხივოსანმა ღმერთმა, რისხვითა და გრგვინვით ჩამოირბინა ოლიმპოსიდან, თავისი ვერცხლის მშვილდის ლარს მოზიდა და მომაკვდინებელი ისრები დაუშინა ბერძენთა ბანაკს, რის შედეგადაც შავი ჭირი ჯერ საქონელს შეეყარა, შემდეგ კი ადამიანებსაც გადაედო. ცხრა დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ენთო დასაკრძალავი კოცონები. მეათე დღეს კი აქილევსმა კრება მოიწვია, სადაც წინასწარმეტყველმა კალქასმა აპოლონის რისხვის მიზეზი ახსნა და დასძინა, რომ ღმერთის მომადლიერება მანამ იქნებოდა შეუძლებელი, სანამ ქრისესს თავისი ქალიშვილი არ დაუბრუნდებოდა აწ უკვე გამოსასყიდის გარეშე.

აქილევსმა დაურიდებლად უსაყვედურა აგამემნონს, შეახსენა, რომ სწორედ მისი და მისი ძმის, მენელაოსის ღირსების დასაცა-

ვად იყვნენ წამოსული ტროაში საომრად თავად იგიცა და ბერძენთა მთელი ლაშქარიც.

გულზვიადმა აგამემნონმა ქრისეისი კი დააბრუნა, მაგრამ ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. ხოლო რადგან მის გულში პირველ რიგში აქილევსზე წყენამ დაიბუდა, სანაცვლოდ აქილევსის ტყვე ქალი, ბრისეისი მოითხოვა.

განრისხებულმა აქილევსმა ხელი მახვილზე იტაცა, მაგრამ გმირის გვერდით მდგომმა და მხოლოდ მისთვის საჩინო ათენამ შეაჩერა, – ხელი გაუკავა და მახვილი უკან, ქარქაშში ჩააგებინა. მაშინ აქილევსმა დაიფიცა, რომ ბრძოლის ველს დატოვებდა და თავისი უმოქმედობით ანანებდა აგამემნონს აქაველთა შორის უმამაცესი გმირის უპატივცემლობას. დიახ, ასეთად მიაჩნდა აქილევსს საკუთარი თავი.

როცა ტროელებმა შეიტყვეს, აქილევსმა და მისმა მირმიდონელებმა ბრძოლის ველი დატოვესო, ახალი შემართებით შეუტიეს ბერძნებს. შეშინებული აგამემნონი დათანხმდა ზავს, რომლის დროსაც პარისისა და მენელაოსის ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, თუ ვის დარჩებოდა ელენე და მოპარული განძი. მაგრამ ადამიანები როდი წყვეტდნენ ომის ბედს. პარისის ნასროლი შუბი მიზანს ასცდა, ხოლო როცა ჯერი მენელაოსზე მიდგა, აფროდიტემ ნისლში გახვია პარისი და ბრძოლის ველიდან გაიყვანა. ჰერამ, რომელიც ათენასთან ერთად შურს იძიებდა აფროდიტეზე, ქალღმერთზე, რომელმაც მას „უმშვენიერესის“ სახელი დააკარგვინა, ზევსს ოლიმპოსზე გამართული ნადიმისას დაჟინებით მოსთხოვა, ტროას განადგურების საქმე ბოლომდე მიეყვანა. ამისათვის კი სამყაროს მბრძანებელს ზავი უნდა დაერღვია. ასეც მოხდა.

ათენამ საქმე ისე მოაწყო, რომ ტროელმა პანდაროსმა ისარი სტყორცნა მენელაოსს. თავად ათენამვე ბერძენ გმირს ისარი ააცდინა, ისე რომ მენელაოსს მხოლოდ კანი გაეკაწრა. იმავდროულად ჰერამ აიძულა ელინი დიომედესი, მოეკლა პანდაროსი და დაეჭრა ტროელი მეფისწული ენეასი და დედამისი აფროდიტე.

ზავის დროს ბერძნებმა დაღუპულთა გვამების დაწვის ადგილას უზარმაზარი მიწაყრილი აღმართეს, ხოლო მასზე – კედელი,



რომლის მიღმაც ღრმა თხრილი ამოთხარეს და სარებით შემოღობეს. მაგრამ მათ არც კი უფიქრიათ, მოემადლიერებინათ ღმერთები, რომლებიც აშკარად ტროელებს ეხმარებოდნენ, და დაისაჯნენ კიდეც: როცა ბრძოლა განახლდა, თხრილისა და კედლის იქით უკუგდებულნი აღმოჩნდნენ. იმ ღამეს ტროელები ბერძენთა ხომალდების მახლობლად დაბანაკდნენ.

*

მშვენიერი ელენე ყოველივეს, რაც ბრძოლის ველზე ხდებოდა, თვალს ტროას გალავნიდან ადევნებდა. მისი იმჟამინდელი და ყოფილი მეუღლეების, პარისისა და მენელაოსის ორთაბრძოლის დაწყების წინ, იგი სკეას ჭიშკართან მდებარე კოშკს მიუახლოვდა. ამ დროს კოშკში მსხდომმა ტროელმა უხუცესებმა მის შესახებ ერთმანეთს აზრი გაუზიარეს:

– შეუძლებელია განრისხება იმის გამო, რომ ტროელები და აქაველები ამდენ ხანს მრავალ ტანჯვას ითმენენ ასეთი ქალის გულისათვის. სილამაზით იგი უკვდავ ქალღმერთებს ედრება. მაგრამ რაოდენ მშვენიერიც უნდა იყოს ელენე, დაე, გემებთან ერთად შინ დაბრუნდეს და ნუღარ დარჩება აქ ჩვენდა და ჩვენი შვილების საუბედუროდ!

პრიამოსმა კეთილგანწყობით მოუხმო ქალს:

– მე არ გადანაშაულებ. ჩემს თვალში ღმერთები არიან ყოველივეს მიზეზი. მათ გააჩაღეს ჩემს წინააღმდეგ აქაველთა მრავალცრემლიანი ომი. – და კედლის სიმაღლიდან მან თვალი შეავლო ბერძენთა ლაშქარს, ხოლო ელენემ სათითაოდ აჩვენა და დაუსახელა ბერძენი გმირები: აგამემნონი, ოდისევსი, იდომენევსი და სხვები.

*

ზავის დარღვევის შემდეგ ომი ახალი სიცხარით განახლდა. ორივე მხარე კვლავ შემართებით იბრძოდა საკუთარი ღირსების დასაცავად. ღმერთები კვლავ ჩამოდიოდნენ ბრძოლის ველზე და ბრძოლის ბედზე გავლენის მოხდენას ცდილობდნენ. ასე, აფ-

როდიტე კვლავ იცავდა თავის ვაჟს, ენეასს, რომელსაც ამჯერად დიომედესის მიერ ნასროლი ლოდი ააცილა და აშკარა სიკვდილს გადაარჩინა. თუმცა, დიომედესმა თვით ოქროვანი ქალღმერთიც დაჭრა ხელში შუბით, როცა მას ბრძოლის ველიდან გაჰყავდა ენეასი თავისი ტანისამოსის კალთას ამოფარებული, და მაშინ ქალღმერთს აპოლონი წამოეშველა. მან ლურჯი ღრუბლით შემოსა ტროელი გმირი, შემდეგ წმინდა პერგამონში გადაიყვანა, სადაც აპოლონის ტაძარში ქალღმერთებმა ლეტომ და არტემისმა უმკურნალეს.

დიომედესი იმდენად დაუდგრომელი აღმოჩნდა იმ დღეს, რომ ათენას დახმარებით თვით ომის ღმერთ არესსაც მიაყენა ჭრილობა. უკანასკნელმა ზევსს შესჩივლა ეს ამბავი. ზიზღით შეხედა მას მეხთამპყრობელმა: „კმარა წუწუნი, დაუდგრომელო. ოლიმპოსის მცხოვრებთაგან შენ ყველაზე მეტად მძულხარ, ვინაიდან გამუდმებით საფრთხესა და ომს ეძიებ. და მაინც, მე არ ძალმიძს, გულგრილი დავრჩე შენი ტანჯვის მიმართ. ასეა თუ ისე, ჩემი შვილი ხარ. ეს რომ არა, ალბათ ურანოსის ძეებზე, ტიტანებზე უფრო ღრმად ჩაგიძახებდი“, – ასე თქვა ზევსმა და ოლიმპიელთა მკურნალ პეანს მოუხმო, რომელმაც მალამო დაადო არესს ჭრილობაზე და ღმერთი მაშინვე გამოჯანმრთელდა.

*

ასე და ამგვარად, ადამიანები, რომლებიც მდინარეებს სიმოისსა და ქსანთოსს შორის ებრძოდნენ ერთურთს, თავიანთ თავს მინდობილნი აღმოჩნდნენ.

ნესტორი მჭექარე ხმით მოუწოდებდა ბერძნებს, დრო არ დაეკარგათ მოკლულთათვის საჭურვლის აყრაში. დაე, ყველამ მოწინააღმდეგის განგმირვაზე იფიქროს მხოლოდ!

ტროელებმა, ის იყო, დააპირეს მომხდურის შემოტევას გარიდებოდნენ და ქალაქისთვის შეეფარებინათ თავი, რომ ისინი ენეასმა და ჰექტორმა გაამხნევეს. პრიამოსის ვაჟმა, ჰელენოსმა ბელადები დაიყოლია, არ გაეცათ სამარცხვინო ბრძანება უკანდახევის შესახებ, ხოლო ჰექტორი ქალაქში გაგზავნა, რათა დედა ჰეკაბესა და



სხვა ტროელი ქალებისთვის ეუწყებინა, რომ ათენასთვის საუკეთესო შესაწირავების გაღება ხამდა.

*

მეომარ მხარეებს გადამწყვეტი ბრძოლა ელოდათ, ამიტომაც ჰექტორი თავის საყვარელ მეუღლესთან, ანდრომაქესთან გამოსამშვიდობებლად გაეშურა. მან იგი სკეას ჭიშკართან იპოვა. ანდრომაქეს თან ახლდა მოსამსახურე ქალი, რომელსაც მათი პატარა შვილი, მშვენიერი ვარსკვლავის დარი ასტიანაქსი ეკავა.

ქალს ეშინოდა ქმრის დაკარგვისა და უმწეოდ ცდილობდა ჰექტორის გადარწმუნებას, ბრძოლის ველზე კი არ დახვედროდნენ მტერს, არამედ კვლავ ქალაქში გამაგრებულიყვნენ. ანდრომაქე ეუბნებოდა, რომ თუკი დაკარგავდა მას, ერთადერთ გამოსავლად მიწის ქვეშ ჩასვლა დარჩებოდა, ვინაიდან ვერაფერი ანუგეშებდა მეუღლის სიკვდილის შემდგომ.

– თუკი სიკვდილს ირგუნებ ხვედრად, ოდენ მწუხარება დამრჩება სანაცვლოდ. მე ხომ არც მამა მყავს და არც დედა, რადგან მამაჩემი აქილევსმა მოკლა თებეს დანგრევისას. შვიდი ძმა მყავდა და ერთსა და იმავე დღეს შვიდივე ჰადესის სამფლობელოში ჩავიდა, ფეხმარდი აქილევსის მიერ მოკლული. დედაჩემი, დედოფალი, მან ტყვედ წაიყვანა, თუმცა შემდეგ უზარმაზარი გამოსასყიდის ფასად გაათავისუფლა. მამაჩემის სახლში განგმირა იგი თავისი ისრით არტემისმა. ჰექტორ, შენა ხარ ჩემთვის ამჟამად მამაც, დედაც, ძმაც და შენვე ხარ ჩემი მშვენიერი მეუღლე. მაშ, შემიბრალე, დარჩი კოშკში, ნუ დააობლებ შენს შვილს და ნუ დამაქვრივებ მე, შენს ცოლს!

ხოლო ჰექტორმა უპასუხა:

– ყოველივე ამაზე მეც ვფიქრობ, ჩემო მეუღლევ. მაგრამ საშინლად შემრცხვება მე ტროელებისა, ლაჩარივით რომ დავიმალო ბრძოლის ველიდან მოშორებით. ჩემი სული ვერ იგუებს ამას, მე უკვე ვისწავლე უშიშრად პირველ რიგებში ბრძოლა მამაჩემისა და პირადად ჩემი ღირსების დასაცავად. და მე ვიცი, რომ დადგება დღე წმინდა ილიონის დაღუპვისა, მასთან ერთად კი პრიამოსი და

მისი ხალხიც განადგურდება. მაგრამ იმდენად არც ტროელებზე შემტკივა გული, არც ჰეკაბეზე, არც მეფე პრიამოსზე, არც ჩემს მრავალრიცხოვან ძმებზე, რომლებიც ღირსეულად დაეცემიან მომხდურის ხელით, რამდენადაც შენზე. ყველაზე მეტად მე ვშიშობ იმას, რომ შენ, თვალცრემლიანს, საჭურველასხმული ელინი წაგიყვანს და მით თავისუფლებას წაგართმევს, და შესაძლოა შენ არგოსში სხვის დაზგაზე უცხო ქალისთვის ქსოვა და მესეისის ან ჰიპერიის წყაროდან წყლის ზიდვა მოგიწიოს. და აზრი არ ექნება უარის თქმას, სულ ერთია, გამოუვალი მდგომარეობა გაიძულებს სხვის ნებას დამორჩილდე. და თუკი დაგინახავს ვინმე თვალცრემლიანს, ასე იტყვის: „ეს ჰექტორის ცოლია, იმ ჰექტორისა, რომელიც მამაცურად იბრძოდა ეტლებზე ამხედრებულ ტროელებს შორის, როცა ილიონის გარშემო ომი მძვინვარებდა“. ასე იტყვის ვინმე და წყლულს განგიახლებს, ვინაიდან კვლავ მოინატრებ შენს ქმარს, რომელიც დაგიცავდა მონობისაგან. მაგრამ მე იმ დროს საფლავის მიწით ვიქნები დაფარული და ვერ მოაღწევს ჩემამდე შენი მწუხარე მოთქმა და შენი დატყვევების ამბავი.

ესა თქვა და შვილისკენ დაიხარა გმირი ჰექტორი, მაგრამ ბავშვი ატირდა და ძიძის მკერდისკენ იბრუნა თავი – მას შეეშინდა მამის საჭურვლის და მისი ჩაჩქნის თავზე მოფრიალე გრძელი ფაფრისა. ნაზად გაეცინა დედ-მამას. ჰექტორმა თავიდან მუზარადი მოიხადა, შვილს აკოცა, ხელში აიყვანა, დაარწია, ზევსსა და სხვა ღმერთებს მიმართა თხოვნით, რომ მისი ვაჟი უფრო სახელგანთქმული გმირი გაეხადათ, ვიდრე თავად იყო, შემდეგ კი საყვარელ მეუღლეს გადასცა. ქალმა მკერდზე მიიხუტა შვილი, ღიმილიან თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა. მოეწურა გული ჰექტორს, ცოლს მიეფერა და ნაზი სიტყვებით შინ გაისტუმრა. თავად კი ისევ დაირქვა თავზე ცხენისფაფრიანი ჩაჩქანი. ანდრომაქემ მრავალჯერ მოიხედა ქმრისკენ, სანამ სახლს მიაღწევდა. იქ მრავალრიცხოვანი მოსამსახურე ქალი დახვდა, რომლებმაც მასავით ტირილი მორთეს. სიცოცხლეშივე დაიტირეს ჰექტორი საკუთარ სახლში, ვინაიდან აღარ სწამდათ, შინ დაბრუნება თუ ეწერა.



*

ზევსმა ყველა ღმერთს აუკრძალა ბრძოლაში ჩარევა. თავად ოქროს ეტლით იდას მთას მიაღწია, თავისი ძალმოსილებით ამაყი, გარგარონის მთის მწვერვალზე დაჯდა და ბრძოლის ველს გადახედა.

შუადღემდე ბრძოლის ბედი უცნობი იყო, ხოლო როცა მზემ ცის კაბადონის შუაგულს მიაღწია, ზევსმა ოქროს სასწორი მოიმარჯვა, ერთ პინაზე ტროელთა სიკვდილის ხვედრი დადო, მეორეზე – ბერძნებისა. ელინთა ბედით დამძიმებული პინა მიწამდე დაეშვა, ხოლო პინა, რომელზეც ტროელთა ბედი იყო, ზეცამდე ამაღლდა. თვით ზევსმა დაიგრგვინა და იდას მთიდან მეხი სტყორცნა ბერძნებს, რომლებიც გაფითრდნენ და სახეებზე უსასოობა აღებეჭდათ.

ტროელებმა მომხდურს შეუტიეს, ბერძნებმა ზევსის მეხის შიშით უკანდახევა იწყეს.

ოლიმპოსზე დაბრუნებულმა ზევსმა ბრძანა: ჰექტორი დაუბრკოლებლად გაანადგურებს ბერძნებს მანამ, სანამ აქილევსი კვლავ არ ჩაებმება ბრძოლაში.

სასოწარკვეთილმა აგამემნონმა ფენიქსი, აიაქსი, ოდისევსი და ორი მაცნე გაგზავნა საჩუქრებით აქილევსის მოსამადლიერებლად და დაპირებით, რომ ბრისეისს ხელუხლებელს დაუბრუნებდა, თუკი მირმიდონელთა სახელოვანი მეთაური კვლავ ომში ჩაებმებოდა. მაგრამ აქილევსმა არაფრად ჩააგდო მოსულთა ნათქვამი და განაცხადა, რომ მომდევნო დილით სამშობლოში მიემგზავრება.

იმავე ღამით ორივე მხარემ მოწინააღმდეგის პოზიციებისა და გეგმების დაზვერვა გადაწყვიტა. მზვერავები გზად ერთმანეთს გადაეყარნენ. ბერძნებმა – დიომედესმა და ოდისევსმა – ტროელი დოლონი შეიპყრეს, მისგან ძალდატანებით შეიტყვეს, რაც სჭირდებოდათ, და დიომედესმა თავი მოსჭრა – დოლონი ამგვარად მსხვერპლად შესწირეს ქალღმერთ ათენას, რომელსაც ოდისევსმა სთხოვა, შეესმინა მათი ვედრება და მეგზურობა გაეწია. შემდეგ ჩუმად თავს დაესხნენ თრაკიის მეფე რესოსს, მოკლეს იგიცა და

მისი თორმეტი მხინარე თანამებრძოლიც და წაიყვანეს მისი შესანიშნავი თეთრი ტაიჭები, რომლებზეც ამბობდნენ, ქარზე უსწრაფესნი არიანო. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან, ორაკულის მიხედვით, ტროა აუღებელი დარჩებოდა, თუკი ამ ცხენებს ტროული საკვებით დააპურებდნენ და მდინარე სკამანდროსის წყლით დაარწყულებდნენ, მაგრამ ვერც ერთისა და ვერც მეორის აღსრულება რესოსის ხალხმა ვერ მოასწრო. რაც შეეხება თავად რესოსს, რომელიც ერთ-ერთი მუზის შვილად ითვლებოდა, გადმოცემათა თანახმად, მას სიკვდილის მერე ასცდენია მოკვდავთა ჩვეული ბედი და თრაკიაში ნახევრადღმერთის დარი პატივი რგებია წილად.

იმ დღეს გაგრძელდა დაუნდობელი ომი. მგლებივით ეცნენ ერთურთს მოწინააღმდეგენი. ტროელებს ბედი უფრო სწყალობდათ, მათ მალე გაარღვიეს ზღუდე, ბერძენთა გემების სადგომის ირგვლივ რომ იყო აღმართული. თვით ჰექტორმა უზარმაზარი ლოდით ჭიშკარი გაანგრია და, ღამესავით შავბნელი მზერით, თავის ჯარს ბერძენთა ბანაკში შეუძღვა. აპოლონი ეხმარებოდა ტროელებს. მან იოლად ჩამოანგრია თხრილის კიდეები და ამოავსო იგი, რათა ტროელებს გადასვლა გაადვილებოდათ. კედლებიც მან დაანგრია. როგორც ბავშვი დაანგრევს ხოლმე ზღვის ნაპირზე ქვიშისაგან გაკეთებულ თავისსავე ნაგებობებს, ისე გათელა ღმერთმა ყოველივე, რაც დიდი ძალისხმევის ფასად აეგოთ ბერძნებს.

გემებთან კი არეულობა სუფევდა. ბერძნებს ძალა არ შესწევდათ, ტროელები უკუეგდოთ, უკანასკნელთ კი არ ძალუძდათ, გემებზე და ელინთა კარვებში შეეღწიათ. ტევკროსმა აპოლონის მიერ ოდესღაც ნაჩუქარი მშვილდ-ისრის ლარს მოზიდა და ისარი ჰექტორს დაუმიზნა, მაგრამ გაწყდა დაჭიმული ლარი, მიუხედავად იმისა, რომ ახალი იყო და გმირს მხოლოდ წინადღეს მიემაგრებინა. ჰექტორი მიხვდა, რომ ზევსმა უვნებელყო ტევკროსის მშვილდი და ტროელები ახალი, უმძლავრესი შეტევისთვის შეაგულიანა: ვინც დაიღუპება, იგი საკუთარი სამშობლოსთვის, ცოლისთვის, შვილებისთვის, სახლისთვის, საკუთარი მიწისთვის დადებსო თავს! აჰა, სადაცაა ტროელები ცეცხლს წაუკიდებენ





ერთ-ერთი ეპიზოდი საომარი ცხოვრებიდან, რომელიც ბრძოლებს შორის დასვენებისა და გართობის მომენტს ასახავს. კამათლით თამაშობენ აქილევსი და აიაქსი. ნახატი გამოირჩევა კომპოზიციის სიმრგვლითა და ეპიკური დეტალიზაციით, რასაც მხატვარი ფილიგრანული ოსტატობით აქსოვს პერსონაჟთა ჩაცმულობა-აღჭურვილობაში. შავფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 580 წ. რომი. ვატიკანის მუზეუმები.



მოხუცი ქურუმი ქრისე და მისი მშვენიერი ასული ქრისეისი. აგამემნონის უარმა, დაებრუნებინა მამისთვის შვილი, აპოლონი განარისხა. შავმა ჭირმა მრავალ ელინს მოუსწრაფა სიცოცხლე. აპოლონი არ დაცხრა მანამ, სანამ ბოლოს და ბოლოს აგამემნონი ქრისეისის დაბრუნებას არ დასთანხმდა. წითელფიგურული სკიფოსის ფრაგმენტი. ძვ.წ. 480 წ. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.



აქილევსი ათენას ჩარევის შემდეგ თანხმდება, დაუთმოს აგამემნონს თავისი ტყვე ქალი ბრისეისი, მაგრამ, ამავდროულად, იძულებით გარისხებული ტოვებს ბრძოლის ველს. სურათებზე მაცნეები ტალთიბიოსი და ევრიბატესი ერთი სცენიდან მეორე სცენისკენ მიუძღვიან ბრისეისს. აქილევსი ზის მარტო, დარდით მოცული, მწუხარებისგან სამოსში მჭიდროდ გახვეული. წითელფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 480 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.





დიომედესისა და ენეასის ორთაბრძოლა. დიომედესი, რომელსაც ამხნევებს და მარჯვენა ხელით ეხება ათენა, მოწინააღმდეგეს შუბით დაჭრის (და არა ქვით, როგორც ეპოსშია). აფროდიტე ცდილობს დაეხმაროს და ხელს აშველებს დაჭრილ შვილს, რომელიც უკან არის გადაზნექილი და საცაა წაიქცევა. წითელფიგურული კრატერი დაახლ. ძვ.წ. 480 წ. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.



საომრად მიმავალი ჰექტორი და პარისი ემშვიდობებიან ცოლებს. მხატვარი კარგად ახერხებს წყვილებში არსებული განწყობილებების ჩვენებას, კერძოდ, პარისი და ელენე (მარცხნივ) უფრო გულგრილნი ჩანან ერთმანეთის მიმართ, ვიდრე ჰექტორი და ანდრომაქე (შუაში), რომელთაც უფრო ნაზი და ღრმა სულიერი გრძნობა აკავშირებთ. ქალკიდური კრატერი. ძვ.წ. 530-520 წწ. ვიურცბურგი. მარტინ ფონ ვაგნერის მუზეუმი.



ჰექტორი ემზადება ბრძოლის ველზე გასასვლელად. მას ფეხებს უფარავს წვივსაფრები, ტანს იმოსავს ჯავშნით. ჰეკაბეს ხელთ უპყრია მუზარადი და შუბი. ქვემოთ დევს ფარი. დედისგან განსხვავებით, რომელიც აქ ახალგაზრდა ქალია, პრიამოსი ხანში შესული კაცის სახითაა გამოსახული. იგი წელში მოხრილი და ჯოხს ეყრდნობა. მარჯვენა ხელის მოძრაობით შეგვიძლია მივხვდეთ, რომ ახლა იგი შვილს უკანასკნელ რჩევებს აძლევს. წითელფიგურული ამფორა. ძვ.წ. 510-500 წწ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.



მეომართან გამოთხოვება. სავარაუდოდ აქ გამოსახულნი არიან ჰექტორი და ანდრომაქე. მათ უკან კი – პრიამოსი და ჰეკაბე. მხატვარი კლეოფონი. ატიკური წითელფიგურული სტამნოსი. ძვ.წ. 440/30 წწ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.



ფენიქსის, ოდისევსის, აიაქსისა და ორი მაცნისგან შემდგარი ელჩობა გაემართა აქილევსთან, რათა ბრძოლის ველზე დაბრუნება ეთხოვათ. ამ სურათზე მხატვარი არ წარმოგვიდგენს მაცნეებს, ხოლო აიაქსის ნაცვლად, ოდისევსთან და ფენიქსთან ერთად, გამოსახული ჰყავს დიომედესი (მარცხნივ). აქილევსი უძრად ზის მათ შორის, თავი ხელში აქვს ჩარგული, სამოსი კი ტანზე მჭიდროდ შემოხვეული, რაც მის განდგომას უსვამს ხაზს. წითელფიგურული სტამნოსი. დაახლ. ძვ.წ. 480 წ. ბაზელი. ანტიკურობის მუზეუმი.



აქილევსი და პატროკლე უმასპინძლობენ ბერძენთა ელჩობას. მირმიდონელთა ძლევამოსილი მეთაური ამ სურათზე გამოსახულია გულგრილი სახით, მოსულთა მიმართ ზურგ შექცევით მჯდომი. მხატვარი სარპედონი. წითელფიგურული კრატერის ფრაგმენტი. ძვ.წ. 400 წ. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ანტიკურობის მუზეუმი.



ოდისევსისა და დიომედესის ღამის ჯაშუშობის სცენის ფრაგმენტი. სურათზე გაზვიადებულ, კარიკატურულ სტილში არიან წარმოდგენილი თითის წვერებზე, ფართოდ გახელილი თვალებითა და დაძაბული სმენით მავალი გმირები, რომლებიც ხეებს შორის გზის გაგნებას ცდილობენ. ასეთივე სტილშია გამოსახული გაოცებული დოლონი, ტროელთა ჯაშუში (მარჯვნივ), რომელიც გზად შეუფეთებიათ ბერძნებს. ლუკანიკური კრატერი. ძვ.წ. 380 წ. ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი.

როცა ოდისევსი და დიომედესი დოლონისაგან შეიტყობენ თრაკიის მეფის – დიდძალი სიმდიდრისა და საოცარი ცხენების მფლობელი რესოსის ტროაში მოსვლის ამბავს, გადაწყვეტენ დაატყვევონ იგი. ღამით ისინი მოულოდნელად თავს ესხმიან მტრის ჯარს, ძილში კლავენ რესოსს და მის თორმეტ მეომარს და იპარავენ ცხენებს. აპულიკური კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 350 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმი.





ჰერმესი (და არა აპოლონი, როგორც ეპოსშია) ხელმძღვანელობს მკვდარი სარპედონის გაყვანას ბრძოლის ველიდან. იგი ხელში აჰყავთ ჰიპნოსს – ძილს და თანატოსს – სიკვდილს, ნიქსის – ღამის – ტყუპ ძმებს. წითელფიგურული კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 510 წ. ნიუ-იორკი. მეტროპოლიტენ მუზეუმი.



ევფორბოსის გვამთან იბრძვიან მენელაოსი და ჰექტორი. ეს ეპიზოდი არ არის წარმოდგენილი ეპოსში. აღმოსავლური ლანგარი. ძვ.წ. 610 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.





*აქ წარმოდგენილი ორი სურათი ერთი და იმავე ჭურჭლის წრიულ მოხატულობას წარმოადგენს. პირველზე (ზემოთ) მენელაოსი მისდევს პარისს, რომელიც უკან იხედება და ისე გარბის. ორი ქალღმერთი მცველად უდგას ტროელ გმირს: მარჯვნივ არტემისი და მარცხნივ აფროდიტე; მეორე ნახატზე აიაქსი მრისხანედ მიიწევს ჰექტორისაკენ, რომელიც დაჭრილია და უკან გადაზნექილი. მარცხნივ მოჩანს აფროდიტე, მარჯვნივ – აპოლონი. წითელფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 485 წ. პარიზი. ლუვრი.*

ბერძენთა ხომალდებს. და როცა რომელიმე მათგანი დაეცემოდა, მის ნაცვლად სხვა აღიმართებოდა ხოლმე. აიაქსმა თორმეტი ტროელი მოკლა, რომლებიც გემებისათვის ცეცხლის წაკიდებას ცდილობდნენ.

ამ დროს კი თვალცრემლიანი პატროკლე აქილევსს უყვებოდა ელინთა თავს დატეხილ საშინელებას.

– რა ფასი ექნება შთამომავლობისთვის შენს სიმამაცეს, თუკი ახლავე არ ააცილებ ბერძნებს უსამართლო დარტყმას? დაუნდობელო! ვერ იქნებოდა პელევსი მამაშენი, თეტისი კი – დედაშენი. შენ ზღვამ ან უტეხმა კლდემ გშვა, ამიტომაა ასე უდრეკი შენი გული. ბოლოს და ბოლოს, მე გამაგზავნე მირმიდონელთა ლაშქართან ერთად და ნება დამრთე, შენი საჭურვლით შევიმოსო.

აქილევსი კი კვლავინდებურად სიძულვილით იყო აღსავსე აგამემნონის მიმართ და ბრძოლაში ჩაბმას არ აპირებდა, მაგრამ პატროკლეს თხოვნამ გაჭრა. აქილევსმა ნება დართო მეგობარს, ბრძოლის ველს დაბრუნებოდა და საჭურველიც ათხოვა. ამ დროისთვის კი ჰექტორს უკანასკნელი დაბრკოლება – აიაქსის შუბი გადაეტეხა და ტროელებს პირველი გემისთვის ცეცხლის წაკიდება მოეხერხებინათ.

პატროკლემ პროტესილაოსის გემთან თავმოყრილ ტროელებს შუბი სტყორცნა და პეონების მეფე პერიქემოსი განგმირა. ტროელებს, საჭურვლით მოტყუებულებს, აქილევსში შეეშალათ იგი და გაიქცნენ, პატროკლემ კი ხანძარი ჩააქრო და გემის კიჩოს გადარჩენა შეძლო. მაშინ დაეცა მისი ხელით სარპედონიც. ზევსმა პატროკლეს საშუალება მისცა, ტროელები ქალაქამდე უკუეგდო, თანაც ბრძოლის ველი პირველმა ჰექტორმა დატოვა, რომელსაც აიაქსმა უმძიმესი ჭრილობა მიაყენა.

ბერძნებმა სარპედონს საჭურველი აჰყარეს, მაგრამ, ზევსის ბრძანებით, აპოლონმა მისი გვამი გამოიტანა, დაკრძალვისთვის მოამზადა, შემდეგ კი ღმერთებმა – ძილმა (ჰიპნოსმა) და სიკვდილმა (თანატოსმა) – ლიკიაში წაიღეს. ამასობაში პატროკლე კვლავ უტევდა და მარტოდმარტო აიღებდა ტროას, აპოლონს რომ თავისივე აგებული კედლიდან სამჯერ არ უკუეგდო გმირი ფარით, როცა

იგი ამ კედელზე გადაძრომას ცდილობდა. ბრძოლა შებინდებამდე გრძელდებოდა. სქელ ნისლში გახვეული აპოლონი ზურგიდან მიეპარა პატროკლეს და ბეჭებს შუა მიაყენა დარტყმა. გმირს ლამის თვალები გადმოსცვივდა, თავიდან ჩაჩქანი გადმოუვარდა, შუბი წვრილ-წვრილ ნამსხვრევებად ექცა, ფარი კი მიწაზე დაუვარდა. შავბნელი ღიმილით აჰყარა აპოლონმა მას სამკლავური. ევფორბოსმა, დაინახა რა პატროკლეს მდგომარეობა, კიდევ ერთი ჭრილობა მიაყენა. პატროკლე ჯერ კიდევ ცდილობდა, წინ ევლო, როცა ბრძოლაში მობრუნებულმა ჰექტორმა ერთი დარტყმით მოუსწრაფა სიცოცხლე.

ამასობაში ამ ადგილამდე მენელაოსმა მოაღწია და მოკლა ევფორბოსი (სხვათა შორის, თვით ფილოსოფოსი პითაგორა თვლიდა, რომ მასში ევფორბოსის სული გადმოსახლდა), მთელი ნადავლი დამსახურებულის იერით კარავში წაიღო, ხოლო ჰექტორს პატროკლესათვის საჭურვლის აყრა მიანება. შემდეგ მენელაოსი და დიდი აიაქსი ერთად გამოჩნდნენ და საღამომდე იცავდნენ აქილევსის ერთგული მეგობრის სხეულს, შებინდებისას კი გემებთან წაიღეს.

აქილევსმა რომ პატროკლეს სიკვდილის ამბავი შეიტყო, ორივე ხელით თავზე ნაცარი დაიყარა, რისგანაც სახე გაემურა და კეთილსურნელოვანი ქიტონიც გაუჭუჭყიანდა, თვითონ კი მიწაზე გაწვა, მტვერში, და თმებს იგლეჯდა მწუხარებისგან. მას მხარი აუბეს მისმა და პატროკლეს მსახურებმა და ტყვე ქალებმაც. ისინი მკერდში იცემდნენ ხელებს და დარდისაგან ფეხზე ძლივს იდგნენ. ქალღმერთ თეტისის ყურს მისწვდა შვილის მწარე მოთქმა-ტირილი. იგი ამ დროს თავისი მოხუცი მამის, ღმერთ პროტევსის გამოქვაბულში იმყოფებოდა, ზღვის სიღრმეში. გამოვიდა იგი ზღვიდან ამბის გასაგებად და თავის ძეს ჰკითხა:

— რად ტირი, შვილო ჩემო, რად დაიბუდა მწუხარებამ შენს გულში? ზევსმა ხომ შეგისრულა, რასაც სთხოვდი: ბერძნები საკუთარ ხომალდებამდე მივიდნენ და იგრძნეს, რაოდენ საჭირო ხარ მათთვის.

ღრმად ამოიოხრა და უპასუხა მას ფეხმარდმა აქილევსმა:



— დედაო ჩემო, კი შემისრულა ზევსმა, რაც ვთხოვე. მაგრამ განა შეიძლება მიხაროდეს, როცა ჩემი საყვარელი თანამებრძოლი პატროკლე დაიღუპა, რომელიც მეგობართა შორის ყველაზე მეტად მიყვარდა? მე ხომ იგი საკუთარი თავივით მიყვარდა, ახლა კი დავკარგე, ჰექტორმა მოკლა იგი და ჩემი შესანიშნავი საჭურველი აჰყარა, რომელიც ღმერთებმა პელევსს შენთან ქორწინების დღეს აჩუქეს. ო, ნეტა შენ ზღვის უკვდავ ქალღმერთთა შორის დარჩენილიყავი, პელევსს კი მოკვდავი ქალი შეერთო ცოლად! რამეთუ ველარ იხილავ მცირე ხანში შენს საყვარელ შვილს. ველარ დაბრუნდება იგი შინ, ვინაიდან გული მშვიდად ყოფნის საშუალებას არ მომცემს, ვიდრე ჰექტორს არ განგმირავს ჩემი შუბი და არ ვაზღვევინებ მენეტიოსის ძის — პატროკლეს მოკვლას.

თვალცრემლიანმა თეტისმა შვილს შეახსენა ბედისწერა, რომელიც ახლო აღსასრულს უწინასწარმეტყველებდა: ჰექტორის დაღუპვის შემდეგ ხომ მასაც მაშინვე სიკვდილი ეწერა.

— მაშ, დაე, ახლავე მოვკვდე, — უპასუხა აქილევსმა. იგი მწარედ ნანობდა საკუთარ რისხვას, რომელმაც საშუალება არ მისცა, პატროკლეს გვერდით ყოფილიყო ბრძოლაში. — მე აქ ჩემს ხომალდებთან ვზივარ და უსარგებლოდ ვამძიმებ მიწას, თუმცა აქაველთა შორის ვერავინ შემედრება მეომრობაში. დაე, შეწყდეს მტრობა ღმერთთა და კაცთა შორის და განქარდეს რისხვა, ბრძენთაც რომ აბრმავებს. ვაი, რომ ხანდახან თაფლზე უტკბესია იგი, როცა კაცთა გულებში აღიძვრის, იქ აალდება, აბოლქვდება,ვითარცა კვამლი. მორჩა, მე უკუვაგდებ ადრინდელ რისხვას და მივდივარ იმასთან შესახვედრად, ვინც საყვარელი მეგობარი დამიღუპა — ჰექტორია ჩემი მეტოქე. სიკვდილი კი მზად ვარ მაშინ მივიღო, როცა ზევსი და სხვა ღმერთები შემამთხვევენ.

ვინაიდან აქილევსს საჭურველი აღარ ჰქონდა, დედა შეჰპირდა, რომ ჰეფესტოს ახლის გამოჭედვას სთხოვდა და გეზი ოლიმპოსისკენ აიღო. ამასობაში კი ბერძნები უკან იხევდნენ და პატროკლეს გვამს ისევ საფრთხე ემუქრებოდა. ჰექტორი უკვე სამჯერ ეცადა მის ხელში ჩაგდებას და ფეხებშიც კი სწვდა წასართმევად, მაგრამ სამივეჯერ ორმა აიაქსმა უკუაგდო იგი. მაშინ ჰერამ, ზევ-

სისა და სხვა ღმერთებისგან ფარულად, ირისი გაგზავნა აქილევსთან, რომელმაც გმირს თხრილთან მოუხმო. აქილევსმა, რომელსაც, დედის თხოვნის გათვალისწინებით, დილამდე ბრძოლაში ჩაბმა არ უნდოდა, ირისს დაუჯერა და თხრილთან გამოვიდა. ათენამ მას მხრებზე ეგისი მოასხა და თავზე საოცარი ნათელი მოჰფინა. სამჯერ უკივინა აქილევსმა ტროელებს და სამივეჯერ არევდარევა შეიტანა მოწინააღმდეგეთა რიგებში ოდენ თავისი იერითა და ხმით. აწ კი საბოლოოდ დაეუფლნენ პატროკლეს სხეულს ბერძნები, საკაცეზე დააწვინეს და ტირილით შემოერტყნენ გარს. მათთან ერთად მწარე ცრემლებს ღვრიდა აქილევსიც, თავისი თანამებრძოლის მრავალი ნაჭრილობევის მხილველი.

მთელი ღამე დასტიროდნენ პატროკლეს. მისი გვამი განბანეს და ზეთით დაზილეს, მაგრამ აქილევსმა თავისიანებს შესთავაზა, არ დაემარხათ გვამი მანამ, სანამ თავად იგი, პატროკლეს უპირველესი მეგობარი, არ მოკლავდა ჰექტორს და თავის იარაღს არ დაიბრუნებდა. პატროკლეს დასაკრძალავ კოცონთან სიცოცხლეს გამოესალმება თორმეტი ტროელი ყმაწვილი, მანამდე კი ტროელი ქალები დღესა და ღამეს გაასწორებენ პატროკლეს დატირებაში.

*

როგორც კი ოკეანის ტალღებიდან ზაფრანისფერპეპლოსიანი ქალღმერთი ეოსი (აისი) წამოდგა, თეტისმა გემებს მიაღწია და აქილევსს ჰეფესტოსაგან საჩუქრად მოძღვნილი ახალი იარაღ-საჭურველი მოუტანა. შვილი მან პატროკლეს ცხედართან იპოვა, ცხარედ მოტირალი. მასთან ერთად ტიროდნენ მისი თანამებრძოლნიც. თეტისმა აქილევსს იარაღი გადასცა და პატროკლეს ცხედარი ნექტრითა და ამბროსიით დააბალზამა.

აქილევსმა ბელადები შემოიკრიბა. თავთავიანთ შუბებზე დაყრდნობით მივიდნენ კრებაზე დიომედესი და ოდისევსი. აგამემნონს ჯერ კიდევ იარა აწუხებდა. აქილევსმა შეკრებილთ განუცხადა, რომ მწარედ ნანობს თავის რისხვას, რომელიც



მრავალი აქაველის სიკვდილის მიზეზი გახდა, და აგამემნონს შეურიგდა.

შეკრების მონაწილეთა წინაშე აგამემნონის მიერ მოძღვნილი ძვირფასი საჩუქრები დააწყვეს: სამკაულები, დიდებული ჭურჭელი, აქვე მოიყვანეს თორმეტი შესანიშნავი ულაყი, აგრეთვე შვიდი ტყვე ქალი, რომლებიც ხელსაქმის ცოდნით იყვნენ გამორჩეულნი; მშვენიერი ბრისეისი მერვე იყო. წამოდგა აგამემნონი, შესწირა მსხვერპლი და ხელაპყრობილმა შეჰფიცა ზევსს, რომ ხელი არ უხლია ბრისეისისთვის, სანამ ის მასთან იმყოფებოდა. საჩუქრები აქილევსის კარავში წაიღეს, ძვირფასეულობა იქვე დააწყვეს, ქალები დასხეს, ხოლო ულაყები აქილევსის ცხენების რემას შემატეს. კარავში ოქროვანი აფროდიტეს მსგავსი მშვენიერი ბრისეისიც მოვიდა და როცა ჭრილობებით დასერილ პატროკლეს ცხედარს მოჰკრა თვალი, ხმამაღლა შეიცხადა. მკერდ-კისერსა და მშვენიერ ლაწვებს იხოკდა იგი და ტირილით ამბობდა: „ო, პატროკლევ, რომელიც მე, საცოდავს, ყველაზე მეტად მიყვარდი, შენ ცოცხალი იყავი, როცა მე აქედან მივდიოდი, ახლა კი, როცა დავბრუნდი, მკვდარი გიხილე, ხალხთა ბელადო! მუდამ გიგლოვებ მე, რამეთუ შენ ყოველთვის კეთილად მეპყრობოდი!“

მოვიდნენ ხალხის რჩეული უხუცესები და შეეცადნენ, დაერწმუნებინათ აქილევსი, ეჭამა რამე, მაგრამ მან იუარა. მის გვერდით დარჩა ორივე ატრიდი, ოდისევსი, ნესტორი, იდომენევსი და ფენიქსი. აქილევსი კვლავ დასტიროდა პატროკლეს: „უფრო მეტად როდი ვიდარდებდი, ფთიაში მყოფი მამაჩემის გარდაცვალების ამბავი რომ შემეტყო, ჩემს თავს მონატრებული ცრემლებს რომ ღვრის ამჟამად“.

ასე ამბობდა იგი მოთქმით. მოხუცებიც ოხრავდნენ, რადგან აგონდებოდათ ყოველივე ის, რაც თავთავიანთ სახლებში დატოვეს. დაინახა ისინი კრონოსის ძემ და შეეცოდა. ათენა გაუგზავნა. ღმერთქალმა აქილევსს ნექტრითა და ამბროსიით დაუნამა გულმკერდი, რათა შიმშილისაგან არ დაუძლურებულიყო.

## 9 ჰექტორის სიკვდილი

ამასობაში ზევსმა თეტისს ღმერთების მოხმობა უბრძანა. ყველანი ზევსის ტაძარში შეეკრიბა ქალღმერთს. ოკეანოსის გარდა ყველა მოსულიყო აქ, არავინ დარჩენილა – არც ნაკადები, არც მდინარეები, არც მშვენიერი ჭალების, წყაროებისა და აყვავებული მდელოების ბინადარი ნიმფები. ზევსმა განუცხადა ყველას, რომ ახლა მათ შეეძლოთ ტროას ბრძოლის ველზე წასულიყვნენ და თავ-თავიანთ რჩეულებს დახმარებოდნენ. თვითონ კი – ასე გადაწყვიტა – ოლიმპოსზე დარჩება და იქიდან უთვალთვალებს ბრძოლის სურათს. გაემართნენ ღმერთები და ქალღმერთები. ჰერა, ათენა პალასი, პოსეიდონი, ჰერმესი და ჰეფესტო ბერძნებს ამოუდგნენ მხარში, ხოლო არესი, აპოლონი, არტემისი, ლატონა, მდინარის ღმერთი ქსანთოსი და აფროდიტე ტროელებს ეხმარებოდნენ.

როცა ღმერთები მიწაზე დაეშვნენ, ბერძნები უკვე იმარჯვებდნენ, ვინაიდან აქილევსი ჩამდგარიყო მათ რიგებში.

გმირი მხოლოდ ჰექტორს ეძებდა, მაგრამ აპოლონმა მის წინააღმდეგ ენეასი გამოიყვანა. ღმერთებმა უკან დაიხიეს და ასე ადევნებდნენ თვალყურს ორი ქალღმერთის მოკვდავ ვაჟებს: თეტისის ძეს – აქილევსსა და აფროდიტეს ძეს – ენეასს. ხოლო როცა მათ შენიშნეს, რომ აქილევსი საცაა მოკლავდა ენეასს, საქმეში პოსეიდონი ჩაერია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოველთვის ბერძენთა მხარეზე იყო. „მოდით, ენეასი სიკვდილს გადავარჩინოთ, გაგვირისხდება კრონოსის ძე, თუკი მოკლავს მას აქილევსი. მას ხომ, ბედისწერის მიხედვით, ამ ომში გადარჩენა უწერია, რათა უშთამომავლოდ არ დარჩეს და უკვალოდ არ გაქრეს დარდანოსის გვარი, დარდანოსისა, რომელიც ყველა მოკვდავზე მეტად უყვარდა ზევსს; პრიამოსის გვარი კი სძულს კრონიდს, ამიტომაც იგი მოსპობს მას. ასე რომ, ამიერიდან ენეასი და მისი შთამომავალნი იქნებიან ტროელთა მმართველები თაობიდან თაობამდე".



*

აჰა, გარბიან აქილევსის მიერ ძლეული ტროელები. და როცა მათ მორევუხვ მდინარე ქსანთოსს მიაღწიეს (ასე უხმობდნენ ღმერთები სკამანდროსს), მყის გადაეშვნენ წყალში კალიებივით, მინდვრებში მოციზგიზე ცეცხლს რომ გაურბიან. თავად ქსანთოსმა კი, ღრმა და ბობოქარი მდინარის ღმერთმა, ეს მეტისმეტად მიიჩნია და, სიღრმეებიდან მამაკაცის სახებით აღმდგარმა, აქილევსს მიმართა:

– აქილევს, არავინაა შენზე ძლიერი და გაბედული. თუკი კრონოსის ვაჟმა ყველა ტროელის ამოხოცვის ნება დაგრთო, მოდი, ეგ საქმე ჩემი წყლიდან ამოსვლის შემდეგ დაასრულე. ჩემი მშვენიერი ტალღები გვამებითაა დახუნძლული და აღარ ძალმიძს ჩემი წყლების ღვთაებრივ ზღვაში გადაღვრა, რადგან მკვდარი სხეულები მილობავენ გზას. შენ კი განაგრძობ საშინელ მკვლელობებს. კმარა, იყუჩე. გაკვირვება და შიში მიპყრობს, როდესაც შენ, ხალხთა ბელადს, გიყურებ.

უსმინა აქილევსმა ნაკადის ჩუხჩუხს:

– დე, ისე იყოს, როგორც ბრძანებ, ღვთაებრივო სკამანდროს.
– მაგრამ ბრძოლის ჟინს კვლავ წინ მიჰყავდა იგი, მას არ ძალუძდა გაჩერება, სანამ ტროელებს ქალაქამდე არ მირეკავდა, რათა იქ ჰექტორს დატოლებოდა ძალ-ღონით.

მდინარის ღმერთმა მთელი ძალა მოიკრიბა და შეეცადა, შეეჩერებინა გმირი. მან ღრიალით იწყო წყლიდან გვამების ამოგდება; აზვითრდა და ტალღები აქილევსის თავზე აღმართა. ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა გმირს, იქვე მდგომ უზარმაზარ თელას ჩასჭიდა ხელი, მაგრამ ჩამოიქცა მდინარის ნაპირი და წაქცეული ხის ვარჯმა მდინარე გადაღობა. ახლა წაქცეულ ხეს ჩაეჭიდა აქილევსი და რის ვაი-ვაგლახით ამოაღწია ნაპირს. მაგრამ მდინარე არ ცხრებოდა და თავისი შავი ტალღებით გმირის დანთქმას ლამობდა. პოსეიდონმა და ათენა პალასმა იხსნეს იგი განსაცდელისგან. სკამანდროსი მაინც არ ცხრებოდა, მან დასახმარებლად თავის ძმას, მდინარე სიმოისს მოუხმო და ახალი ძალით შეუტია აქილევსს, მაღლა აღმართა ტალღები, ქაფი და სისხლი შეაფრქვია

და გვამები დაუშინა. კიდევ წამი და ნაკადი შთანთქავდა სახელოვან ბერძენ გმირს, მაგრამ ჰერამ თავისი კოჭლი ვაჟი ჰეფესტო გამოგზავნა მიწაზე, რათა ცეცხლით დაეშოშმინებინა ნაპირებიდან გადმოსული მდინარე. ცეცხლმა ძალა დაუშრიტა ნაკადს და მაშინ პირობა დადო სკამანდროსმა, რომ შეწყვეტდა აქილევსის დევნას და აღარ დაეხმარებოდა ტროელებს, თუნდაც ტროა ალმოდებული ეხილა.

აჰა, ქალაქთან არის უკვე აქილევსი. მიერეკება ტროელებს, რომელთათვისაც პრიამოსს გადასარჩენად ქალაქის კარიბჭე გაეღო.

მხოლოდ ჰექტორი არ შესულა ქალაქში. იგი, დამღუპველი მოირას (ბედისწერის) მიერ დაბორკილი, სკეას ჭიშკართან დგას.

პრიამოსმა, პირველ ყოვლისა, მოახლოებული აქილევსი შენიშნა, მერე ჰექტორიც დალანდა და შვილს ხელები გაუწვდინა ვედრებით. ტირილით უხმობდა მას ჰეკაბეც, მაგრამ ჰექტორს აღარაფერი ესმოდა.

აჰა, მიუახლოვდა მას შუბშემართული აქილევსი, შედრკა ჰექტორი, გაიქცა, დაედევნა მას აქილევსი, სამჯერ შემოურბინეს ტროას კედლებს. ბოლოს თხოვნით მიმართა მას ჰექტორმა, – თანხმობა სთხოვა, დაე, გამარჯვებულმა საჭურველი აჰყაროსო დამარცხებულს, სხეული კი ახლობლებს დაუთმოს.

– ნურაფერს მეტყვი შეთანხმებაზე! ისევე, როგორც ადამიანებსა და ლომებს შორისაა შეუძლებელი მოლაპარაკება; ისევე, როგორც ვერ მორიგდება მგელი და ცხვარი, ვინაიდან მათ მუდამ ერთურთის დაღუპვა სურთ, ასევე მეც ვერ მოვიძიებ შენთვის მეგობრულ სიტყვას და შეუძლებლად მიმაჩნია ჩვენს შორის რაიმე გარიგება, სანამ ორივენი ცოცხლები ვართ. ახლა კი მთელი შენი ძალ-ღონე მოიკრიბე, იცოდე, აწ უკვე ველარ გადამირჩები. ათენა პალასი განგგმირავს ჩემი შუბით, ასე რომ, შენ ახლავე ზღავ ყველაფრისთვის, შენს მიერ მოკლული ჩემი თანამებრძოლების მოკვლისთვის! – და აქილევსი უკვე შუბით ეძებს ადგილს, რომელსაც ყველაზე ნაკლებად იცავს ჰექტორის მიერ პატროკლესაგან მოპოვებული აბჯარი. ძლივსლა თრთის სიცოცხლე ჰექტორის სხეულში,



ის კი ისევ სთხოვს აქილევსს, რომ მისი ცხედარი დედ-მამას გადასცეს, რომელნიც გამოსასყიდს მისცემენ, სთხოვს, რომ მისი გვამი საჯიჯგნად არ მისცენ ძაღლებს, არამედ ტროელმა კაცებმა და ქალებმა დაწვან კოცონზე. მაგრამ კლდესავით უდრეკია ამ თხოვნათა მიმართ აქილევსი. და მაშინ, როს მოაწია სიკვდილმა, უთხრა მას ზუჩმოელვარე ჰექტორმა:

– გეშინოდეს ღმერთებისა, აქილევს, ვაითუ განგირისხდნენ ჩემს გამო. დადგება დღე, როცა პარისი და აპოლონი, რაგინდ დიდი გმირი იყო, შენც მოგკლავენ სკეას ჭიშკართან!

აქილევსმა ყური არ ათხოვა ამ წინასწარმეტყველებას.

– მოკვდი! მე კი მაშინ მივიღებ ჩემს სიკვდილს, როცა ზევსი და სხვა ღმერთები შემამთხვევენ.

საზარლად შეურაცხყო აქილევსმა ჰექტორის ცხედარი. ორივე ფეხი კოჭებში გაუხვრიტა, ქამარი გაუყარა და ეტლს მიაბა. მისი მშვენიერი თავი მიწაზე დატოვა, რათა მტვერში ეთრია. მათრახი შემოჰკრა ცხენებს, რომელთაც გვამგამობმული ეტლი ხომალდებისკენ გააქანეს. გალავანზე მდგომი ჰექტორის დედ-მამა ხედავდა, როგორ ამოიგანგლა მტვერში მათი შვილის თავი. დედამისი თმებს იგლეჯდა. შორს მოესროლა მას მანდილი და შვილის შემყურე მწარედ მოთქვამდა. მოთქვამდა მამაც, რომელიც ძლივს შეაკავეს, რომ აქილევსთან მუდარით არ მიჭრილიყო. საზარელ ტირილს მოეცვა მთელი ქალაქი. მისი ხმა ანდრომაქეს ყურსაც მისწვდა. ქალი მანამდე შინ იჯდა და ქსოვდა. ის-ის იყო, თმამშვენიერი მსახური ქალებისთვის ებრძანებინა, თბილი წყალი მოემზადებინათ, რომ ბრძოლიდან შინ დაბრუნებულ ჰექტორს განბანის საშუალება ჰქონოდა.

მენადის დარად გავარდა კედელთან, მსახური ქალები უკან მიჰყვნენ. ოდეს იხილა ანდრომაქემ აქილევსის ეტლზე გამობმული ქმრის პატივაყრილი სხეული, ჩამოიხსნა ყველანაირი სამკაული, აგრეთვე მანდილი, რომელიც აფროდიტეს ეჩუქებინა მისთვის იმ დღეს, როცა ჰექტორმა მშობლიური სახლიდან წაიყვანა. ცნობამიხდილი მიწაზე დაეცა. პრიამოსის სხვა რძლები შემოეხვივნენ. გონს რომ მოეგო, ანდრომაქე მოთქმით ატირდა, ასე ამბობდა:

— ვაი მე, ჰექტორ, რამეთუ ერთნაირი ბედისთვის გაჩენილვართ: შენ — ტროაში, პრიამოსის სასახლეში, მე კი — თებეში, ტყით შებურული პლაკოსის კალთებზე, მეფე ეეტიონის სახლში. ბავშვობის ასაკიდან მზრდიდა იგი, მაგრამ ვაი, რომ ოდენ მწუხარებისა და უბედობისთვის. ო, ნეტა საერთოდ არ დავბადებულიყავ! შენ ახლა მიწისქვეშ, ჰადესის სამფლობელოში მიემართები, მე კი აქ, ჩვენს სახლში მტოვებ ქვრივად უნუგეშო მწუხარებისთვის. ჩვენი ბიჭი, შვილი ჩვენი, ჯერ სულ პატარაა. ამიერიდან ვეღარ გიხილავ შენ მის გვერდით, ვეღარ იხარებთ თქვენც ერთმანეთით. თუ გადაურჩა აქაველთა მოტანილ ნგრევას, რომელსაც ამდენი ცრემლი მოჰყვა, მაშინაც მხოლოდ უბედურება და ტანჯვა იქნება მისი ხვედრი, ვინაიდან მის მიწებს სხვა პატრონები მოხნავენ. ობლობა უამხანაგობას უწყობს ხელს, მთლად გაურკვეველია მისი ბედი, ცრემლებითა აქვს დანამული საცოდავს სახე. დაეხეტება იგი, მამამისის ხან ერთ, ხან მეორე მეგობართან მიდის, ხელით ეხება მათ ტანისამოსს: იქნებ რომელიმე მათგანს შეებრალოს და მცირე ხნით თასი გაუწოდოს. ტუჩების გასველებას კი მოახერხებს, მაგრამ ვაი, რომ სასამღეც ვერ მიაღწევს ღვინო. რომელიმე მდიდარი გააგდებს ყმაწვილს ნადიმიდან, თან ხელს აღმართავს მასზე და წყრომით ეტყვის, წადი, მოგვშორდი, მამაშენი ჩვენთან ერთად არ ნადიმობსო. თვალცრემლიანი დაუბრუნდება თავის ქვრივ დედას ასტიანაქსი, რომელიც ადრე ძვირფასი მამის მუხლებზე ჭამდა საუკეთესო ნაჭერს, ძვლის ტვინს, ცხვრის ქონსა და ლორს...

ასე ჩიოდა და დასტიროდა ანდრომაქე საკუთარ ქმარს და მხარს უბამდნენ მას ქალები.

## პატროკლეს დაკრძალვა

ქვიშა დაელტო მირმიდონელთა ცრემლებს, სანამ ისინი აქილევსის თაოსნობით დასტიროდნენ პატროკლეს. ხოლო როცა ღამით ზღვის ნაპირზე, ღია ცის ქვეშ წამოწვა აქილევსი მოსასვენებლად, ჩაეძინა თუ არა, პატროკლეს სული გამოეცხადა: ნაცნობი გარეგნობა, მშვენიერი თვალები, პატროკლესას რომ ჰქავდა, იგივე ტანისამოსი,



რასაც სიცოცხლეში ატარებდა. თავთით დაუდგა აქილევსს პატროკლეს სული და უთხრა:

— შენ ჩაგეძინა, აქილევს, და აღარ ფიქრობ ჩემზე. ჩემზე ცოცხალზე უფრო მეტად ფიქრობდი შენ, ვიდრე ამჟამად — მკვდარზე. მალე დამკრძალე, რათა შევძლო ჰადესის ჭიშკრის გავლა. ეს-ესაა, სულებმა, მკვდართა აჩრდილებმა, გამაგდეს და ნება არ დამრთეს, გადავსულიყავ მდინარეზე და გავრეულიყავ მათში. და აი, ასე უმიზნოდ დავეხეტები ჰადესის საბრძანებლის უზარმაზარ კარიბჭესთან. შენც ხომ ტროასთან დაღუპვა გიწერია ბედად. მაშ, დაე, ჩვენი ძვლები გვერდიგვერდ დააწყონ. როგორც გვერდიგვერდ ვიზრდებოდით თქვენს სასახლეში, ასევე, დაე, ერთმა ოქროს ურნამ შეინახოს ჩვენი ფერფლი.

ხელები გაიწვდინა მისკენ აქილევსმა, სურდა გადახვეოდა, მაგრამ ვერ შეძლო. პატროკლეს სული კვამლის მსგავსად გაუჩინარდა მიწის ქვეშ. კვნესით გამოეღვიძა გაოგნებულ აქილევსს, ხელები გაასავსავა და წარმოთქვა:

— მაშასადამე, ჰადესის სამეფოში სულები და აჩრდილები სახლობენ, მაგრამ უსიცოცხლონი არიან ისინი! საცოდავი პატროკლეს სული ხომ მთელი ღამე თავს მადგა, ტიროდა, ჩიოდა და განკარგულებებს მაძლევდა.

ასე თქვა და ყველანი ატირდნენ. ასეთ ყოფაში წაადგათ თავს ვარდისფერთითება ეოსი-განთიადი. აგამემნონის განკარგულებით, ბორცვი აღმართეს იდას მთაზე მოჭრილი ხეებისგან და ზედ პატროკლეს ცხედარი დაასვენეს. შემდეგ მრავალი ცხვარი და ხარი დაკლეს, ქონები ამოაჭრეს და აქილევსმა ეს ქონები პატროკლეს ცხედრის ირგვლივ დააწყო, გატყავებული ცხოველები კი ბორცვის ირგვლივ დაალაგეს. მიცვალებულის სარეცელს აქილევსმა თაფლითა და ზეთით სავსე ჭურჭელი მიუღაგა. ოთხი ქედმაგარი ულაყი და თავისი ცხრა საყვარელი ძაღლიდან ორი დაკლა აქილევსმა და კოცონზე დაყარა. თორმეტი ტროელი ჭაბუკი მოკლა მან და კოცონი „შეამკო“ მათი გვამებით. შემდეგ მოთქმით ატირდა აქილევსი და თავის მეგობარს მოუწოდა:

– ჰადესში მყოფს მოგესალმები, პატროკლე, გიხაროდეს, რამეთუ ყველაფერი დაპირებისამებრ შეგისრულე. შენთან ერთად თორმეტ ტროელ ჭაბუკს – ტროელ გმირთა ძეებს – შთანთქავს ცეცხლი, ხოლო ჰექტორს მე ცეცხლის ლუკმად როდი ვაქცევ, – ძაღლებს შევაჭმევ.

ასე იმუქრებოდა აქილევსი, მაგრამ ჰექტორს ძაღლები როდი შეეხნენ, რადგან აფროდიტე დღედაღამ იცავდა მის გვამს. მან ამბროსიული ზეთით დაუზილა ტანი, რათა არ დამჩნეოდა ის იარები, რომლებიც აქილევსის ეტლზე მიბმულმა ცხედარმა მიწაზე თრევისგან მიიღო. ხოლო აპოლონმა შავი ღრუბელი დაუშვა მიწაზე იმ ადგილას, სადაც ჰექტორის ცხედარი იდო, მზის სხივებისგან დასაცავად.

ცეცხლი არა და არ ეკიდებოდა პატროკლეს დასაკრძალავ კოცონს. მაშინ აქილევსმა ლოცვით მიმართა ჩრდილოეთის ქარს, ბორეასს, ასევე ქარს, დასავლეთიდან რომ უბერავს – ზეფიროსს და მსხვერპლის შეწირვას დაჰპირდა, თუკი ისინი კოცონს დაანთებდნენ თავიანთი ღვთიური სულის შებერვით. მსწრაფლ მოიქროლა ორმა ქარმა ტროასთან, ეცნენ კოცონს და მაშინვე ატკაცუნდა ცეცხლი. მთელი ღამე სულის შებერვით ცეცხლს შემწეებად ადგა ორი ქარი, აქილევსი კი მთელი ღამე ხაპავდა ზედაშეს ოქროს თასიდან, მიწაზე ანთხევდა და საწყალობელი პატროკლეს სულს მოუწოდებდა. როგორც ვაჟიშვილის დამტირებელი მამა, ისე მოთქვამდა აქილევსი, როცა თავისი მეგობრის ძვლებს წვავდა, ნელა უვლიდა გარს კოცონს და მწარე ცრემლებსა ღვრიდა.

დილით კოცონი ღვინით ჩააქრეს, ოქროს ჭურჭელში მოაგროვეს პატროკლეს ფერფლი, ზედ მომცრო ბორცვი აღმართეს, რათა შემდგომ, როცა აქილევსი მოკვდებოდა, ცოცხლად გადარჩენილ ბერძნებს მათზე ორივეზე აღემართათ მაღალი და ფართო სამარხი ყორღანი.

შემდეგ აქილევსმა პატროკლეს ხსოვნის პატივისაცემად ასპარეზობა გამართა და გამარჯვებულნი უხვად დააჯილდოვა. ეტლებით რბოლის, მუშტი-კრივის, ჭიდაობის, სირბილის, ფარიკაობის, დისკოს ტყორცნისა და ისრის მიზანში სროლის შემ-



დეგ შუბის სროლის ჯერი დადგა. ამ დროს გამოჩნდა აგამემნონი და აქილევსმა შეჯიბრის დაწყებამდე მას არგუნა პირველი ჯილდო: „ატრევსის ძევ, ჩვენ ყველამ ვუწყით, რომ შენ საუკეთესო ხარ“.

## როგორ გამოისყიდეს და დაკრძალეს ჰექტორის ცხედარი

ჯერ კიდევ მწუხარე აქილევსმა ცისმარე დილით ჰექტორის ცხედარი ეტლს მიაბა და სამჯერ შემოატარა პატროკლეს საფლავის ირგვლივ. მაგრამ აპოლონი ოქროს ეგისით იცავდა სხეულს გახრწნისა და დაზიანებისგან. სხვა ღმერთებსაც ეცოდებოდათ ჰექტორი და ამიტომ ზევსმა ჰერმესს მისი სხეულის გატაცება უბრძანა. მაგრამ ვინაიდან ჰერა, პოსეიდონი და ათენა კვლავ მრისხანებდნენ ტროელებზე, ეს არ მომხდარა. მეთორმეტე დღეს ღმერთების შეკრებაზე აპოლონმა კვლავ მიმართა სიტყვით ოლიმპიელებს და ზევსმა ამჯერად გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ჰექტორის ცხედრის შეურაცხყოფისთვის: მიუხედავად იმისა, რომ ზევსი კეთილგანწყობილი იყო ქალღმერთ თეტისის ვაჟის, აქილევსის მიმართ, ღმერთებს ჰექტორიც უყვარდათ. მყის თვისთან იხმო ზევსმა თეტისი. ირისმა გამოიხმო იგი ზღვის სიღრმიდან. ქალღმერთი იმ დროს თავის მოკვდავ ვაჟს დასტიროდა და რცხვენოდა ბედნიერ ღმერთებთან გამოჩენისა, მაგრამ რახან ზევსი ეძახდა, ეახლა ოლიმპიელთა დასს.

ასე მიმართა მას მეუფემ კაცთა და ღმერთთა:

– ვუწყი, რომ ოლიმპოსზე ღრმა მწუხარებით შეპყრობილი მოსულხარ, თეტის, და რომ შენს გულში უნუგეშო ნაღველს ატარებ. მაგრამ მაინც გეტყვი, თუ რისთვის გიხმე. ცხრა დღეა უკვე, რაც ქიშპია უკვდავთა შორის. ჰექტორის ცხედრის და ქალაქთმმუსვრელი აქილევსის გამოა დავა. ზოგი მათგანი უკვე ჰერმესს აქეზებს გვამის მოსატაცებლად. მაგრამ მე ვბრძანე, რომ ცხედრის გადაცემის პატივს თავად აქილევსს ვანიჭებ, რადგან პატივს ვცემ და კვლავ ვადასტურებ ჩემს შენდამი სიყვარულს და კეთილგანწყობას. წადი, იჩქარე, შენს ვაჟიშვილს გადაეცი ჩემი ბრძანება. ასე

უთხარი, მრისხანებენ მასზე ღმერთები და თავად მე ვარ სხვებზე უფრო რისხვით აღსავსე იმის გამო, რომ ბრმა სიძულვილს მორჩილებს იგი და ჰექტორის გვამს თვის ახლობელთ აღარ უბრუნებს. მე კი პრიამოსს კეთილშობილ ირისს ვუგზავნი, რათა ბერძნების გემებისკენ გაეშუროს, იქ აქილევსს საჩუქრებით გული მოულბოს და თავისი ვაჟი ამდაგვარად გამოისყიდოს.

დაემორჩილა მას თეტისი, ოლიმპოსის მწვერვალიდან დაეშვა, შვილის კარავში შევიდა, გვერდით დაუდგა. ნაზად შეახო ხელი, დაუძახა და ასე უთხრა:

– შვილო ჩემო, როდემდე უნდა იყო ცრემლებისა და დარდისაგან სულგათანგული, როდემდე უნდა იყო პურისა და ქალის გარეშე? შენ ხომ აღარ იცოცხლებ ცოტა ხნის შემდეგ: უკვე ახლოა შენი სიკვდილი და ყოვლისშემძლე ხვედრი. – და ზევსის დანაბარები გადასცა.

პასუხად უთხრა აქილევსმა:

– ასეც იქნება. დე, მოიტანონ გამოსასყიდი და მიიღონ ცხედარი, თუკი ასე ითხოვს თავად ოლიმპიელი.

ირისმა ზევსის ბრძანება პრიამოსსაც გადასცა. ამაოდ ცდილობდა მოხუცებული მეფის შეჩერებას ჰეკაბე. პრიამოსმა აილო აქილევსისთვის განკუთვნილი ძვირფასეულობა, ბრძანა ეტლში ცხენების შებმა და ერთადერთი მსახურის, იდევსის თანხლებით გაუდგა გზას.

გავაკებულზე ჰერმესი შემოხვდათ, მაგრამ მათ ღმერთი ვერ შეიცნეს. ჰერმესს დიდებული ბერძენი ჭაბუკის სახე მიეღო, რომელიც თბილად მიესალმა, რადგან პრიამოსის გარეგნობას მისთვის ვითომ თავისი მოხუცი მამა მოეგონებინოს. ჰერმესმა დარაჯებს ძილი მოჰგვარა და ბერძენთა ბანაკზე გავლით მიაცილა ისინი ისე, რომ არავის შეუნიშნავს. როცა აქილევსის კარავს მიუახლოვდნენ, ჰერმესმა უზარმაზარი ჭიშკარი გააღო, რომელსაც, როგორც წესი, სამი მსახური აღებდა. მარტო აქილევსს შეეძლო, სხვის დაუხმარებლად გაეღო იგი. მხოლოდ ამის შემდეგ გაუმჟღავნა ჰერმესმა პრიამოსს თავისი ვინაობა და გაუჩინარდა, რათა არავის ეხილა მისი მეგობრული შეხვედრა მოკვდავთან.



პრიამოსი პირდაპირ აქილევსისკენ გაემართა, მუხლებზე შემოეხვია და ხელები დაუკოცნა, ის ხელები, რომლებმაც მისი ამდენი ვაჟიშვილი გამოასალმა სიცოცხლეს. და თქვა ვედრებით:

– ჩემი ძის გამო მოვედი მე ბერძენთა გემებთან; მისი ცხედრის მისაღებად მდიდრული გამოსასყიდი მოვიტანე. შენ კი, აქილევს, იყავი ღმერთთა მოშიში, შეიბრალე მოკლული. გაიხსენე მამაშენი. მე ხომ მასზე უბედური ვარ, ვინაიდან იმას ვაკეთებ, რასაც სხვა ვერავინ იზამდა დედამიწის ზურგზე: ჩემი შვილის მკვლელს ხელებს ვუკოცნი.

გულამომჯდარი ატირდა აქილევსი. ცრემლები მოერია პრიამოსსაც. ორთავეს ჰყავდა დასატირი: ჰექტორს დასტიროდა პრიამოსი, თავის მამასა და პატროკლეს – აქილევსი. თბილად წამოაყენა მოხუცი აქილევსმა, შეებრალა მისი თეთრი წვერი და ჭაღარა თავი. იცოდა, რომ ოდენ რომელიმე ღმერთთაგანს შეეძლო მოეყვანა პრიამოსი ბერძენთა ბანაკის გავლით, ოდენ ღმერთს შეეძლო გაეღო მისთვის უზარმაზარი ჭიშკარი. გაახსენდა ზევსის ბრძანებაც, რომელიც თეტისს გადაეცა მისთვის. თანაგრძნობით თქვა აქილევსმა:

– რას იზამ, ისეართავენ ღმერთები მოკვდავთა ბედისწერის ძაფებს, რომ უბედურება მუდამ თან ახლავს მათ ცხოვრებას. ღმერთები კი მუდამ უზრუნველნი არიან. ზევსის სასახლის ზღურბლზე ხომ ორი ჭურჭელი დგას: ერთი – ოდენ უბედობით, მეორე კი – სიხარულით სავსე. ის ადამიანი, რომელსაც ელვისმტყორცნელი ზევსი შერეულ საბოძვარს აძლევს ორივე ჭურჭლიდან, ხან მხიარულია და ხან – მწუხარე. ხოლო ვისაც ოდენ უბედურებით სავსე ჭურჭლიდან შეხვდება, თავლაფდასხმული, მშიერ-მწყურვალი დაეხეტება დედამიწის ზურგზე. ასე ხვდა წილად პელევსს დაბადებიდან მშვენიერი საბოძვარი, უბედნიერესი იყო იგი კაცთა შორის, მდიდარი იყო და მირმიდონელებს მართავდა. მას, მოკვდავს, ღმერთებმა ცოლად შერთეს ქალღმერთი. მაგრამ სწორედ ყოველივე ამისთვის დაატეხეს ღმერთებმა დარდიც: არ უშვია მას თავის სასახლეში სამეფო გვარის მრავალრიცხოვანი მემკვიდრენი. ერთადერთი შვილი ჰყავს და იმასაც

ნაადრევი სიკვდილი ელის. არ ძალმიძს მე მისი, მოხუცის, მოვლა-პატრონობა, ვინაიდან სამშობლოდან შორს, ტროაში ვიმყოფები და მწუხარებას გგვრით შენ და შენს შვილებს. შენზეც ასე გვსმენია, მოხუცო, რომ ადრე ბედნიერად ცხოვრობდი. ყველა მიწა ლესბოსის ჩრდილოეთით და ფრიგიასა და ჰელესპონტოსს შორის შენი ყოფილა. ამბობენ, არავის შეეძლო გაგტოლებოდა სიმდიდრითა და ძეთა სიმრავლით. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბედმა და ზეციერებმა ზურგი გაქციეს, შენი ქალაქის ირგვლივ განუწყვეტელი ბრძოლები და ხოცვა-ჟლეტაა. რას იზამ, გული გაიმაგრე, ნუ ტირი განუწყვეტლივ, რადგან ამით ვერაფერს უშველი; მწუხარებით ვერ შეძლებ შენი ვაჟიშვილის გაცოცხლებას, მე კი შენდამი უსიამოდ განმაწყობ. – ასე უთხრა აქილევსმა, რომელსაც აღარ შეეძლო პრიამოსის ქვითინის მოსმენა. მან სავარძელში ჩასვა პრიამოსი მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელს დაჯდომა არ უნდოდა, სანამ მისი ძის ცხედარი გამოუსყიდავი იდო მტრის ბანაკში. ოდენ აქილევსის დაჟინებულმა სიტყვებმა აიძულეს პრიამოსი, ესმინა მისი და დამჯდარიყო. აქილევსი კი გავიდა და განკარგულება გასცა ჰექტორის სხეულის თაობაზე.

პრიამოსთან რომ დაბრუნდა, განუცხადა, რომ მისი ვაჟის სხეული უკვე სასიკვდილო სარეცელზე განისვენებს და ხანშესულ მეფეს საჭმელი შესთავაზა. პირველად გაუსინჯა საჭმელს გემო პრიამოსმა შვილის სიკვდილის მერე. გაკვირვებულნი იყვნენ ერთმანეთით თანამეინახენი: პრიამოსი – აქილევსის სილამაზითა და გიგანტური აღნაგობით, აქილევსი კი – პრიამოსის კეთილშობილი გარეგნობითა და მეტყველების სინატიფით. ჰექტორის სიკვდილის შემდეგ პრიამოსს ჯერ არც ერთხელ არ მოეხუჭა თვალი; საკუთარი ეზოს მტვერშიღა იწვა ხოლმე ძილმიუკარებლად. ახლა კი უკვე დამშვიდებულიყო იგი. აქილევსის მსახურებმა საწოლი დაუგეს გარეთ, კარვის წინ, რათა არ დაენახათ ბერძენთა ბელადებს, რომლებიც შეიძლება აქილევსთან მოსათათბირებლად მოსულიყვნენ. მაგრამ სანამ დასაძინებლად დაწვებოდნენ, აქილევსმა პირობა მისცა პრიამოსს, რომ თერთმეტი დღე დაიცავდა ზავს, რათა ამ ხნის განმავლობაში ტროელებს უსაფრთხოდ შეძლებოდათ დასაკრძალავი კოცონისთვის ტყეში ხეების მოჭრა, ჰექტორის დატირება, დაკრძალვა და საფლავის ბორცვის აღმართვა.



შემდეგ მათ დაიძინეს: პრიამოსმა და მისმა მსახურმა – შიკრიკმა – კარვის წინ, აქილევსმა კი – კარავში.

მაგრამ დიდხანს არ უძინია პრიამოსს. ჰერმესი წარუდგა მას, გააღვიძა, ეტლში ცხენები შეაბა და პრიამოსი მსახურითურთ ბერძენთა ბანაკიდან გაიყვანა. ხოლო როცა მდინარე ქსანთოსის ფონს მიუახლოვდნენ, ჰერმესი ოლიმპოსს დაუბრუნდა. ზაფრანისფერსამოსიან განთიად-ეოსს იმ დროისათვის მთელი დედამიწა გაენათებინა. პრიამოსი და მსახური ჰექტორის ცხედრით შევიდნენ ქალაქში. პირველმა პრიამოსის ქალიშვილმა, კასანდრამ დაინახა ისინი ციხესიმაგრიდან. სწორედ მან უხმო ხალხს ცხედრის დასახვედრად. ყოველი მხრიდან მოგროვდნენ ტროელები, ძლივს გააღწია ამხელა ბრბოში თავისი ეტლით პრიამოსმა. სახელგანთქმულ სასახლეში შეიტანეს და სასიკვდილო სარეცელზე დაასვენეს ცხედარი. ირგვლივ მომღერლები შემოუსხეს, რომელთაც სევდიანი სიმღერები დააკვნესეს. მღეროდნენ ისინი, ქალები კი ტირილს აყოლებდნენ. ხელებქათქათა ანდრომაქემ წამოიწყო ტირილი. ქმარსა და თავის მცირეწლოვან ვაჟს დასტიროდა, რომელიც შესაძლოა რომელიმე უწყალო ბერძენს მონად წაეყვანა უცხო მხარეში ან კოშკიდან გადაეგდო ჰექტორის მიერ მოკლული თავისი ძმის, მამის ან ძის გამო შურის საძიებლად.

მეათე დღეს ჰექტორის ცხედარი კოცონზე დაასვენეს და დაწვეს, შემდეგ ღვინით ჩააქრეს ცეცხლი. ჰექტორის ძვლები შეაგროვეს, ძოწისფერ რბილ ნაჭერში შეახვიეს და ოქროს ჭურჭელში ჩადეს. შემდეგ ჭურჭელი ღრმა საფლავში ჩაუშვეს, რომელიც უზარმაზარი ქვებით ამოავსეს. სწრაფად დააყარეს სამარის ბორცვი, შემდეგ კი პრიამოსის სასახლეში მივიდნენ ქელეხნადიმზე.

ასე დაკრძალეს ულაყთა მომთვინიერებელი ჰექტორი.

## 10 აქილევსის სიკვდილი

როგორც წინასწარმეტყველება იუწყებოდა, ჰექტორის სიკვდილის შემდეგ აქილევსს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. ალბათ გახსოვთ, როგორი ცხარე ცრემლებით დასტიროდა თეტისი თავის ვაჟს ჰექტორთან საბედისწერო ორთაბრძოლის წინ. მაგრამ სანამ ტროას ომის უპირველესი გმირი, აქილევსი, სამუდამოდ დახუჭავდა თვალებს, კიდევ ორჯერ ეკიდა ბეწვზე მისი სიცოცხლე, ორჯერ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, შემლებდნენ თუ არა ბერძნები ტროას აღებას. მათ ჯერ ამაძონ (ამორძალ) ქალებთან, შემდეგ კი ეთიოპელებთან მოუხდათ შებრძოლება. პირველნი ამორძალ პენთესილეას, ხოლო მეორენი შავი ხის ფერის კანის მქონე მეფე მემნონის მეთაურობით გამოდიოდნენ. სწორედ ესენი იყვნენ ის გმირები, ვინც აქილევსთან შებმა გაბედა და ვისთვისაც მასთან ბრძოლა საბედისწერო აღმოჩნდა. (ორივეს შესახებ მოთხრობილია ჩვენი სერიის წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები“, კერძოდ, ქვეთავებში, რომელთა სათაურებია „პენთესილეა“ და „ეთიოპელები“).

აქილევსი ულმობლად ანადგურებდა ტროელთა რაზმებს. ქალაქის ჭიშკრამდე მისდია მათ, მაგრამ აქ მისი სიცოცხლის ძაფიც გაწყდა. პოსეიდონსა და აპოლონს გადაეწყვიტათ, შური ეძიათ კიკნოსისა და ტროილოსის მოკვლისათვის, დაესაჯათ იგი ჰექტორის ცხედრის შეურაცხყოფისათვის. ყველას თვალთაგან ღრუბლით დაფარული აპოლონი სკეას ჭიშკართან იდგა და ბრძოლის ველის სიღრმეში მიმართული მზერით ეძებდა პარისს. როცა იპოვა, მისი მშვილდი მიმართა და საბედისწერო ისარი ასროლინა; ისარი აქილევსს ერთადერთ მოწყვლად ადგილას – მარჯვენა ქუსლში მოახვედრებინა. ტროას ომის უდიდესი გმირი საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა. ზოგიერთები იმასაც ამბობენ, თითქოს თავად აპოლონს მიეღოს პარისის სახება და განეგმიროს აქილევსი და რომ თითქოს აქილევსის ვაჟი ნეოპტოლემოსი ადასტურებდა ამას. აქილევსის ცხედრის გამო ცხარე ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა. დიდმა



აიაქსმა გლავკოსი წააქცია, საჭურველი ახადა და ბანაკში გაგზავნა, თვითონ კი, ისრების წვიმის მიუხედავად, მკვდარი აქილევსის სხეული მტრის რიგებს შორის გაიტანა, ოდისევსი კი ბრძოლის ველიდან მომავალ აიაქსს ტროელთა შემოტევებისაგან იცავდა. მხოლოდ ზევსის მიერ მოვლენილმა უამინდობამ შეწყვიტა ბრძოლა.

## როგორ დაკრძალეს აქილევსი და რა ბედი ეწია მის სულს

ოდესღაც პოსეიდონი შეპირებია თეტისს, რომ აქილევსს კუნძულს აჩუქებდა ევქსინის პონტოზე (ანუ შავ ზღვაზე), სადაც ზღვისპირის მაცხოვრებელნი მუდამ შესწირავდნენ მას მსხვერპლს ისე, როგორც ღმერთს შეეფერება. თეტისთან ერთად აქილევსის დასატირებლად ზღვის სიღრმიდან ამოვიდნენ ნერეიდებიც. ცხრა მუზა უმღეროდა მას სამგლოვიარო ჰიმნს. ჩვიდმეტი დღე და ღამე გრძელდებოდა გლოვა. მეთვრამეტე დღეს აქილევსის ცხედარი დასაკრძალავ კოცონზე დაწვეს, ხოლო მისი ფერფლი პატროკლეს ფერფლს შეურიეს და ჰეფესტოს ნახელავ ოქროს ურნაში მოათავსეს, რომელიც თეტისისთვის ქორწილის დღეს დიონისეს ეჩუქნა. ურნა სიგეას კონცხთან დამარხეს, ხოლო საფლავზე სამარხის დიდი ბორცვი აღმართეს.

სანამ ბერძნები სამგლოვიარო თამაშებში მონაწილეობდნენ – ევმელოსმა ეტლებით სრბოლაში გაიმარჯვა, დიომედესმა სირბილში, აიაქსმა დისკოს ტყორცნაში, ხოლო ტევკროსმა მშვილდოსანთა შეჯიბრში – თეტისმა აქილევსის სული კოცონიდან გამოიტაცა და დუნაის შესართავში მდებარე კუნძულ ლევკეზე გადაიყვანა, რომელიც, აქედან მოყოლებული, აქილევსის წმინდა კუნძულად ითვლებოდა.

სხვათა მტკიცებით, აქილევსი ჰადესის ტყვეობაში დარჩა და, ასფოდელოსის ველებზე მოხეტიალე, მწარედ დასტირის თავის ბედს.

ორაკულის ნებით, ოლიმპიის ძველ გიმნასიონში აქილევსის კენოტაფოსი (ცარიელი საფლავი) დაუდგამთ. დღესასწაულის

დასაწყისში ელეელი ქალები მზის ჩასვლისას სამგლოვიარო წესების აღსრულებით მიაგებდნენ მას პატივს. დოდონეს სამისნოს ნებით, თესალიელებიც ყოველწლიურად წირავდნენ მსხვერპლს აქილევსის პატივსაცემად. იმასაც ამბობენ, რომ სპარტაში იყო აქილევსის სალოცავი, თითქოსდა მისი შვილიშვილის, პრაქსოსის მიერ აგებული. იგი დახურული იყო ყველასათვის, გარდა ბიჭებისა, რომელთაც მეზობლად მდებარე ჭადროვანში შებრძოლება უწევდათ. ბრძოლის წინ ისინი სამლოცველოში შედიოდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ აქილევსს.

## აქილევსისა და მისი აჩრდილის სასიყვარულო თავგადასავლები

ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, ისეთ სახელგანთქმულ გმირს, როგორიც აქილევსი იყო, თავს სასიყვარულო ამბები არ გადახდენოდა. მაგრამ ამ საკითხზე სრულიად ურთიერთსაპირისპირო მითები და ლეგენდებია ჩვენამდე მოღწეული. ამიტომაც მტყუან-მართლის გარჩევა არც ისე იოლია. მაგრამ, მოდით, უბრალოდ გავეცნოთ ამ ამბებს და ზედმეტად ნუ დავიმძიმებთ თავს იმის გარკვევით, რომელია მათგან უფრო სარწმუნო. ჩვენ ხომ მითებს მოგითხრობთ, მათში კი ისტორიული სინამდვილე, ყოფითი ამბები და გამონაგონი ერთ ახალ, მითოსურ სინამდვილედაა შერწყმული და ასეთად ცოცხლობს ცალკეული ადამიანებისა თუ მთელი ხალხების ცნობიერებაში.

## ბრისეისი – აქილევსის მესარეცლე

ალბათ გახსოვთ, რით იყო გამოწვეული აქილევსის რისხვა, რომელზედაც ამავე სახელწოდების თავში გიამბეთ – იმით, რომ ბერძენთა მხედართმთავარმა, აგამემნონმა მას ტყვე და მესარეცლე ქალი – ბრისეისი წაართვა. მართალია, აგამემნონმა შემდგომში დაუბრუნა ბრისეისი აქილევსს, მოუბოდიშა კიდეც და შეჰფიცა, რომ იგი ავხორცობის გამო კი არ წაუყვანია, არამედ რისხვის გამო, მაგრამ, საბოლოოდ, ბერძნებს აქილევსის საპასუხო განრისხება, როგორც ვიცით, მეტად ძვირი დაუჯდათ.







*ელინთა და ტროელთა ბრძოლებს ზემოდან თვალ-ყურს ადევნებენ ღმერთები, დაყოფილნი დაპირისპირებულთა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. მარცხენა მხარეს: არესი, ლეტო (აფროდიტე), არტემისი და აპოლონი, რომლებიც ტროელებს მფარველობენ. მარჯვენა კუთხეში გამოსახულია თავის ტახტზე მჯდომი ზევსი. ქვემოთ იმავე ბარელიეფის სხვა ფრაგმენტია ბრძოლის ტიპური სცენით: მოკლულის გვამისთვის იბრძვიან ენეასი და ჰექტორი (მარცხნივ) მენელაოსისა და პატროკლეს წინააღმდეგ (მარჯვნივ). სიფნოსელთა საგანძურის აღმოსავლეთი ნაწილი. დაახლ. ძვ.წ. 525 წ. დელფო. არქეოლოგიური მუზეუმი.*



ერთხელ, როცა ზევსმა თვალი მოაშორა ტროაში მიმდინარე ბრძოლებს, პოსეიდონმა შემთხვევით ისარგებლა, შეკაზმა თავისი ეტლი და სამოთრაკესკენ გაემართა, ილიონის საზღვრებთან. იქ მიიღო მან მისან კალქასის სახე და გამამხნევებელი სიტყვით მიმართა ორ აიაქსს. სწორედ მათ შორის ვხედავთ ამ სურათზე პოსეიდონს თავისი სამკაპით ხელში. მარჯვნივ გამოსახული მშვილდოსანი შესაძლოა ტევკროსი იყოს. შავფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 540 წ. ნიუ-იორკი. ნორბერტ შიმელის კოლექცია.



პატროკლემ სთხოვა აქილევსს, თუ თავად არ ჩაებმებოდა ბრძოლაში, მისთვის მაინც დაერთო ნება, რასაც აქილევსი დათანხმდა. გამომშვიდობების ამ სცენაში პატროკლე აღჭურვილია მეომრის იარაღით. იგი დგას სამსხვერპლოსთან და ხელში უჭირავს ფიალა. მისი მზერა მიმართულია აქილევსისკენ, რომელიც ლოცულობს მეგობრის მშვიდობით დაბრუნებისათვის. წითელფიგურული სტამნოსი. ძვ.წ. V ს. რომი. ვილა ჯულია.



პატროკლეს და კრძალვა. მებრძოლები მიწიდან სწევენ პატროკლეს ცხედარს, ხოლო მიცვალებულის სული მაღლა დაფრინავს შეიარაღებული მეომრის სახებით. ატიკური წითელფიგურული კრატერი. ძვ.წ. 500 წ. აგრიჯენტო. რეგიონული არქეოლოგიური მუზეუმი.



ტყუილად ევედრებიან აქაველთა წინამძღოლები აქილევსს, დაივიწყოს მწუხარება პატროკლეს სიკვდილის გამო და მიიღოს მზარეულები საკვები. მწარედ გლოვობს მირმიდონელთა მეთაური და არავის იკარებს ოდისევსის, ფენიქსისა და კიდევ რამდენიმე პირის გარდა. ლოგინად ჩავარდნილია და ღრმა მწუხარებაში ჩაფლულს ხელი შუბლზე აქვს მიდებული და ნუგეშისცემის სიტყვებს ისმენს თანამებრძოლებისა და დედისაგან, რომელიც დებთან ერთად არის მოსული. სუფრაზე ხელმოუკარებლად დევს საჭმელი. ზემოთ, კედელზე კიდია აქილევსისთვის ჰეფესტოს მიერ გამოჭედილი ახალი იარაღი. კორინთული ოლპე. დაახლ. ძვ.წ. 570 წ. ბრიუსელი. ხელოვნებისა და ისტორიის სამეფო მუზეუმი.



თეტისის გასახარად, ჰეფესტო ახალ იარაღს უმზადებს აქილევსს პატროკლეს გამო შურის საძიებლად. ჰეფესტო თავის სამჭედლოშია. მაღლა კიდია სამუშაო და საბრძოლო იარაღი. მჭედელი ღმერთი აპრიალებს ფარს, ხოლო თეტისი რაღაცაზე მიუთითებს. წითელფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 480 წ. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.



აქილევსისა და ჰექტორის საბედისწერო ორთაბრძოლის სურათი. აქილევსი ხმალამოღებული მიიწევს მოწინააღმდეგისკენ. ჰექტორი ეცემა, მაგრამ შუბს ხელიდან არ უშვებს. აქილევსის უკან დგას ათენა, ჰექტორის უკან კი – აპოლონი. ღმერთები თვალყურს ადევნებენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. ისარი აპოლონის ხელში თითქოს ჰექტორის წინასწარმეტყველურ სიტყვებზე მიგვანიშნებს, რომ სწორედ აპოლონის დახმარებით პარისი სიცოცხლეს გამოასალმებს აქილევსს. წითელფიგურული კილიკი. დაახლ. ძვ.წ. 490 წ. რომი. ვატიკანის მუზეუმები.



ტროელი ტყვეების მსხვერპლშეწირვა პატროკლეს დასაკრძალავ კოცონთან. აქილევსს თმებით უჭირავს ერთ-ერთი ტყვე და მოკვლას უპირებს. იგივე ბედი ელით სხვა ტყვეებს, რომლებიც აქილევსის უკან არიან გამოსახულნი. მარჯვნივ დგას და ზედაშეს აქცევს აგამემნონი. აპულიური კრატერის ფრაგმენტი. ძვ.წ. 340–330 წწ. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.





აქილევსი მიწაზე ათრევს თავის ეტლზე გამობმულ ჰექტორის ცხედარს. მარცხნივ დგანან მაყვედრებელი პრიამოსი და ჰეკაბე, მოწმენი მათი შვილის პატივის აყრისა. შუაში ვხედავთ ფრთოსან ღმერთქალ ირისს, რომელმაც აქილევსს უნდა აცნობოს ღმერთების ნება. მარჯვნივ პატროკლეს საფლავია, რომლის ზემოთ მისივე შეიარაღებული მფრინავი სულია გამოსახული. წითელფიგურული ჰიდრია. დაახლ. ძვ.წ. 510 წ. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.





პრიამოსი მიემართება აქილევსთან, რათა სთხოვოს შვილის ცხედრის დაბრუნება. ძვირფასი ჭურჭლითა და საუნჯით სავსე ყუთებით დატვირთულ მონა მამაკაცებსა და ქალებს წინ მიუძღვის მოხუცი მეფე, რომელიც იმედოვნებს, რომ გამოსასყიდითა და საკუთარი უბედურების მოთხრობით შეძლებს გული მოულბოს განრისხებულ აქილევსს. გმირი ძვირფას საწოლზეა წამოწოლილი. წინ სავსე სუფრა აქვს გაშლილი. ახალგაზრდა მეომარი კენ მიტრიალებული, აქილევსი ჯერ ვერ ხედავს პრიამოსს, ქვემოთ, იატაკზე პატივაყრილი მეომრის ცხედარია. წითელფიგურული სკიფოსი. დაახლ. ძვ.წ. 485-480 წწ. ვენა. ხელოვნების ისტორიის მუზეუმი.



*ფიზიკური და სულიერი ძლიერებით აქილევსის შემდეგ მეორე გმირი – აიაქსი ამ სურათზე სწევს მოკლული აქილევსის ცხედარს, რომლისთვისაც იგი სხვა ბერძნებთან ერთად დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდა ტროელებს. (მოკლული თანამებრძოლის ცხედრის ან საჭურვლის მტრისთვის დათმობა სამარცხვინოდ ითვლებოდა). კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 570 წ. ფლორენცია. არქეოლოგიური მუზეუმი.*



*თეტისი სხვა ზღვის ქალღმერთებთან ერთად გამოვიდა ზღვის ტალღებიდან მოკლული შვილის, აქილევსის დასატირებლად. ქალღვთაებები ხელის გულსტყებითა და თმების გლეჯით გამოხატავენ გლოვას. ლირა ერთ-ერთი მათგანის ხელში მიგვანიშნებს, რომ ამ ცერემონიალს თან ახლავს გლოვის სიმღერა. კორინთული ჰიდრია. ძვ.წ. 570 წ. პარიზი. ლუვრი.*



*აქილევსის გადაყვანა კუნძულ ლევკეზე. ატიკური შავფიგურული ამფორა. ძვ.წ. 540 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.*

## მკვდარი პენთესილეა – აქილევსის სატრფო

ზოგი გადმოცემა აქილევსს ნეკროფილიას (გვამთა სიყვარულს) აბრალებს. მათი მტკიცებით, მას შემდეგ, რაც ამაძონთა დედოფალი პენთესილეა მოკლა, აქილევსს მისი მკვდარი სხეული შეუყვარდა. მან არ აპატია ცხედრის შეურაცხყოფა ბერძენთა შორის ყველაზე გონჯ თერსიტესს, რომელმაც ამორძალი ქალის სხეულს თვალების დათხრით შეურაცხყოფა მიაყენა, და მუშტის ერთი დარტყმით სული გააფრთხობინა თავხედს.

## პოლიქსენეს გამო აქილევსს ღალატს სწამებენ

შედარებით გვიანდელი წყაროები გვიამბობენ: როცა ტროელებს ჰექტორის ცხედარს უბრუნებდნენ, ბერძნებმა პრიამოსს შეუთვალეს, რომ გამოსასყიდის სახით მას ჰექტორის წონა ოქრო უნდა გადაეხადა. ამისათვის ბერძნებმა ტროას კედლებთან სასწორი დადგეს, რომლის ერთ პინაზე ჰექტორის სხეული დადეს, მეორეზე კი ტროელებს ოქროს დაყრა შესთავაზეს. როცა პრიამოსის საგანძურში ოქრო და ძვირფასი თვლები აღარ დარჩა, ხოლო გარდაცვლილის ცხედარი კვლავ დაბლა სწევდა სასწორს, ჰექტორის დამ, პოლიქსენემ, რომელიც ყველაფერ ამას გალავნიდან ადევნებდა თვალს, თავისი სამაჯურები ჩამოყარა და ამით ნაკლული წონა შეავსო. ალტაცებულ აქილევსს უთქვამს პრიამოსისთვის: „მე სიხარულით გავცვლი ჰექტორს პოლიქსენეზე. დაიტოვე შენი ოქრო, ჩვენ კი შეგვაუღლე, ხოლო თუ შენ ამასთან ერთად ელენესაც დაუბრუნებ მენელაოსს, მე შენი და ჩვენი ხალხის შერიგებასაც ავიღებ ჩემს თავზე“. პრიამოსი უკვე შეგუებოდა იმ აზრს, რომ ჰექტორის გამოსასყიდად ოქროს დაპირებულ რაოდენობას გასცემდა, მაგრამ დაამატა, რომ პოლიქსენეს ყოველგვარი სარგებლის გარეშე გაატანდა ცოლად აქილევსს, თუკი ის დაარწმუნებდა ბერძნებს, ელენეს დაბრუნებაზე ხელი აეღოთ. აქილევსს უპასუხია, რომ რასაც შეძლებდა, ყველაფერს გააკეთებდა და პრიამოსს ჰექტორის ცხედარი წაუღია დასამარხად.

ამასობაში პოლიქსენემ, რომელსაც ვერ ეპატიებინა აქილევსისთვის თავისი ძმის, ტროილოსის მოკვლა, შეიტყო, რომ

ბერძენ გმირს ქუსლი აქვს მოწყვლადი – მას ეს არ გასჭირვებია, ვინაიდან არ არსებობს საიდუმლო, რომელსაც ქალი ვერ შეიტყობს იმ მამაკაცისგან, რომელსაც თავისი სიყვარულის დამტკიცება სწადია. მისი თხოვნით, აქილევსი ფეხშიშველი და შეუიარაღებელი მოვიდა, რათა შეთანხმება ფიმბრიელი აპოლონისთვის მსხვერპლის შეწირვით განემტკიცებინა. დეიფობოსმა, ჰექტორის ძმამ, ვითომდა მეგობრობის ნიშნად, მკერდზე მიიხუტა იგი, ღმერთის ქანდაკის უკან დამალულმა პარისმა კი მოშხამული ისრით (თუ მახვილით) ქუსლში უჩხვლიტა. სიკვდილის წინ აქილევსს საკურთხეველზე დამაგრებული ჩირაღდნებისთვის უტაცნია ხელი და მათი აქეთ-იქით გაშმაგებული ქნევით ბევრი ტროელისა და ტაძრის მსახურის მოკვლა მოუსწრია.

ამასობაში ოდისევსმა და დიომედესმა, რომლებმაც იეჭვეს, აქილევსმა ხომ არ გვიღალატაო, ტაძარში შეაღწიეს. როცა პარისმა და დეიფობოსმა მათ წინ გაირბინეს, შიგნით შევიდნენ და მათ ხელში გარდაცვლილმა აქილევსმა მოასწრო ეთხოვა, რომ ტროას დაცემის შემდეგ პოლიქსენე მსხვერპლად შეეწირათ მის საფლავზე. ტროელები ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ, მაგრამ აიაქსმა აქილევსის ცხედარი წაიღო და თავისი მეგობრების დახმარებით ბერძენთა ბანაკამდე მიღწევა მოახერხა. იმასაც ამბობენ, აქილევსის ცხედარი პრიამოსმა მაშინ გადასცა ბერძნებს, როცა მათ ჰექტორისთვის გადახდილი გამოსასყიდი დაუბრუნეს.

ასე მრავალფეროვანია ცნობები აქილევსის სიცოცხლეზე, სიკვდილსა და სიყვარულზე. და ეს არცაა გასაკვირი. როგორც ჩანს, ბევრს სურდა თავისი სიტყვა ეთქვა ბერძნეთა უდიდეს გმირზე. მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთები მას მთლად დაუჯერებელ ამბავს – ელენეს ქმრობასაც მიაწერდნენ.

## ელენე – აქილევსის ცოლი?

ერთი გადმოცემა იმასაც გვიმტკიცებს, თითქოს აქილევსს სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე, სიზმარში, სარეცელი გაეზიარებინოს ელენესთან, რომელიც თეტისმა მოუვლინა. განცდილი ისე მოსწონებია აქილევსს, რომ ელენესთვის უთხოვია, ტროას კედლიდან



ჩვენებოდა. ქალს შეუსრულებია მისი თხოვნა, რის შედეგად აქილევსს უგონოდ შეჰყვარებია იგი. ვინაიდან, ამ გადმოცემის თანახმად, ის ელენეს მეხუთე ქმარი გამხდარა – მისი წინამორბედნი იყვნენ თესევსი, მენელაოსი, პარისი და დეიფობოსი – მისთვის პემპტოსი („მეხუთე") შეურქმევიათ.

მაგრამ ესეც არ იკმარეს მითოგრაფოსებმა და ჩვენამდე ასეთი ცნობაც მოიტანეს: როცა აქილევსის აჩრდილი პატროკლესთან, ანტილოქოსთან და აიაქსებთან ერთად კუნძულ ლევკეზე ცხოვრობდა, მას იქაც ცოლად ელენეს აჩრდილი ჰყავდა.

## აქილევსის აჩრდილი ცოლად ირთავს მედეას

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ასეთი თქმულებაც არსებობს.

ამბობენ, რომ აქილევსის აჩრდილმა კოლხი მედეა შეირთო ცოლად და მასთან ერთად მეფურად ცხოვრობდა ელისიონში ან ნეტართა კუნძულებზე.

## ვის ერგო აქილევსის საჭურველი. აიაქსის გაშმაგება და სიკვდილი

აქილევსის სიკვდილის შემდეგ დარჩა ჰეფესტოს ხელით ნაჭედი ოქროს საჭურველი. თეტისის გადაწყვეტილებით, ის ტროას ომში ცოცხლად გადარჩენილ უმამაცეს ბერძენ ვაჟკაცს უნდა რგებოდა. ორად ორი აღმოჩნდა მოცილე – აიაქსი და ოდისევსი, რომელთაც ყველაზე მეტი თავდადება გამოიჩინეს აქილევსის ცხედრის დაცვისას. ზოგნი ამბობენ, თითქოს აგამემნონმა ეაკოსის გვარისადმი სიძულვილის გამო აიაქსი მშრალზე დატოვა და მთელი აბჯარბექთარი მენელაოსსა და ოდისევსს გაუნაწილა – უკანასკნელის ხათრიანობას ხომ იგი სხვა ღირსებებზე მეტად აფასებდა; სხვანი ამტკიცებენ, რომ აგამემნონი არ ჩარეულა ამ დავაში და მისი გადაწყვეტა ბერძენთა ბელადებს დაავალა, რომელთაც ფარული კენჭისყრით გამოუხატავთ თავიანთი ნება, ან რომ მან რჩევისთვის მიმართა კრეტელებსა და სხვა მოკავშირეებს, ანდა ტროელი ტყვეები აიძულა, ელიარებინათ, ორი პრეტენდენტიდან რომელმა დააზარალა ისინი უფრო მეტად. ასე იყო თუ ისე, აგამემნონმა საჭურველი

ოდისევსს არგუნა. აქილევსი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ვერავინ გაბედავდა აიაქსისთვის ასეთი წყენა მიეყენებინა: აქილევსი ყოველთვის მხარში ედგა თავის სახელოვან ბიძაშვილს. მაგრამ მთელი ეს დავა თავად ზევსმა ატეხა.

განაწყენებულმა აიაქსმა გადაწყვიტა, იმ ღამითვე ეძია შური თავის თანამემამულეებზე. მაგრამ ათენამ სიგიჟე მოუვლინა, რის შედეგადაც იგი მახვილშემართული თავს დაესხა ცხვრებისა და ძროხების ფარას, რომელიც ბერძნეთა საერთო ნადავლად ითვლებოდა. აიაქსმა უმოწყალოდ ამოხოცა ნახირიც და ფარაც. მან ორი თეთრი ცხვარი ამოარჩია და მათგან ერთს თავი და ენა ამოჰკვეთა, რადგან აგამემნონად თუ მენელაოსად მოეჩვენა, ხოლო მეორე ბოძს მიაბა და აღვირით ცემა დაუწყო, თან ხმამაღლა ილანძღებოდა და საცოდავ ცხოველს მუხანათ ოდისევსს ეძახდა.

გონს რომ მოეგო, თავის ვაჟს, ევრისაკოსს მოუხმო და თავისი განთქმული, შვიდტყავიანი ფარი გადასცა. „დანარჩენი საჭურველი ჩემთან ერთად დამარხონ, როცა მოვკვდები“, – უთქვამს მას. აიაქსმა უწყება დაუტოვა თავის ნახევარძმას, პრიამოსის ტყვედქმნილი დის, ჰესიონეს შვილს, ტევკროსს, რომელიც ევრისაკოსის მეურვედ გამოაცხადა, ამის შემდეგ კი გზას გაუდგა უმისამართოდ, ერთადერთი სურვილით, სადმე სიკვდილი ეპოვა.

აიაქსმა მიწაში ყუით ჩაარჭო მახვილი – სწორედ ის, რომელიც თავის დროზე ჰექტორისაგან ჰქონდა მიღებული პორფირისფერი აშურმის სანაცვლოდ, – და ზევსს შეევედრა, ტევკროსისათვის მისი ცხედრის ადგილსამყოფელი ეუწყებინა; ჰერმესი დაიყოლია, ასფოდელოსის ველებზე გადაეყვანა მისი აჩრდილი, ხოლო ერინიები – შური ეძიათ მის მაგიერ. როცა ტელამონის ძე მახვილზე წამოგებას შეეცადა, ფოლადი, ამბობენ, თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ გაიღუნა. მაშინ აიაქსს მახვილი თავისი ერთადერთი მოწყვლადი ადგილისკენ, იღლიისკენ მიუმართავს და თავი ამგვარად მოუკლავს.

ამ დროისათვის მიზიიდან ჩამოსული ტევკროსი ძლივს გადაურჩა ბერძნებს, რომლებიც აღშფოთებულნი იყვნენ საქონლის ამოხოცვით. მან ზევსისგან მიღებული უწყების მეშვეობით იპოვა



აიაქსის ცხედარი, მაგრამ აგამემნონი შეეწინააღმდეგა იმას, რომ იგი დადგენილი წესით დაემარხათ და ამით კუთვნილი პატივი მიეგოთ. დავაში ოდისევსი ჩაერია და აგამემნონი დაარწმუნა, რომ წესისგება აღესრულებინა. მისან კალქასის რჩევით, იგი დაყაბულდა აიაქსის დამარხვას თვითმკვლელთათვის დადგენილი წესით, რომელიც კრძალავდა კოცონზე დაწვას, ვინაიდან დაღუპული ბრძოლის ველზე არ დაცემულა.

მოგვიანებით, როცა ოდისევსი აჩრდილთა სამეფოში ჩავიდა, ასფოდელოსის ველებზე, აიაქსი იყო ერთადერთი აჩრდილი, რომელიც მას არ მიეახლა და არ აპატია, მიუხედავად უკანასკნელის მტკიცებისა, რომ მათი დავა ზევსის მოწყობილი იყო. ამ დროისათვის ოდისევსს უკვე მიღებული ჰქონდა კეთილგონივრული გადაწყვეტილება: მთელი საჭურველი აქილევსის ვაჟისთვის, ნეოპტოლემოსისთვის გადაეცა. თუმცა ეოლიელები, რომლებიც შემდგომში ტროაში დასახლდნენ, ამბობდნენ, თითქოს ოდისევსმა მთელი საჭურველი თავისი ხომალდის დაღუპვის დროს დაკარგა, როცა შინ მიემართებოდა, ხოლო თეტისმა ისე მოაწყო, რომ ტალღებმა საჭურველი წყლის ზედაპირზე ამოიტანეს და აიაქსის საფლავთან გამორიყეს, რეტეას კონცხზე.

სალამინელთა უწყებით, როცა აიაქსი მოკვდა, მათ კუნძულზე ახალი ყვავილი ამოსულა: თეთრი, მოწითალო ელფერით, შროშანზე ოდნავ პატარა; სუმბულის დარად, მის ფურცლებზე ასოები იყო გამოსახული, რომლებიც ასე იკითხებოდა: ვაი! ვაი! („უბედურება! უბედურება!“). გავრცელებული რწმენით, ახალი ყვავილი აიაქსის სისხლისაგან აღმოცენებულა იმ ადგილებში, სადაც სისხლს მიწა დაუნამავს – ასე კი იმიტომ მიიჩნიეს, რომ მასზე გამოსახული ასოები ასევე გამოხატავენ სიტყვებს ’Αιάς ’Αιακίδης („აიაქს ეაკიდი“). როგორც ამბობენ, სალამინის ბაზრის მოედანზე იდგა აიაქსისადმი მიძღვნილი ტაძარი შავი ხის ქანდაკებით.

ათენელები აიაქსს თავის ერთ-ერთ გმირ-ეპონიმად მიიჩნევდნენ და დასძენდნენ თურმე, რომ უფლება კუნძულ სალამინზე მათთვის ევრისაკოსის შვილს, ფილევსს გადაუცია მას შემდეგ, რაც იგი ათენის მოქალაქე გახდა.

# 11 ტროას დაცემა

## წინასწარმეტყველებანი ტროას დაცემის თაობაზე. ფილოქტეტესი

აქილევსის სიკვდილის გამო ბერძნებს ნირი წაუხდათ და ლამის სასოწარკვეთილებას მიეცნენ. კალქასმა იწინასწარმეტყველა, რომ ტროას ვერ აიღებდნენ ჰერაკლეს მშვილდისა და ისრების გარეშე, ამიტომ ოდისევსი და დიომედესი კუნძულ ლემნოსზე გაგზავნეს, სადაც ბერძნებს მშვილდ-ისრის იმჟამინდელი მფლობელი ფილოქტეტესი ეგულებოდათ. მას, როგორც ვიცით, საშინელი იარა ჰქონდა, რომელიც აუტანლად ყარდა და არაფრით იკურნებოდა. ოდისევსმა ეშმაკობით გამოსძალა სანუკვარი იარაღი, ხოლო დიომედესს თურმე უარი უთქვამს მის გატაცებაში მონაწილეობაზე და ფილოქტეტესისთვის ურჩევია, უკან გამოეთხოვა მშვილდიცა და ისრებიც. მაგრამ ამ დროს უკვე ღვთაებად გარდასახული ჰერაკლე ჩარეულა საქმეში: „ტროაში გაჰყევი ამათ, ფილოქტეტეს, მე კი ვინმე ასკლეპიადთაგანს გამოგიგზავნი განსაკურნებლად. ტროა მეორედ უნდა დაეცეს ჩემი ისრების წყალობით. ბერძნები უმამაცეს მეომარს გიწოდებენ. შენ მოგიწევს პარისის მოკვლა, ტროას ძარცვაში მონაწილეობა და ნადავლის შინ გაგზავნა, ამ ნადავლიდან საუკეთესო ძღვენს მამაშენს – პეანტოსს ჩაუტან. მაგრამ გახსოვდეს: შენ ვერ აიღებ ტროას აქილევსის ვაჟის, ნეოპტოლემოსის გარეშე, და ვერც იგი შეძლებს ამას უშენოდ!"

ფილოქტეტესი დამორჩილდა. ბერძენთა ბანაკში მისვლისთანავე იგი მტკნარი წყლით განბანეს და აპოლონის ტაძარში დააწვინეს დასაძინებლად. ძილში მაქაონმა (ან პოდალირიონმა) იარა გაუწმინდა, ღვინით განბანა, შემდეგ სამკურნალო ბალახები და სერპენტინის ქვა დაადო.

## პარისისა და ენონას სიკვდილი

გამოჯანსაღებისთანავე ფილოქტეტესმა პარისი მშვილდოსნობაში გასაჯიბრებლად მოიწვია. პირველი ისარი მიზანს ასცდა, მეორე პარისს იმ ხელში მოხვდა, რომელშიც მშვილდი ეჭირა, მესამემ მარჯვენა თვალი ამოუგდო, ხოლო მეოთხემ სასიკვდილოდ დაჭრა კოჭში. საცაა ბოლოსაც მოუღებდა მენელაოსი, მაგრამ პარისმა, რის ვაივაგლახით, ტროაში მიბრუნება მოახერხა. იმ ღამესვე ტროელებმა იგი იდას მთაზე წაიყვანეს, სადაც ჭაბუკი თავის ყოფილ სატრფოს, ენონას შეევედრა განკურნებას. ქალმა კი, ელენეს მიმართ სიძულვილით შეპყრობილმა, ოდენ თავი გააქნია უარის ნიშნად და პარისი კვლავ ქალაქში წამოიყვანეს. გარკვეული ხნის შემდეგ ენონას გული მოულბა და სამკურნალო ბალახებით სავსე კალათით ტროაში გაექანა, მაგრამ პარისი მის მოსვლამდე მომკვდარიყო. ზოგი გადმოცემით, სასოწარკვეთილი ენონა ქალაქის კედლიდან გადმოხტა, ზოგის თქმით კი თავი ჩამოიხრჩო ან პარისის დასაკრძალავ კოცონზე დაიწვა.

## ელენეს მორიგი ქორწინება

პარისის სიკვდილის შემდეგ ელენეს ცოლად შერთვას ჰელენოსი და დეიფობოსი ეცილებოდნენ ერთურთს. პრიამოსმა დეიფობოსს დაუჭირა მხარი, რადგან მან უფრო მეტად გამოიჩინა თავი ომში. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთებმა პარისისა და ელენეს დაქორწინება მოახერხეს, ქალს ვერ დაევიწყებინა, რომ იგი ჯერაც სპარტის დედოფალი და მენელაოსის ცოლი იყო. ერთხელ ღამით ელენე გუშაგმა დაინახა იმ დროს, როცა იგი გაქცევის მიზნით კოშკის ქონგურზე თოკს ამაგრებდა. ქალი დეიფობოსს მიუყვანეს, რომელმაც იგი ძალით შეირთო ცოლად, რითაც ტროელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ჰელენოსმა მაშინვე დატოვა ქალაქი და არისბესთან ერთად იდას კალთებზე დასახლება გადაწყვიტა.

## ჰელენოსი ტროას ორაკულებს უმხელს ბერძნებს

როცა აგამემნონმა კალქასისგან შეიტყო, რომ მხოლოდ ჰელენოსმა უწყის ტროას დამცველი საიდუმლო ორაკულები, მან ოდი-

სევსს უბრძანა, ჩასაფრებოდა ჰელენოსს, შეეპყრო და ბერძენთა ბანაკში მოეყვანა. ლაერტესის ძემ იგი აპოლონ ფიმბრიელის ტაძარში იპოვა, ქრისესთან სტუმრად მყოფი. ჰელენოსმა უთხრა ოდისევსს, რომ მზად არის ყველა ორაკულის საიდუმლო გაუმხილოს, თუკი მას სადმე მშვიდად დასახლების უფლებას მისცემენ. მან აუხსნა ბერძენ გმირს, რომ ტროა სიკვდილის შიშით როდი დატოვა, არამედ იმის გამო, რომ ვერც თავად და ვერც ენეასმა ვერ აპატიეს პარისს აქილევსის მკრეხელური მოკვლა ტაძარში, რომელშიც ისინი ამჟამად იმყოფებოდნენ და რომელშიც ჯერ არაფერი გაკეთებულა აპოლონის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამოსასყიდად.

— დე, ასე იყოს, — თქვა ოდისევსმა, — გაგვიმხილე ტროას ორაკულები და მე გპირდები, რომ სიცოცხლეს შეგინარჩუნებ და ზიანს არ მოგაყენებ.

— ორაკულები მოკლე და გასაგებია, — უპასუხა ჰელენოსმა, — ტროა ზაფხულში დაეცემა, თუ თქვენს ბანაკში პელოფსის რომელიმე ძვალს მოიტანენ, თუ ომში ნეოპტოლემოსი ჩაებმება და თუ ციხესიმაგრიდან ათენას პალადიონი იქნება მოპარული, ვინაიდან, სანამ იგი ქალაქშია, ტროას კედლების დანგრევა შეუძლებელია.

აგამემნონმა უმალ გაგზავნა ხალხი პისაში პელოფსის ბეჭის ჩამოსატანად. იმავდროულად ოდისევსი, ფენიქსი და დიომედესი გემით გაემგზავრნენ სკიროსზე, სადაც ლიკომედესი დაიყოლიეს, ტროაში გამოეშვა ნეოპტოლემოსი. ზოგიერთი გადმოცემით, ყმაწვილი მაშინ სულ თორმეტი წლისა ყოფილა. ჩასვლისთანავე მას თურმე აქილევსის აჩრდილი გამოეცხადა, რის შემდეგაც ნეოპტოლემოსმა ღირსეულად წარმოაჩინა თავი სამხედრო საბჭოზეც და ბრძოლის ველზეც, ოდისევსმა კი სიხარულით დაუთმო აქილევსის საჭურველი.

## პალადიონის მოტაცება

ტროას დაცემამდე მცირე ხნით ადრე პრიამოსის ვაჟებს შორის უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ მეფემ თავისი მრჩეველი ან-



ტენორი გაგზავნა აგამემნონთან მოსალაპარაკებლად. ბერძენთა ბანაკში ჩასული ანტენორი დეიფობოსისადმი სიძულვილის გამო დასთანხმებია ოდისევსს, პალადიონის მოტაცებასა და ქალაქის დაპყრობაში დახმარებოდა. ამის სანაცვლოდ მას სამეფო ტახტი და პრიამოსის საუნჯის ნახევარი მოუთხოვია.

მათ ერთად შეადგინეს გეგმა, რომლის განხორციელების მიზნით ოდისევსმა დიომედესს თავი გაართზვინა, რის შემდეგაც გასისხლიანებულმა, ჭუჭყიანმა, ძონძებით მოსილმა ტროაში შეაღწია გაქცეული მონის სახებით. მხოლოდ ელენე არ მოტყუებულა მისი გარეგნობით, თავისთან წაიყვანა, მისი განბანვა, მშვენიერი სამოსით შემოსვა უბრძანა მსახურთ და გამოუტყდა, რომ ტროაში თავს ტყვედ გრძნობს და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს. ელენემ შეჰფიცა ოდისევსს, რომ არ გასცემდა, თუკი იგი თავის გეგმებს გაანდობდა, მით უმეტეს, რომ აქამდე იგი მხოლოდ ჰეკაბეს ენდობოდა. მათი საუბრისას უეცრად ჰეკაბე შემოსულა. სასოწარკვეთილი ოდისევსი ფეხებში ჩაუვარდა და მუდარით სთხოვა ტროას დედოფალს, არ გაეცა იგი. სრულიად მოულოდნელად ჰეკაბე დათანხმდა. ამის შემდეგ ოდისევსი მშვიდობიანად დაბრუნდა თავის ბანაკში. ზოგნი ამბობენ, რომ სწორედ ამ დროს მოახერხა ოდისევსმა პალადიონის მოტაცება, რამაც ტროას აღებას შეუწყო ხელი. სხვანი ამტკიცებენ, რომ ოდისევსი და დიომედესი საგანგებოდ შეარჩიეს ამ საქმისთვის, ვინაიდან ორივენი ათენას რჩეულებად ითვლებოდნენ. ტროელთა ციხესიმაგრეში მათ თითქოს ვიწრო და ჭუჭყიანი საიდუმლო გასასვლელით შეეღწიათ, მძინარე დარაჯები დაეხოცათ და ორივეს ერთად ჩაეგდო ხელში ქანდაკება, რომელიც ქურუმ ქალს, თეანოს დაუფიქრებლად მიეცა მათთვის.

## ხის ცხენი

ამასობაში ათენამ ნათელმხილველ პრილოსს, ჰერმესის ძეს, შთააგონა აზრი, რომ ტროაში შეღწევა ხის ცხენის საშუალებითაა შესაძლებელი. ოსტატმა ეპევსმა კი თავის თავზე აიღო ასეთი ცხე-

ნის აგება ათენას დახმარებით. ოდისევსმა, როგორც ამბობენ, შემდგომში ეს დამსახურებანი მიისაკუთრა.

რაც შეეხება ეპევსს, მას კიკლადებიდან ტროაში ოცდაათი გემი ჰყავდა მოყვანილი და თუმცა სახელი ჰქონდა განთქმული, როგორც მუშტი-კრივისა და ხელოსნობის კარგ მცოდნეს,ამასთანავე სიმხდალით ბერძენთა შორის საარაკოდ გაიხადა თურმე საქმე.

ეპევსმა ნაძვის ფიცრებისგან უზარმაზარი ტანამოღრუებული ცხენი ააგო, გვერდიდან კი ჩამოსაშვები კარი გაუკეთა. მეორე გვერდზე წარწერა ამოკვეთა, რომელიც იუწყებოდა, რომ ცხენი ათენას ეძღვნება: „მშვიდობიანი დაბრუნებისთვის მადლიერების ნიშნად შინ მიმავალი ბერძნები ამ საჩუქარს ქალღმერთს უძღვნიან". ოდისევსმა ყველაზე მამაცი ელინები დაიყოლია, თოკის კიბით ასულიყვნენ და ასაწევი კარის გავლით ცხენის ღრუში ჩამსხდარიყვნენ. მეომართა რიცხვი სხვადასხვა გადმოცემებში სხვადასხვაგვარი სახელდება: ოცდასამი, ოცდაათი, ორმოცდაათი და, რაც სრულიად დაუჯერებელია, სამი ათასიც კი. მათ შორის იყვნენ მენელაოსი, ოდისევსი, დიომედესი, სთენელოსი, აკამასი, თოასი და ნეოპტოლემოსი. მუქარითა და დაპირებებით ეპევსის დაყოლიებაც შეძლეს. იგი ყველაზე ბოლოს ავიდა, კიბე ასწია და, ვინაიდან ერთადერთმა იცოდა კარის საიდუმლო, რაზასთან დაჯდა.

ღამით, ოდისევსის ბრძანებისამებრ, ბერძნებმა თავიანთი ბანაკი გადაწვეს, ზღვაში გავიდნენ და საღამოს მოლოდინში კუნძულ ტენედოსის ნაპირებთან მიიმალნენ. მხოლოდ ოდისევსის ძმისწული, ავტოლიკოსის შვილიშვილი სინონი არ გაჰყოლია მათ – ვინმეს სასიგნალო ცეცხლი უნდა გაეჩაღებინა გემების დასაბრუნებლად.

გამთენიისას ტროელმა მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, ბერძენთა ბანაკი სრულიად დაიწვა, თავად ბერძნები კი წავიდნენ და ნაპირზე უზარმაზარი ცხენი დატოვესო. პრიამოსი იქ რამდენიმე ვაჟიშვილის თანხლებით გაემართა, რათა თავად დარწმუნებულიყო ყველაფერში. სანახაობით განცვიფრებულნი იდგნენ ისინი,



როცა თიმოიტესმა დუმილი დაარღვია. „რახან ეს ათენას კუთვნილი საჩუქარია, – თქვა მან, – გთავაზობთ, ქალაქში შევიტანოთ და ქალღმერთისადმი მიძღვნილ ციხე-კოშკში მოვათავსოთ". „არაფრის დიდებით! – წამოიძახა კაპისმა, – ათენა მეტისმეტად დიდხანს იყო კეთილგანწყობილი ბერძენთა მიმართ. ან აქვე დავწვათ ეს ცხენი, ანდა გავტეხოთ და შიგ ჩავიხედოთ". პრიამოსმა პირველ წინადადებას დაუჭირა მხარი. „ჩვენ საგორავებზე შევაყენებთ ცხენს, – თქვა მან, – არავისა აქვს უფლება, შეურაცხყოს ათენას საკუთრება". ცხენი მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა და კარიბჭეში არ გაეტია. მაშინაც კი, როცა კედლის ნაწილი დაშალეს, ის ოთხჯერ გაჭედილა. დიდი გაჭირვებით შეათრიეს ტროელებმა ცხენი ქალაქში, ხოლო შემდეგ, უსაფრთხოების მიზნით, კედლები ისევ ამოაშენეს.

ცხენის გარშემო კვლავ წარმოიქმნა ცხარე დავა, როცა კასანდრამ განაცხადა, რომ მის შიგნით შეიარაღებული ადამიანები იმალებიან. მისთვის მხარი დაუჭერია ნათელმხილველ ლაოკოონსაც. „ნუ დაუჯერებთ, უგუნურნო, საბოძვართა შემწირველ ბერძნებს", – წამოუძახია უკანასკნელს და ცხენისთვის თავისი შუბი უტყორცნია. შუბი ფერდში შეერჭო ზანზარით, რის გამოც ცხენის შიგნით იარაღმა გაიჟღარუნა. გაისმა ხმები: „გავტეხოთ!", „გალავნიდან გადმოვაგდოთ!", მაგრამ პრიამოსის მომხრენი თავისას არ იშლიდნენ, დაე, დარჩესო.

## სინონი. ლაოკოონი. პრიამოსი ტყუვდება

კამათი ტყვედქმნილი სინონის გამოჩენასთან ერთად მიწყნარდა, რომელიც ორმა ტროელმა მეომარმა მოიყვანა. დაკითხვის დროს მას დაერწმუნებინა ტროელები, თითქოს ოდისევსი დიდი ხანია მის მოკვლას ცდილობდა პალამედესის მოკვლის საიდუმლოს ცოდნის გამო. ბერძნები, მისი თქმით, ომმა გადაღალა და ადრეც გაცურავდნენ სამშობლოსაკენ, ამინდს რომ არ შეეშალა ხელი. აპოლონს თითქოს ურჩევია მათთვის, ქარები სისხლიანი მსხვერპლშეწირვით მოემადლიერებინათ, სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა ისინი დიდხანს ვერ ახერხებდნენ ავლისიდან გასვლას. „ამის შემდეგ, –

განაგრძო სინონმა, – ოდისევსმა კალქასი ელინთა წინაშე დააყენა და მომავალი მსხვერპლის დასახელება მოსთხოვა. კალქასს პასუხი არ გაუცია, ათი დღით განმარტოებულა, ხოლო მეთერთმეტე დღეს, უეჭველად ოდისევსის მიერ მოსყიდული, მივიდა იქ, სადაც საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა და ჩემზე მიუთითა. ყველანი მოწონებით შეხვდნენ მის ნათქვამს, რადგან თითოეულმა შვებით ამოისუნთქა, როცა შეიტყო, რომ განსაცდელს გადაურჩა, მე კი ბორკილები დამადეს. უეცრად ზურგის ქარმა დაუბერა, ყველამ გემებისკენ ისწრაფა და საყოველთაო არეულობისას მე გაქცევა მოვახერხე".

ასე მოხერხდა მოტყუება პრიამოსისა, რომელმაც სინონი მსხვერპლად მიიჩნია და მისთვის ბორკილების ახსნა ბრძანა. ახლა კი ამ ცხენის თაობაზე მოგვიყევიო, ალერსიანად უბრძანებია მას. სინონს აუხსნია, რომ ბერძნები იმ ღმერთქალის – ათენას – მხარდაჭერას მოკლებულნი აღმოჩნდნენ, რომელზედაც ისინი დამოკიდებულნი იყვნენ. ეს მას შემდეგ მომხდარა თითქოს, რაც ოდისევსმა და დიომედესმა პალადიონი გაიტაცეს მისი ტაძრიდან. ბანაკში მიტანისთანავე ცეცხლის ალი სამჯერ მოეკიდა ქანდაკს, ხოლო მუხლებზე ოფლმა დაასხა, რაც ქალღვთაების რისხვის ნიშანი იყო. ამის შემდეგ კალქასს თითქოს აგამემნონისთვის ურჩევია, რომ შინ გამგზავრებულიყო და საბერძნეთში ახალი ლაშქარი შეეკრიბა, ხოლო ცხენი ათენას მოსამადლიერებელი ძღვენის სახით დაეტოვებინა. ასეთი დიდი რატომ გააკეთესო ცხენი, უკითხავს პრიამოსს. სინონს, რომელიც კარგად დაერიგებინა ოდისევსს, ამაზე უპასუხია: „რათა იგი ქალაქში ვერ შეგეტანათ. კალქასმა იწანასწარმეტყველა, რომ თუ თქვენ მოიძულებთ ამ წმინდა ქანდაკებას, ათენა გაგანადგურებთ, ხოლო თუ იგი ტროაში აღმოჩნდება, მაშინ თქვენ მთელი აზიის ძალების გაერთიანებას, საბერძნეთში შეჭრასა და მიკენის აღებას შეძლებთ".

„მტკნარი სიცრუეა! – წამოიძახა ლაოკოონმა, – ეს ყველაფერი ოდისევსმა მოიგონა. ნუ დაუჯერებ ამ კაცს, პრიამოს!" და დაამატა: „ნება მომეცი, ახლა მსხვერპლი შევწირო პოსეიდონს, ხოლო



როცა დავბრუნდები, იმედი მაქვს, რომ აქ ცხენის ფერფლილა დამხვდება".

ლაოკოონი მსხვერპლის მოსამზადებლად და საკურთხევლის მოსამზადებლად გაეშურა, ამ დროს კი აპოლონმა ტროას მოახლოებული დაცემის ნიშნად ორი უზარმაზარი ზღვის გველი გამოგზავნა ტენედოსის მხრიდან. ისინი ნაპირზე ამოსრიალდნენ, ლაოკოონის ტყუპ ვაჟებს, ანტიფოსსა და ფიმბრევსს შემოეგრაგნენ და მოაშთეს. ლაოკოონს, რომელმაც მათ საშველად ისწრაფა, ასეთივე საშინელი ბედი ეწია. ამის შემდეგ გველები ათენას ტაძარში შესრიალდნენ, ერთი მათგანი ქალღმერთის ფეხებს შემოეხვია, მეორე კი მისი ეგისის ქვეშ მიიმალა.

ამ საშინელმა ნიშანმა ტროელები დაარწმუნა, რომ სინონი სიმართლეს ამბობდა. პრიამოსმა შეცდომით ჩათვალა, რომ ლაოკოონი ცხენისთვის შუბის ტყორცნის გამო დაისაჯა. მას არც კი გაუვლია აზრად, რომ მისნის დასჯის მიზეზი შეიძლებოდა ის შეურაცხყოფა ყოფილიყო, რომელიც მან აპოლონს მიაყენა, როცა მის ნაცვლად მსხვერპლი პოსეიდონს შესწირა. პრიამოსმა მაშინვე უძღვნა ცხენი ათენას და, თუმცა ენეასის ხალხი შფოთვით დაუბრუნდა თავთავიანთ კერიებს იდას მთაზე, პრიამოსის ქვეშევრდომმა თითქმის ყველა ტროელმა გადაწყვიტა, ნადიმებითა და მხიარულებით აღენიშნათ გამარჯვება. ქალები ყვავილებს აგროვებდნენ, მათგან ყვავილწნულებს წნავდნენ და ხის ცხენის ფაფარს ამკობდნენ, ხოლო მის ფლოქვებთან ვარდების ხალიჩა გაეფინათ.

ამ დროს ბერძნები, რომლებიც ცხენის შიგნით ისხდნენ, შიშისაგან ცახცახებდნენ, დამფრთხალი ეპევსი კი ჩუმად ტიროდა. ოდენ ნეოპტოლემოსს ჰქონდა უდრეკი გამომეტყველება, მაშინაც კი, როცა ლაოკოონის ნატყორცნმა შუბმა ფიცარი ჩაამტვრია მის თავთან. დროდადრო იგი მეთაურად გამწესებულ ოდისევსს სთხოვდა, თავდასხმის ნიშანი მოეცა, თან მუქარით უჭერდა ხელს თავის შუბსა და მახვილს. მაგრამ ოდისევსი არ თანხმდებოდა. საღამოს ელენე სასახლიდან გამოვიდა და სამჯერ შემოუარა ცხენს, თან ფერდებზე მოეფერა და, თითქოსდა მასთან ერთად მოსეირნე დეიფობოსის გართობა უნდაო, დამალული ბერძნების გამოჯავრე-

ბას მოჰყვა – რიგრიგობით ბაძავდა მათი ცოლების ხმებს. მენელაოსი და დიომედესი, რომლებიც ცხენის შუაგულში, ოდისევსის გვერდით ისხდნენ ჩაცუცქულები, როგორც კი თავიანთი სახელები შემოესმათ, მზად იყვნენ, ცხენიდან გადმომხტარიყვნენ, მაგრამ ოდისევსმა შეაკავა ისინი, ხოლო როცა ანტიკლესი, ის-ის იყო, პასუხს აპირებდა, პირი ხელისგულით მოუკუმა თურმე, ზოგიერთთა თქმით კი – მოახრჩო.

ღამით, ნადიმითა და მხიარულებით დაქანცული ტროელები, როგორც იქნა, დაშოშმინდნენ და ჩაეძინათ. შუაღამეს, იმ დრომდე, სანამ სავსე მთვარეს მოუწევდა ცაზე გამოჩენა – ეს მეშვიდე სავსემთვარეობა იყო იმ წელს, – სინონმა ქალაქიდან გამოაღწია და აქილევსის საფლავზე სასიგნალო ცეცხლი დაანთო, ანტენორი კი ჩირაღდნის ქნევას მოჰყვა.

აგამემნონმა ნიშანს გემბანზე საგანგებოდ მომარაგებული ფიჭვის ნაფოტებისთვის ცეცხლის მოკიდებით უპასუხა. მისი გემი ამ დროს უკვე ტროას ნაპირიდან სულ რამდენიმე ისრის გაფრენის მანძილზე იმყოფებოდა. მთელი ფლოტი დაუყოვნებლივ გაემართა ნაპირისაკენ. ანტენორი ფრთხილად მიუახლოვდა ცხენს და ჩუმი ხმით აუწყა შიგ მსხდომთ, რომ ყველაფერი წესრიგში იყო. მაშინ ოდისევსმა ეპევსს ცხენის კარის გაღება უბრძანა.

ექიონი, პროტევსის ძე, პირველი გადმოხტა, დაეცა და კისერი მოიტეხა. დანარჩენები ეპევსის წამოლებული თოკის კიბით ჩავიდნენ. მეომართა ნაწილი ქალაქის კარიბჭისკენ გაიქცა, დანარჩენებმა ციხესიმაგრისა და სასახლის დარაჯები ამოხოცეს. მაგრამ მენელაოსს ოდენ ელენეს დარდი ჰქონდა და მაშინვე მისი სასახლისკენ გაიქცა.

## 12 ტროას გაძარცვა და ტროელთა ბედი

### პრიამოსის სიკვდილი

მართალია, ოდისევსი შეჰპირდა ჰეკაბესა და ელენეს, რომ ბერძნები ყველას დაინდობდნენ, ვინც წინააღმდეგობას არ გაუწევდა, მაგრამ გამარჯვებულნი მთვარის შუქით განათებულ ქუჩებში ნაკადებად



მიემართებოდნენ, დაუცველ სახლებში იჭრებოდნენ და ვისაც სწვდებოდნენ, ყველას ყელს სჭრიდნენ. ჰეკაბე ქალიშვილებითურთ ზევსის საკურთხეველთან მდგომი ბებერი დაფნის ხის ქვეშ დაიმალა და პრიამოსი ბრძოლის ორომტრიალში ჩაბმისაგან შეაკავა. „ჩვენთან დარჩი, ბატონო, – ემუდარებოდა იგი, – ამ უსაფრთხო ადგილას. შენ მეტისმეტად მოხუცი და უძლური ხარ ბრძოლისათვის“. პრიამოსი უნდომლად დარჩა და მანამ იჯდა ხის ქვეშ, სანამ მათ თვალწინ მათივე შვილმა, პოლიტესმა არ გაირბინა, რომელსაც ბერძნები მისდევდნენ, და სანამ იგი პირდაპირ მათ თვალწინ შუბით განგმირული არ დაეცა. მაშინ წყევლით სტყორცნა შუბი პრიამოსმა ნეოპტოლემოსს, რომელმაც მისი ვაჟი განგმირა, მაგრამ პრიამოსის შუბს არა უვნია რა მოწინააღმდეგისთვის. ამის შემდეგ მეფე ჩამოათრიეს საკურთხევლის კიბეებიდან, რომლებიც პოლიტესის სისხლით იყო მოთხვრილი, და საკუთარი სასახლის ზღურბლზე აჩეხეს. ხოლო ნეოპტოლემოსმა, რომელსაც მამის წინაშე თავისი მოვალეობა ახსოვდა, პრიამოსის უთავო გვამი აქილევსის საფლავზე, სიგეას კონცხზე თრევით მიიტანა და იქ დატოვა დაუკრძალავად.

### დეიფობოსი

ამასობაში ოდისევსი და მენელაოსი დეიფობოსის სახლისკენ გაეშურნენ და იქ ჩაებნენ ორთაბრძოლაში, რომელიც ყველაზე სისხლიანი იყო იმათ შორის, რაც კი ოდესმე გადახდენოდათ. გამარჯვება მათ მხოლოდ ათენას ჩარევის შედეგად ერგოთ. რომელმა მათგანმა მოკლა დეიფობოსი, ზუსტად ცნობილი არ არის. ზოგიერთები იმასაც ამბობენ, თითქოს ელენემ ჩასცა მახვილი ზურგში. ელენეს ამ საქციელსა და ღვთაებრივ სილამაზეს ისე შეურყევია მენელაოსის მანამდელი მყარი და ფიცით განმტკიცებული გადაწყვეტილება, საკუთარი ხელით მოეკლა ცოლი, რომ მახვილი განზე გადაუგდია და სრულიად უვნებელი წაუყვანია იგი გემებისკენ. დეიფობოსის სხეული სასტიკად აეჩეხათ და დაესახიჩრებინათ, თუმცა, როგორც ამბობენ, შემდგომში ენეასს მისთვის კენოტაფოსი (ცარიელი საფლავი) აღუმართავს რეტეას კონცხზე.

## ანტენორი

ოდისევსმა თვალი ჰკიდა გლავკოსს, პრიამოსის სიძის – ანტენორის ერთ-ერთ ვაჟს, რომელიც ცდილობდა, ბერძენი მდევრებისაგან თავი დაეღწია, და გამოესარჩლა მას. იმავდროულად გადაარჩინა გლავკოსის ძმა, სახელად ჰელიკაონი, რომელიც სერიოზულად იყო დაჭრილი. ამის შემდეგ მენელაოსმა ანტენორის სახლის კარზე ლეოპარდის ტყავი დაკიდა ნიშნად იმისა, რომ ამ სახლის „დანგრევა არა ხამს“. ამით მან სანაცვლო პატივი მიაგო ტროელს, რომელმაც თავის დროზე გამძვინვარებულ თანამემამულეებს მოუწოდა, ელჩთა ხელშეუხლებლობის წესი დაეცვათ და ამით ტროაში მისული ელჩობა – მენელაოსის, ოდისევსისა და პალამედესის შემადგენლობით – უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა. ანტენორს თავის ცოლთან, თეანოსთან და ოთხ ვაჟიშვილთან ერთად საშუალება მისცეს, იქაურობისთვის თავი დაეღწია და ბარგის სახით იმდენი ნივთი წაეღო თან, რამდენსაც შეძლებდა. რამდენიმე დღეში იგი ოჯახითურთ მენელაოსის გემით გაემგზავრა და ჯერ კირენეში დასახლდა, შემდეგ თრაკიაში და ბოლოს – გენეტიკეში, ადრიატიკის ზღვაზე.

## ენეასი

ენეასის ოჯახი ერთ-ერთი იმ მცირედთაგანი იყო (ხოლო რომაელთა მტკიცებით, ერთადერთი), რომელიც ბერძნებმა შეიბრალეს და არ ამოწყვიტეს. როცა აგამემნონმა დაინახა, როგორ შეისვა ენეასმა ზურგზე მამა, ხანდაზმული ანქისესი, და უკანმოუხედავად წაიყვანა იგი დარდანოსის კარიბჭისკენ, ბრძანა, რომ ამ ღვთისმოსავი ძისათვის ხელი არავის ეხლო. სხვათა მტკიცებით კი იგი უკანასკნელ წუთამდე იცავდა ტროას, მერე პერგამონის ციხესიმაგრეში გადაინაცვლა და მედგარი თავდაცვის შემდეგ თავისი ხალხი ღამის საფარველქვეშ იდას მთაზე გაგზავნა, სადაც მალევე შეუერთდა მთელი თავისი ოჯახით, ძვირფასეულობითა და ღმერთთა მცირე ქანდაკებებით – პენატებით, რის შემდეგაც, ბერძენთა



პირობის თანახმად, იგი თრაკიის პელენეს გაემგზავრა და ან იქ, ან არკადიის ორქომენოსში გარდაიცვალა. მართალია, რომაელები ამბობენ, თითქოს თავისი მოგზაურობის დროს მას ბოლოს და ბოლოს მიეღწიოს ლაციუმამდე, დაეარსებინოს ქალაქი ლავინია, დაცემულიყოს ომში და ღმერთების მიერ ზეცად ამაღლებულიყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ რომაელთა გამონაგონია (რომელსაც დაწვრილებით გაგაცნობთ ჩვენი სერიის ბოლოსწინა წიგნი „ტროას ომის შემდეგ“, კერძოდ, მისი თავი, რომელიც რომაულ ფსევდომითოლოგიას ეძღვნება). ენეასი ნეოპტოლემოსმა წაიყვანა თავისი გემით, როგორც ტყვე – ეს ბერძნების მიერ მოპოვებული ყველაზე საპატიო ნადავლი იყო, – და თავისთან ჰყავდა იგი მანამ, სანამ დარდანებისაგან გამოსასყიდი არ მიიღო მის გასათავისუფლებლად.

## კასანდრას შეურაცხყოფა, ათენას რისხვა და პატარა აიაქსის სიკვდილი

რაც შეეხება ცნობილ მისან კასანდრას, რომელსაც პატარა აიაქსმა ტაძარში ათენას ქანდაკებასთან ახადა ნამუსი, იგი ნადავლის სახით აგამემნონს ერგო წილად, ხოლო მისი შემდგომი ბედი ჩვენი სერიის წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები“ არის აღწერილი. აიაქსის ღვთისმგმობლური საქციელი კი თავად ბერძენთათვის გახდა უბედურების მომტანი. კალქასმა საბჭო გააფრთხილა, რომ სანამ ბერძნები შინ გაემგზავრებოდნენ, ათენა უნდა მოემადლიერებინათ იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც მას პატარა აიაქსმა მიაყენა. აგამემნონის საამებლად ოდისევსს შემოუთავაზებია, ჩაექოლათ აიაქსი, მაგრამ ოილევსის ძე გაიქცა და იმავე ათენას საკურთხეველს შეაფარა თავი, საიდანაც იფიცებოდა, ოდისევსი, როგორც ყოველთვის, ტყუისო. მიუხედავად იმისა, რომ შეურაცხყოფის ფაქტს თავად კასანდრაც უარყოფდა, კალქასის ნამისნევის უგულებელყოფა არ შეიძლებოდა, ამიტომ აიაქსმა სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მან ტაძრიდან ათენას ქანდაკი გამოათრია (გადმოცემის თანახმად, აიაქსს უცდია ძალით

გამოეყვანა კასანდრა ტაძრიდან, მაგრამ ქალი ისე მაგრად ჩაფრენოდა ქანდაკებას ხელებით, რომ აიაქსმა ვერაფრით ააგლიჯა და ქალის თრევა ქანდაკებასთან ერთად უწევდა). ყოველივე ამის გამო აიაქსს საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვა შეუთავაზებია საბჭოსათვის, მაგრამ მას თავისი სიტყვის აღსრულება არ დასცალდა; გემი, რომლითაც იგი შინ მიემგზავრებოდა, ჰირეს კლდეებზე დაიმსხვრა. როცა განწირული გმირი ნაპირზე ამოვიდა, პოსეიდონს კლდეები სამკაპით გაუპია და აიაქსი დაუხრჩვია. იმასაც ამბობენ ზოგიერთები, თითქოს ათენამ ზევსს დროებით მეხი გამოართვა და ოილევსის ძე მით განუგმირავს. მიუხედავად ამისა, თეტისს მიწისთვის მიუბარებია მისი ნეშტი კუნძულ მიკონოსზე, ხოლო მის თანამემამულეებს მთელი წელიწადი შავით მოსილებს უვლიათ და შემდგომში ყოველწლიურად ჩაუშვებდნენ ხოლმე ძღვენით დატვირთულ აფრიან გემს ზღვაში და აიაქსის პატივსაცემად წვავდნენ.

შემდეგ ათენას რისხვა ოპუნტის ლოკრისის მიწას დაატყდა თავს. დელფოს სამისნოს აიაქსის ყოფილი ქვეშევრდომნი გაუფრთხილებია, რომ შიმშილისა და ჟამიანობისგან ამოხდებოდათ სული, თუკი ყოველწლიურად, ათასი წლის განმავლობაში, ორ ქალწულს არ გაგზავნიდნენ ტროაში. მას შემდეგ ლოკრისის ასი ოჯახი ეწეოდა ამ ჭაპანს თავიანთი მაღალი წარმომავლობის დასამტკიცებლად. ქალწულებს კენჭისყრით ირჩევდნენ და უკუნ ღამეში გადმოსხამდნენ გემიდან რეტეას კონცხზე, თანაც ამას წელიწადის სხვადასხვა დროს აკეთებდნენ ხოლმე. მათ თავიანთი ნათესავები ახლდათ, რომლებმაც ათენას ტაძრისკენ მიმავალი გზა უწყოდნენ. იმ ქალწულებს, რომელთა დაჭერას ტროელები ტაძარში მოხვედრამდე ახერხებდნენ, ქვებით ქოლავდნენ, წვავდნენ, რათა მიწა არ შეებილწათ, ხოლო ფერფლს ქარს ატანდნენ ზღვაში. მაგრამ თუკი ქალწულები ტაძრამდე მიაღწევდნენ, ამ შემთხვევაში ზიანს აღარ აყენებდნენ. ტაძარში თმას შეუკვეცდნენ, მონათა პერანგებს ჩააცმევდნენ, რის შემდეგ მათ მორჩილად უნდა შეესრულებინათ ყოველგვარი შავი სამუშაო მანამ, სანამ შემცვლელებად სხვები არ გამოჩნდებოდნენ. ერთხელ,





ოდისევსისა და აიაქსის დავა აქილევსის იარაღის გამო. ხმალგაშიშვლებული გმირები მზად არიან, იარაღით დაამტკიცონ თავიანთი უფლება. მათ შორის დგას აგამემნონი და გაშველებას ცდილობს. აქეთ-იქიდან გმირების გაკავებას ცდილობენ თანამებრძოლნი. აქილევსის იარაღ-საჭურველი — მათი უთანხმოების მიზეზი — მიწაზე დევს. წითელფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 490 წ. ვენა. ხელოვნების ისტორიის მუზეუმი.

მითის ერთი ვერსიით, ოდისევსი აქილევსის საჭურველს კენჭისყრის შედეგად დაეუფლა. ნახატის შუაში ვხედავთ ოდისევსისადმი კეთილგანწყობილ ათენას, რომელიც მარჯვენა ხელის ჟესტით ოდისევსის მხარდაჭერას გამოხატავს. ხმების უმრავლესობა სწორედ ოდისევსს ერგო, რასაც ადასტურებს მის მხარეს დადებული კენჭების სიმრავლე. წითელფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 490 წ. ვენა. ხელოვნების ისტორიის მუზეუმი.





აქილევსის საჭურველთან დაკავშირებული კიდევ ერთი ვერსია ამ სურათზეა წარმოდგენილი. თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად ოდისევსი შემაღლებული ადგილიდან წარმოთქვამს სიტყვას აქაველთა თავყრილობაზე. აიაქსი ყურადღებით უსმენს. მათ შორის აწყვია სადავო საჭურველი. შავფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 500 წლის შემდგომი პერიოდი. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



გაშმაგებული აიაქსი იმზადებს თვითმკვლელობის იარაღს – ხანჯალს ყუით არჭობს მიწაში. მხოლოდ ფინიკის ხე და გმირის იარაღ-საჭურველია ამ ამბის მოწმენი – უსულო საგნები, რომელთაც მხატვარმა ამ სურათზე გონიერი არსებების სახება მიანიჭა: ხე თითქოს გადმოზნექილა აიაქსისკენ, იარაღ-საჭურველს კი თითქოს ვიღაც უხილავი მებრძოლი ატარებს და გაყინული მზერით შეჰყურებს გმირს. სცენა სოფოკლეს ტრაგედია „აიაქსის“ მიხედვით. შავფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 530 წ. ბულონი. საჯარო მუზეუმი.



აქაველები პოულობენ ხანჯალზე წამოგებული აიაქსის ცხედარს. მარცხნივ არიან დიომედესი და ოდისევსი (ორივეს გამოსახულება დაზიანებულია). მარჯვნივ – აგამემნონი, ტევკროსი და აიაქს ლოკრისელი. შუაში, აიაქსის ცხედართან – ორი მოხუცებული, ფენიქსი და ნესტორი ხელის ჟესტიკულაციის თანხლებით მსჯელობენ მომხდარზე. კორინთული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 580 წ. ბაზელი. ანტიკურობის მუზეუმი.



არ ეწერა ტროას დაცემა, ვიდრე ჰერაკლეს იარაღის მფლობელი ფილოქტეტესი არ შეუერთდებოდა აქაველთა ლაშქარს. ნახატზე წარმოდგენილია ბერძნების ელჩობა კ. ლემნოსზე. ელჩობის მიზანი იყო, ნებით თუ ძალით წამოეყვანათ ფილოქტეტესი. გამოქვაბულის შესასვლელთან მჯდომი გმირი ჯერ ვერ ამჩნევს მოსულთ, რომელნიც ბჭობენ იმის თაობაზე, თუ რა გზით დაითანხმონ იგი. მარცხენა მხარეს ათენა რჩევას აძლევს დიომედესს(?) ან ნეოპტოლემოსს(?), მარჯვნივ – ოდისევსი(?) ესაუბრება პეითოს(?). კრატერი. ძვ.წ. 380-350 წწ. სირაკუზა, ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.

იმის გამო, რომ აქილევსის იარაღ-საჭურველი აიაქსის თვითმკვლელობის მიზეზი გახდა, ოდისევსმა იგი კანონიერ მემკვიდრეს, აქილევსის ვაჟს, ნეოპტოლემოსს დაუბრუნა. ჭაბუკი კმაყოფილი სახით ათვალიერებს მას. ფარზე გამოსახულია ვარსკვლავები და ჰეფესტოს ღვთაებრივი ნიჭით შექმნილი ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან სცენათაგანი, რომელთაც აღწერს ჰომეროსი – ლომი მოინადირებს შველს. წითელფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 490 წ. ვენა. ხელოვნების ისტორიის მუზეუმი.





ათენა უკანასკნელად ათვალიერებს აქაველთა ძღვენს – ხის ცხენს. წითელფიგურული კილიკი. დაახლ. ძვ.წ. 470-460 წწ. ფლორენცია. არქეოლოგიური მუზეუმი.



ფრაგმენტი სცენიდან „პალადიონის მოტაცება". ტროას დაცემის ერთ-ერთი პირობა იყო პალადიონის ხელში ჩაგდება. ტროადან მისი მოტაცება წარმატებით შეძლეს ოდისევსმა და დიომედესმა, ოღონდ გმირები ამ საქმეში ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას. წითელფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 490-480 წწ. სტოკჰოლმი. Medelhavsmuseet.



ხის ცხენი, რომლითაც ბერძნებმა ტროაში შეღწევა მოახერხეს. ამ პირობით ნახატზე იგი ფანჯრებითაა გამოსახული, რაც რეალობას, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება. ფანჯრებში აქაველ მებრძოლთა თავებს ვხედავთ. ცხენის გარეთ ტროელი მეომრები არიან გამოსახულნი. ბარელიეფი ამფორაზე. დაახლ. ძვ.წ. 670წ. მიკენი. არქეოლოგიური მუზეუმი.



ზღვიდან ამოსული გველი ახრჩობს ტროელ მისან ლაოკოონსა და მის ვაჟებს იმ წინასწარმეტყველების გამო, რომლითაც ლაოკოონი ხის ცხენს ბერძენთა ავბედით საჩუქრად აცხადებდა, ტროას რომ დაღუპვას უქადდა. მისნისა და მისი შვილების სიკვდილისწინა ტანჯვა სკულპტორმა დიდი პათოსითა და დრამატიზმით გადმოსცა. ძვ.წ. I ს. რომი, ვატიკანის მუზეუმები.



ენეასს ოჯახი გაჰყავს ტროიდან. გმირს ზურგზე აკიდებული ჰყავს მოხუცი მამა – ანქისე. უკან ენეასს ცოლი მიჰყვება, ახალგაზრდა შეიარაღებული მეომარი კი წინ უძღვის. წითელფიგურული კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 470-460 წწ. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.



ხის ცხენის ფეხი და ბერძენი მეომრები, რომლებიც ჩამოდიან ცხენიდან (ან, შესაძლოა, ადიან მასში ჩასასხდომად). მარჯვნივ გამოსახულია ეპევსი – აქაველთა ამ „ძღვენის" ამგები. შავფიგურული კრატერის ფრაგმენტი. დაახლ. ძვ.წ. 550 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.



მოცემულ ორ გვერდზე წარმოდგენილია ტროას დაცემის სამი ფრაგმენტი ერთი და იმავე, წრიულად მოხატული ჭურჭლიდან (მარცხენა გვერდის ორივე და მარჯვენა გვერდის ზედა სურათი). შუბშემართული ათენას ქანდაკებას ხელჩაჭიდებული კასანდრა ევედრება ქალღმერთს, შეიფაროს იგი. მიუხედავად ამისა, მას ელის შეურაცხყოფა პატარა აიაქსისაგან, რომელიც ამ სურათზე ცდილობს ქანდაკებას მოაშოროს ქალი. მარცხენა მხარეს ჩანს ენეასი, რომელსაც ტროადან გაჰყავს მოხუცი მამა. წინ პატარა ასკანიოსი მიუძღვით. მარჯვენა მხარეს (ისევე, როგორც მომდევნო გვერდის ზედა სურათზე) ვხედავთ მგლოვიარე ტროელ ქალებს, რომლებიც თავში ხელებს იცემენ და თმებს იგლეჯენ.



ზევსის სამსხვერპლოზე ზის დაჭრილი პრიამოსი. სასოწარკვეთილს ხელები თავზე აუფარებია, ხოლო მუხლებზე უწევს მკვდარი შვილიშვილი ასტიანაქსი. მოახლოებულია მოხუცი მეფის აღსასრული — მას თავზე ადგას სასიკვდილო დარტყმის მისაყენებლად ხანჯალშემართული ნეოპტოლემოსი. სამსხვერპლოს წინ, ნეოპტოლემოსის ფეხებთან, მოკლულის, ალბათ პრიამოსის რომელიმე ძის ცხედარია.



მარცხნივ — ტროელი ქალი იგერიებს ელინ მებრძოლს (იხ. აგრეთვე წინა სურათის მარჯვენა ნაწილი). შუაში — შვილიშვილები აკამასი და დემოფონი გადაარჩენენ მოხუც ეთრას.



ფრაგმენტი მარცხენა გვერდის ქვედა სურათიდან. წითელფიგურული კალპე. ძვ.წ. 480–475 წწ. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



ელენე და მენელაოსი. ბოსტონი. სახვითი ხელოვნების მუზეუმი.



მენელაოსი მისდევს ელენეს. ქვემოთ ვხედავთ გულმომლბარი მეუღლის ხელიდან გაგდებულ ხანჯალს. მხატვარი კლეოფონი. ატიკური წითელფიგურული ამფორა. ძვ.წ. 430 წ. ბაზელი. ანტიკურობის მუზეუმი.



ელენე, რომელსაც სურს თავი დააღწიოს ქმრის მრისხანებას, თავშესაფარს ეძებს ათენას ქანდაკებასთან. წითელფიგურული ოინოქოე. დაახლ. ძვ.წ. 430-425 წწ. რომი. ვატიკანის მუზეუმები.



ადამიანის მსხვერპლშეწირვა ღმერთების მოსამადლიერებლად თუ გარდაცვლილთა სულების საამებლად ბერძნული მითებისათვის უცხო არ არის, თუმცა ძალზე იშვიათი მოვლენაა და ბერძნული კულტურის განვითარების ადრეული ეტაპებიდან შემორჩენილი გადმონაშთი უნდა იყოს. სამ მებრძოლს – ამფილოქოსს, ანტიფატესსა და აიაქს ოილევსის ძეს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში უჭერიათ პოლიქსენეს სხეული, ხოლო ნეოპტოლემოსი თავს უჭრის და ხანჯალს უყრის ყელში. ჭრილობიდან გადმოდენილი სისხლი ანთებულ კოცონს ეპკურება. მარჯვენა მხარეს მსხვერპლშეწირვას ზურგს აქცევს მოხუცი ფენიქსი. შავფიგურული ამფორა. ძვ.წ. 570-560 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.





პოლიქსენეს მსხვერპლშეწირვა აქილევსის საფლავზე. ბარელიეფის მარცხენა მხარეს – მგლოვიარე ტროელი ქალების გუნდი. გვიანარქაული მარმარილოს სარკოფაგი ტროადან. ძვ.წ. 520-500 წწ. ჩანაკალეს მუზეუმი.



*ევრიპიდეს ცნობის თანახმად, როცა ჰეკაბემ შეიტყო თავისი უკანასკნელი შვილის, პოლიდოროსის სიკვდილის ამბავი, სასოწარკვეთილმა დაახოცვინა მკვლელის – თრაკიის ხერსონესის მეფის, პოლიმესტორის შვილები, თავად იგი კი დააბრმავა. სურათზე ვხედავთ სცენას სამსჯავროს შემდეგ. შუაში დაბრმავებული პოლიმესტორი ბარბაცით და ხელების ქნევით ცდილობს გზის გაგნებას. მარცხნივ დგას აგამემნონი სკიპტრით ხელში. მარჯვნივ – ხელჯოხს ეყრდნობა ჰეკაბე, რომელსაც სახეზე ტკივილი და სასოწარკვეთა აღბეჭდვია. ახალგაზრდა ქალს მისთვის მხარზე ხელი მოუხვევია და ცდილობს, ნუგეში სცეს უბედურ დედოფალს. ვანსაბანი წყლისთვის განკუთვნილი ჭურჭელი. ძვ.წ. 350-325 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.*



*ტროას დაცემის ამსახველი კიდევ ერთი სურათი, რომელზედაც გამოსახულნი არიან ათენას ქანდაკებას ჩაფრენილი ტროელი მისანი კასანდრა და მისი შეურაცხმყოფელი – აიაქს ლოკრიელი. მითის მიხედვით, მოვლენები ერთობ დრამატულად განვითარდა: აიაქსი ჯერ აგლეჯს კასანდრას ათენას ხის ქანდაკებას, რის გამოც იგი იმტვრევა. ელინი ტაძარშივე აუპატიურებს მისან ქალს, რითაც ღმერთების რისხვას დაიტეხს თავს: ჯერ თანამემამულეები დაუპირებენ ჩაქოლვას, ხოლო გადარჩენილს მოგვიანებით ზღვის მეფე თუ პოსეიდონის სამკაპი მოუღებს ბოლოს. აპულიკური კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 350 წ. ნეაპოლი. არქეოლოგიური მუზეუმი.*

დიდი ხნის წინათ, როცა ტროა ტრარებმა დაიპყრეს და ლოკრისელი ქურუმი ქალი მოკლეს შუაგულ ტაძარში, ლოკრისელებს მიუჩნევიათ, რომ სასჯელს ვადა გაუვიდა და მიატოვეს ქალწულების გაგზავნა. მაგრამ შიმშილმა და ჟამიანობამ მაშინვე აიძულა, შეეცვალათ გადაწყვეტილება და ძველი ჩვეულება აღედგინათ. ქალწულები ათენას ტაძარში მიწისქვეშა გასასვლელით ხვდებოდნენ, რომელიც ქალაქის კედლებიდან მოშორებით მდებარეობდა. ეს გასასვლელი ჭუჭყიან წყალსადინარს უერთდებოდა, რომლითაც თავის დროზე ოდისევსმა და დიომედესმა ისარგებლეს – ხომ გახსოვთ, ტროაში შეღწევა და პალადიონის მოტაცება ორმა გმირმა სწორედ მისი გავლით მოახერხა. ტროელებს არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა გზით ხვდებოდნენ ქალწულები ტაძარში და არც ის იცოდნენ, რომელ ღამეს ჩამოვიდოდნენ შემცვლელნი. ამიტომ, საერთოდ, ძალიან იშვიათად თუ დაუჭერიათ ქალწულნი, ისიც შემთხვევით.

## ასტიანაქსის მოკვდინება. ანდრომაქეს ბედი

ტროაში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ბერძნებმა გაძარცვეს და გადაწვეს ქალაქი, ნადავლი დაინაწილეს, ქალაქის კედლები დაანგრიეს და ურიცხვი მსხვერპლი შესწირეს თავიანთ ღმერთებს. ბელადთა საბჭო საკმაოდ დიდხანს ბჭობდა იმის თაობაზე, თუ რა ექნათ ჰექტორის ჩვილისთვის, ასტიანაქსისთვის, რომელსაც სკამანდრიოსსაც ეძახდნენ. ბოლოს ოდისევსი წამოდგა და შესთავაზა ყველას, გაენადგურებინათ პრიამოსის გვარი. ბავშვის ბედი საბოლოოდ კალქასის წინასწარმეტყველების მიხედვით გადაწყდა, რომლითაც, თუკი ბავშვს ცოცხალს დატოვებდნენ, დროთა განმავლობაში იგი შურს იძიებდა თავისი მშობლებისა და ქალაქის გამო. არც ერთ ბერძენ მეფეს არ სურდა, თავის თავზე აეღო ბავშვის მოკვდინება – ეს მეტისმეტად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. მაშინ ოდისევსმა საკუთარი ნებით გადმოაგდო ასტიანაქსი ქალაქის კედლიდან. იმასაც ამბობენ, რომ ეს საქმე ნეოპტოლემოსმა ჩაიდინა, რომელსაც ნადავლის სახით წილად ერგო ჰექტორის ცოლი ანდრომაქე და რომელმაც, საბჭოს

გადაწყვეტილებაში წინდაწინ დარწმუნებულმა, დედას შვილი მკერდიდან აგლიჯა, ბავშვი თავს ზემოთ დააბზრიალა და ქარაფებში მოისროლა.

## პოლიქსენე – აქილევსის ზვარაკი

ბელადთა საბჭომ პოლიქსენეს ბედიც გადაწყვიტა. სიკვდილის წინ აქილევსს მუდარით უთხოვია, რომ ქალი მის საფლავზე შეეწირათ მსხვერპლად, მანამდე კი ნეოპტოლემოსსა და სხვა ბელადებს გამოეცხადა სიზმრად და დაემუქრა, რომ პირქარით მანამ შეაყოვნებდა ბერძნულ ფლოტს ტროას ნაპირებთან, სანამ ელინნი მის ნებას არ შეასრულებდნენ. ერთხელ საფლავიდან ამომავალი საწყალობელი ხმაც კი გაუგიათ, ეგ არის განა სამართალი, მე რომ ნადავლიდან არაფერი მერგოო? გარდა ამისა, სიგეას კონცხზე საჭურვლით მოსილი მოჩვენება გამოჩენილა, რომელიც იძახდა: „საით, ბერძნებო? ნუთუ ჩემს საფლავს ასე პატივმიუგებლად მიატოვებთ?"

ამჯერად კალქასს საჯაროდ განუცხადებია, რომ პოლიქსენე წილად უნდა რგებოდა აქილევსს, რომელიც მას სიცოცხლეში ჰყვარობდა. აგამემნონი ამის წინააღმდეგი ყოფილა და განუცხადებია, რომ უკვე საკმარისად იყო დაღვრილი მოხუცებულთა, ჩვილთა და მეომართა სისხლი იმისათვის, რომ აქილევსის გამო „სისხლის აღება" დამთავრებულად ჩაეთვალათ, და რომ მკვდრებს, როგორი სახელგანთქმულნიც უნდა იყვნენ, არანაირი უფლებები არა აქვთ ცოცხალი ქალების მიმართ. მაგრამ დემოფონი და აკამასი, რომლებიც წილის გარეშე იყვნენ დარჩენილები, ირწმუნებოდნენ, აგამემნონი ასე იმიტომ ლაპარაკობს, რომ პოლიქსენეს დის, კასანდრას კეთილგანწყობა მოიპოვოს და რაც შეიძლება მალე ჩაიკრას გულშიო. „რა იმსახურებს მეტ პატივისცემას, – უკითხავთ მათ, – აქილევსის მახვილი თუ კასანდრას სარეცელი?" საქმე დავისკენ მიდიოდა, ამიტომ ოდისევსი ჩაერია და აგამემნონი დაიყოლია, დათმობაზე წასულიყო.

მაშინ საბჭოს ოდისევსისთვის პოლიქსენეს მოყვანა, ნეოპტოლემოსისთვის კი ქურუმის მოვალეობის აღსრულება უბრძანებია. პოლიქსენე აქილევსის საფლავზე ზვარაკად შესწირეს ყველა მეომრის თვალწინ, რომლებმაც მისი პატივით დამარხვა ისწრაფეს. დაკრძალვისთანავე ზურგქარმა დაუბერა.



## პოლიდოროსის ბედი

თუმცა აქილევსმა თავის დროზე მოკლა პრიამოსისა და ლაოთოეს ვაჟი პოლიდოროსი, რომელიც ყველაზე უმცროსი და, ამასთან, ოჯახის ნებიერა იყო, – ამავე სახელის მქონე მეორე მეფისწული სიკვდილს გადაურჩა. ეს იყო პრიამოსისა და ჰეკაბეს ძე, რომელიც გადარჩენის მიზნით თრაკიის ხერსონესში გაუგზავნიათ, სადაც აღმზრდელობას უწევდა დეიდა, მეფე პოლიმესტორის მეუღლე ილიონა. ილიონა ისე ეპყრობოდა პოლიდოროსს, თითქოს იგი მისი და პოლიმესტორის ვაჟის, დეიფილოსის ღვიძლი ძმა ყოფილიყო. აგამემნონმა, რომელიც მხარს უჭერდა ოდისევსის გადაწყვეტილებას, ამოეძირკვა პრიამოსის გვარი, პოლიმესტორთან ელჩები გაგზავნა და დაჰპირდა, რომ ცოლად მისცემდა ელექტრას და ოქროთიც დაასაჩუქრებდა, თუკი იგი პოლიდოროსს სიცოცხლეს გამოასალმებდა. პოლიმესტორმა ქრთამი მიიღო, მაგრამ ბავშვის მიმართ ბოროტების ჩადენა ვერ გაბედა, რადგან მისი მშობლებისთვის ფიცი ჰქონდა მიცემული, რომ მფარველობას გაუწევდა. ამიტომ ელჩების თანდასწრებით საკუთარი ვაჟი დეიფილოსი მოკლა და ასე მოტყუებულნი გაისტუმრა უკან. პოლიდოროსი, რომელმაც არ უწყოდა საკუთარი დაბადების საიდუმლო, მაგრამ გრძნობდა, რომ ილიონასა და პოლიმესტორს შორის განხეთქილების მიზეზი გახდა, დელფოს გამგზავრებულა და პითიასთვის უკითხავს: „რა აწუხებთ ჩემს მშობლებს?" პითიას უპასუხია: „განა არ კმარა, რომ შენი ქალაქი ნაცარტუტადაა ქცეული, მამაშენი მახვილებით აკუწეს, დედაშენი კი მონად წაიყვანეს, და ყოველივე ამის მერე შენ ასეთი შეკითხვით მოდიხარ?" შეშფოთებული პოლიდოროსი თრაკიაში დაბრუნებულა და დაუნახავს, რომ მის არყოფნაში არაფერი შეცვლილა. ნუთუ შეცდაო აპოლონი, გაიკვირვა მან. ილიონამ პოლიდოროსს სიმართლე მოუთხრო და ვაჟმა, აღშფოთებულმა

იმით, რომ ოქროსა და ახალ დედოფალს დახარბებულმა პოლიმესტორმა საკუთარი ერთადერთი ძე მოკლა, ჯერ დააბრმავა იგი, შემდეგ კი მახვილითაც განგმირა.

## ჰეკაბეს ბედი

ნადავლის გაყოფის დროს ჰეკაბე წილად ხვდა ოდისევსს, რომელმაც იგი თრაკიის ხერსონესში წაიყვანა, სადაც, შედარებით გვიანდელი წყაროების გადმოცემით, ქალს მისი და სხვა ბერძნების შესახებ ისეთი საშინელი ისტორიების მოყოლა დაუწყია (კერძოდ, ბარბაროსობასა და ღვთისმგმობლობაში ადანაშაულებდა), რომ მათ სხვა აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ იგი სიცოცხლეს გამოესალმებინათ. ჰეკაბეს აჩრდილს ერთ-ერთი იმ შავი ძუკნათაგანის სახე მიუღია, რომლებიც მუდამ თან სდევენ ჯადოსან ქალღმერთ ჰეკატეს; იმ ადგილას, სადაც ჰეკაბე დამარხეს, კინოსემა („ძუკნას საფლავი“) უწოდეს. ამ ამბებს სხვაგვარადაც ყვებიან: თითქოსდა მას მერე, რაც პოლიქსენე მსხვერპლად შესწირეს, ჰეკაბეს ზღვის ტალღებით ნაპირზე გამორიყული პოლიდოროსის სხეული ეპოვოს. როგორც ამბობენ (ეს ვერსია განსხვავდება წინა ქვეთავში მოთხრობილისგან), მის სიძეს, პოლიმესტორს მოეკლა იგი იმ ოქროს დაპატრონების მიზნით, რომელიც პრიამოსისგან მიელო თავისი შვილის აღზრდა-განათლების საზღაურად. მაშინ ჰეკაბეს დაუძახნია პოლიმესტორისთვის, ვითომდა იმ განძის ადგილსამყოფელის გასანდობად, რომელიც ტროას ნანგრევებში იყო დამარხული, და როცა იგი თავისი ორი ძის თანხლებით მოსულა, ქალს უბიდან ხანჯალი ამოუღია, ორივე ვაჟი განუგმირავს, პოლიმესტორისთვის კი თვალები დაუთხრია. ქალის ასაკისა და მის თავს გადამხდარი უბედურებების გათვალისწინებით, აგამემნონს უპატიებია მისთვის ყოველივე. მაგრამ თრაკიელ დიდგვაროვნებს შურისძიება სწყუროდათ და ამიტომ ხელშუბებითა და ქვებით ჩაუქოლავთ. სწორედ მაშინ იყო, რომ იგი ძუკნა ძაღლად ქცეულა (სახელად მერა) და ყეფით სცემია თრაკიელებს, რომლებიც დაბნეულან და გაქცეულან.



*

ერთნი ამბობენ, რომ ანტენორმა ტროას ახალი სამეფო დააარსა ძველის ადგილას, მეორენი – რომ ასტიანაქსი კი არ დაღუპულა, არამედ ბერძენთა გამგზავრების შემდეგ ტროას მეფე გახდა, და თუმცა ანტენორმა და მისმა მოკავშირეებმა განდევნეს, ენეასმა კვლავ დასვა იგი ტახტზე, რომელიც ამის შემდეგ, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, ბოლოს და ბოლოს ენეასის ვაჟს, ასკანიოსს ერგო.

ასე იყო თუ ისე, ტროას უკვე აღარასოდეს მიუღწევია ძველი დიდებისათვის.



# კომენტარები

①

წყაროები და ვარიანტები. ტროელთა წარმომავლობის თაობაზე ცნობები დაცულია შემდეგ ავტორებთან: სტრაბონი (XIII,1,48); სერვიუსი (ვერგილიუსის „ენეიდის“ III,108-ის კომენტარები); ცეცე (სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 1302).

*დარდანოსის ტროადაში მოსვლისა და ქალაქ ტროას დაარსების ამბები მოთხრობილია ძირითადად აპოლოდოროსის (III,12,1-3 და III,15,3); ცეცეს (სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 29); ჰომეროსის („ილიადა“, XX,215.220 შმდ.); დიონისიოს ჰალიკარნასელის (I,50,3) მიხედვით, შევსებულია ლიკოფრონის (72 შმდ.) და ამ ადგილისათვის ცეცეს სქოლიოების; ჰომეროსის „ილიადის“ XX,215-ის სქოლიოების; სერვიუსის (ვერგილიუსის „ენეიდის“ III,108-ის კომენტარები); დიოდოროს სიცილიელის (V,48) მონაცემებით.*

*დარდანოსის წარმომავლობის თაობაზე* ურთიერთგამომრიცხავი ცნობებია მოღწეული. ზოგი ვერსიით, ტევკროსმა კი არ შეიფარა დარდანოსი, არამედ პირიქით, თითქოს დარდანოსმა მოიწვია იგი ფრიგიაში, საკუთარი ასული მიათხოვა და თავის ქვეშევრდომებს ტევკრები შეარქვა (სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ III,108-ის კომენტარები; სტრაბონი, XIII,1,48; ცეცე, ლიკოფრონის 1302-ის სქოლიოები).

ათენელები უარყოფენ იმას, რომ ტევკრები კრეტიდან იყვნენ მოსულნი. ისინი ამტკიცებენ, რომ ვინმე ტევკროსი, წარმოშობით ტროსის სახლიდან, ათენიდან ფრიგიაში გადმოსახლდა და რომ დარდანოსი, ზევსისა და პლეადა ელექტრას შვილი, არკადიის ფინეაში დაბადებული, ფრიგიაში სწორედ ამ ტევკროსმა მოიწვია (აპოლოდოროსი, III,12,1; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ III,167-ის კომენტარები; სტრაბონი, XIII,1,48).

ათენელებისავე აზრით, დარდანოსმა ცოლად შეირთო პალანტოსის ასული ქრისე, რომელმაც ორი ვაჟი – იდევსი და დეიმოსი – უშვა. გარკვეულ ხანს ისინი არკადიის სამეფოს მართავდნენ,

მაგრამ დევკალიონის წარღვნამ დააშორიშორა. დეიმოსი არკადიაში დარჩა, ხოლო იდეოსი თავის მამასთან, დარდანოსთან ერთად სამოთრაკეზე ჩავიდა, რომელიც მათ ერთობლივად დაასახლეს და კუნძულს დარდანია შეერქვა. ქრისემ დარდანოსს მზითევის სახით მოუტანა წმინდა ქანდაკებები დიადი ღმერთებისა, რომელთაც თვით იგი ქურუმი ქალის სახით ემსახურებოდა. დარდანოსმა მათი კულტი სამოთრაკეზე შემოიღო, თუმცა მათ ნამდვილ სახელებს საიდუმლოდ ინახავდა. მან ასევე დააარსა სალიელი ქურუმი ქალების ერთობა აუცილებელი რიტუალების შესასრულებლად. აღსანიშნავია, რომ ეს რიტუალები ძლიერ წააგავდა იმათ, რომლებსაც კრეტელი კურეტები პატივსაცემად აღასრულებდნენ (დიონისიოს ჰალიკარნასელი, „რომაული სიძველენი“, I,61 და III,70-71; ევსტათიოსი, ჰომეროსის „ილიადის“ სქოლიოები, გვ. 1204; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ VII,285-ის კომენტარები).

*ტროას კედლების აგებასა და პრიამოსის მიერ ქალაქის აღდგენასთან დაკავშირებული ამბები* გადმოცემულია აპოლოდოროსის (II,59;II,6,4 და III,12,3); ჰომეროსის „ილიადის“ III,250-ის სქოლიოების; ჰომეროსის („ილიადა“, VI,23-26;XXI,446 და VII,452); ჰორაციუსის („ოდები“, III,3,21); პინდარეს („ოლიმპიური ოდები“, VIII,41 და სქოლიოები); დიოდოროს სიცილიელის (IV,32) მიხედვით.

*პრიამოსის შვილების შესახებ* ინფორმაცია მოპოვებულია შემდეგი წყაროებიდან: ჰომეროსი („ილიადა“, XXIV,495-497 და VI,242-250); სტესიქოროსი, ციტ. ცეცე (სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 266); აპოლოდოროსი (დასახ. თხზულ.).

*კასანდრასა და ჰელენოსის შესახებ* მითის ვერსიები გადმოცემულია ანტიკლიდეს (ციტ. ჰომეროსის „ილიადის“ VII,44-ის სქოლიოები); ჰიგინუსის („მითები“, 93); აპოლოდოროსისა (III,12,5) და სერვიუსის (ვერგილიუსის „ენეიდის“ III,108-ის კომენტარები) მიხედვით.

ტროას გალავანში კასანდრას ჩაკეტვის ფაქტი მოყვანილია ესქილესთან („აგამემნონი“, 1210); ცეცესთან (ლიკოფრონის „ალექსანდრას“ მოკლე შინაარსი; სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 29.350).

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. პირველი ლიტერატურული წყარო, რომელიც ქალაქ ტროასა და მის დასაპყრობად ბერძენთა ლაშქრობაზე მოგვითხრობს და რომელსაც მომდევნო ეპოქების ლიტერატურული მოღვაწეები ურყევ ავტორიტეტად აღიარებდნენ, გენიალური ბერძენი პოეტის, ჰომეროსის „ილიადაა“. ომის შემდგომდროინდელ ამბებს ასახავს და, ამდენად, პირველის გაგრძელებას



წარმოადგენს მისივე „ოდისეა“. ჭეშმარიტად მონუმენტური ეპიკურობით აღწერს ლეგენდარული ბრმა აედი გმირთა ეპოქის სულს და გვაწვდის ფასდაუდებელ ინფორმაციას როგორც ბერძენთა, ასევე ტროელთა გმირულ წარსულზე, ცხოვრების წესზე, ადამიანის სულის მამოძრავებელ მოტივებზე და კიდევ ბევრ რამეზე, რაც ერთი მხრივ ელინურ, ხოლო მეორე მხრივ ტროადის ცივილიზაციათა ცნებებში შეიძლება გაერთიანდეს.

ჰომეროსი ძვ.წ. VIII საუკუნეში ცხოვრობდა და ქმნიდა თავის უკვდავ პოემებს. როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, ავტორი, სულ ცოტა, 450 წლით იყო დაშორებული დროში პოემებში ასახული ამბებიდან, რომლებიც ძვ.წ. XIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო. მით უფრო გასაკვირსა და საეჭვოს ხდიდა ეს ფაქტი მკვლევართა უმეტესობისათვის ასახული ამბების რეალურობას. თითქმის XIX საუკუნის მიწურულამდე ისინი ჰომეროსის პოემებს ოდენ მითის (ვითარცა გამონაგონის) და პოეზიის ლამაზ შერწყმად მიიჩნევდნენ. (თვით ჰომეროსისა და მისი პოემების შესახებ იხ. 8-9-ის განმარტებები).

მაგრამ იყვნენ მეოცნებენიც, რომელნიც გავრცელებულ თვალსაზრისსა და ავტორიტეტებს არ ეპუებოდნენ. მათში უპირველესი აღნიშვნისა და მოხსენიების ღირსია ლეგენდარული ჰაინრიხ შლიმანი, რომლის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ტროასა და მიკენში, თამამად შეიძლება ითქვას, გადატრიალება მოახდინა მეცნიერებაში. 1871 წელს მის მიერ ჰისარლიკის ბორცვზე (თანამედროვე თურქეთი) ჩატარებულმა გათხრებმა ცხადყო – ტროა რეალურად არსებული ქალაქი იყო. თავდაპირველად შლიმანის, ხოლო შემდეგ სხვა არქეოლოგების მიერ ჩატარებული გათხრები (ვილჰელმ დორპფელდი – 1893-1894, კარლ ბლეგენი – 1932-1938, დაბოლოს, 50-წლიანი შესვენების შემდეგ, მანფრედ კორფმანი – 1982 წლიდან ტროას მახლობლად, ხოლო 1988-დან უშუალოდ ტროაში) გვთავაზობდნენ და დღესაც გვთავაზობენ სულ უფრო მეტ აღმოჩენასა და დამადასტურებელ საბუთს იმისა, რომ ჰომეროსის მონათხრობი მრავალი თვალსაზრისით ზუსტი და სანდოა, და რომ ტროას ომი რეალური ისტორიული მოვლენაა.

არქეოლოგიური გათხრების წარმოებისას აღმოჩენილ იქნა ქალაქის რვა ფენა, რომელთაგან შვიდი ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის და ქრონოლოგიურად III-II ათასწლეულებს მოიცავს. ე.წ. ტროა VIII ძვ.წ. VIII საუკუნეში აღმოცენდა და გვიანანტიკურობამდე არსებობდა, მაგრამ ეს უკვე წმინდა ბერძნულ-რომაული ქალაქი იყო. ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ ტროა IX-ს, როგორც წმინდა რომაულ დასახლებას. დღეისათვის მკვლევართა უმეტესობა იმ აზრს იზიარებს, რომ

ჰომეროსის მიერ აღწერილი ქალაქი ე.წ. ტროა VI ან ტროა VIIa უნდა ყოფილიყო და რომ იგი არაბერძნული და, შესაძლოა, არაინდოევროპული წარმოშობის ხალხით იყო დასახლებული.

თვით ქალაქ ტროას სახელწოდება შედარებით გვიან გაჩნდა. უფრო ადრეულ, ხეთურ წყაროებში მას ვილუსა ერქვა, ხოლო ეგვიპტური წყაროები დარდანად მოიხსენიებენ. ჰომეროსისეული ილიონი სწორედ ხეთური ვილუსას ფარდი ბერძნული ფორმა უნდა იყოს.

რა მოტივაცია ედო ამ ომს საფუძვლად? ამაზე მითოლოგიური ტრადიცია ერთმნიშვნელოვნად პასუხობს: ტროას ომის მიზეზი მშვენიერი ელენეს მოტაცება და ამით ბერძენთათვის მიყენებული შეურაცხყოფა იყო (ამ საკითხს უფრო დაწვრილებით მომდევნო თავისადმი მიძღვნილ განმარტებებში განვიხილავთ), მაგრამ მეცნიერული აზრი სკეპტიკურად ეკიდება აღნიშნულ მოტივაციას. არქეოლოგიური კვლევის მეთოდების სრულყოფისა და ახალ-ახალი აღმოჩენების წყალობით ისტორიკოსთა და კულტუროლოგთათვის სულ უფრო ნათლად იკვეთება მაშინდელი ეგეიდისა და ანატოლიის ცივილიზაციათა არსებობის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ასპექტები. ამასთან დაკავშირებით იქმნება ახალი თეორიები. ჩვენ მხოლოდ საკითხთან დაკავშირებულ რამდენიმე საყურადღებო და საინტერესო ასპექტს შევეხებით.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ტროას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. ქალაქი მოხერხებულად იყო განლაგებული კირქვის პლატოს შვერილზე მდინარეებს სიმოისსა და სკამანდროსს შორის, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ეგეოსის ზღვიდან და დარდანელიდან – რომელსაც ძველი ბერძნები ჰელესპონტოსს ეძახდნენ და რომელიც ვიწრო გასასვლელს წარმოადგენდა შავი ზღვისკენ მიმავალ საზღვაო გზაზე. ამ ადგილას ხშირია ძლიერი ქარი, ზოგჯერ ქარიშხალიც, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უბერავს. წყლის დინებაც მარმარილოს ზღვიდან დარდანელის გავლით 5კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს ეგეოსის ზღვისაკენ. ისტორიულად ცნობილია, რომ გემები აქვე, კუნძულ ტენედოსის მახლობლად, ტროას ეგეოსურ ყურეში ზოგჯერ თვეობით ელოდნენ სამხრეთის ან სამხრეთ-დასავლეთის იშვიათ ქარს, რომელიც ძირითადად აპრილიდან ივნისამდე ქროდა, და რომელიც მათ დინების დაძლევაში დაეხმარებოდა, რადგან იმ ეპოქაში გემები ჯერ კიდევ არ იყო ტექნიკურად ისე მოწყობილი, რომ ქარის საწინააღმდეგოდ ცურვა შეძლებოდათ. ამის გამო მეზღვაურებს აქვე, ტროაში უწევდათ წყლისა და სურსათის მა-



რაგის შევსება, აგრეთვე, გარკვეული ხარკის გადახდა. ტროას ეკონომიკურმა ბატონობამ შავი ზღვის „კარიბჭეზე" ოდითგანვე ნოყიერი ნიადაგი შექმნა აქ ფართო აღებ-მიცემობის განვითარებისთვის. ტროას სავაჭრო და კულტურული კონტაქტები აისახა, მაგალითად, ბრინჯაოს ხანის საგანძურებში. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და წერილობით წყაროთა მონაცემები გვაუწყებენ, რომ ტროა აკონტროლებდა ოქროთი, ვერცხლით, რკინით, სინგურით, სახომალდე ტყით, სელით, ზეთით, ჩინური ნეფრიტით და სხვა საქონლით ვაჭრობას. თავის მხრივ, ეკონომიკურმა სიძლიერემ ტროას პოლიტიკურ გაძლიერებას შეუწყო ხელი, რაც აისახა არქიტექტურაში: ტროა წარმოადგენდა მკვიდრად ნაგებ დასახლებას ბორცვზე აშენებული ციხესიმაგრითა და ქვედა ქალაქით. (იხ. ილუსტრაციების 1-ლი გვერდი). ამგვარად გამოიყურებოდა ქალაქი ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში, კერძოდ, უკვე დაახლ. ძვ.წ. 2400 წლისთვის და ამგვარივე იყო იგი ძვ.წ. XIII საუკუნეშიც, ანუ იმ ეპოქაში, როცა ტროას ომი უნდა მომხდარიყო.

ბოლოდროინდელი მეცნიერული გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ილიონი ან ვილუსა, როგორც მას ხეთური წყაროები იხსენიებენ, ხეთების იმპერიის ვასალი უნდა ყოფილიყო, სახელდობრ, 1700-1150 წლებში ტროა თითქმის ყველაფრით ანატოლიაზე იყო ორიენტირებული: დასახლების ტიპით, მატერიალური კულტურით, წეს-ჩვეულებებით. ამ მოსაზრებას, რომელსაც დღეს წამყვანი ხეთოლოგები, ანატოლისტები, ინდოგერმანისტები და მათთან ერთად ბოლო დროს ჰომეროლოგებიც იზიარებენ, მთლიანად ადასტურებს გერმანელი არქეოლოგის, მანფრედ კორფმანის მიერ ტროაში ამჟამად წარმოებული გათხრები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა გათხრების წარმოებისას (1932-1938) არქეოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა მონაპოვარი ამ საკითხებში ჯერ კიდევ იმდენად მწირი იყო, რომ ექსპედიციის მაშინდელ ხელმძღვანელს, ამერიკელ კარლ ბლეგენს ტროა ბერძნებით დასახლებულ ქალაქად მიაჩნდა. მისი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ტროაში მრავლად იყო აღმოჩენილი ბერძნული ნაწარმი. მაგრამ დღევანდელი მონაცემებით ეს იოლად აიხსნება: აღებმიცემობის წყალობით ტროაში სხვა რეგიონების ნაწარმთან ერთად, ბუნებრივია, ბერძნულიც შემოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ ხეთებისადმი ვასალური დამოკიდებულების მიუხედავად, თვით ხეთური წყაროების მოწმობით, ვილუსა სხვადასხვა ხალხებისა და ტომებისაგან შემდგარი კოალიციის შემადგენლობაში ხეთების მეფე თუთხალია II-ის (ან IV-ის) წინააღმდეგ გამოსულა. ეს მოკავშირეები სხვადასხვა რეგიონებიდან იყ-

ვნენ: საკუთრივ ტროადან, ჩრდილო-დასავლეთი ანატოლიიდან, შავიზღვისპირეთიდან, მარმარილოს ზღვის რეგიონიდან, ეგეიდიდან და ხმელთაშუაზღვისპირეთიდან.

ამდენად, ტროას ომის უმთავრეს მიზეზად მისი ეკონომიკური თვალსაზრისით ხელსაყრელი მდებარეობა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ძლიერება უნდა მივიჩნიოთ, რამაც ამბიციურ მიკენურ საბერძნეთს, როგორც ჩანს, შავ ზღვაში გამავალ საზღვაო გზაზე კონტროლის ხელში ჩაგდების სურვილი გაუღვივა.

ტროელთა *მოკავშირეების* კატალოგს, უპირველეს ყოვლისა, ჰომეროსი გვაწვდის „ილიადაში" (II,816-877). მასში შედიან: 1) ტროადაში მცხოვრები ტომები (საკუთრივ ტროელები, დარდანიელები, ტროელები ზელიიდან, ადრასტელები, პერკოტისა და სხვა ქალაქების მცხოვრებნი); 2) პელასგები ანატოლიის ლარისადან; 3) თრაკიელები; 4) კიკონები; 5) პეონები; 6) პაფლაგონიელები; 7) ჰალიძონები; 8) მიზიელები; 9) ფრიგიელები; 10) მეონიელები; 11) კარიელები და 12) ლიკიელები. ამათ გარდა ტროელთა მხარეს ლელეგები და კავკონები იბრძოდნენ. თანამედროვე მკვლევრები ამ კატალოგის შეფასებისას მიდიან დასკვნამდე, რომ ჰომეროსი უთუოდ ასახავს რაღაც ისტორიულ რეალობას, ოღონდ მასთან ძველი ტერიტორიული მონაცემები უფრო გვიანდელ სახელებთან არის შერწყმული. ასე მაგალითად, კატალოგის ჩამონათვალში არ ფიგურირებენ კილიკია, სმირნა და სარდები. მეორე მხრივ, მოიხსენიებიან ფრიგიელები და პაფლაგონიელები, რომელთა შემოჭრა მცირე აზიაში ტროას ომის შემდგომი პერიოდით თარიღდება.

მოკავშირეთა საკითხს გარკვეულწილად ნათელს ჰფენს და ჰომეროსის მონაცემების საკმაო სანდოობას ადასტურებს ხეთების მეფის, თუთხალიას ქრონიკის ის ნაწილი, რომელშიც საუბარია მის ომზე ე.წ. ასუვას (ვარ. აშუვას) კავშირთან. (შესაძლოა ასუვა ან იგივე ასოსი უკავშირდებოდეს ბერძნულ სახელწოდება ასიას, რომლიდანაც აზიის თანამედროვე სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს). სწორედ მის შემადგენლობაშია მოხსენიებული ვილუსა, რომელსაც ილიონთან აიგივებენ, და ტარუისა, რომელიც ჰომეროსის ტროასთან იგივდება. ხეთურ წყაროში მოკავშირეთა შორის დასახელებული ბევრი ხალხი თუ ტომი ასევე შეიძლება გაიგივდეს ჰომეროსის კატალოგის ამა თუ იმ მოკავშირესთან. ასე მაგალითად, ხეთური სიის ჰალუვა შეიძლება უკავშირდებოდეს ჰომეროსის კატალოგის ალიზეს, რაც, თავის მხრივ, იმის



ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ასუვას კავშირში ჰალიძონებიც იყვნენ წარმოდგენილნი. (ეს ფაქტი იმდენადაა ქართველი მკითხველისთვის საინტერესო და ყურადსაღები, რომ ჰალიძონები, იგივე ხალიბები, ქართველური წარმოშობის ტომად მოიაზრება). ასევე საინტერესოა ერთ-ერთ ხეთურ წყაროში (ძვ.წ. XIII ს.) ვილუსას მეფე ალაქსანდუს მოხსენიება, რომელიც, მკვლევართა აზრით, შეიძლება ტროელი უფლისწული პარისი, ანუ ალექსანდროსი ყოფილიყო. ამავე ტექსტიდან ნათელი ხდება, რომ აპოლონი თურმე ვილუსას ღმერთი იყო: იგი მოიხსენიება ფორმით „აპალიუნა".

დაბოლოს, რაც შეეხება ჰომეროსის, მის ხელთ არსებული მითოლოგიური მასალისა და ისტორიული რეალობის ურთიერთმიმართების საკითხს. არქეოლოგიურმა გათხრებმა, როგორც აღვნიშნეთ, ჰომეროსისეული მონაცემების სანდოობა დაადასტურა. კერძოდ, ჰომეროსი არ ცდებოდა, როცა ტროას დიდ ქალაქს უწოდებდა. ძვ.წ. XIII ს-ში იგი დაახლ. 225000 კვ.მ. ფართობზე იყო გაშლილი, ხოლო მისი მოსახლეობა 7000-10000 კაცს შეადგენდა. ასევე, მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინ დადასტურდა ქალაქის ირგვლივ საფორტიფიკაციო თხრილების არსებობა; აღმოჩენილ იქნა „ილიადაში" მოხსენიებული საფლავებიც, რითაც ნათელი გახდა, რომ ტროაში იმ ეპოქაში კრემაციის წესის გვერდით დასაფლავების ტრადიციაც არსებობდა. სხვა დეტალებშიც, როგორც არქეოლოგები ამტკიცებენ, წინააღმდეგობა არ ჩანს. სავარაუდოა, რომ ტროას ომის შემდეგ ტროადაში და მის მიმდებარე რეგიონებში გადმოსახლებული ბერძენი კოლონისტები ამ ადგილს და მასთან დაკავშირებულ ისტორიას კარგად იცნობდნენ და აქაურ სამლოცველოებშიც უნდა ევლოთ. ასევე სავარაუდოა, რომ სწორედ მათ მიერ თაობიდან თაობაში გადაცემული ზეპირი ტრადიციით უნდა ესარგებლა დაახლოებით ოთხი საუკუნით გვიან მცხოვრებ ბერძენ პოეტს თავისი ეპიკური ტილოების შექმნისას, რომლებიც, ამდენად, წარმოადგენენ მიკენური ხანის ისტორიული რეალიებისა და თვით პოეტის დროინდელი ეპოქის სულის, მსოფლაღქმისა და სინამდვილის შერწყმის ნაყოფს. გარდა ამისა, დღეს არსებობს უფრო შორსმიმავალი მოსაზრებებიც. მაგალითად, ზოგი მკვლევრის აზრით, ტროას აღების ამბებს უკვე მიკენურ ხანაშივე უმღეროდნენ, ხოლო იონიურ ქალაქებში, ე.ი. ჰომეროსის მშობლიურ მხარეში, ამ ამბებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბერძნებით დასახლებული რეგიონებიდან შეაღწია.

*

ტროელთა სამეფო დინასტიის გენეალოგიური ხე, ჰომეროსის მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:




აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მეორე მხრივ, პრიამოსი ჰომეროსთან ხშირად არის მოხსენიებული როგორც დარდანიდი (Δαρδανίδης), რაც ჰომეროსთან დადასტურებული სხვა ამგვარი ფორმების ანალოგიურად უნდა გავიგოთ, როგორც „დარდანოსის ვაჟი (ან შვილიშვილი)" და არა უბრალოდ როგორც „დარდანოსის შთამომავალი". ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ჰომეროსს სხვა, უფრო მოკლე გენეალოგიური ხეც უნდა სცოდნოდა.

პალადიონს, რომელსაც ვესტალი (ქალღმერთ ვესტას მსახური) ქალწულები ინახავდნენ, ვითარცა რომის კეთილდღეობის საწინდარს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რომაელი მითოგრაფოსები. მათი მტკიცებით, იგი ტროადან ენეასმა გამოიტანა და იტალიაში დაუდო ბინა. ეს იყო საკულტო ნივთი, რომლის გარშემოც სარიტუალო ცეკვებს ასრულებდნენ გარკვეული კლანის წარმომადგენელი გოგონები, ისე, როგორც ეს მუზების პატივსაცემად გამართული თესიების დღესასწაულის დროს ხდებოდა; ან რომლის ირგვლივ ხტოდნენ ჭაბუკები, თანაც პალადიონი შეიძლებოდა როგორც ერთი, ისე მეორე სქესისა ყოფილიყო.

*მისან კასანდრასთან დაკავშირებით* დაწვრილებითი განმარტებები იხილეთ ჩვენი სერიის წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები".



②

**წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი.** *ელენესა და მენელაოსის დაქორწინების ამბავი, აგრეთვე განხეთქილების ვაშლთან, პარისის სამსჯავროსთან და ელენეს მოტაცებასთან დაკავშირებული* ამბების თხრობა შემდეგ წყაროებს ეყრდნობა: „კიპრიები", ციტ. პროკლეს „ქრესტომათიის" (I) მიხ.; აპოლოდოროსი, „ეპიტომა", II,1-5; აპოლოდოროსი, III,10,8-9;III,11,2;III,12,5-6; სტესიქოროსი, ციტ. ევრიპიდეს „ორესტეს" 249-ის სქოლიოების მიხ.; ჰიგინუსი, „მითები", 78.81.91-92; ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 57.86.132. 224 და 314; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის" კომენტარები I,655;II,32-33 და 595;V,370; პავსანიასი, II,18,5;III,20,9;III,22,2; X,12,3; ევრიპიდეს „ანდრომაქეს" (294) და „იფიგენია ავლისში" (1285) სქოლიოები; ოვიდიუსი, „გმირი ქალები", V,12-30.35-36 და 139;XVI,21-23.45.51-52.71-73.92.115-116.119 შმდ. 149-152.259-262 და 359-362; XVII,74 შმდ. 83 და 155 შმდ.; ლუკიანოსი, „ღმერთების შესახებ", 20; ჰომეროსი, „ოდისეა", IV,12-14.227-230; ჰომეროსი, „ილიადა", III,445;V,59 შმდ.; დიქტის კრეტელი, I,5; ევრიპიდე, „ელექტრა", 128 და „ელენე", 31 შმდ.

*ელენეს დაბადებასთან დაკავშირებით* სხვა ვერსიებიც არსებობს. ზოგი მათგანის თანახმად, კვერცხი თავად ლედას კი არ დაუდვია, არამედ სხვამ მისცა, მაგალითად, ერთი ვერსიით – ქალღმერთმა ნემესისმა. ერთი ვარიანტით, ელენე და მისი სახელგანთქმული ტყუპი ძმები დიოსკურები ერთი კვერცხიდან იშვნენ.

ზოგიერთი ვერსიით, ელენეს პარისის სატრფიალო მცდელობები უპასუხოდ დაუტოვებია და ვაჟს იგი ძალით წაუყვანია, ამისთვის კი თავს დასხმია თუ დაუპყრია სპარტა, როცა ელენე სანადიროდ იყო გამოსული, ან ვითომდა მას აფროდიტეს დახმარებით მენელაოსის სახე მიუღია. ელენეს თითქოს დაუტოვებია თავისი ცხრა წლის გოგო, ჰერმიონე, სამაგიეროდ, თან წაუყვანია ვაჟი – პლეისთენესი; წამოუღია სასახლის ძვირფასეულობის დიდი ნაწილი, სამი ოქროს ტალანტი, რომელიც აპოლონის ტაძრიდან მოიპარა, აგრეთვე, წამოუყვანია ხუთი მსახური ქალი, რომელთა შორის ორი ყოფილი დედოფალი იყო – თესევსის დედა ეთრა და პირითოოსის და – ფისადია.

ელენეს თაყვანისმცემელთა შორის თავის დროზე თავად თესევსიც ყოფილა, ოღონდ მაშინ ელენე ჯერ ბავშვი იყო. თესევსს იგი ატიკაში წაუყვანია, ხოლო ძმებს თესევსის არყოფნაში ხელუხლებელი უკან წამოუყვანიათ, თანაც თესევსის დედა ეთრა შეუპყრიათ და ელენესთვის მოსამსახურედ დაუყენებიათ. შემდგომში

ეთრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტროაშიც გაჰყოლია მას (პლუტარქე, „თესევსი“ 21 შმდ.).

სტესიქოროსი, რომელიც, გადმოცემათა თანახმად, დაბრმავდა მას მერე, რაც ელენეს შეურაცხმყოფელი ლექსი დაწერა, და ისევ დაუბრუნდა თვალისჩინი, როცა „უარყოფა“ ("Palinodia") შექმნა, წარმოგვიდგენს, როგორც ჩანს, მის მიერვე გამოგონილ ვერსიას, რომელიც ელენეს რეპუტაციის სრულ აღდგენას ემსახურება: პარისს ძალით მიჰყავს ელენე, მაგრამ ისინი ერთად ეგვიპტეზე შორს ვერ მიდიან. აქაურ მეფე პროტევსს (რომელიც ალბათ ზღვის ღმერთის რაციონალიზებული სახეა) თავისი მფარველობის ქვეშ ჰყოლია ელენე, სანამ მეუღლე მის დაბრუნებას არ მოსთხოვდა. ამასობაში პარისს ტროაში ელენეს ლანდი მიჰყვებოდა, რათა ამით საბაბი მიეცა ზევსის მიერ ჩაფიქრებული ომის დასაწყებად. როცა ტროადან უკან დაბრუნებისას მენელაოსი ეგვიპტეს ჩავიდა, ელენეს ლანდი გამქრალა და ამის შემდეგ უკვე ნამდვილი ელენე მიჰყვებოდა საბერძნეთში.

განმარტებები. *ელენემ*, რომლის მოტაცებას ტროელი უფლისწულის, პარისის მიერ მითოლოგიური ტრადიცია ტროას ომის საბაბად თუ მიზეზად ასახელებს, მიუხედავად თავისი ქალური მშვენიერებისა, ავისმომასწავებელი ნიშნის რეპუტაცია დაიმკვიდრა. ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ლიტერატურულ ტრადიციაში, ჰესიოდედან მოყოლებული, მისადმი დამკვიდრდა უარყოფითი დამოკიდებულება, როგორც მოღალატე ცოლისა და შვილების ობლად დამყრელი დედის, აქედან გამომდინარე კი – როგორც მშვენიერი, მაგრამ ბოროტი სქესის თვალსაჩინო წარმომადგენლის მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელენეს ძმები – კასტორი და პოლიდევკესი – მის საპირისპიროდ, საყოველთაო აღიარებითა და პატივისცემით სარგებლობდნენ და საბერძნეთში, მოგვიანებით კი რომშიც, მათი კულტი არსებობდა. თუმცა, ძველ ბერძენ შემოქმედთა შორის ყველა როდი იზიარებდა უარყოფით დამოკიდებულებას ელენეს მიმართ. ასეთთა რიცხვში, პირველ ყოვლისა, უნდა დასახელდეს ძვ.წ. VII საუკუნის ლირიკოსი პოეტი ქალი საფო (ვარ. საპფო), რომელიც ერთ-ერთ თავის ლექსში ელენეს ღალატს მშვენიერს უწოდებს, რადგან მას სიყვარული ედო საფუძვლად; ასევე ძვ.წ. V საუკუნის ტრაგიკოსი პოეტი ევრიპიდე, რომელთანაც ელენე, როგორც ჩანს, სტესიქოროსის გამოგონილ ვერსიაზე დაყრდნობით (იხ. ზემოთ, ამავე გვერდზე), ერთგულ ცოლად არის წარმოდგენილი და, გარდა ამისა, „მეზღვაურთა მხსნელადაა“ მოხსენიებული.



*ალექსანდროსი და პარისი* – ამ ორ თანაბარი წონის სახელს გმირი ჯერ კიდევ ჰომეროსთან ატარებს, რასაც უახლესი გამოკვლევები ზოგჯერ ორი პერსონაჟის (მამაცი ალექსანდროსისა, რომელიც ისტორიულად უკავშირდება ხეთური წყაროებიდან ცნობილ ალაქსანდუს, და ნებიერა მექალთანის – პარისის) კონტამინაციის ნაყოფად მიიჩნევს. ზედმეტსახელი „ალექსანდროსი“ („კაცთა დამცველი“) მას მწყემსებმა შეარქვეს, რომლებსაც იგი ავაზაკებისგან იცავდა.

## ③

წყაროები და ვარიანტები. ტანტალოსისა და პელოფსის შესახებ მითების თხრობა ემყარება შემდეგ წყაროებს: ჰიგინუსი, „მითები“, 82-84 და 224; მისივე, „პოეტური ასტრონომია“, II,13; პინდარე, „ოლიმპიური ოდები“, I,24.26.37-38.60.65...79; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ კომენტარები, VI,603; მისივე, ვერგილიუსის „გეორგიკის“ კომენტარები, III,7; ლაქტანციუს პლაციდუსი, ისტორია ოვიდიუსის „მეტამორფოზებიდან“, VI,6; ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 52.156.162.166; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, IV,456;VI,406; დიოდოროს სიცილიელი, IV,73-74; პლატონი, „კრატილოსი“, 295e, ლუკიანოსი, „საუბრები მკვდართა საუფლოში“, 17; ჰომეროსი, „ოდისეა“, XI,582-592; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, II,1,3-4.8;III,12,6; პავსანიასი, V,1,5;V,8,1; V,10,2;V,13,3;V,17,4; VI,20,8;VI,21,6;VI,22,1;VIII,14,7-8; არქილოქე (ციტ. პლუტარქეს „პოლიტიკური დარიგებების“, 6 მიხ.); ევრიპიდე, „ორესტე“, 7; აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, I,752-756;II,358 და 790; სოფოკლე, „აიაქსი“, 1328; სოფოკლე, „ელექტრა“, 508 შმდ.; ლუკიანოსი, „ქარიდემოსი“, 19; აპოლონიოს როდოსელის I,752-ის სქოლიოები; ევრიპიდეს „ორესტეს“ II,104-ის სქოლიოები; სტრაბონი, „გეოგრაფია“, X,1,7; თუკიდიდე, I,9; პლუტარქე, „თესევსი“, 3.

ზოგიერთები პელოფსს ატლასისა და ნიმფა ლინოსის უკანონო შვილად მიიჩნევდნენ (ლაქტანციუს პლაციდუსი).

კილოსის სახელის ვარიანტებია კელოსი და კილასი.

*პელოფსსა და ენომაოსს შორის გამართული შეჯიბრის* თაობაზე არსებობს აზრი, რომ რბოლა ოლიმპიის იპოდრომზე გაიმართა და რომ ამფიონს პელოფსისათვის უჩუქნია რაღაც ჯადოსნური ნივთი, რომელიც მან ბერძენთათვის ტარაქსიპოსის („ცხენთა თავზარი“) ცნობილ ადგილას ჩაფლა, რის გამოც ენომაოსის თავზარდაცემული ცხენები გაქანდნენ და ეტლი დაიმსხვრა (პინ-

დარე, „ოლიმპიური ოდები“, I,87; ლუკიანოსი, „ქარიდემოსი“, 19; დიოდოროს სიცილიელი, IV,73; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, II,7).

*ჰერასადმი მიძღვნილი თამაშების* დაარსებისა და *პელოფსის* შვილების შესახებ ინფორმაცია აღებულია შემდეგი წყაროებიდან: პავსანიასი, V,16,2-3;VI,20,4 და 10; აპოლოდოროსი, III,12,6; II,4,5;III,5,5; მისივე, „ეპიტომა“, II,10 და I,1; ჰიგინუსი, „მითები“, 84.85.14 და 271; პინდარეს „ოლიმპიური ოდების“ I,14 და 144-ის სქოლიოები; ევრიპიდეს „ორესტეს“ 5-ისა და 813-ის სქოლიოები; პლუტარქე, „პარალელური ბიოგრაფიები“ (თესევსი, 6,33); დიოდოროს სიცილიელი, IV,9,1; ჰომეროსის „ილიადის“ XIX,119-ის სქოლიოები; ათენეოსი, XIII,602,1 შმდ.; ევრიპიდეს „ფინიკიელი ქალების“ 1760-ის სქოლიოები.

*ატრევსისა და თიესტესის მითი* მოთხრობილია შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: ევრიპიდეს „ორესტეს“ 432.812-813.990.995. 998-ის სქოლიოები; თუკიდიდე, I,9; აპოლოდოროსი, II,4,6;III,2,2 და ეპიტომა, II,10-14; ევრიპიდე, „ორესტე“, 12.1001; სენეკა, „ელექტრა“, 699 შმდ.; ცეცე, „ქილიადები“, I,18 შმდ.; 433 შმდ; ფერეკიდესი, ციტ. ევრიპიდეს „ორესტეს“ 995-ის სქოლიოების მიხ.; ჰომეროსის „ილიადის“ II,106-ის სქოლიოები; ევრიპიდე, „ელექტრა“, 706 შმდ.; ოვიდიუსი, „სიყვარულის ხელოვნება“, I,327 შმდ.; ჰიგინუსი, „მითები“, 86-88.246.255 და 258; ლაქტანციუს პლაციდუსი, სტაციუსის „თებაიდის“ VI,226-ის სქოლიოები; სოფოკლეს „აიაქსის“ 1331-ის სქოლიოები; ევრიპიდე, „ელენე“, 392; ჰომეროსი, „ილიადა“, II,107 შმდ.; ესქილე, „აგამემნონი“, 1590 შმდ. 1603; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ 262-ის კომენტარები; სენეკა, „თიესტესი“, 224 შმდ.; ციცერონი, „ღმერთთა ბუნების შესახებ“, III,26.68; ჰეროდოტე, ციტ. ანთეოსის 231c-ის მიხ.

*აგამემნონსა* და *კლიტემნესტრაზე* შემდეგი წყაროები მოგვითხრობენ: ჰიგინუსი, „მითები“, 88; ევსევიოსი, „ქრონიკები“, I,177-180; ჰომეროსი, „ილიადა“, II,107-108;IX,145 და „ოდისეა“, III,263; ესქილე, „აგამემნონი“, 529; პავსანიასი, II,18,4; ცეცე, „ქილიადები“, I,433 შმდ.; აპოლოდოროსი, III,10,6 და „ეპიტომა“, II,16; ევრიპიდე, „იფიგენია ავლისში“, 1148 შმდ.

ზოგი ვერსიით, იფიგენია კლიტემნესტრას დისშვილი და თესევსისა და ელენეს შვილი იყო, კლიტემნესტრას კი შეებრალა და იშვილა იგი (დურისი, ციტ. ცეცეს სქოლიოების მიხ. ლიკოფრონის 183-ისთვის).

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. სტრაბონი ახდენს *ტანტალოსის მითის* რაციონალიზაციას. ღმერთების მიერ მისი სამეფოს დანგრევასა



და ტანტალოსის დასჯას იგი ასეთ ახსნას უძებნის: ტანტალოსის მეფობის დროს ძლიერი მიწისძვრები იყო ლიდიასა და იონიაში, თვით ტროადამდე, და ამის გამო მთელი სოფლები დაინგრა ფრიგიაში (სტრაბონი მას ფრიგიელად მიიჩნევდა), სიპილოსის მთა ჩამოიქცა, ჭაობები ტბებად იქცა, ხოლო ქალაქი ტროა წყლის ქვეშ აღმოჩნდა (სტრაბონი, I,3,17). თუმცა, სტრაბონის ვერსია ვერ ხსნის ტანტალოსის კავშირს არგოსთან, კორინთოსთან და კრეტის მილეტოსთან. ასევე პავსანიასი გვაუწყებს, რომ თითქოს სიპილოსის მთაზე მდებარე ქალაქი უფსკრულში დაინთქა, რომელიც შემდგომ წყლით შეივსო და ტბა სალოედ, ან, სხვაგვარად, ტანტალიდად იქცა. ქალაქის ნანგრევები თითქოს ტბის ფსკერზე მანამ ჩანდა, სანამ მთის წყაროს მიერ ჩამოტანილმა მასამ არ დაფარა (პავსანიასი, VII,24,7). პლინიუსი ეთანხმება იმას, რომ ტანტალიდა მიწისძვრის შედეგად დაინგრა, მაგრამ მიუთითებს იმაზე, რომ ამ ადგილას, სანამ წყალი დაფარავდა, სხვადასხვა დროს სამი სხვადასხვა ქალაქი არსებობდა („ბუნებრივი ისტორია“, V,31).

კლდე თუ ლოდი, რომელიც ტანტალოსის თავზე ეკიდა და ყოველ წამს შეიძლებოდა ჩამოქცეულიყო, ტანტალოსს კორინთელ სისიფოსთან აახლოვებს, რომლის სამუდამო სასჯელის მითოლოგიური გააზრება, შესაძლოა, მომდინარეობდა წმინდა გამოსახულებიდან, სადაც ოფლში გაღვრილი მზე-ტიტანი აწვება მზის დისკოს და ცდილობს მის ათრევას ცის კაბადონზე ზენიტის წერტილში. ამგვარი გაიგივების კვალი ჩანს სქოლიოებში პინდარესათვის, თუმცა მათში ტანტალოსის ტანჯვა რაციონალისტურადაა ახსნილი: ზოგიერთებს ლოდი ესმით, როგორც მზის ეკვივალენტი, ხოლო ტანტალოსი თითქოს ფიზიკოსია, რომელიც სასჯელს იხდის თავისი რწმენის გამო, რომლითაც მზე თითქოს სითეთრემდე გავარვარებული მეტალის მასაა (პინდარეს „ოლიმპიური ოდების“ (I,97 შმდ.) სქოლიოები). შესაძლოა, მზე-ტიტანის ეს წმინდა გამოსახულება შეცდომით გააიგივეს სხვასთან, რომელზეც ყელამდე წყალში მდგომი ადამიანი ტანჯვით შეჰყურებდა ნაყოფთა სიმძიმისაგან ჩამოზნექილ გადაგრეხილ ტოტებს; ამგვარ სასჯელს რიტორიკოსები იყენებდნენ, როგორც ალეგორიას მდიდართა და ხარბთა წილხვდომილი ბედისა (სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ კომენტარები, VI,603). ვაშლის, მსხლის, ფინიკისა და სხვა მცენარეთა ნაყოფს, რომელიც ტანტალოსის მხრებთან ეკიდა, ფულგენციუსი „მკვდარი ზღვის ნაყოფს“ უწოდებს, რომლის შესახებაც ტერტულიანუსი წერდა, რომ ვაშლი მაშინვე ფერფლად იქცევა, როგორც კი თითს დააკარებთ.

მკვლევართა აზრით, გამორიცხული არაა, რომ ტანტალოსი წარმოადგენდა წინარეოლიმპიური ეპოქის მეფე-ქურუმს, რომელსაც რთავდნენ ნაყოფით დახუნძლული ტოტებით, იმის მსგავსად, როგორც ამას აკეთებდნენ ოსხოფორიების დღესასწაულის დროს; ამ მეფეს მერე მდინარეში აგდებდნენ, ვითარცა ფარმაკოსს (ერთგვარ განტევების ვაცს ხალხის მიერ ჩადენილი ცოდვების გამოსასყიდად). ამგვარი ჩვეულება შემორჩა ბალკანეთის სოფლებში ფრეზერის მიერ აღწერილი მწვანე გიორგის წეს-ჩვეულებაში. ამგვარად, ზემოთ ნახსენებ გამოსახულებაზე ადამიანის ტანჯული მზერა შესაძლოა გამოხატავდეს არა წყურვილით გამოწვეულ ტანჯვას, არამედ იმის შიშს, რომ იგი შეიძლება წყალში დაახრჩონ ან კოცონზე დაწვან, როგორც ეს მის მახინჯ შვილს, ბროტევსს უყვეს.

მეორე მხრივ, ტანტალოსის მითის ტრადიციული გაგება, როგორც ღმერთების წინაშე ჩადენილი ცოდვებისათვის სამაგალითო დასჯის იდეისა, იმდენად დამკვიდრდა ძველ ბერძენთა ცნობიერებაში, რომ ენაში ტანტალოსის სახელისგან ნაწარმოები ზმნაც კი გაჩნდა – ταντaλίζειν („ვინმეს წამება რაიმე სასურველის ჩვენებით და არმიცემით").

პლატონს („კრატილოსი", 395e) ტანტალოსის სახელი ეტიმოლოგიურად გამოჰყავდა სიტყვიდან ταλαντατός („ყველაზე უნიჭო"), რომელიც, შესაძლოა, ნაწარმოები იყოს იმავე τλα ძირისაგან, რომელიც ფიგურირებს სახელებში ატლანტი (= ატლასი) და ტელამონი. ამავე დროს ზმნა ταλαντεῖειν ნიშნავს „ფულის აწონვას" და შეიძლება ტანტალოსის სიმდიდრეზე მიუთითებდეს.

*პანდარევსის მიერ ოქროს ქოფაკის მოპარვის მითი* ეხმიანება ჰერაკლეს მიერ ჰადესიდან კერბეროსის გამოყვანის სიუჟეტს, რაც სიმბოლურად შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ აქაველებს არ ეშინოდათ სიკვდილის მუქარის შემცველი წყევლისა, რომლის სიმბოლო ქოფაკი იყო.

*მითი ატრევსსა და თიესტესზე*, რომელიც რამდენადმე თეატრალიზებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული, ასახავს არგოსელი თანამმართველი მეფეების ქიშპს უზენაესი ხელისუფლებისათვის. ამ მითს თუკიდიდე აიგივებს ჰერაკლეს ვაჟიშვილების ირგვლივ აგებულ სიუჟეტებთან.

ატრევსის მიერ მსხვერპლად შეწირული ოქროს ბატკანი მოგვაგონებს პოსეიდონის თეთრ ხარს, რომელიც მსხვერპლად არ შეუწირავს მინოსს (იხ. ჩვენი სერიის წიგნი „ასპარეზზე გამოდიან გმირები", თავი „მინოსი"). ოქროს საწმისის ფლობა სამეფო ძალაუფლების სიმბოლო იყო (გავიხსენოთ არგონავტების ლაშქრობა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად), ვინაიდან, როგორც ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, მეფე მას წვიმის გამოხმობის ყოველწლიურ ცერემონიაში იყენებდა. ბატკანი ოქროსი იყო მეტაფორულად: საბერძნეთში ამბობდნენ, რომ „წყალი ოქროა", ხოლო საწმისს მაგიური ძალით მოჰყავდა წვიმა. ეს მეტაფორა იმითაც შეიძლება ყოფილიყო გაძლიერებული, რომ საწმისს მცირე აზიის მდინარეებში ოქროს ქვიშის მოსაგროვებლად იყენებდნენ (არგონავტების მითს, ოქროს საწმისთან დაკავშირებულ მითებსა და განმარტებებს დაწვრილებით გაეცანით ჩვენი სერიის წიგნში „არგონავტები").

④

**წყაროები და ვარიანტები.** ეგინასა და ზევსის სასიყვარულო თავგადასავალი, ეაკოსის დაბადებისა და მეფობის და ჰერას შურისგების ამბები მოთხრობილია შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: აპოლოდოროსი, III,12,6; დიოდოროს სიცილიელი, IV,72; პინდარე, „ისთმოსური ოდები", VIII,17 შმდ. და „ნემეური ოდები", VIII,6; კალიმაქოსი, „ჰიმნი დელოსისადმი", 78; ლაქტანციუსი, სტაციუსის „თებაიდის" VII,215-ის სქოლიოები; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", VI,113.

*მირმიდონელებზე* ინფორმაცია შემდეგი წყაროებიდანაა აღებული: ჰიგინუსი, „მითები", 52; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", VII,520 შმდ. 614 შმდ. აპოლოდოროსი, III,12,6; პავსანიასი, II,29,2; სტრაბონი, VIII,6,16 და IX,5,9.

ზოგიერთთა მტკიცებით, აქილევსის მოკავშირეებს – მირმიდონელებს თავიანთი სახელწოდება მეფე მირმიდონის პატივსაცემად მიუღიათ, რომლის ქალიშვილი ევრიმედუსა ჭიანჭველის სახებით შეუცდენია ზევსს, და თესალიაში ჭიანჭველები ამის გამო ითვლებოდნენ წმინდა ცხოველებად. სხვათა აზრით კი, როცა ნიმფა მირმექსს გაუგია, რომ მისმა მეგობარმა, ათენამ თოხი გამოიგონა, ბაქიაობა დაუწყია, თითქოს ეს მისი გამოგონება ყოფილიყო, რისთვისაც დასჯილა და ჭიანჭველად გადაქცეულა (სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის" II,7 და IV,402-ის კომენტარები; კლემენს ალექსანდრიელი, „ეპისტოლე წარმართებისადმი", II,39,6).

ქვეთავები „ეაკოსი – ზევსის ქურუმი" და „ეაკოსი ტროას კედლებს აგებს" შემდეგ ავტორებსა და თხზულებებს ემყარება:

აპოლოდოროსი, III,12,6; პინდარე, „ნემეური ოდები“, VIII,8 შმდ. და „ოლიმპიური ოდები“, VIII,30 შმდ. და სქოლიოები; პავსანიასი, II,29,5;II,30,4; დიოდოროს სიცილიელი, IV,61,1; კლემენს ალექსანდრიელი, „სტრომატები“, VI,3,28.

*ეაკოსის სიკვდილისა და სიკვდილისშემდგომი ბედის თაობაზე* მოგვითხრობენ: ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, IX,35 შმდ.; XIII,25; პინდარე, „ისთმოსური ოდები“, VIII,22 შმდ.; აპოლოდოროსი, III,12,6; ლუკიანოსი, „საუბრები მკვდართა სამეფოში“, XX,1; ქარონი, 2.

*ტელამონისა და პელევსის* შესახებ მოგვითხრობენ: აპოლოდოროსი, III,12,6;III,13,1-3.5; პინდარე, „ნემეური ოდები“, V,13.26 შმდ.; IV,59 შმდ.; IV,65; პინდარე, „ისთმოსური ოდები“, VIII,41 შმდ.; პავსანიასი, V,18,1;X,1,1 და II,29,7; ევრიპიდე, „ანდრომაქე“, 687; ცეცეს სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 175; დიოდოროს სიცილიელი, IV,72; ევსტათიოსი, ჰომეროსის „ილიადის“ II,648-ის სქოლიოები; აპოლონიოს როდოსელი, IV,790 შმდ.; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, XI,221 შმდ.; აპოლონიოს როდოსელის I,582-ის სქოლიოები; ჰეროდოტე, VII,191; ფილოსტრატოსი, „დიალოგი გმირების შესახებ“, XIX,1; ევრიპიდე, „იფიგენია ავლისში“, 703 შმდ. და 1036 შმდ.; კატულუსი, LXIV,305 შმდ.; ჰომეროსი, „ილიადა“, XVI,143 შმდ.; XVIII,84; „კიპრიები“, ციტ. ჰომეროსის „ილიადის“ XVI.140-ის სქოლიოების მიხედვით.

სოფოკლეს ვერსიით, ტევკროსი ტელამონის უკანონო შვილი იყო (სოფოკლე, „აიაქსი“).

ჰიგინუსის მიხედვით, ზევსი მოსალოდნელი საფრთხის – თეტისისგან უძლიერესი გმირის გაჩენის შესაძლებლობის თაობაზე, რომელიც მის დამარცხებას შეძლებდა, პრომეთემ გააფრთხილა, პინდარესა და აპოლოდოროსის მიხედვით კი – თემისმა. სწორედ ამის შემდეგ მიათხოვეს თეტისი მოკვდავ პელევსს. ჰიგინუსის ნაკლებად გავრცელებული ვერსიითვე, იმავდროულად გაგზავნეს ჰერაკლე პრომეთეს გულის (და არა ღვიძლის, როგორც ეს ჩვენამდე მოღწეული ვერსიების უმეტესობაშია) მკორტნელი არწივის მოსაკლავად, ხოლო როცა არწივი მოკვდა, პრომეთე ოცდაათი ათასი წლის შემდეგ გათავისუფლდა კავკასიონის ტყვეობიდან (ჰიგინუსი, „მითები“, 54; პინდარეს VIII ისთმოსური ოდა; აპოლოდოროსი, III,13,5). პრომეთეს შესახებ დაწვრილებით იხილეთ ჩვენი სერიის წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები“.



*აქილევსსა და პატროკლეზე* ინფორმაცია მოპოვებულია შემდეგი წყაროებიდან: აპოლოდოროსი, III,13,6; ჰომეროსის „ილიადის“ XVI,37-ის სქოლიოები; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ VI,57-ის კომენტარები; ფულგენციუსი , „მითოლოგიის სამი წიგნი“, III,7; აპოლოდოროსი, III,13,6; ფილოსტრატოსი, „საგმირო საქმეები“, XX,2 და XIX,2; „ორფიკული არგონავტიკა“, 392 შმდ.; სტაციუსი, „აქილეიდა“, I,269 შმდ.; ჰომეროსი, „ილიადა“, XI,831-832;X,447 შმდ. და 485; პინდარე, „ნემეური ოდები“, III,43 შმდ.; სტრაბონი, IX,4,2.

განმარტებები. *ეაკოსის მითი კუნძულ ეგინას ფთიელი მირმიდონელების მიერ დაპყრობას ეხება*, რომელთა სატომო ტოტემს ჭიანჭველა წარმოადგენდა. როგორც ივარაუდება, თავდაპირველად კუნძული პელასგებით იყო დასახლებული და მათი მტრული დამოკიდებულება ახალმოსულთა მიმართ მითში ჰერას მიერ წყაროების მოწამვლით აისახა. სტრაბონი, რომელიც ამ მითის გონივრულ ახსნას ცდილობდა, ამბობს, რომ ეგინაზე ქვიანი მიწაა და ეგინელები თავიანთ თავს მირმიდონელებს იმიტომ ეძახდნენ, რომ მათ, ჭიანჭველების დარი ძალისხმევით, თავდაპირველად მოუწიათ ქვების ამოღება, ხოლო შემდეგ მიეცათ შესაძლებლობა, დაემუშავებინათ თავიანთი მინდვრები; და აგრეთვე იმიტომ, რომ ისინი ორმოებში ცხოვრობდნენ (სტრაბონი, VIII,6,16).

დორპფელდის გათხრებმა ტროაში დაადასტურა, რომ დასავლეთის კედელი მართლაც ყველაზე სუსტი იყო სხვებთან შედარებით. თუმცა, როგორც პოლიბიოსი ვარაუდობს, აიაქსისა და ეაკიდებისათვის არანაირი მისნობა არ იყო საჭირო ამის შესატყობად, ვინაიდან, მისი აზრით, ეაკოსი იმავე ქალაქიდან იყო, სადაც პატარა აიაქსი ცხოვრობდა, ანუ ოპუნტის ლოკრისიდან, რომლისგანაც ტროა დავალებულია ილიონური ელემენტებით და რომელიც ფლობდა ტროელი მისანი ქალის დანიშვნის უფლებას. ეს იყო ელინებამდელი ლელეგების განსახლების რაიონი, რომელთაც მატრილინეარული და მატრიარქატული ინსტიტუტებიც კი ჰქონდათ შემორჩენილი. ლელეგთა კიდევ ერთი ტომი, რომელიც შესაძლოა წარმოშობით ლოკრისიდან იყო, ცხოვრობდა პედასში, ტროადაში. მათი ერთ-ერთი მეფის ასული, ლაოთოე, ტროაში მისულა და პრიამოსისგან შვილიც კი გაუჩენია (ჰომეროსი, „ილიადა“, XXI,86). გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ლოკრისელი ქურუმი ქალების მზადყოფნამ, მოეტაცათ პალადიონი ლოკრისისათვის, დახმარება გაუწია ბერძნებს ტროას აღებაში.

⑤

წყაროები და ვარიანტები. *ოდისევსის შესახებ* ინფორმაცია მოპოვებულია შემდეგი წყაროებიდან: ჰიგინუსი, „მითები“, 95; ჰომეროსი, „ოდისეა“, XXIV,115-119 და XIX,399-466; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, III,12; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ VI,529-ის კომენტარები; აპოლოდოროსი, III,10,6 და 9; პავსანიასი, IV,12,2; III,10,2.

*პალამედესის შესახებ* მოგვითხრობენ: „კიპრიები“, ციტ. პროკლეს მიხ.; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ II,81-ის კომენტარები; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, III,8; ჰიგინუსი, „მითები“, 105.

გვიანდელი ვერსიების მიხედვით, ოდისევსმა და დიომედესმა თითქოს პალამედესი მოატყუეს – უთხრეს, რომ ჭაში განძი იყო დამალული და როცა იგი ქვემოთ ეშვებოდა, ქვები დაუშინეს და ასე მოკლეს. კიდევ ერთი ვერსიით, მათ თითქოს პალამედესი თევზაობისას წყალში დაახრჩვეს. დიქტისთან ისეთი ვერსიაც არის დაცული, რომლითაც აგამემნონი თითქოს პალამედესის ღალატის თანამონაწილე ყოფილა.

*ოდისევსის* ('Οδυσσεύς) სახელის დაწერილობის ვარიანტებია: 'Ολυσσεύς, 'Οδυσεύς, 'Ολυσεύς, ლათ. Ulixes და სხვ.

*ნესტორის შესახებ* ცნობებს გვაწვდის ჰომეროსი („ილიადა“, I,247-252;II,21;II,553-555;IV,310 და „ოდისეა“, III,244 და 116-129);

*დიდი აიაქსის თაობაზე* – ჰომეროსი („ილიადა“, XVII,279-280 და „ოდისეა“ III,226-227); სოფოკლე („აიაქსი“, 576 და 833 და სქოლიოები); ჰომეროსის „ილიადის“ XXIII,821-ის სქოლიოები; ცეცე (სქოლიოები ლიკოფრონისთვის 792 შმდ.).

*ტევკროსის შესახებ* – ჰომეროსი („ილიადა“, VII,266-272). *პატარა აიაქსის თაობაზე* – ჰომეროსი („ილიადა“, II,527-530;XIII,697.701 შმდ.; XIV,520 შმდ.); ჰიგინუსი („მითები“, 97); ფილოსტრატოსი („დიალოგი გმირების შესახებ“, VIII,1). *მერიონის შესახებ* – ჰომეროსი („ილიადა“, II,728 და XIII,694-697). *დიომედესის შესახებ* – აპოლოდოროსი (I,8,5); ჰიგინუსი („მითები“).

განმარტებები. კუნძულ კრეტის პოლიტიკური ცენტრის, კნოსოსის დაცემის შემდეგ, ე.ი. ძვ.წ. XIV ს-დან, აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებს შორის დაიწყო ბრძოლა ზღვაზე ბატონობისთვის, რაც აისახა ჰეროდოტეს ცნობაში იმის თაობაზე, რომ ელენეს მოტაცებას წინ უძღოდა მრავალრიცხოვანი შემოსევა და, აგრეთვე, აპოლოდოროსის მიერ აღწერილ ამბავში, თუ როგორ მოაწყო ტროელთა უფლისწულმა პარისმა თავდასხ-



მა სიდონზე, ხოლო აგამემნონის ხალხმა – მიზიაზე. ტროას კონფედერაცია ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა ბერძენთათვის თავიანთი სავაჭრო გეგმების განხორციელების გზაზე (დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ განმარტებები თავისათვის „ტროა და დარდანიდები“), სანამ მიკენის „დიდმა მეფემ“ არ შეკრიბა თავისი მოკავშირეები (კრეტის ბერძენი მმართველების ჩათვლით), რათა ერთობლივი თავდასხმა განეხორციელებინათ ტროაზე.

*აგამემნონის დამოუკიდებელ მოკავშირეთა* შორის იყვნენ კუნძულ ითაკის, სამას, დულიხიოსისა და ძაკინთოსის მცხოვრებნი ოდისევსის მეთაურობით, სამხრეთელი თესალიელები აქილევსის მეთაურობით და მათი მონათესავე ეაკიდები ლოკრისიდან და სალამინიდან, რომელთა სათავეში ორი აიაქსი იდგა. ამ ბელადთა ხელმძღვანელობა რთული გამოდგა და აგამემნონი ოდენ ინტრიგების მოშველიებით ახერხებდა მათ შეკავებას, რათა ერთმანეთისთვის ყელები არ გამოეჭრათ. ამ საქმეში მას პელოპონესოსელი თანაშემწეები ეხმარებოდნენ: სპარტელი მენელაოსი, არგოსელი დიომედესი და ნესტორი პილოსიდან. აიაქსის მიერ ოლიმპიური ღმერთების მიუღებლობა და ათენასთვის მიყენებული შეურაცხყოფა, როგორც ვარაუდობენ, შეიძლება იმით იყო გამოწვეული, რომ ეაკიდები ლელეგების შთამომავლები იყვნენ და ამის გამო წინარეელინურ ქალღმერთს სცემდნენ თაყვანს.

ოდისევსი ბერძნული მითოლოგიის საკვანძო ფიგურაა. იგი ისევე, როგორც მამამისი – სისიფოსი და კრეტელი კინირასი უარს ამბობს სიკვდილზე მისთვის დაწესებული მმართველობის ვადის ბოლოს. ეს მომენტი „ოდისეას“ ცენტრალური ალეგორიაა. გარდა ამისა, ოდისევსი არის პირველი მითიური პერსონაჟი, რომელიც „შემკულია“ ისეთი უმნიშვნელო ფიზიკური დახასიათებით, როგორიცაა „მოკლეფეხება“, რის გამოც იგი ჯდომისას უფრო კეთილშობილურად გამოიყურებოდა, ვიდრე დგომისას. ოდისევსს როგორც „ოდისეას“ პერსონაჟს გაგაცნობთ ჩვენი სერიის წიგნი „ტროას ომის შემდეგ“.

ჰომეროსის შემდეგ ოდისევსის სახე თანდათანობით შესამჩნევ დეგენერაციას განიცდის. კლასიკური ეპოქიდან მოყოლებული, განსაკუთრებით ატიკურ ტრაგედიაში, იგი ხშირად წარმოდგენილია როგორც ფლიდი და მატყუარა.

ვინაიდან პალამედესი არგოლისში არსებული კრეტული კულტურის წარმომადგენელი იყო, – ყველა გამოგონება, რომელიც მას მიეწერება, კრეტული წარმომავლობისა უნდა იყოს. პალამედესი „ძველ სიბრძნეს“ ნიშნავს და მისი გამოგონებები საფუძველს იძლევა ჰერმესთან მის გასაიგივებლად.

*კამათლებით* თამაშს ისეთივე ისტორია აქვს, როგორც ბანქოს თამაშს: სანამ სათამაშო ინსტრუმენტებად იქცეოდნენ, კამათელი და ბანქო მომავლის წინასწარმეტყველებისთვის გამოიყენებოდა.

⑥

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. *ავლისში ბერძენ გმირთა პირველ შეკრებასთან დაკავშირებული ამბები* მოთხრობილია შემდეგი წყაროების მიხედვით: ჰეროდოტე, I,1-4; ოვიდიუსი, „გმირი ქალები", XVI,341-350; „კიპრიები", ციტ. პროკლეს „ქრესტომათიის" (I) მიხ.; აპოლოდოროსი, III,3,1; აპოლოდოროსი, „ეპიტომა", III,6-7.9.12; ჰიგინუსი, „მითები", 95-96; ჰომეროსი, „ოდისეა", XXIV,115.119 და XIX,399-466; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის" II,81 და VI,529-ის კომენტარები; ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 818; ლიკოფრონი, „ალექსანდრა", 178 შმდ. და სქოლიოები; ჰომეროსის „ილიადის" XVI,37-ის და XIX,332-ის სქოლიოები; არისტოფანეს „ღრუბლების" 1068-ის სქოლიოები; აპოლონიოს როდოსელის IV,816-ის სქოლიოები; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", XIII,162; ჰომეროსი, „ილიადა", IX,438 შმდ.; X,61 შმდ.; XI,769 შმდ.; ფილოსტრატოსი, „საგმირო საქმეები", 7; დიოდოროს სიცილიელი, V,79; პავსანიასი, V,25,5; დიქტის კრეტელი, I,16.

*ანიოსისა და მისი ქალიშვილების შესახებ* მოგვითხრობენ: დიქტის კრეტელი (I,23); სერვიუსი (ვერგილიუსის „ენეიდის" III,80-ის კომენტარები); დიოდოროს სიცილიელი (V,62); ცეცე (სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 570.583); აპოლოდოროსი („ეპიტომა", III,10); ოვიდიუსი („მეტამორფოზები", XIII,643 შმდ.).

*ზევსის მიერ გამოგზავნილი ნიშნის შესახებ* შემდეგი წყაროები გვაუწყებენ: აპოლოდოროსი, „ეპიტომა", III,15; ჰომეროსი, „ილიადა", II,303-353; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", XII,13-23.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტროა ელენეს მოტაცებიდან ოცი წლის შემდეგ დაეცა (ჰომეროსი, „ილიადა", XXIV,765); რომ თავიანთი პირველი წარუმატებელი ლაშქრობა ბერძნებმა მოტაცებიდან მეორე წელს განახორციელეს; და რომ თითქოს რვა წელი გავიდა მანამ, სანამ ისინი კვლავ შეიკრიბნენ. ეს და ძირითად ტექსტში გადმოცემული განსხვავებული თვალსაზრისები ლაშქრობის დაწყების დროისა და მისი წარუმატებლობის მიზეზთა შესახებ დაცულია შემდეგ წყაროებში: აპოლოდოროსი, „ეპიტომა", III,17; პინდარე, „ოლიმპიური ოდები", IX,70 შმდ.; ცეცეს სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 206-209; ჰომეროსის „ილიადის" I,59-ის სქოლიოები; ჰომეროსი, „ილიადა", XVI,140-144; XXIV,765; ფილოსტრატოსი, „დიალოგი გმირების შესახებ", III,35; აპოლოდოროსი, III,18; „კიპრიები", ციტ. პროკლეს „ქრესტომათიის" (I) მიხ.; პავსანიასი, III,12,5.



*ბერძენთათვის ტელეფოსის მიერ გაწეული დახმარების შესახებ* მოგვითხრობენ: აპოლოდოროსი („ეპიტომა", III,19-20); ჰიგინუსი („მითები", 101); პლინიუსი („ბუნებრივი ისტორია", XXV,19); ფილოსტრატოსი („დიალოგი გმირების შესახებ", II,18); ჰომეროსის „ოდისეას" სქოლიოები (I,520).

*ავლისში მეორე შეკრების ამბავი* მოთხრობილია შემდეგი წყაროების მიხედვით: ევრიპიდე, „იფიგენია ტავრისში" და „იფიგენია ავლისში"; აპოლოდოროსი, „ეპიტომა", III,22-24.27.31; დიქტის კრეტელი, I,19-20; II,14; სოფოკლე, „ელექტრა", 574; ცეცეს სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 183,232-233; ჰომეროსი, „ოდისეა", IV,342-344; პავსანიასი, X,14,2; ჰიგინუსი, „მითები", 157; პინდარეს „ოლიმპიური ოდების" (II,147) სქოლიოები; პლუტარქე, „ბერძნული საკითხები", 28; „კიპრიები", ციტ. პროკლეს „ქრესტომათიის" (I) მიხ.; ჰომეროსი, „ილიადა", II,727.

*ფილოქტეტესის სიკვდილთან დაკავშირებით* რამდენიმე განსხვავებული ვერსია არსებობს. ერთი მათგანის მიხედვით, მთელი ეს ამბები მოხდა კუნძულ ლემნოსის მახლობლად მდებარე პატარა კუნძულ ქრისოსზე, რომელიც შემდგომში ზღვაში ჩაძირულა. ოღონდ ზუსტად არავინ უწყის – ნიმფა ქრისეს შეუყვარდა ფილოქტეტესი, ხოლო რადგან მან მისი გრძნობა უპასუხოდ დატოვა, ნიმფამ ისე მოაწყო, რომ გველმა დაგესლა, როცა იგი ათენა ქრისეს საკურთხეველს მიწისგან წმენდდა, – თუ ათენას ტაძრის მცველმა გველმა დაგესლა იმ მომენტში, როცა იგი წინდაუხედავად მიუახლოვდა ტაძარს (პავსანიასი, VIII,33,2; ცეცეს სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 911; სოფოკლე, „ფილოქტეტესი", 1327; ფილოსტრატოსი, „სურათები", 17; ევსტათიოსის სქოლიოები ჰომეროსისთვის, გვ. 330). სხვათა აზრით, ფილოქტეტესი სწორედ ლემნოსზე დაგესლა ჰერას მიერ გამოგზავნილმა გველმა იმის გამო, რომ მას თავის დროზე ჰერაკლეს დასაკრძალავი კოცონის დანთება გაუბედავს. ეს კი მაშინ მოხდა, როცა ფილოქტეტესი იასონის მიერ ათენასათვის აგებულ საკურთხეველს ათვალიერებდა და გადაწყვიტა, ასეთივე ჰერაკლესთვის აეგო (ჰიგინუსი, „მითები", 102; სოფოკლეს „ფილოქტეტესის" სქოლიოები, 2.194 და 267). კიდევ ერთი ვერსიით, ფილოქტეტესს ჰერაკლეს ერთ-ერთი შხამიანი ისარი მოხვდა. როგორც ამბობენ, ჰერაკლეს ფიცი დაუდებინებია მისთვის, თავისი საფლავის ადგილსამყოფელი არავისთვის

გაემჟღავნებინა, მაგრამ როცა ბერძნებმა შეიტყვეს, რომ ტროას აღება მხოლოდ ჰერაკლეს ისრებით იქნებოდა შესაძლებელი, სასწრაფოდ ფილოქტეტესის საძებრად გაეშურნენ თურმე, და თუმცა იგი თავიდან ირწმუნებოდა, რომ არაფერი იცოდა ჰერაკლეს თაობაზე, ბოლოს და ბოლოს ვერ გაძლო და მოუთხრო ბერძნებს ყველაფერი, რაც ეტას მთაზე მოხდა. მაშინ ბერძნებმა იმის გამოკითხვა დაუწყეს, თუ სად მდებარეობდა საფლავი. ამ შეკითხვაზე პასუხისაგან ფილოქტეტესს თავი აურიდებია, მაგრამ ბოლოს ვერ გაუძლო ზეწოლას, წასულა და უხმოდ დამდგარა იმ ადგილას, სადაც ჰერაკლე „განისვენებდა“ მიწაში. მოგვიანებით, როცა გზად ტროასკენ ფილოქტეტესს ამ საფლავთან ჩაუვლია, ჰერაკლეს ერთი ისარი გადმოვარდნილა კაპარჭიდან და ფეხში შერჭობია. ეს ერთგვარი გაფრთხილება იყო ყველას მიმართ იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება ღვთაებრივ საიდუმლოთა გამხელა არც მინიშნებით და არც ნართაულად (სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ კომენტარები, III,402).

განმარტებები. მეფე კინირასის სათამაშო გემები შესაძლოა ასახავდეს კვიპროსელების მიერ ეგვიპტელთაგან ნასესხებ ჩვეულებას, რომლის ძალითაც სამეფო საფლავში ტერაკოტის პატარა გემებს დებდნენ მკვდართა სამეფოში მოგზაურობის განსახორციელებლად. კინირასის ორმოცდაათი ქალიშვილი, რომლებიც ალკუნებად გადაიქცნენ, შესაძლოა აფროდიტეს ქურუმი ქალების ერთობას წარმოადგენდნენ, ქალღმერთის ერთ-ერთი სახელთაგანი „ალკიონე“, ანუ „ქარიშხლების ამრიდებელი მეფექალი“ იყო, ხოლო მისი წმინდა ფრინველები – ალკუნები – წყნარი ამინდის მაცნეებად ითვლებოდნენ.

*ანიოსის ქალიშვილების სახელები* – ელაისი, სპერმო და ოინო – შესაბამისად, „ზეითუნის ზეთს“, „ხორბალსა“ და „ღვინოს“ ნიშნავს. მათი ბებია, რეო, რომელიც კუნძულ დელოსზე ზანდუკში ჩაკეტილი მოხვდა, კარგად ცნობილ ნაყოფიერების ქალღვთაებას წარმოადგენს. აქ მისი ღვთაებრიობა შვილიშვილების, „მევენახე ქალწულების“ ნაყოფიერების სახით წარმოგვიდგება.

*ხერხი, რომლითაც აქილევსი ტელეფოსის ჭრილობას კურნავდა*, ემყარება ძველ ჰომეოპათიურ პრინციპს – „მსგავსი მსგავსით იკურნება“ და მოგვაგონებს მისან მელამპუსის მიერ ცხოველთა კასტრაციისთვის განკუთვნილი დანიდან ჟანგის გამოყენებას იფიკლესის განსაკურნავად (იხ. სერიის წიგნი „პრომეთე და ადამიანთა



მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები“, ქვეთავი „მელამპუსი“).

*ანტიკური ხანის* არც ერთ კომენტატორს არ მოუცია იმის ახსნა, თუ რატომ მოხდა, რომ გველმა ჩიტის ბუდე, რომელზედაც ამბობს კალქასი, ნეკერჩხლის ხეზე გაანადგურა. საქმე ისაა, რომ გველები ყოველწლიურად იცვლიან კანს და ერთგვარად ახალგაზრდავდებიან. იგივე ხდება ნეკერჩხლის ხის შემთხვევაშიც, ამიტომ ორივე მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოა. კალქასმა უწყოდა, რომ შეჭმული ჩიტები თვეებს კი არა, წლებს აღნიშნავდნენ. ნეკერჩხლის ხე, რომელიც მოგვიანებით აპოლონმა მიისაკუთრა, კრეტისა და სპარტის ქალღმერთის წმინდა ხედ ითვლებოდა,ვინაიდან მისი ფოთლები მწვანე ხელისგულს მოჰგავს ღვთაებრივი კურთხევის სათხოვნელად განვდილი თითებით. არქაიკის ეპოქის მცირე ზომის ქანდაკებებზე ქალღმერთი სწორედ ამგვარ ჟესტს აკეთებს ხელით. გველის ცისფეროვნება მიუთითებს იმაზე, რომ იგი ზევსის მიერაა წარმოგზავნილი, რომელიც, ვითარცა უზენაესი ღმერთი, ცისფერი ნიმბის მფლობელია.

*იფიგენია*, რომლის მსხვერპლად შეწირვა მოითხოვა ქალღმერთმა არტემისმა, ეპიკური ჟანრისთვის დამახასიათებელი მეფის ასულია (თუმცა ჰომეროსთან ასე არ არის). იგი მუდმივ კავშირშია ზემოხსენებულ ქალღმერთთან, როგორც მსხვერპლი, პროტეჟე ან ქურუმი ქალი. მისი სახელი სიტყვასიტყვით „ძლიერად დაბადებულს“, ანუ მეფურს ნიშნავს და, როგორც ჰესიქიოსი და პავსანიასი გვარწმუნებენ, ამ ქალღმერთის – არტემისის ტიტულია (Ἰφιγένεια· ἡ Ἄρτεμις). სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მსხვერპლშეწირვის მომენტში იფიგენიას ჩაენაცვლებიან ფურირემი, დათვი ან ხარი – ის ცხოველები, რომლებიც უკავშირდება არტემისს. ყოველივე ზემოთქმული ბადებს ისეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომლითაც იფიგენია სხვა არავინაა, თუ არა თვით ეს ქალღმერთი.

რაც შეეხება მითის იმ ვერსიას, რომლითაც იფიგენიას დათვი ჩაენაცვლა, და ეს, გადმოცემათა თანახმად, მოხდა არა ავლისში, არამედ ბრავრონში, ატიკაში, იგი უნდა უკავშირდებოდეს ამ ადგილას არსებულ მეტად უცნაურ და ძველისძველ არტემისის კულტს: მის პატივსაცემად ცეკვის რიტუალს ასრულებდნენ გოგონები, რომლებსაც დათვებს ეძახდნენ და რომლებსაც – შესაძლოა დათვის მოწითალო-მოყავისფრო ბეწვზე მისანიშნებლად – ზაფრანისფერი ფართო კაბები ემოსათ.

⑦

წყაროები და ვარიანტები. ტროაში ბერძენთა პირველ ელჩობაზე, ბერძენთა მხრიდან საომარი მოქმედებების დაწყებაზე, ქალაქის მისადგომებთან დაბანაკებაზე და თვით ტროასა და ტროელების თაობაზე გვიამბობენ: ჰომეროსი, „ილიადა“, III,1; ჰომეროსის „ილიადის“ სქოლიოები, III,206; „კიპრიები“, ციტ. პროკლეს „ქრესტომათიის“ (I) მიხ.; ცეცე, „ჰომეროსამდელი ამბები“, 154 შმდ.; ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 245; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, III,28-29.31; ჰიგინუსი, „მითები“, 103; ევსტათიოსი, კომენტარები ჰომეროსისთვის, 325-326; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, XII,70-145.

ლაოდამიას მითი მოთხრობილია ჰიგინუსის მიხედვით („მითები“, 104). ზოგი ვერსიით, ნაპირზე ჩასული პირველი ბერძენი – პროტესილაოსი მოკლა არა ჰექტორმა, არამედ ენეასმა, აქატესმა ან ევფორბოსმა.

საბრძოლო მოქმედებათა განვითარებასა და განსაკუთრებით აქილევსის აქტივობაზე ამ ხნის განმავლობაში ძირითადად ჰომეროსის „ილიადის“ მიხედვითაა მოთხრობილი. თუმცა ჰომეროსი თანმიმდევრულად მხოლოდ ომის მეათე წლის ამბებს აღწერს, ხოლო პირველი ცხრა წლის მოვლენებს თითოეული მითოგრაფოსი თავისებურად ყვება. დამატებითი ინფორმაცია შემდეგი წყაროებიდანაა ამოკრებილი: ჰომეროსის „ილიადის“ სქოლიოები, I,84; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, III,32-33; ევსტათიოსი, კომენტარები ჰომეროსისთვის, II,58; „კიპრიები“, ციტ. პროკლეს „ქრესტომათიის“ (I) მიხ.; დიქტის კრეტელი, II,17; ჰიგინუსი, „მითები“, 115; ჰესიოდე, „თეოგონია“, 1007; ფილოსტრატოსი, „დიალოგი გმირების შესახებ“, III,1.

ზოგი ვერსიით, ტროელთა მიერ მოკლული პირველი აქაველი ან ევფორბოსი, ან ენეასის მეგობარი აქაროსი იყო.

აპოლოდოროსის თანახმად, აქილევსი ტროილოსს კლავს, ტყვედ აჰყავს ლიკაონი, იტაცებს ენეასის ნახირს და მრავალ ქალაქს იპყრობს. „კიპრიების“ თანახმად, ბერძნებმა, რაკი ტროას აღება თავდასხმის გზით ვერ შეძლეს, მთელი მისი შემოგარენი და მეზობელი ქალაქები გააჩანაგეს; აფროდიტემ და თეტისმა აქილევსისა და ელენეს შეხვედრა მოაწყვეს. ბერძნებმა შინ დაბრუნება გადაწყვიტეს, მაგრამ ისინი აქილევსმა შეაკავა, რომელმაც შემდეგ ენეასის ნახირი გაიტაცა, მრავალი ქალაქი დაიპყრო და მოკლა ტროილოსი; პატროკლემ ლიკაონი ლემნოსზე გაყიდა; ნადავლი გაიყვეს და პალამედესი ქვებით ჩაქოლეს. ცეცეს თანახმად, ტროილოსმა მემნონზე და ჰექტორზე მეტხანს იცოცხლა. დარესის თანახმად, ჰექტორის შემდეგ ტროელთა ლაშქრის მეთაურობა ტროილოსმა მიიღო და სათავეში მანამ იყო, სანამ მის ეტლში შებმული ერთ-ერთი ცხენი არ დაიჭრა. აქილევსი დაეწია ტროილოსს და შუბით განგმირა; მისი სხეულის წაღების მცდელობისას აქილევსი დაჭრა მემნონმა; აქილევსმა იგი საპასუხო დარტყმით განგმირა; ტროელებმა ქალაქის კედლებს შეაფარეს თავი, პრიამოსმა ტროილოსსა და მემნონს დიდებული დაკრძალვა მოუწყო.

ტროილოსთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები არსებობს. ერთნი ამბობენ, თითქოს აქილევსს შეუყვარდა იგი ბრძოლის დროს და უთქვამს: „მოგკლავ, თუკი ჩემს ვნებას არ დაუთმობ!“ ტროილოსი გაქცეულა და აპოლონ ფიმბრიელის ტაძრისთვის შეუფარებია თავი, მაგრამ მისი უსურვილობისა და სიმორცხვის შემყურე აქილევსს ღმერთის რისხვის არ მორიდებია და თავი მოუკვეთია ტროილოსისთვის საკურთხეველთან, თანაც სწორედ იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის შემდეგ თავად დაიღუპა (ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 307). სხვები თვლიან, რომ აქილევსმა ტროილოსი შუბით განგმირა, როცა უკანასკნელი ტაძრის მიდამოებში ცხენების მოვლით იყო გართული; ან რომ მან მტრედები შესთავაზა საჩუქრად და ისე გამოიტყუა ტროილოსი, შემდეგ კი ისე დათვურად დაიწყო თავისი ვნების გამოხატვა, რომ ნეკნები ჩაუმტვრია და ჭაბუკი გარდაიცვალა. სხვანი ამბობენ, რომ მემნონის სიკვდილის შემდეგ შურისძიების მოსურნე ტროილოსმა ტროადან გამოილაშქრა და ორთაბრძოლაში ჩაება აქილევსთან, რომელმაც იგი მოკლა, ან რომ აქილევსმა იგი ტყვედ აიყვანა და ბრძანა, ყველას თვალწინ დაესაჯათ სიკვდილით, თან იმასაც ამატებენ, რომ ამ დროისათვის ტროილოსი უკვე ხანში შესული იყო, მუქი სახის კანით გამოირჩეოდა, გრძელ წვერს ატარებდა და საეჭვოა, აქილევსში ვნება აღეძრა (ევსტათიოსი, ჰომეროსის „ილიადის“ სქოლიოები, XXIV,251; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ კომენტარები, I,478; დიქტის კრეტელი, IV,9; ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის).

განმარტებები. გადამწყვეტი შეტევის მოსამზადებლად ბერძნებმა, როგორც ჩანს, რამდენჯერმე გაილაშქრეს თრაკიისა და მცირე აზიის სანაპიროებზე, რათა ტროას კავშირის საზღვაო ძლიერება დაეკნინებინათ, და სკამანდროსის შესართავთან დაბანაკდნენ, რათა ხმელთაშუა ზღვიდან მომავალი ვაჭრები ტროაში არ შეეშვათ. მაგრამ „ილიადაში“ სავსებით მკაფიოდაა ნათქვამი, რომ ტროას ალყა არ ნიშნავდა გარე სამყაროსთან კავშირის უქონ-

ლობას. ამიტომ, თუმცა ტროელები დღისით ერიდებოდნენ დარდანული კარიბჭით სარგებლობას, როცა აქილევსი ახლოს ეგულებოდათ (ეს კარიბჭე მატერიკის სიღრმეში მიმავალ გზას უხსნიდა ტროელებს („ილიადა“, V,789)), ხოლო ტროელი ქალები ერიდებოდნენ სარეცხის რეცხვას წყაროზე, რომელიც ქალაქის კედლებიდან ისრის გაფრენის მანძილზე მოედინებოდა („ილიადა“, XXII,154-156), ეს ხელს არ უშლიდა ქალაქისათვის სურსათ-სანოვაგისა და დამატებითი სამხედრო დახმარების მიწოდებას, თანაც, ტროელები ახერხებდნენ სესტოსისა და აბიდოსის გაკონტროლებას, რომელთა მეშვეობით თრაკიასთან ახორციელებდნენ მჭიდრო კონტაქტებს. ის გარემოება, რომ ბერძნებს თავი მოჰქონდათ იდას მთიდან ნახირის გატაცებითა და პრიამოსის ფინიკის ბაღის დარბევით, მიუთითებს იმაზე, რომ ისინი იშვიათად აღწევდნენ შიდა რაიონებს.

აგამემნონმა ძალთა გამოფიტვაზე გათვლილი ომი წამოიწყო, რომლის წარმატებასაც ჰექტორი აღიარებს („ილიადა“, XVII,225 და XVIII,287-292), როცა ამბობს, რომ ტროელთა მარაგები მალე ილევა ვაჭრობის დაცემისა და მოკავშირეთათვის დახმარების გაწევის აუცილებლობის გამო.

ტროელთა გონივრული მიდგომა ქალების, მოკავშირეებისა და სავაჭრო კლიენტების მიმართ ხაზს უსვამს იმას, რომ „ილიადის“ საფუძვლად აღებული მითის წარმოშობა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. კნოსოსის დაცემისა და კრეტის კავშირის (Pax Cretensis) დაშლის შემდეგ, რომელიც ყველა იმ ქვეყანას აერთიანებდა, რომელზედაც კრეტის გავლენა ვრცელდებოდა, ასპარეზზე გამოდის მოახლოებული რკინის ეპოქის ახალი მორალი, რომლის გამომხატველი დამპყრობელი ზევსი იყო. და მართლაც, თუკი კრეტის ცივილიზაცია განთქმული იყო თავისი მშვიდობისმოყვარეობით, მისი დაცემის შემდეგ კონტინენტურ საბერძნეთში უკვე ბერძენთა მიერ ფორმირებული მიკენური კულტურა აშკარა აგრესიულობით გამოირჩევა, რისი პირდაპირი დასტურია ტროას ომი – მიკენელ მმართველთა ამბიციების, აგრეთვე ეგეიდასა და შავიზღვისპირეთში სავაჭრო-ეკონომიკურ პირველობაზე მათი პრეტენზიების გამოხატულება. გარკვეული გაუგებრობა და მორალური ხასიათის სირთულე შეიძლება გამოიწვიოს იმან, თუ როგორ უნდა აღვიქვათ „ილიადაში“ ასახული მოვლენები: იფიგენიას მსხვერპლად შეწირვა, ოდისევსის შურისგება, აქილევსის მიერ ტროილოსის ურცხვი დევნა, ძალით აყვანილი მესარეცლე ქალების – ქრისეისისა და ბრისეისის – გამოჩენა ბერძენთა ბანაკში და მათ გამო ატეხილი კინკლაობა; ასევე ის,



რომ პალამედესს ბედად ეწერა აგამემნონის, ოდისევსისა და დიომედესის მანკიერი კავშირის მსხვერპლი გამხდარიყო (იხ. თავი „ტროას ომში მონაწილე სხვა ბერძენი გმირები“). ყველაფერი ეს ახალი დროის ზნეობრივ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ ამ საკითხებზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზევსი და მის დასში მყოფი სხვა ოლიმპიელი ღმერთები ახალ ღვთაებრივ წესრიგს განასახიერებენ. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ოლიმპიელთა რელიგია უფრო განვითარებული, უფრო ცივილიზებული საზოგადოების რელიგიაა, მათ თაყვანისცემაში არ არის დაუნდობლობა და ფანატიზმი, რაც დამახასიათებელი იყო ძველი აზიური წარმომავლობის ღვთაებათა კულტებისათვის. ჰომეროსის ქმნილებამ იმიტომ დაიმკვიდრა გენიალურის სახელი და გამოჩენილი ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაში, რომ პოეტი, სისხლისა და სიკვდილის მიუხედავად, უაღრესად ესთეტურად წარმოგვიდგენს ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ მდგომ გმირებს (მით უფრო ღმერთებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ინტერესებისათვის და ხშირად ბრძოლის ველზე გამოჩენასა და უშუალოდ ბრძოლაში მონაწილეობას არ თაკილობენ). გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ბრძოლა ანტიკური ეპოქის ადამიანისთვის იმის გარკვევის საშუალებაა, თუ ვინ არის დავაში მართალი, ხოლო მართალი ისაა, ვის მხარეზეც უფრო ძლიერი ღმერთი დგას, რაც, ანტიკური თვალთახედვით, გამარჯვებულს ესთეტურადაც უფრო მშვენიერს ხდის.

⑧⑨

წყაროები და ვარიანტები. *აქილევსის რისხვასთან და ჰექტორისა და აქილევსის ორთაბრძოლასთან დაკავშირებული ამბები ჰომეროსის „ილიადის“ მიხედვითაა მოთხრობილი. „ილიადისგან“ მცირედ განსხვავებული ვერსიები წარმოდგენილია ჰიგინიუსთან („მითები“, 106) და აპოლოდოროსთან („ეპიტომა“, 4). მნიშვნელოვნად განსხვავდება ფილოსტრატოსის, დიქტის კრეტელისა და დარესის ვერსიები.*

*თვით „ილიადას“ ემყარებოდა ათობით ტრაგედიის სიუჟეტი, მათ შორისაა: ესქილეს „მირმიდონელები“, „ნერეიდები“, „ფრიგიელები, ანუ ჰექტორის გამოსყიდვა“, სოფოკლეს „ტყვე ქალები“, „აქაველთა კრება“, „მონადიმენი“, „ფრიგიელები“, მისივე სატირული დრამა „აქილევსის საყვარლები“. შემონახულია „რესოსი“, რომელსაც ევრიპიდეს მიაწერენ.*

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. აქილევსსა და აგამემნონს შორის ომის მეათე წელს ჩამოვარდნილი უთანხმოებისა და ბერძენთათვის მისი სავალალო შედეგების; პატროკლეს ბრძოლაში ჩაბმისა და დაღუპვის, ასევე აქილევსის შურისგების – ჰექტორის მოკვლის – ამბები შთამბეჭდავი პოეტური ძალითა და ეპიკური ჟანრისთვის დამახასიათებელი დეტალურობით არის ასახული ჰომეროსის „ილიადაში“.

პროკლეს თანახმად („ქრესტომათია“, 99,19-20), ჰომეროსი „ბრმას“ ნიშნავს. სიმღერა ბრმათათვის ჩვეული საქმიანობა იყო, რადგან სიბრმავე და სულიერება ხშირად თანხვდებოდა ხოლმე. დავა ჰომეროსის (ძვ.წ. VIII ს.) ვინაობასთან დაკავშირებით ორნახევარ ათასწლეულზე მეტი ხანია გრძელდება. ძველად მას კუნძულ ქიოსიდან გამოსულ იონიელად მიიჩნევდნენ. კუნძულ დელოსზე, ძველებისავე თქმით (პინდარე, „ნემეური ოდის“ სქოლიოები, II,1), ჩამოყალიბდა ჰომერიდების, ანუ „ბრმის შვილთა“ კლანი, რომლის წევრები ასრულებდნენ ჰომეროსის ტრადიციულ პოემებს და თანდათანობით მომღერალთა (ბერძნულად – აედთა) ერთობას დაუდეს სათავე. ეს კუნძული ითვლებოდა იონიური სამყაროს ცენტრად და ადგილად, სადაც თვით ჰომეროსი მღეროდა („ჰიმნი აპოლონ დელოსელისადმი“, III,165-173). საინტერესოა, რომ გარკვეული მკვლევარნი ეჭვის ქვეშ აყენებდნენ საკითხს, თითქოს „ილიადას“ ერთი ავტორი ჰყავდა, რის თაობაზეც სხვადასხვაგვარი თეორიები შეიქმნა, მაგრამ დღეს უმეტესობა, მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით, როგორც „ილიადის“, ისე „ოდისეას“ ავტორობას ერთ ადამიანს, ჩვენამდე ჰომეროსის სახელით მოღწეულ შემოქმედს მიაწერს.

„ილიადა“ ძვ.წ. XIII საუკუნის ამბებს მოგვითხრობს. ძვ.წ. VI საუკუნისთვის, ზეპირი ტრადიციის არამდგრადობის გამო, ტექსტი გაყალბებას იწყებდა. ამის გამო ათენელთა მმართველმა პისისტრატოსმა ოთხ ცნობილ მეცნიერს უბრძანა, გადაემოწმებინათ და შეესწორებინათ ტექსტი. მეცნიერებმა, უნდა ვიფიქროთ, კარგად გაართვეს თავი ამოცანას, მაგრამ ვინაიდან ჰომეროსს ხშირად მიმართავდნენ ქალაქებს შორის არსებული დავის გადასაწყვეტად, პისისტრატოსი მტრებმა დაადანაშაულეს იმაში, რომ თითქოს იგი პოლიტიკური მოსაზრებებით აყალბებდა პოეტურ სტრიქონებს (სტრაბონი, IX,1,10).

აქილევსის კონფლიქტი მიკენისა და მთელი ელინური ლაშქრის მბრძანებელ აგამემნონთან იმ ისტორიული რეალობის ასახვაა, რომლითაც მიკენის პოლიტიკური და კულტურული პირველობის ფონზე საბერძნეთის ზოგიერთი რეგიონი (ამ შემთხვევაში თესალია) შედარებით დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. სწორედ ამ კონფლიქტზე დააფუძნა თავისი „ილიადის“ სიუჟეტი ჰომეროსმა.



⑩

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. აქილევსის სიკვდილის შესახებ მოგვითხრობენ: ოვიდიუსი („მეტამორფოზები“, XII,580 შმდ.); ჰიგინუსი („მითები“, 107); აპოლოდოროსი, V,3; არქტინ მილეტელი („ეთიოპიადა“, ციტ. პროკლეს „ქრესტომათიის“ (2) მიხ).

პტოლემაიოსის გადმოცემით (დაცულია ფოტიუსთან – „ბიბლიოთეკა“, გვ. 151), აქილევსი ჰელენოსმა ან პენთესილეამ მოკლა. თეტისმა გააცოცხლა შვილი, რომელიც პენთესილეას მოკვლის შემდეგ კვლავ ჰადესში დაბრუნდა.

აქილევსის დაკრძალვის დეტალებს გვაუწყებენ: კვინტუს სმირნელი (III,766-780); აპოლოდოროსი (V,5); დიქტის კრეტელი (IV,13-14); ცეცე („ჰომეროსის შემდგომდროინდელი ამბები“, 431-467); ჰომეროსი („ოდისეა“, XXIV,48-84); პავსანიასი (III,9,11;III,20,8;VI,23,2); ფილოსტრატოსი („დიალოგი გმირების შესახებ“, XIX,14;XX,32-40).

აქილევსისა და მისი აჩრდილის სასიყვარულო თავგადასავლების თხრობისას შემდეგ წყაროებს ვეყრდნობოდით: ჰომეროსი, „ილიადა“; ევსტათიოსი, კომენტარები ჰომეროსისთვის, 1696; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“; დარესი, 34; დიქტის კრეტელი, IV,10-13; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ (I,34;I,495;III,322) კომენტარები; ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 143.174.269; ჰომეროსი, „ოდისეა“, XI,471-540; იბიკოსი, ციტ. აპოლონიოს როდოსელის (IV,815) სქოლიოების მიხ.; პავსანიასი, III,19,13.

აქილევსის საჭურვლის ბედს, აიაქსის სიშმაგესა და თვითმკვლელობას აღწერენ: ჰომეროსი („ოდისეა“, XI,543 შმდ. 559-560); სოფოკლე („აიაქსი“); ჰიგინუსი („მითები“, 107); პინდარე („ნემეური ოდები“, IV,60;VIII,26 შმდ.); ოვიდიუსი („მეტამორფოზები“, XII,620); აპოლოდოროსი („ეპიტომა“, V,6); ჰომეროსის „ოდისეას“ (XI,547) სქოლიოები; ესქილე (ციტ. სოფოკლეს „აიაქსის“ (833) და ჰომეროსის „ილიადის“ (XXIII,821) სქოლიოების მიხ.); არქტინ მილეტელი („ილიონის დანგრევა“, ციტ. ევსტათიოსის კომენტარების მიხ. ჰომეროსის „ილიადისთვის“ (XIII,515); პავსანიასი (I,28,12; I,35,2-3;VIII,15,3); ფილოსტრატოსი („დიალოგი გმირების შესახებ“, 1.2); სერვიუსის კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის“ (I,619); ჰეროდოტე (VI,35); პლუტარქე („სოლონი“, XI).

ზოგნი ამბობენ, აიაქსსა და ოდისევსს იმის გამო მოუვიდათ უთანხმოება, რომ ორივეს პალადიონის მფლობელობის პრეტენზია ჰქონდა და თითქოს დავა ტროას დაცემის შემდეგ მომხდარა. სხვანი უარყოფენ აიაქსის თვითმკვლელობის ფაქტს და ამტკიცებენ, რომ ვინაიდან იგი უწყვლადი იყო ლითონისთვის, ტროელებმა,

ორაკულის რჩევის თანახმად, თიხის ბელტებით მოკლეს. მაგრამ აქ შეიძლება მეორე (პატარა) აიაქსზეც ყოფილიყო საუბარი (დიქტის კრეტელი, V,14-15; სოფოკლე, „აიაქსი“).

განმარტებები. *ტროას ომში ამაძონთა და ეთიოპელთა მონაწილეობა*, რომელთა მეთაურების – ამაძონი პენთესილეასა და ეთიოპელთა მეფის, მემნონის მოკვლა აქილევსის ორ უკანასკნელ საგმირო საქმედაა დასახელებული, განასახიერებს ტროას ომში სამყაროს სამანთან მცხოვრები ხალხების, ანუ უკიდურესი ჩრდილოეთისა და უკიდურესი სამხრეთის (თუ აღმოსავლეთის) მონაწილეობას. სავარაუდოა, რომ ამ მითების ჩართვა ტროას ომის ციკლში ბერძენთა მიერ მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობის გაზრდას ემსახურებოდა.

*აიაქსის სიკვდილის შემდეგ კუნძულ სალამინზე აღმოცენებული ყვავილის* შესახებ ერთიანი აზრი არ არის. აღსანიშნავია, რომ ეს ყვავილი ასევე კრეტელი მითოლოგიური პერსონაჟის, ჰიაკინთოსის წმინდა ყვავილად ითვლებოდა. ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს არის ცისფერი hyacinthos grapta, რომელსაც ფურცლების ძირში აქვს ნახატი, ბერძნულ AI ასოებს რომ გვაგონებს. სხვა მკვლევართა თვალსაზრისით, ეს შეიძლება ყოფილიყო რომელიღაც ყვავილი გლადიოლუსების, ირისების ან დელფინიების ოჯახიდან. დღესდღეობით ჰიაკინთოსის ყველაზე სავარაუდო შესატყვისად ამერიკულ Amaryllacae Polianthes tuberosa-ს ასახელებენ.

⑪

წყაროები და ვარიანტები. *ტროას დაცემის შესახებ კალქასის წინასწარმეტყველების თაობაზე, აგრეთვე ფილოქტეტესის* შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან: აპოლოდოროსი („ეპიტომა“, V,8); ცეცე (სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 911); სოფოკლე („ფილოქტეტესი“, 1 შმდ.); ფილოსტრატოსი, „დიალოგი გმირების შესახებ“, 5.

*პარისისა და ენონას ტრაგიკულ დაღუპვას* აღწერენ: აპოლოდოროსი (III,12,6;V,9-10); ცეცე (სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 143 და 168); ევრიპიდე („ტროელი ქალები“, 955-960); სერვიუსი (ვერგილიუსის „ენეიდის“ (II,166) კომენტარები).

*ჰელენოსის მიერ ბერძენთათვის ტროას ორაკულების გამხელის ამბავი* შემდეგ წყაროებშია დაცული: აპოლოდოროსი, V,9-



10; სოფოკლე, „ფილოქტეტესი“, 606.1337-1342; დიქტის კრეტელი, IV,18; პავსანიასი, V,13,3.

*პალადიონის მოტაცებასთან დაკავშირებული ამბები* გადმოცემულია შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: დიქტის კრეტელი, IV,22;V,5 და 8; ევრიპიდე, „ჰეკაბე“, 239-250; ჰომეროსი, „ოდისეა“, IV,242 შმდ.; აპოლოდოროსი, V,13; სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის“, II,166; ჰომეროსის „ილიადის“ სქოლიოები, VI,311; სვიდა, სიტყვა Panadium-ის განმარტება.

პალადიონის მოტაცების შესახებ გვიანდელი ვერსიის თანახმად, დიომედესი ოდისევსის მხრებზე შემდგარა და ისე გადამძვრალა კედელზე, ვინაიდან კიბე, რომელიც მათ თან ჰქონდათ, მოკლე აღმოჩნდა. შესაბამისად, მას მარტო შეუღწევია ქალაქში, პალადიონის მოტაცება მოუხერხებია და უკან მობრუნებულა, რის შემდეგაც ისინი ორივენი კაშკაშა მთვარის შუქზე გასდგომიან გზას ბანაკისაკენ. მაგრამ ოდისევსს მონდომებია, მთელი დიდება თვითონ დარჩენოდა. იგი ცოტათი ჩამორჩენია დიომედესს, რომელსაც ქანდაკი მხრებით მოჰქონდა, და მოკლავდა, დიომედესს მის თავზე აღმართული ხმლის ჩრდილი რომ არ შეენიშნა, ვინაიდან მთვარე ჯერ არც ისე მაღლა იყო. იგი მოტრიალებულა, ხმალი უშიშვლია, ოდისევსი განუიარაღებია, ხელები ამოუტრიალებია მისთვის და ცემითა და პანღურებით გაუმძლვარებია გემებისაკენ. აქედანაა გამოთქმა „დიომედესის იძულება“, რომელიც იმ შემთხვევებში იხმარება ხოლმე, როცა ვინმე იძულებით მოქმედებს.

საინტერესოა, რომ რომაულ გადმოცემათა თანახმად, ოდისევსმა და დიომედესმა მხოლოდ ყალბი პალადიონი წაიღეს, რომელიც საყოველთაო მოხილვისთვის იყო გამოფენილი, ნამდვილი კი თითქოსდა ენეასმა გადაარჩინა ტროას დაცემის შემდეგ, მალულად გაიტანა სხვა სიწმინდეებთან ერთად და მშვიდობიანად ჩაიტანა იტალიაში (დიონისიოს ჰალიკარნასელი, I, 68 შმდ.; ოვიდიუსი, „ფასტები“, VI, 434).

*ხის ცხენის შესახებ თხრობა* შემდეგ წყაროებს ემყარება: ჰიგინუსი, „მითები“, 108.135); ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 219 შმდ. 340.344.930; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, V,14; ევრიპიდე, „ტროელი ქალები“, 10; დიქტის კრეტელი, I,17; ათენეოსი, X, გვ.457; ჰომეროსი, „ილიადა“, XXIII,665; „ოდისეა“, VIII,493.504 შმდ.; XI,523-532 და IV,271-289; აპოლოდოროსი, V,14-20; კვინტუს სმირნელი, „ჰომეროსის შემდგომდროინდელი ამბები“, XII,314-315.444-497; „მცირე ილიადა“, ციტ. აპოლოდოროსის მიხ.; ვერგილიუსი, „ენეიდა“, II,13-249.256 შმდ.; არქტინ მილეტელი, „ილიონის დანგრევა“; ტრიფიოდოროსი, „ტროას აღება“, 316 შმდ. 340-344.463-521.

⑫

წყაროები და ვარიანტები. *ცნობებს პრიამოსის სიკვდილის შესახებ* ვხვდებით შემდეგ წყაროებში: აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, V,21; ევრიპიდე, „ჰეკაბე“, 23; ვერგილიუსი, „ენეიდა“, II,506-557; „მცირე ილიადა“, ციტ. პავსანიასის (X,27,1) მიხ.; ევრიპიდე, „ტროელი ქალები“, 16-17.

*დეიფობოსის თაობაზე* – ჰომეროსი, „ოდისეა“, VIII,517-520; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, V,22; ჰიგინუსი, „მითები“, 240; პავსანიასი, V,18,1; ვერგილიუსი, „ენეიდა“, VI,494; დიქტის კრეტელი, V,12.

*ანტენორის შესახებ* – აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, V,21; ჰომეროსი, „ილიადა“, III,123; „მცირე ილიადა“, ციტ. პავსანიასის (X,26,3) მიხ.; სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის“, I,246; სოფოკლე, „ილიონის დანგრევა“, ციტ. სტრაბონის (XIII,1,53) მიხ.; პავსანიასი, X,27,2; პინდარე, „პითიური ოდები“, V,82 შმდ.

არსებობს ანტენორის შემდგომი ბედის გვიანდელი, ალექსანდრიული ხანის გააზრება, რომლის თანახმად, ბერძნები მას სიძულვილით უცქერდნენ, ლამის ჯაშუშად და მოღალატედ თვლიდნენ; თითქოსდა მას, ან მის ცოლს, წინასწარმეტყველ თეანოს, გადაეცეს პალადიონი ბერძენთათვის; ასევე თითქოსდა ანტენორს გაეღოს ხის ცხენის კარი და იქიდან ბერძენი მეომრები შემოეშვას ქალაქში.

*ენეასის ბედზე* მოგვითხრობენ: ლივიუსი (I,1-2); აპოლოდოროსი („ეპიტომა“, V,21); დიონისიოს ჰალიკარნასელი (I,48-49.64); ელიანუსი, „ჭრელ-ჭრელი ამბები“ (III,22); ჰიგინუსი, „მითები“, 254; სტრაბონი (XIII,1,53); პავსანიასი (VIII,12,5); ვერგილიუსი („ენეიდა“); პლუტარქე („რომულუსი“, 3); ცეცე (სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 1268).

*პატარა აიაქსის მიერ კასანდრას შეურაცხყოფის ფაქტსა და მის შედეგებს* შემდეგი წყაროებიდან ვიგებთ: არქტინ მილეტელი, „ილიონის დანგრევა“; ვერგილიუსი, „ენეიდა“, II,406; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“; ჰომეროსის „ილიადის“ (XIII,66) სქოლიოები; ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 365; პავსანიასი, X,31,1; I,15,3;X,26,1; ჰომეროსი, „ოდისეა“, IV,99; ჰიგინუსი, „მითები“, 116; ჰომეროსის „ილიადის“ სქოლიოები, XIII,66; ლიკოფრონი, 1141-1173 და ცეცეს სქოლიოები; პოლიბიოსი, XII,5; პლუტარქე, „ღვთაებრივი შურისგების დაყოვნების შესახებ“, XII; სტრაბონი, XIII,1,40; ელიანუსი, „ჭრელ-ჭრელი ამბები“, ფრგამ. 47.

*ასტიანაქსის მოკვდინების შესახებ:* ჰომეროსი, „ილიადა“, VI,402; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“; ევრიპიდე, „ტროელი ქალები“, 719 შმდ.; ჰიგინუსი, „მითები“, 109; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ (II,457) კომენტარები; ტრითეოდოროსი, „ტროას აღება“, 644-646; პავსანიასი, X,25,4.

ასტიანაქსის სიკვდილის თაობაზე ისეთი გვიანდელი გადმოცემაც არსებობს, რომლის მიხედვითაც ბავშვი თავად გადმოხტარა კლდიდან, როცა ოდისევსმა კალქასის ნამისნევი გამოაცხადა და ღმერთებს ესავდა სასტიკი განაჩენის გასამართლებლად.

*პოლიქსენეს ამბავი* მოძიებულია შემდეგ წყაროებში: სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ კომენტარები, III,322; ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 323; კვინტუს სმირნელი, „ჰომეროსის შემდგომდროინდელი ამბები“, XIV,210-328; ევრიპიდე, „ჰეკაბე“, 107 შმდ. 218 შმდ. და 521-582.

ზოგიერთები ამბობენ, რომ ბერძენთა ფლოტი უკვე თრაკიამდე იყო მისული, როცა აქილევსის აჩრდილი გამოჩნდა და პირქარით დაემუქრა, და რომ სწორედ თრაკიაში გადაწყდა პოლიქსენეს მსხვერპლად შეწირვა (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, XIII,439 შმდ.; პავსანიასი, X,25,4). სხვათა მტკიცებით, პოლიქსენე საკუთარი ნებით ავიდა აქილევსის საფლავზე ჯერ კიდევ ტროას დაცემამდე და მკერდით დაეგო მახვილს, რითაც აქილევსის მიმართ ჩადენილი ბოროტება გამოისყიდა (ფილოსტრატოსი, „დიალოგი გმირების შესახებ“, XIX,11).

*პოლიდოროსის ბედის შესახებ* გვიამბობენ: ჰომეროსი („ილიადა“, XXII,48 და XX,407 შმდ.); ჰიგინუსი („მითები“, 240).

ზოგი სხვა წყაროს მიხედვით, ბერძნები მანამ ემუქრებოდნენ პოლიმესტორს ომით, სანამ იგი პოლიდოროსს არ დაუთმობდა, და როცა დაუთმო, მათ ბიჭი ბანაკში მოიყვანეს და ტროელებს შესთავაზეს, ელენეზე გაეცვალათ იგი. ვინაიდან პრიამოსმა უარი თქვა ამ წინადადების განხილვაზე, აგამემნონის ბრძანებით ბიჭი ქვებით ჩაუქოლავთ ტროას კედლებთან, ხოლო მისი სხეული ელენესთვის გაუგზავნიათ შემდეგი უწყებით: „ეს პრიამოსს აჩვენე და ჰკითხე, ხომ არ ნანობს თავისი გადაწყვეტილების გამო“. ამგვარი ნაბიჯის გადადგმა უგნური გაბოროტების მაჩვენებელი იყო, – პრიამოსს ხომ ფიცი ჰქონდა დადებული, ელენე მანამ არ მიეცა ელინთათვის, სანამ ქალი აფროდიტეს მფარველობის ქვეშ იქნებოდა, ამასთან, იგი მზად იყო პოლიდოროსის გამოსასყიდად მდიდარი ქალაქი ანტანდრიოსი დაეთმო (დიქტის კრეტელი, II,18.22 და 27; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ კომენტარები, I,246).

*ჰეკაბეს ბედის შესახებ* შემდეგი წყაროებიდან ვგებულობთ: აპოლოდოროსი, „ეპიტომა“; ჰიგინუსი, „მითები“, 111; დიქტის

კრეტელი, V,16; ცეცე, სქოლიოები ლიკოფრონისთვის, 1176; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, XIII,536.

ევრიპიდეს განსხვავებული ვერსიით, ჰეკაბე ჰელესპონტოსის ზღვაში გადამხტარა და ძუკნად ასე ქცეულა („ჰეკაბე“).

*ტროას შემდგომი ბედის შესახებ მოკლე ცნობებს გვაწვდიან:* დიქტის კრეტელი, V,17; აბანტოსი, ციტ. სერვიუსის (ვერგილიუსის „ენეიდის“ კომენტარები, IX,264) მიხ.; ლივიუსი, I,1.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. *პოლიქსენეს მოკვდინება აქილევსის სულის საამებლად,* მკვლევართა შეხედულებით, არ უნდა გავიაზროთ პირდაპირ, როგორც ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, რაც მეტად იშვიათი მოვლენა იყო ძველ საბერძნეთში. იგი მოკვდინებულ იქნა იმისათვის, რათა მიწისქვეშა სამყაროში მიმავალ პატრონს – აქილევსს – თან ხლებოდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ პოლიქსენეს ცხედარი პატივით დაკრძალეს. გარდა ამისა, ანალოგიური მსხვერპლშეწირვა მოხდა, მაგალითისთვის, პატროკლეს დაკრძალვისას (იხ. ქვეთავი „პატროკლეს დაკრძალვა“), რომლის დროსაც აქილევსმა თორმეტ ტროელ ჭაბუკთან ერთად ოთხი ულაყი და თავისი ცხრა საყვარელი ძაღლიდან ორი დაკლა და დასაკრძალავ კოცონზე დაწვა. მათგან განსხვავებით, ჰექტორის შესახებ აქილევსმა თქვა: „ცეცხლის ლუკმად როდი ვაქცევ – ძაღლებს შევაჭმევ“-ო.

*ჰეკაბეს ძუკნად ქცევასთან* დაკავშირებით მრავალგვარი დაზუსტება და გააზრება არსებობდა; ერთის მიხედვით, იგი თითქოს ძაღლივით ყმუოდა და ყეფდა, როცა ბრაზობდა, ან თითქოს იგი ძაღლური სიკვდილით მოკვდა (ქვებით ჩაქოლეს) და სხვა ამდაგვარი.

*ტროას აღებისათვის შესასრულებელი პირობების მრავალრიცხოვნება,* როგორც ჩანს, მიუთითებს იმ ფაქტით გამოწვეულ განცვიფრებაზე, რომ ალყის წარმოების რუდიმენტული სტრატეგიების ეპოქაში ასე მკვიდრად ნაგები ქალაქი საერთოდ დაეცა.

# სახელთა საძიებელი


ა
აბანტოსი 156
აბიდოსი 148
აგამემნონი 14, 20, 25, 36, 38, 40, 41, 51, 53, 54, 56, 57, 58, 60, 61, 62, 63, 64, 66, 69, 71, 72, 73, 77, 79, 82, 83, 89, 91, 98, 101, 102, 103, 105, 106, 107, 110, 112, 114, 115, 118, 119, 120, 124, 134, 140, 141, 148, 149, 150, 155
„აგამემნონის აბანოები“ 63
აგანოსი 25
აგელაოსი 17, 21, 22
აგლაოსი 37
ადრიატიკის ზღვა 114
აეროპე 35, 36, 38
ავლისი 53, 54, 57, 60, 62, 63, 64, 65, 109, 131, 134, 138, 142, 143, 145
ავტოლიკოსი 51, 52, 108
აზია 10, 15, 19, 110, 128, 149
ათენა 11, 16, 18, 19, 21, 37, 48, 49, 50, 55, 68, 72, 74, 75, 77, 82, 83, 84, 85, 86, 91, 102, 106, 107, 108, 109, 110, 111, 113, 115, 116, 117, 137, 141, 143
ათენეოსი 134, 153
ათენი 10, 44, 54, 103, 123
აიაქს ოილევსის ძე (პატარა აიაქსი) 55, 56, 81, 101, 115, 116, 139, 140, 141, 154
აიაქს ტელამონის ძე (დიდი აიაქსი) 14, 45, 46, 55, 56, 59, 60, 69, 77, 79, 80, 81, 97, 100, 101, 102, 103, 139, 140, 141, 151, 152
აისა 59
აკამასი 108, 118
აკასტოსი 46, 47, 67
ალაქსანდღუსი 129, 133
ალექსანდროსი 17, 21, 22, 129, 133
ალიბე 129
ალკაფოევსი 32
ალკიონე 33, 144
ალკმენე 33
ალფეოსი 28
ამაზონები 152
ამინტორი 50
ამფიდამოსი 50
ამფიონი 133
ამფიტრიონი 33, 34
ანატოლია 126, 127, 128
ანაქსიბიოსი 36
ანდროგეოსი 44
ანდრომაქე 70, 75, 76, 87, 88, 95, 117, 131, 138
ანდროსი 61
ანდროსი (კუნძული) 61, 62
ანთევსი 23
ანიოსი 60, 61, 62, 142, 144
ანტენორი 13, 23, 66, 107, 112, 114, 121, 154
ანტიბიე 33
ანტიფოსი 13, 111
ანტიკლეა 51
ანტიკლესი 112
ანტიკლიდე 124
ანტილოქოსი 101
ანტიოქე 10
ანქისესი 13, 23, 70, 114, 130
„აპალიუნა“ 129
აპია 31
აპოლოდოროსი 123, 124, 131, 133, 134, 137, 138, 139, 140, 142, 143, 146, 149, 151, 152, 153, 154, 155

აპოლონი 10, 11, 12, 13, 17, 22, 30, 33, 41, 42, 44, 49, 58, 59, 60, 61, 62, 63, 65, 66, 71, 74, 78, 79, 80, 84, 87, 90, 91, 96, 100, 104, 106, 109, 111, 119, 129, 131, 145, 150
აპოლონიოს როდოსელი 133, 138, 142, 151
არგევსი 33
არგოლისი 33, 141
არგონავტები 57, 137
არგოსი 26, 54, 76, 135, 136
არენე 56
არესი 18, 29, 74, 84
არიადნე 57
არისბე 105
არისტოფანე 142
არკადია 31, 44, 115, 123, 124
არნაკია 52
არნეა 52
არტემისი 34, 35, 36, 50, 64, 65, 74, 75, 84, 145
არქილოქე 133
არქიპე 33
არქტინ მილეტელი 151, 153, 154
ასარაკოსი 130
ასია 128
ასკანიოსი 121
ასკლეპიადები 104
ასოპოსი 41, 42
ასოსი 128
ასტიანაქსი 75, 88, 117, 121, 154, 155
ასტიდამეა 33
ასტინომე 71
ასტიოქე 33
ასუვა 128, 129
ასფოდელოსის ველები 97, 102, 103
ატას ბორცვი 10, 11, 12, 13
ატიკა 131, 145
ატლანტი 136
ატლასი 10, 23, 133, 136
ატრევსი 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 64, 91, 134, 136
ატრიდები (აგამემნონი და მენელაოსი) 83
ატროპოსი 45
აფროდიტე 15, 16, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 29, 49, 70, 72, 73, 83, 84, 87, 90, 131, 144, 146, 155
აქაროსი 146
აქატესი 146
აქილევსი 12, 41, 43, 49, 50, 51, 54, 55, 56, 59, 60, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 75, 77, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 106, 112, 113, 118, 119, 137, 139, 141, 144, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 155, 156
აქილევსის აჩრდილი 101, 106, 155
„აქილეიოსი“ 64
აქტორი 46
აშუვა 128

ბ

ბალიასი 49
ბალკანეთი 136
ბალკანეთის ნახევარკუნძული 129
ბატია 10
ბედისწერის ქალღმერთები 45, 47, 48
ბლეგენი, კარლ 125, 127
ბორეასი 29, 90
ბრავრონი 145
ბრისე 71
ბრისეისი 71, 72, 77, 83, 98, 148
ბროტევსი 26, 40, 136
ბუნომოსი 25

გ

განიმედესი 26, 28, 48, 130
გარგარონის მთა 18, 77
გეა 16, 21
გენეტიკე 114
გლავკოსი 97, 114

დ

დამისი 49
დარდანა 126
დარდანელი 126
დარდანია 10, 124
დარდანიდები 10, 130, 141
დარდანოსი 10, 84, 114, 123, 124, 130
დარესი 147, 149, 151
დედალოსი 47



დევკალიონი 54, 124
დეიდამია 59, 63, 65
დეიმოსი 123, 124
დეიფილოსი 119
დეიფობოსი 13, 22, 100, 101, 105, 107, 111, 113, 154
დელოსი 60, 61, 62, 144, 150
დელფო 12, 23, 37, 38, 40, 44, 116, 119
დემეტრე 26, 27
დემოფონი 118
დიასი 33
დიოდოროს სიცილიელი 123, 124, 133, 134, 137, 138, 142
დიომედესი 14, 54, 56, 60, 69, 72, 74, 77, 82, 97, 100, 104, 106, 107, 108, 110, 112, 117, 140, 141, 149, 153
დიონისე 61, 62, 63, 97
დიონისიოს ჰალიკარნასელი 123, 124, 153, 154
დიოსკურები 14, 15, 40, 41, 131
დიპილე 54
დიქტის კრეტელი 131, 140, 142, 143, 146, 147, 149, 151, 152, 153, 154, 155, 156
დოდონე 43, 98
დოლონი 77
დორპფელდი 125, 139
დრიოპე 61
დულიხიოსი 141
დუნაი 97
დურისი 134

ე

ეაკიდები 41, 139, 141
ეაკოსი 12, 13, 41, 42, 43, 44, 45, 101, 137, 138, 139
ეანოსი 50
ეაქსი 36
ეგეიდა 126, 128, 148
ეგეოსის ზღვა 28, 29, 44, 126
ეგვიპტე 24, 25, 132
ეგინა 41, 42, 45, 137, 139
ეგინა (კუნძული) 42, 44, 45, 139
ეგისთოსი 38, 39, 40
ეეტიონი 70, 71, 88
ევბეა 31, 61, 62
ევმელოსი 97
ევრიალოსი 54
ევრიდიკე 33
ევრიმედუსა 137
ევრიპიდე 131, 132, 133, 134, 138, 143, 149, 152, 153, 154, 155, 156
ევრისაკოსი 102, 103
ევრისთევსი 33, 34
ევრიტიონი 46
ევროპა 15
ევროპე 36, 57
ევხევიოსი 134
ევსტათიოსი 124, 138, 143, 146, 147, 151
ევფორბოსი 80, 146
ევქსინის პონტო 97
ეთიოპელები 152
ეთრა 131, 132
ელაისი 61, 144
ელენე 9, 13, 14, 15, 20, 21, 23, 24, 25, 41, 46, 52, 54, 57, 58, 66, 70, 72, 73, 99, 100, 101, 105, 107, 111, 112, 113, 126, 131, 132, 134, 140, 142, 146, 155
ელენე (კუნძული) 31
ელენეს აჩრდილი 101
ელენეს ლანდი 25, 132
ელენიუმი 63
ელექტრა 10, 41, 119, 123, 131, 133, 134, 143
ელექტრა (პლეადა) 11
ელიანუსი 154
ელინოსი 33
ელისი 28, 29, 32, 34
ელისიონი 101
ენდეისი 43, 45
ენეასი 23, 70, 72, 74, 84, 106, 111, 113, 114, 115, 121, 130, 146, 153, 154
ენევსი 17
ენომაოსი 28, 29, 30, 133
ენონა 17, 23, 24, 41, 42, 62, 104, 105, 152
ეოსი 82, 89, 95
ეპევსი 107, 108, 111, 112
ეპეიოსი 31
ეპიდავროსი 32
ერინიები 102
ერიოპისა 55, 56
ერისი 16, 36, 49

ერიხთონევსი 10
ერიხთონიოსი 130
ეროსი 20, 23
ესაკოსი 16
ესტორი 70
ესქილე 124, 134, 149, 151
ეტას მთა 144
ეტიოლოსი 15
ექინადიური კუნძულები 33
ექიონი 112

ვ

ვერგილიუსი 123, 124, 131, 133, 134, 135, 137, 139, 140, 142, 144, 147, 151, 152, 153, 154, 155, 156
ვესტა 130
ვილუსა 126, 127, 128, 129

ზ

ზევსი – *მთელ წიგნში*
ზელია 128
ზეფიროსი 90

თ

თანატოსი 79
თეანო 107, 114, 154
თებე 14, 33, 63
თებე (ჰიპოპლაკიისა) 70, 75, 88
თემისი 15, 21, 47, 138
თერსიტესი 99
თესალია 48, 137, 150
თესევსი 101, 131, 132, 133, 134
თესიები 130
თესპროტესი 37, 38
თესტიოსი 14
თეტისი 16, 47, 48, 49, 59, 60, 65, 66, 67, 70, 79, 80, 81, 82, 84, 91, 92, 93, 96, 97, 100, 101, 103, 116, 138, 146
თიესტესი 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 134, 136
თიმოიტესი 109
თოასი 108
თრაკია 53, 77, 78, 114, 115, 119, 148, 155
თუთხალია 128
თუთხალია II 127
თუთხალია IV 127
თუკიდიდე 133, 134, 136
თურქეთი 125

ი

იასიონი 143
იბიკოსი 151
იდას მთა 10, 16, 17, 18, 70, 77, 89, 105, 111, 114, 148
იდევსი 25, 92, 123, 124
იდომენევსი 14, 54, 56, 60, 73, 83
ითაკა 51, 52, 56, 58, 141
იკარიოსი 14, 52
ილიონა 119
ილიონი 10, 11, 75, 76, 126, 127, 128, 139, 151, 153, 154
ილოს ფრიგიელი 26
ილოსი 10, 11, 28, 130
იოლკოსი 46
იონია 129, 135, 150
ირისი 48, 49, 57, 82, 91, 92
ისთმოსი 29, 30
იტალია 130, 153
იფიანასა 41
იფიგენია 41, 59, 64, 65, 131, 134, 138, 143, 145, 148
იფიკლესი 144

კ

კავკასიონი 138
კავკონები 128
კაიკოსი 63
კალილეონი 37
კალიმაქოსი 137
კალიოპე 50
კალქასი 49, 59, 62, 64, 71, 103, 104, 105, 110, 115, 117, 118, 145, 152, 155
კაპისი 109, 130
კარიელები 128
კასანდრა 13, 23, 95, 109, 115, 116, 118, 124, 130, 154
კასტორი 132
კატრევსი 24, 36
კატულუსი 138
კელენო 23
კეოსი 133
კენტავრები 47, 48
კერბეროსი 136
კერკისერე 59
კვინტუს სმირნელი 151, 153, 155
კვიპროსი 24, 58, 144
კიბოსური 33
კითერა 40
კიკლადები 108
კიკნოსი 65, 68, 96
კიკონები 128
კილა 16
კილარაე 40
კილასი 133
კილიკია 128
კილოსი 30, 133
კიმა 70
კინირასი 58, 141, 144
კინოსემა 120
კიპრიდა 20, 21
კლაძომენე 70
კლემენს ალექსანდრიელი 137, 138
კლეოლა 36
კლეონი 33, 56
კლიმენე 36
კლიტემნესტრა 15, 40, 41, 63, 64, 65, 134
კლიტონიმოსი 50
კლოთო 27
კნოსოსი 140, 148
კოლოფონი 70
კოლხეთი 57
კოპრევსი 32
კორითოსი 62
კორინთიოსი 33
კორინთო 26, 28, 42, 56, 135
კორფმანი, მანფრედ 125, 127
კრანაე 24
კრეთეისი 46
კრეტა 10, 24, 26, 36, 54, 56, 57, 60, 123, 124, 135, 140, 141, 145, 148, 152
კრევსა 13
კრონოსი 83, 84, 85
კურეტები 124

ლ

ლაერტესი 51, 106
ლავინია 115
ლაიოსი 33
ლაკედემონი 56
ლაოდამია 67, 146
ლაოდიკე 13, 41, 64
ლაოთოე 119, 139
ლაოკოონი 109, 110, 111
ლაომედონი 11, 12, 17, 46, 65, 130
ლარისა (ანატოლიისა) 128
ლატონა 84
ლაქტანციუსი 133, 134, 137
ლაციუმი 115
ლედა 14, 40, 131
ლევკე 97, 101
ლელეგები 128, 139, 141
ლემნოსი 66, 104, 143, 146
ლესბოსი 30, 65, 70, 94
ლეტო 74
ლიდია 20, 26, 37, 135
ლივიუსი 154, 156
ლიკაონი 146
ლიკია 79
ლიკომედესი 59, 106
ლიკოსი 23
ლიკოფრონი 123, 124, 131, 133, 134, 138, 140, 142, 143, 146, 147, 151, 152, 153, 154, 155, 156
ლინოსი 133
ლირნესი 70
ლისიდიკე 33
ლოკრისი 116, 139, 141
ლუკიანოსი 131, 133, 134, 138

მ

მარათოსი 15
მარმარილოს ზღვა 126, 128
მაქაონი 104
მედეა 57, 101
მედონი 55, 56, 66, 140
მეეტლის თანავარსკვლავედი 31
მელამპუსი 144, 145
მემნონი 96, 147, 152
მენადა 87
მენელაოსი 14, 15, 20, 23, 24, 25, 36, 38, 40, 41, 51, 56, 57, 58, 61, 64, 65, 66, 69, 71, 72, 73, 80, 99, 101, 102, 105, 108, 112, 113, 114, 131, 132, 141
მენესთევსი 14, 54
მენეტიოსი 81

მერა 120
მესეისის წყარო 76
მესენია 56
მეტოპა 41
მიდეა 34
მიზია 62, 63, 64, 102, 141
მიკენი 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 56, 57, 63, 110, 125, 128, 129, 141, 148, 150
მიკონოსი 116
მილეტოსი 135
მინოსი 45, 136
მირმექსი 137
მირმიდონი 137
მირტილოსი 28, 29, 30, 31, 32, 34
მნემონი 65, 66
მოირები 45, 86
მუზები 48, 50, 78, 97, 130
მუნიტოსი 16
მცირე აზია 71, 128, 137, 147
მწვანე გიორგი 136

**ნ**

ნავპლიოსი 36, 52, 53, 58
ნემეას ლომი 55
ნემესისი 131
ნემეური თამაშები 33
ნეოპტოლემოსი 59, 65, 96, 103, 104, 106, 108, 111, 113, 115, 117, 118
ნერეიდები 45, 48, 97
ნესტორი 54, 56, 57, 59, 60, 69, 74, 83, 140, 141
ნეტართა კუნძულები 101
ნიკიპე 33
ნიობე 26, 28, 32

**ო**

ოდისევსი 14, 51, 52, 53, 54, 56, 58, 59, 60, 61, 62, 64, 65, 66, 69, 73, 77, 82, 83, 97, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 117, 118, 119, 120, 140, 141, 148, 149, 151, 153, 155
ოვიდიუსი 131, 133, 134, 137, 138, 142, 146, 151, 153, 155, 156
ოილევსი 55, 56, 115, 116
ოინევსი 40
ოინო 61, 144
ოკეანოსი 84
ოლიმპია 28, 29, 31, 32, 33, 97, 133
ოლიმპიელები 45, 48, 91
ოლიმპიური თამაშები 31
ოლიმპოსი 11, 18, 26, 28, 42, 71, 72, 74, 77, 81, 84, 91, 92, 95
ოპუნტი 116, 139
ოქროს ქოფაკი 136
ორესტე 41, 63, 131, 133, 134
ორითიია 57
ორქომენეოსი 37
ორქომენოსი 115

**პ**

პავსანიასი 131, 133, 134, 135, 137, 138, 140, 142, 143, 145, 151, 153, 154, 155
პალადა 11
პალადიონი 11, 106, 107, 110, 117, 130, 139, 151, 153, 154
პალამედესი 36, 53, 58, 60, 64, 66, 109, 114, 140, 141, 146, 149
პალანტოსი 123
პალასი 11, 84, 85, 86
პამონიოსი 13
პანი 27, 34
პანდარევსი 26, 136
პანდაროსი 72
პანელენიოსი 44
პანთოევსი 12
პარისი 13, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 41, 49, 54, 57, 70, 72, 73, 87, 96, 100, 101, 104, 105, 106, 129, 131, 132, 133, 140, 152
პარნასოსის მთა 51
პატროკლე 14, 43, 50, 63, 79, 80, 81, 82, 83, 86, 88, 89, 90, 91, 93, 97, 101, 139, 146, 150
პაფლაგონია 28
პეანი 74
პეანტოსი 104
პედასი 139
პელასგები 128, 139
პელასგიოტისი 31
პელევსი 16, 43, 45, 46, 47, 48, 49, 50, 59, 60, 63, 66, 79, 81, 93, 138
პელენე 115



პელიასი 46
პელიონის მთა 46, 48, 49
პელოპია 37, 38, 39
პელოპიდები 25, 27, 34, 39, 51
პელოპონესოსი 31, 32
პელოპსი 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 44, 46, 106, 133, 134
„პელოპსის კუნძული“ 31
პენატები 114
პენელოპე 14, 52, 58
პენთესილეა 96, 99, 151, 152
პეონები 128
პერგამონი 74, 114
პერიბოია 46, 52, 55
პერიქლემოსი 79
პერკოტა 128
პერსევსი 34
პერსეფონე 26
პითაგორა 80
პითია 12, 119
პილოსი 54, 56, 57, 141
პინდარე 124, 133, 134, 135, 137, 138, 139, 142, 143, 150, 151, 154
პირა 59
პირითოოსი 131
პიროსი 59
პისა 28, 30, 33, 40, 106
პისისტრატოსი 150
პიტთევსი 32
პლაკოსი 88
პლატონი 133, 136
პლეადა 36, 123
პლეისთენეს მეორე 37
პლეისთენესი 15, 33, 36, 131
პლინიუსი 135, 143
პლუტარქე 132, 133, 134, 143, 151, 154
პლუტო 26
პოდალირიონი 104
პოდარკოსი 12
პოლიბიოსი 139, 154
პოლიდევკესი 132
პოლიდოროსი (პრიამოსისა და ლაოთოეს ძე) 119
პოლიდოროსი (პრიამოსისა და ჰეკაბეს ძე) 13, 119, 120, 155
პოლიმელა 46
პოლიმესტორი 119, 120, 155
პოლინიკე 63
პოლიტესი 13, 113
პოლიქსენე 13, 99, 100, 118, 119, 120, 155, 156
პოსეიდონი 11, 12, 28, 29, 30, 33, 41, 42, 44, 49, 68, 70, 84, 85, 91, 96, 97, 110, 111, 116, 136
პრაქსოსი 98
პრიამოსი 12, 13, 16, 17, 20, 21, 22, 23, 25, 41, 53, 57, 64, 68, 70, 73, 74, 75, 76, 84, 86, 87, 88, 92, 93, 94, 95, 99, 100, 102, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 117, 119, 120, 124, 130, 139, 147, 148, 154, 155
პრილოსი 107
პროკლე 131, 140, 142, 143, 146, 150, 151
პროკლია 65
პრომეთე 23, 96, 115, 130, 138, 144
პროტევსი 25, 80, 112, 132
პროტესილაოსი 67, 68, 79, 146
პტოლემაიოსი 151

**რ**

რადამანთისი 45
რეა 17, 26, 27
რენა 56
რეო 60, 61, 144
რესოსი 77, 78
რეტეას კონცხი 103, 113, 116
რომი 130, 132

**ს**

საბერძნეთი 13, 14, 20, 21, 29, 31, 41, 44, 55, 57, 58, 65, 110, 128, 132, 137, 148, 150, 156
სალამინი 45, 55, 103, 141, 152
სალოე 135
სამა 141
სამოთრაკე 124
საპფო 132
სარდები 128
სარპედონი 79
საფო 132
სენეკა 134

სერვიუსი 123, 124, 131, 133, 134, 135, 137, 139, 140, 142, 144, 147, 151, 152, 153, 154, 155, 156
სექსტოსი 148
სვიდა 153
სთენელოსი 34, 54, 108
სიგეას კონცხი 97, 113, 118
სიდა 70
სიდონი 24, 141
სიზიფე 51
სიკიონი 37, 38, 39, 40
სიმოისი 10, 68, 74, 85, 126
სინონი 108, 109, 110, 111, 112
სიპილოსის მთა 26, 27, 28, 29, 135
სისიფოსი 51, 135, 141
სკამანდროსი 68, 69, 78, 85, 86, 126, 147
სკეას ჭიშკარი 73, 75, 86, 87, 96
სკვითთა ქვეყანა 65
სკირონი 32
სკიროსი 59, 63, 106
სმირნა 59, 70, 128
სოფოკლე 133, 134, 138, 140, 143, 149, 151, 152, 154
სპარტა 14, 15, 21, 23, 24, 40, 44, 52, 56, 63, 98, 105, 131, 145
სპერმო 61, 144
სტაციუსი 134, 137, 139
სტეროპე 46
სტესიქოროსი 124, 131, 132
სტიმფალოსი 31, 44
სტიქსი 49
სტრაბონი 123, 133, 134, 135, 137, 139, 150, 154

ტ

ტავრების ქვეყანა 65
ტალთიბიოსი 58, 64
ტანტალიდა 135
ტანტალოს მეორე 37
ტანტალოსი 25, 26, 27, 28, 40, 133, 134, 135, 136
ტარაქსიპოსი 133
ტარუისა 128
ტაფიოსი 33
ტევკროსი 10, 14, 46, 55, 56, 78, 97, 102, 123, 138, 140
ტელამონი 12, 13, 43, 45, 46, 55, 102, 136, 138
ტელემაქოსი 58
ტელეფოსი 62, 63, 64, 143, 144
ტენედოსი 65, 66, 67, 108, 111, 126
ტენესოსი 65, 66
ტენოსი 70
ტერტულიანუსი 135
ტიდევსი 54
ტითონოსი 130
ტიმანდრა 15
ტინდარეოსი 14, 15, 21, 40, 41, 52
ტიტანები 74
ტმოლოსი 26
ტრითეოდოროსი 153, 155
ტროა – მთელ წიგნში
ტროა VI 126
ტროა VIIა 126
ტროა VIII 125
ტროა IX 125
ტროადა 10, 57, 60, 62, 123, 128, 129, 135
ტროილოსი 13, 68, 96, 99, 146, 147, 148
ტროოსი 10
ტროიძენი 32
ტროსი 10, 17, 70, 123, 130

უ

ურანოსი 74

ფ

ფაროსი 56
ფენიქსი 50, 60, 77, 83, 106
ფერეკიდესი 134
ფერეკლე 23
ფერსანდროსი 62
ფთია 46, 50, 60, 83
ფილაკე 56
ფილევსი 103
ფილომელიდესი 65
ფილოსტრატოსი 138, 139, 140, 142, 143, 146, 149, 151, 152, 155
ფილოქტეტესი 14, 66, 104, 143, 144, 152, 153
ფიმბრევსი 111
ფინეა 123
ფინიკია 24
ფისადია 131
ფოკისი 45
ფოტიუსი 151
ფრეზერი 136
ფრიგია 10, 20, 94, 123, 135
ფსამატე 45
ფსილა 29
ფულგენციუსი 135, 139

ქ

ქიმეროსი 23
ქიოსი 150
ქირონი 47, 48, 49, 50, 63
ქლორისი 32
ქრისე (ნიმფა) 143
ქრისე (პალანტოსის ასული) 123, 124
ქრისეისი 71, 72, 148
ქრისესი 71, 106
ქრისიპოსი 33, 34
ქრისოთემისი 41, 60
ქრისოსი 143
ქსანთოსი 49, 74, 84, 85, 95

ყ

ყირიმი 65

შ

შავი ზღვა 126, 127
შავიზღვისპირეთი 128, 148
შლიმანი, ჰაინრიხ 125

ც

ცეცე 123, 124, 131, 133, 134, 138, 140, 142, 143, 146, 147, 151, 152, 153, 154, 155, 156
ციცერონი 134

ძ

ძაკინთოსი 141

ხ

ხალიბები 129
ხეთების იმპერია 127
ხერსონესი (თრაკიისა) 119, 120
ხერსონესი (სკვითიისა) 65
ხმელთაშუა ზღვა 147
ხმელთაშუაზღვისპირეთი 128, 140

ჰ

ჰადესი 27, 45, 75, 88, 89, 90, 97, 136, 151
ჰალიძონები 128, 129
ჰალუგა 128
ჰარპინა 29
ჰეკაბე 13, 16, 17, 22, 74, 76, 86, 92, 107, 112, 113, 119, 120, 153, 154, 155, 156
ჰეკატე 120
ჰეკუბა 13
ჰელენოსი 13, 23, 74, 105, 106, 124, 151, 152
ჰელესპონტოსი 94, 126, 156
ჰელიკაონი 114
ჰელიოსი 36, 54
ჰერა 16, 18, 19, 21, 24, 25, 32, 40, 41, 42, 47, 48, 49, 57, 63, 72, 81, 84, 86, 91, 134, 137, 139, 143
ჰერაიები 32
ჰერაკლე 12, 34, 55, 104, 136, 138, 143, 144
ჰერაკლიდები 34
ჰერეტოსის კონცხი 31
ჰერმესი 16, 18, 19, 25, 27, 31, 32, 34, 35, 45, 67, 84, 91, 92, 95, 102, 107, 141
ჰერმიონე 15, 131
ჰეროდოტე 134, 138, 140, 142, 151
ჰეროფილე 17
ჰესიოდე 132, 146
ჰესიონე 12, 13, 23, 46, 55, 57, 102
ჰესიქიოსი 145
ჰეფესტო 26, 31, 49, 81, 82, 84, 86, 97, 101
ჰექტორი 13, 22, 67, 70, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 84, 85, 86, 87, 88, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 99, 100, 102, 117, 146, 147, 148, 149, 150
ჰიაკინთოსი 152
ჰიგინუსი 124, 131, 133, 134, 137, 138, 140, 142, 143, 146, 151, 153, 154, 155
ჰიპალკმოსი 32
ჰიპასი 33

ჰიპერიის წყარო 76
ჰიპნოსი 79
ჰიპოდამეა 28, 29, 30, 31, 32, 33, 34
ჰიპონოოსი 13
ჰიპოფოე 33
ჰირე 116
ჰისარლიკის ბორცვი 125
ჰომერიდები 150
ჰომეროსი 9, 55, 123, 124, 125, 126, 128, 129, 130, 131, 133, 134, 138, 139, 140, 141, 142, 143, 145, 146, 147, 149, 150, 151, 153, 154, 155
ჰორაციუსი 124











სერიის „ბერძნული მითების სამყარო“ წიგნები:

- ქაოსიდან კოსმოსამდე (ურანოსი, კრონოსი, ზევსი)
- დიდი ზეციური ღმერთები
- ზღვა და მიწისქვეშეთი. მცირე ღვთაებანი
- პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები
- ასპარეზზე გამოდიან გმირები
- არგონავტები
- შვიდბჭიანი თებე
- ტროას ომი
- ტროას ომის შემდეგ
- მითების სიბრძნე

ISBN 99940-762-4-8
9789994076246